


1168
2008

პალიტრა

N49
4/XII
180 ₾



ამოუხსნელი ფანოგანი

„ჩვენ შორის უხილავი
კავშირი არსებობს“

რა საერთოა
ამ ცნობილ
დაამიანს
შორის



კადრები
ბიძინა
ივანიშვილის
უსნობი
წარსულიდან




ვინ არის
მიზა
მშვილდაძის
საბედისწერო
ქალი

„ყოველთვის
ვა-ბანაკვა მივდივარ“ ...



იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

მხრებანი მხრებანი
წინსწინი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი



ნახე, როგორღა
ცხოვრება შეცვალა

წინსწინი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი
მხრებანი მხრებანი



მხრებანი



გაქვასთები მშობი
ათვებს ხელაყენ.
ლოლახეცები
- სავადიშებს.



13 ბრადელი

35

ქორცილელი გიზნესმენის გაბეგებრი სიქველა

„ბიბინა მიხვდა, რომ ვყოყ-
მანობდი, ორი წყვილი ჩურჩხ-
ულა დაშიგოვა, დაწარჩენი უკან
წაიღო, სარბე გადაკიდა, უკან
დაბრუნდა და მხოლოდ მა-
შინ ჩაკებიჩა ჩურჩხელა“.



22

გუგუგუგა თაქვანისხეველთან



ინგერეგუს წაკითხვის შემდეგ
უამრავი მამაკაცი გამოგვეგზავრა
(არა მარგო მამაკაცი) და „ესე-
მესებით“ გლეგონი „ამიფეთქა“.
ნონასთან შეხვედრის სურვილი
ბევრმა გამოთქვა, მაგრამ მათ
შორის მხოლოდ ერთს - გვიად
ლილუაშვილს გაუმართლა. ნონ-
ასა და გვიადის შეხვედრა ჩვენ-
თან, რელიქიაში შედგა.

24

- მინიატიურები**
- პოლიტიკური შიღისი საქართველოში ანუ „გამოალათ ქარი ჩხარა, ისა, როგორც ფაჯვარა“ 5
- ფაქტი და კომენტარი**
- „თუ ვიზის მიღების პრობლემა აღარ გვიქმნება, ვინღა დარჩება საქართველოში“ 6
- პოლიტიკა**
- მთავარი მოსკოვის ექვების გაშახხვა... 7
- ქორწილისტის როლი**
- მიგა შვილდაქა და მისი საგაღისწერო ქაღაბი 10
- ეკანის მიღმა**
- სიუარირიზაბი გულათურში და „ხალონის“ დაგრუნება „გუგუგა“ 12
- იუბილარი**
- აღამიანი-ოქიანსტი, მაღალი ქლანის მუსიკოსი და „კაბაღოსუბორენი“ მეგობარი 14
- აიკველი ლელი**
- მეკრიგან - ალუკისიანი, ნახი და ქათილი... 15
- თავა**
- გუგუგა - ამოუხსნელი ფენომენი 18
- არგვეულგერივი გამოვანი**
- ქორილილი გიზნესმენის გაგუგუგა სიქველა 22
- საბაბარკლი**
- შახხედრა თავვანისხეველთან ანუ როგორ აღმორღდა „მის ბიქინის“ პირისიკი სადარგუგალი 24
- გბრიხაბი**
- ეპიქისა და ვასიანგის რომანი და პოლიტიკოსთის მიგოვეგული პროფისიკა 26
- ანგიღვარუნანგი** 28
- ასტროლოგირაბი**
- რატომ ვერ აღაგაგს ოქანსურ ურთიარტოგაგს მარინა სალუქვაქა 28
- არუღიბი**
- ილიქოსთან და ილაქიონთან დაგამოგრაგული „არავიღინი“ 30

გუგუგა - ამოუხსნელი ფენომენი...

ჯერ კიდევ ამოუხსნელია ის ფენომენი, რასაც დედის სხეულში 2 და მეტი სიცოცხლის ჩასახვა პქეია. ყველაგე უტყუარ ფაქტორად, რომელიც გყუბი ნაყოფის ჩასახვას უწყობს ხელს, გენეგია მიიჩნევა. მეცნიერთა ერთი ნაწილი კი ვარაუდობს, რომ გყუბის ჩასახვას ცხოველური ცილებით მდიდარი საკვების მიღება უწყობს ხელს. შესაბამისად, ვეგეტარიანელ ქალბაგონებს გყუბის გაჩენის ნაკლები შანსი აქვთ. მეცნიერები იმასაც ამგკიცებენ, რომ გყუბი მეტწილად ხანდაბმულ, 35 წლის შემოთ მშობიარეებს უჩნდებათ.



■ ჯანმრთელობა	
✓ ღაამარსხეთ სტრესი	32
✓ ინტელექტის შენარჩუნება	33
■ ქარნალი მკურნალობა	
სხონი	35
გზავნილები	51
■ ნაძველი აგაპი	
ნაძველი პალატა...	67
■ ბაპარი	
ყვარულიდან ქალის ყოველდღე	
ახსნადადნენ უფლის ანგალოზები და	
ზუსთურ სკიპებს უძღვნიდნენ	68
■ მადლი	
კეთილშობილური ღვინო	
განსივინებულნი ქართული ღვინო	69
■ რომანი	
სეზონი ქვარსხელია.	
სხონი მხნევის ქალი (გაბრძელება)	70
■ ბიჭ-აუბი	74
■ საქონისანი ქალაქისთვის	
✓ როგორ დაქვლინო შენი	76
✓ ქარაქი თუ მარბარინი?	77
■ პარსკვლევა	78
■ მომხიზნისი	
ქართული რეპარების პრობლემა	
და „გადარჩენის გზა“	80
■ საუნა	
ანსამბლ „გორას“ „განგალი“	
ამბიურ მუშაობას იწყებს	81
■ ქიმიკალი	
ბრძელებული, რომელსაც ხელს არაპინ ადებს.	
მარბა მინს დამნაშავეა	84
■ ისმორიული რომანი	
გონა მანვლიკა.	
დიდგორის მანა მრანდა ის ჯვარი (გაბრძელება)	86
■ თინეიჯერული პონება	
✓ პროფსია, რომლის გამოც	
ბიჭები მოგონებს იწინებენ	91
✓ „მანა რომ გათხოვდა,	
რკული მხნელებს მოგინებს“	94
■ ავტო	95
■ სქანოვრდი	96
■ განტი	97
■ პროგნოზი	98


მქივისა და პანინტის რომანი



„სხვათა შორის, ვიდრე ცოლად მოვიყვანდი, ძალიან აუად იყო, ინფექციურ საავადმყოფოში, სეფსისის დიაგნოზით იწვა. ვუპეუნალე, საავადმყოფოდან გამოვიყვანე და ორ თვეში ცოლად შევირთე“.

რატომ ვერ აღაგებს ოჯახს შთმომტობებს მარინა სალუქვაძე


გთავაზობთ ახალ რუბრიკას ამ რუბრიკაში ცნობილი ადამიანების ცხოვრების უცნობ დეტალებს ასტროლოგის მეშვეობით შეიგყობთ. გამტკვლევის პირველ ობიექტად ჩვენი კოლეგა, ქალბატონი მარინა სალუქვაძე ავირჩიეთ.



ილიკოსთან და ილარიონთან დამგობრებული „პრეზიდენტი“



ყველაზე მეტად ის ნაწარმოებები მოსწონს, რომლებშიც იუმორი იგრძნობა. მისი საყვარელი მწერლები – ნოდარ ღუმბაძე და ერნესტ ჰემინგუე არიან ლიტერატურული პერსონაჟებიდან ილიკოსთან და ილარიონთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს.



– წალი, ახლა მარტო მირჩენია ყოფნა. წალი და მერე შეხვდები სადმე ასე აღობებს ახლა ვლარაფერს მოვიფიქრებთ. არც მე მინდა უსიყვარულოდ ოჯახის შექმნა და არც შენ. ხომ მართალი ვარ?

- გეთანხმები.
- თუმცა არც იმის იმედი მაქვს, რომ სიყვარული ოდესმე მოვა...
- შენ ასე ფიქრობ? – მისკენ შევგრიალდი და თმაზე გადავუსვი ხელი.
- შენ ხომ სხვა გიყვარს...
- შენ?
- მე?.. მე არასდროს არავინ მეყვარებია. ახლა კი, მგონი...

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით გავით „კვირის კალიტრის“ დამატება ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავიაა
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, ირსეზიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63, email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

პოლიციური შიდსი საქართველოში ანუ „გამოადრეთ ყარი ჩქარა, ისე, როგორც ფანჯარა“



ქართველები მებრძოლი ხალხი ვართ და კალენდარში დღესაც გვაქვს სხვადასხვა რამესთან ბრძოლის დღეები: თავებთან და მანვე მღრღნელებთან ბრძოლის დღე, ქუჩის ძალებთან ბრძოლის დღე, ქუჩის ქალებთან ანუ პროსტიტუციასთან ბრძოლის დღე (ღამე), ნარკომანიასთან ბრძოლის დღე და ა.შ. ცხადია, აქ ჩამოთვლილთაგან, ძალები და მღრღნელები იმდენს ვერაფერს გვაკლებენ, რამდენსაც პროსტიტუცია და ნარკომანია, რადგან ეს ორი (უძველესი და უახლესი) „პროფესია“ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების „შავ ჭირად“ აღიარებული შიდსის ოაზისს წარმოადგენს.

შიდსის ანუ შექნილი იმუნოდეფიციტის სინდრომის, როგორც სამედიცინო პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე უკვე რამდენიმე წელია, საქართველოშიც პირველ დეკემბერს აღინიშნება. მასსოვს, პირველად რომ აღნიშნეს, უამრავი ახალგაზრდა შეკრიბეს ქალაქის ცენტრში, კონცერტი ჩაატარეს და ვერტმფრენიდან პრეზერვატივები გადმოჰყარეს. გაგიჟდნენ ბავშვები, — თურმე უკვე ჩვენთვისაც შეიძლებაო! — და ვინ სად გაატარა ის ღამე, არავინ იცის...

სამედიცინო შიდსს რაღაცას კიდევ მოუფხვრებთ: ბოლოს და ბოლოს, არც წამალს „გავიჩხერთ“ და არც სექსუალურ ბრძოლაში შევიჭრებით „უიარაღოდ“, მაგრამ ჩემმა პროვოკატორულმა თვალმა და გონებამ აღმოაჩინა, რომ შიდსი უამრავი სახის არსებობს და მათ შორის ყველაზე საშიში — პოლიტიკური შიდსია. აი, აქ კი მართლა ვერ გვაქვს საქმე სახარბიელოდ, რადგან პოლიტიკური იმუნოდეფიციტი მართლაც გვჭირს და თან შექნილი გვაქვს, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან დაუცველი ურთიერთობის გამო.

პოლიტიკური შიდსის ვირუსი რუსული ვირუსული პოლიტიკის შედეგია და თვითონ სიტყვაც მიგვანიშნებს — „ვირი“ და „რუსი“ ანუ „ვირუსი“ და როდის და როგორ გვეშველება, ჯერ მეც არ ვიცი, თორემ არ დაგიმაღლავდით. არა, ექიმები არ გვახვევიან თავს-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან ყოველ თვეში ტარდება საერთაშორისო კონსილიუმები ხან ბუქარესტში და ხანაც — ბრიუსელში; ჩვენც, როგორც პაციენტს, დაგვარბენინებენ ამ თავიდან იმ თავში და ანალიზს ანალიზზე გვაბარებინებენ; ზოგს ლეიკოციტების რაოდენობა არ აკმაყოფილებს და ზოგს — შარდის ფერი...


ბუქარესტის სამიტის მერე ნატოში შესასვლელ მაპ-ის პროგრამას ასე ადვილად რომ ვერ მივიღებდით, ცხადი იყო: მკურნალობაც ხომ ჩანსობითაა და ისეთი ქვეყანა გვებრძვის, რომელიც სხვას აავადებს ამ ვირუსით და თვითონ არ ავადდება, რადგან თავად დიდი „პრეზერვატივი“ ვინმეა. ამიტომ დროში ცოტა გვეწელება პროცესი. მაგრამ აგერ ბრიტანეთმა თქვა, მაპ-ის გარდა, სხვა გზაც ვიცი, ნატოს „კლინიკაში“ შესასვლელი: უკანა მხარეს ღობეა ჩარღვეული და თუ მანქანებს გარეთ დატოვებთ, ფეხით შემოხვალთო... იქით კონდოლიზა რაისმა თქვა, — თუ ბრიტანეთის ვარიანტსაც

მონინააღმდეგეები გამოუჩნდება, ჩვენც დავტოვებთ ნატოსო... არ ქნა, კონდოლიზა დეიდა, ეგ საქმე, თორემ მერე თქვენც იქით გახდებით საპატრონო და ჩვენ ვინლა გვიპატრონებს?!

ა, ბატონო, კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მსოფლიო პოლიტიკის „დოსტურ-პრაფესორები“, ისევ იმსჯელეს, ფერიც შეამონმეს და შემცველობაც და სანამ ჩვენ გარედან ვუმღეროდით „გამოადრეთ კარი ჩქარა, ისე, როგორც ფანჯარა“, დაადგინეს, რომ ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა, თუმცა ჯერ შესულები არ ვართ, მაგრამ არც მთლად გარეთ დარჩენილები გვევია. ანუ — „გვეკუთვნის, მაგრამ არ გვეკუთვნის“.

ასეთია პოლიტიკური შიდსი და ყველაზე აქტუალური — მასთან ბრძოლის დღე უნდა იყოს, თან — წელიწადში რამდენჯერმე და ყველასთვის უფრო გასაგები რომ გავხადოთ, პირდაპირ „პოლიტიკური შიდსთან ანუ ვირუსთან ბრძოლის დღე“ დავარქვათ. თანდათან ეს დღე საერთაშორისო გახდება და ვირულ პოლიტიკასთან ბრძოლაში სხვებიც შემოგვიერთდებიან. მერე ან მართლა მიგვიღებენ ნატოში და ან კიდევ, რეზინის საზღვარს შემოგვარტყავენ, შიდსისგან თავდასაცავად.

თუმცა არც შიდა პოლიტიკაში გვაქვს თავანკარა და მთლად განკრივებული ანალიზები: მთავრობას ზედა წნევა აქვს თავში ავარდნილი და ოპოზიციას — ქვედა; ორივეს ქოლესტერინი აქვს მაღალი და ხალხს გემოგლობინი — დაბალი; გაჭირვებისგან სახსრები (უსახსრობა) გვანუხებს და ამინდის ცვალებადობას ვაბრალებთ... ერთი სიტყვით, თუ შიგნიდან და თუ გარედან, მაგარი სამკურნალო ვართ და კაცი არაა ჩვენი პატრონი: სარკოზი და მერკელი რუსულ გაზს ეფიცებებიან და ობამა — ფლორიდის შუხს, ბრიტანეთი ნისლშია გახვეული და პოლანდია — „ბოლში“. ჩვენ კი ვდგავართ ნატოს დაკეტილ ჭიშკართან და საცოდავი თვალებით ვუმღერით: — „გამოადრეთ კარი ჩქარა, ისე, როგორც ფანჯარა!“



PS. 2-3 დეკემბრის ნატოს მინისტრიალის ოქმი:
განიხილეს რა საქართველოსათვის მაპ-ის პროგრამის ვერ-მინიჭებისა და არმინიჭების საკითხი, დაადგინეს: საქართველო თითქმის ნატოს წევრია და თუ რუსეთი კვლავაც შეეცდება დაარღვიოს ქვეყნის საზღვრები და მისი სუვერენიტეტი, ნატო თითქმის პირადად ჩაერევა ამ კონფლიქტში და თითქმის ომს გამოუცხადებს რუსეთს.
ხელს აწერს ნატოს გენერალური მდივანი იაბ დე პოოპ თითქმის სხეფერი.

პროვოკატორი

„თუ ვიზის მიღების პრობლემა აღარ გვექნება, ვინლა დარჩება საქართველოში?!“

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოების უმეტეს ნაწილს ნატოში მიმდინარე მოლაპარაკებები მიაჩნია, თუმცა მოქალაქეებს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი აქვთ: ზოგს სურს ნატოში საქართველოს გაწევრება, ზოგს კი — არა. კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც ადამიანებს ძალზე აწუხებთ, პროდუქტის გაძვირება და საერთოდ, ფასების უკონტროლო ზრდაა...

ნათია ქივიციანი

ნათია ქივიციანი, მათემატიკოსი, 43 წლის:

— გასული კვირა პოლიტიკური თვალსაზრისით, ცოტა პასიური იყო. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ სულ მალე ნატო მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე. სიმართლე გითხრათ,

დღეობაზე ზრუნავს, ვიზების გამარტივებით მხოლოდ ის შედეგი იქნება, რომ საქართველო უქართველებოდ დარჩება და რუსეთ-ამერიკის ომი ჩვენი ტერიტორიის განაწილებისთვის დაიწყება...

რუსუდან ნაპროვაშვილი, ფიზიკოსი, 38 წლის:

— მნიშვნელოვან მოვლენად, საპარლამენტო ოპოზიციის წინადადება მიმაჩნია: მათ სურთ, აგვისტოს მოვლენების შედეგად გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს სახელმწიფო ფინანსურად დაეხმაროს. მართალია, ამ თანხის ოდენობა მინიმუმს — 100 ლარს შეადგენს, მაგრამ იმ ოჯახებს, რომელთა წევრებიც ამ ომს შეეწირნენ, ყურადღება და ცოტაოდენი დახმარება მაინც სჭირდებათ. გარდა ამისა, ალბათ მნიშვნელოვანი იქნება, როცა ნატო გადაწყვეტს, ბოლოს და ბოლოს, მიგვიღებენ თუ არა აღიარებას. სიმართლე რომ გითხრათ, ეს პერსპექტივა დიდად არ მშიბლავს. სულაც არ მინდა, ნატოს წევრობა, რადგან ამით რუსეთს კიდევ ერთხელ მიეცემა ჩვენი დარბევის მიზეზი. მერე ნატოც თავის ჯარებს შემოიყვანს ჩვენს ტერიტორიაზე და საქართველოს მიწაზე



რუსეთ-ამერიკის ომი გააღდება... საუკეთესო გამოსავალია, თუ ორივე ქვეყანა თავს დაგვანებებს და საშუალებას მოგვცემს, როგორც გვინდა, ისე ვიცხოვროთ.

ვახტანგ ვაჩიშვილი, პენსიონერი, 72 წლის:

— ჩემთვის მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ ამბობენ, იანვრიდან პენსია 100 დოლარი გახდებაო. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ხელისუფლების ჩვეული დაპირება არ არის და სიტყვას მართლა შეასრულებენ, რადგან ჩემი ოჯახის ყველა წევრი მუშაობს, მაგრამ ისეთი დაბალი ხელფასი აქვთ და ყველაფერი ისე გაძვირდა, ვერ ვცხოვრობთ. სასმელ-საჭმელი ნამდვილად არ გვაკლია, მაგრამ გადასახადების გადახდა გვიჭირს ძალიან. ყოველთვიურად 100 დოლარს თუ მომცემენ,

50 დოლარს ჩემს შვილებს მივცემ, რომ გადასახადების გადახდაში ცოტათი მაინც შევეშველო. ათასგვარ ხერხს მასწავლიან, თუ როგორ გავაჩერო გაზის მრიცხველი, რათა ბევრი არ დანეროს, მაგრამ მაინც ძალიან მეშინია. ეს რომ ვინმემ აღმოგვიჩინოს, 1.000 ლარი ჯარიმის გადახდა მოგვიწევს. ამდენი კი ნამდვილად არ შეგვიძლია. ამიტომ მირჩევია, პატიოსნად გადავიხადოთ ის, რასაც ვწავთ. მაგრამ ამაში ხელისუფლებამაც უნდა შეგვიწყოს ხელი...


ლალი ზოიანი, დიასახლისი, 56 წლის:

— ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, ქართველ ხალხს ასე რომ გვიჭირს ცხოვრება და არსებობა — გინდა, სულიერად და გინდა, მატერიალურად. ოპოზიციაცა და „პოზიციაც“ მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებასა და კარგ თანამდებობაზე ფიქრობს. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ამბობენ, ვითომ ერთ-ერთ ოპოზიციონერს ხელისუფლებამ ფული გადაუხადა, გააჩურა და პარლამენტშიც მიიღო. ეს სიმართლე რომ იყოს, არც გამიკვირდება, რადგან ეს ახალგაზრდა კაცი ყველა მთავრობაში ნახსობს თავის დაცვილს... ისინი თავიანთ ოჯახებსა და საკუთარ თავზე ფიქრობენ, ქართველი ხალხის მდგომარეობა კი არავის აინტერესებს. ყოველდღიურად ძვირდება პროდუქტი, დოლარის კურსი გაიზარდა და ამიტომო, — ამბობენ. ის დოლარის კურსი თავის დროზე ხომ დაეცა და მაშინ რატომ არ გაიფხვრა ყველაფერი?! ჩვენი პატრონი არავინ არის. ამიტომაცაა, რომ ყველა გარბის საქართველოდან. შეილიშვილი მყავს ახალი დაქორწინებული და ის და მისი მუუღვე უკვე იმაზე ფიქრობენ, რომელ ქვეყანაში გაემგზავრონ. მიუხედავად იმისა, რომ რძალი ორსულად არის, მაინც ცდილობენ, საქართველოდან წავიდნენ. ჩვენს შვილს ასეთ პირობებში ვერ ვაცხოვრებთო, — ამბობენ. ჩვენს პრეზიდენტს ამ ყველაფრის გამო უნდა რცხვენოდეს...



მთავარია მოსკოვის ეჭვების გაფანტვა...

აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა
უნდა იხელმძღვანელოს
ექიმის პრინციპით —
„მთავარია, არ ავნო“



ექსპერტი-პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, უბრალოდ, პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანები დაუსრულებლად უტრიალებენ

კითხვას — რატომ დაიხია უკან დასავლეთმა, რუსეთის მიმართ რადიკალური ზომების მიღებისგან, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა სარკოზი-მედევედვის ნ-პუნქტიანი შეთანხმებაც არ შეასრულა და არც აგრესიულ რიტორიკას უკლო? — ევროპის ლიდერთა პოზიციის შეცვლას ზოგი — ენერგომატარებლების პრობლემას უკავშირებს, ზოგი — რუსეთის სამხედრო პოტენციალის წინაშე შიშს, ზოგი — მსოფლიო პოლიტიკაში „დამდგარ პაუზას“ — „ორხელისუფლებიანობას“ აშშ-ში, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი ფაქტობრივად, აღარაფერს წყვეტს, ხოლო ახალარჩეული — ჯერჯერობით არ აღჭურვილა რეალური ძალაუფლებით.

არსებული ვერსიებიდან ერთ-ერთ ყველაზე საინტერესოს წარმოადგენს სტატია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტმა, ჯონ ჰოფკინსის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ მენდელბაუმმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ 2 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა (საინტერესოა, რომ საკუთარი ანალიზის გამომზეურებისას, ის არც დალოდებია ნატოს იმ სამიტის დასრულებას, რომელსაც საქართველოსა და უკრაინისთვის მაპ-ის მინიჭების საკითხი უნდა გადაეწყვიტა...).

რუსეთი, თანაც არცთუ ისე უსაფუძვლოდ, მიიჩნევს — როცა დასავლეთმა 1997 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესს მიჰყო ხელი, ამით მოსკოვს უღალატა: მანამდე შეიძინა წლით ადრე, როცა გერმანიის გაერთიანების პრობლემა გვარდებოდა, ამერიკელი და გერმანელი ოფიციალური პირები ირწმუნებოდნენ, რომ არ ისარგებლებდნენ მოსკოვის სისუსტით და აღარ გააგრძელებდნენ ნატოს გაფართოებას, რუსეთის ტრადიციული „უკანა ეზოს“ საზღვრებამდე. დასავლელმა ლიდერებმა ეს დაპირება არ შეასრულეს, ამიტომ რუსებს ეჭვი გაუჩნდათ — შეიძლება კი ამის შემდეგ მათი ნდობა?..

კრემლმა მიიჩნია, რომ ნატოს გაფართოების პროცესი არაკეთილსინდისიერი მიზნით დაიწყო. აშშ-ის ოფიციალური პირები მას, როგორც დემოკრატიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს გზას, ისე წარმოაჩენდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ეს ყო-

ფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რეფორმების განხორციელების აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა. არადა, დემოკრატიული იდეალებისადმი ერთგულება, რომელსაც კომუნისტური ბლოკის ქვეყნებიდან ნატოში პირველად შესულები — პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა — იჩენდნენ, ეჭვს არასდროს იწვევდა. აქედან გამომდინარე, თუ ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ თავისუფალი არჩევნების ჩასატარე-

ბლად და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დასაცავად, ნატოში შესვლა აუცილებელი იყო, მაშინ რატომ არ შესთავაზეს ალიანსში დაუყოვნებლივ გაწევრება კომუნისტური ბლოკის უდიდეს სახელმწიფოს — რუსეთს?.. ამის ნაცვლად, მოსკოვს პირიქით, განუცხადეს, — ნატოს წევრობა არასდროს გელირსებაო...

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესიდან რუსეთმა კიდევ ერთი დასკვნა გამოიტანა: იგი იმის წყალობით მიიწვედა წინ, რომ მოსკოვი სუსტი იყო და მას ვერ აჩერებდა. ჰოდა, რუსებმაც გადაწყვიტეს — თუ სურთ, ევროპის საკითხების გადაწყვეტისას ხმის უფლება ჰქონდეთ, ძლიერები უნდა იყვნენ, თანაც ძლიერები — სამხედრო თვალსაზრისით. ამის შედეგად, აგვისტოში საქართველოში გაჩაღებული ომის მომსწრენიც გავხდით...

ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, ისმება კითხვა — როგორ უნდა იმოქმედოს დასავლეთმა დღეს რუსეთთან ურთიერთობისას? კარგი ვარიანტი ძნელად წარმოსადგენია. ნახსენები ომის შემდეგ, აშშ-ში უფრო

აკდილ-h სიროფი

მყენარაული კომპინირებული ამოსახველავალი საშუალება

- ამსიკრებს:
- ხველას
 - ყელის ტკივილს
 - ბრონქებში ნახველის შეგუბებას



სასუნთქი სისტემის მწვავე ინფექციების, ფილტვის ობსტრუქციული (შეგუბებითი) დაავადების, ბრონქული ასთმის დროს ძირითადი კლინიკური სიმპტომია ხველება და ნახველის გამოყოფის გაძნელება. ასეთ შემთხვევებში დაგეხმარებათ მცენარეული, ბრონქოლიზური, ამოსახველებელი საშუალება აკდილ-h.




აკდილ-h
პრეპარატის მდებარის ვეებით ამოტყვას

ავანტა ფარმა ლიმიტედი
PSP
ჩვენი ოქჯანის აუტოპიი
პლავანსის ვაპ. 1494

და უფრო ხშირად გაისმის მონოდე-
ბა, ნატოში საქართველოს მიღების
აუცილებლობის შესახებ. მაგრამ
უნდა გავითვალისწინოთ ის გარე-
მოება, რომ ალიანსის წესდებაში
არსებობს მუხლი ურთიერთდახმარე-
ბის შესახებ. ე.ი. ორგანიზაციაში
საქართველოს მიღების შემთხვევა-
ში, ჩვენ დაგვეკისრება ვალდებულე-
ბა, დავეხმაროთ მას, თუკი კვლავ
მოუწევს რუსეთთან ომი. საამისოდ
საჭირო გახდება, გადავისროლოთ
ჯარები რუსეთის საზღვრების სიახ-
ლოვეს, ამას კი რუსები შესაბამისი
ძალების კონცენტრაციით უპასუხე-

ბენ. არადა, აშშ-ის არმია
ისედაც გადაღლილია, ერ-
აყსა და ავღანეთში ბრძო-
ლით... მეორე მხრივ, თუ
გულხელდაკრეფილები ვის-
ხდებით, ამას, როგორც
რუსეთის აგრესიის წინაშე
უკან დახევას შეაფასებენ...
ჩემი ღრმა რწმენით, უახ-
ლოეს პერსპექტივაში, აშშ-
ის ახალმა პრეზიდენტმა
უნდა იხელმძღვანელოს ექი-
მის პრინციპით: „მთავარია,
არ ავნო“. ეს კი იმას ნიშ-
ნავს, რომ არ უნდა დავაჩ-



ბოლოს და ბოლოს, ნატომ ან საკუთარ წევრად უნდა მიიღოს რუსეთი, ან უსაფრ- თხოების ახალ, უფრო ფართო სტრუქტუ- რას გაუხსნას გზა

უფრო ფართო სტრუქტურას გაუხს-
ნას გზა. ცხადია, რუსეთის წევრო-
ბით, ჩრდილოატლანტიკური ალიან-
სი სრულიად სხვაგვარი გახდება.
მაგრამ დღევანდელი ნატოც საკ-
მაოდ შეიცვალა, 20 წლის წინან-
დელთან შედარებით. უსაფრთხოებ-
ის საკითხებში, ისევე, როგორც ად-
ამიანის ნებისმიერ სხვა სამოღვაწეო
სფეროში, ცვლილებები გარდუვა-
ლი რამ არის.



ქაროთ ნატოში
საქართველოს (იმ-
ავეს ვიტყვოდი უკ-
რაინაზეც) მიღება.
შეიძლება, მავან-
მა თქვას, — ასე-
თი ქცევა რუსე-
თის აღვირაბსნი-
ლობას წააქეზებ-
სო. სავსებით შე-
საძლებელია. მა-
გრამ გაჭიანურე-
ბა მაინც უკეთეს
შედეგს მოგვიტანს,
ვიდრე ექს-
პანსია, რომელმაც
შესაძლოა, მოსკო-
ვთან ურთიერ-
ობის უკიდურე-
სი გამწვავება გამო-
იწვიოს.

უდავოა — რუსეთში დღეს არსე-
ბული რეჟიმი როდი იმსახურებს
ისეთ ნდობას, რომელიც ჭეშმარი-
ტი პარტნიორობისთვისაა საჭირო.
უფრო მეტიც — საეჭვოა, ეს გარე-
მოება უახლოეს მომავალში შეიცვა-
ლოს: დღევანდელი მთავრობა ხალხ-
ში პოპულარობით სარგებლობს,
რასაც მასშტაბური სოციალური
საყრდენი და ქვეყნის ავტორიტარუ-
ლი პოლიტიკური კულტურა ასაზრ-
დოებს. ამ ყველაფრის შეცვლა დასა-
ვლეთს არ ძალუძს.

ჩვენ მხოლოდ ეკონომიკის იმედილა
შეიძლება გვექონდეს. საქართველოსთან
ომის შემდგომ, რუსეთის საფონდო
ბაზარმა დიდი დარტყმა განიცადა
და ქვეყნიდან კაპიტალის გადინებაც
მოხდა. უახლოესი ერთი ან ორი
ათწლეულის შემდეგ, რუსეთში თავის-
უფალი ბაზრის ინსტიტუტების უწ-
ყვეტი განვითარება უეჭველად
მოახდენს დადებით გავლენას პოლი-
ტიკაზე, თუნდაც ასეთი, „მრუდე გზით“
— როგორც აგრესიული მოქმედ-
ებებისთვის მიღებული სასჯელია...

დღესდღეობით კი, ჩვენ წინაშე
ისედაც უამრავი პრობლემაა. და
ვფიქრობ, ბარაკ ობამა მოსკოვთან
ურთიერთობის სრულად გაუმჯო-
ბესებას ვერ შეძლებს. ამიტომ მთა-
ვარია, საქმე უარესობისკენ არ შე-
იცვალოს.



აგრეთვე აუცი-
ლებელია, დასა-
ვლეთმა განაახ-
ლოს რუსეთთან
თანამშრომლობა
უსაფრთხოების
სფეროში. ბოლოს
და ბოლოს, ნატომ
ან საკუთარ წევ-
რად უნდა მიიღოს
რუსეთი, ან უსა-
ფრთხოების ახალ,

შეგაწუხათ შებერილობამ, ყაბზობამ, ფაღარათმა? მიიღეთ **ეუკარბონი**

და გათავისუფლდით პრობლემებისაგან! ეუკარბონი

↪ ბოჭავს გოქსინებს, ავლენს საფაღარათო ეფექტს, აწესრიგებს საჭმლის მონელების პროცესს!

↪ შეიცავს მხოლოდ ნატურალურ კომპონენტებს!

↪ უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაა ნებისმიერი ასაკის პაციენტებისა და ორსულებისათვის!



დოზირება:

მეტეორიზმის მოსახსნელად:
მომრდილებში - 1-3 ტაბლეტი დღეში.

საფაღარათო ეფექტის მისაღწევად:
მომრდილებსა და ბავშვებში 12 წელს ზემოთ - 1-2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში საღამოს დობას ზრდიან 3-4 ტაბლეტამდე.
2-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში - 1/2-1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ.

გალიბიანებული ნაწლავის სინდრომის დროს - 2-4 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ, 4-5 კვირის განმავლობაში, დოზის თანდათან შემცირებით 1 ტაბლეტამდე დღეში.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასუფთავებისა და მეტეორიზმის მოხსნის მიზნით (მაგ. რენტგენოლოგიური გამოკვლევისთვის მომზადების წინ) 6-8 ტაბლეტი საღამოს ან 4-დღით, 4-საღამოს.

უკუჩვენება: კუჭის ან ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. გაუვალობის დროს საფაღარათო საშუალებების მიღება დაუშვებელია.

გვერდითი მოვლენები: რეკომენდებული დოზების გამოყენებისას არ არის აღნიშნული.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

შპს "ავერსი-ფარმა", აღმაშენებლის 148/2; საინფორმაციო სამსახური 967-227; www.aversi.ge



კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასუფთავების მიზნით 4-5 კვირის განმავლობაში



ლალი შახია

ქრნალისტი - შიშა მშვილდაძე
რუსთაველი - თაკო ფიფია და
რუსთაველი - თაკო პოპიაშვილი

— გოგონებო, გაეცანით მკითხველს.

— მე ვარ თაკო ფიფია, 18 წლის. ვსწავლობ ევროპის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. მყავს 3 წლის შვილი.

— მე თაკო პოპიაშვილი გახლავართ, 22 წლის. პროფესიით ქორეოგრაფი და ჟურნალისტი ვარ, ასევე — პანტომიმის თეატრის მსახიობი, პროფესიონალი მოდელი. მაქვს საკუთარი ქორეოგრაფიული სტუდია და ვმუშაობ სამოდელო სააგენტოში, სადაც პლასტიკასა და ცეკვას ვასწავლი.

— როგორ მოხვდით გადაცემაში, რომელსაც ჰქვია — „ვა-ბანკი“? თაკო ფიფია:

— „რუსთავი 2“-ში დავტოვე ჩემი სი-ვი და ფოტოსურათები.

— ფოტოსურათები, ცხადია, 3/4-ზე არ ყოფილა.

— არა (იციინიან), რა თქმა უნდა. მერე გამომიძახეს, ორი ტურის გავლა მომიხდა, კასტინგი ჩატარდა. ერთ დღესაც ჩემს ტელეფონზე ბედნიერი ხარი გაისმა და მითხრეს: 26-დან ერთ-ერთი გოგონა თქვენ ხართო.

თაკო პოპიაშვილი:

— „რუსთავი 2“-ში მე და ჩემი მეგობარი, ჩემი ძმის გადაწყვეტილებით, ერთად მივედით. თავიდან არ მინდოდა, მაგრამ ანკეტა მაინც შევაკვე. შემდეგ ჩვენც გავიარეთ ორი ტური და მოგვებით 26 გოგონას შორის.

— თქვენ ხართ შოუს საბედისწერო ქალები. რას ნიშნავს ეს თითოეულისთვის? ფიფია:

— ჩვენ საბედისწეროები მოთამაშეებისთვის ვართ, იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი მოთამაშეს რა თანხას გაუხსნის, ეს არც მან იცის და არც თავად ვიცით. ისე, ცხოვრებაში იყო საბედისწერო ქალი — ეს, ვფიქრობ, ყველა ქალბატონისთვის, რაღაც დოქტორი, ძალიან მაგარი რამ არის...

პოპიაშვილი:

— სასიამოვნოა, როდესაც შოუში სერიოზული კასტინგის გავლის შემდეგ მოგვებები და იქნები ერთ-ერთი, 26 საუკეთესო გოგონას შორის. შოუს დროს ძალიან ენერჯიულობ, განვიცდი, რადგანაც ძალიან მინდა, რომ გადაცემაში მოთამაშის სტატუსით ვიყო ხოლმე. ძალიან აზარტული თამაშია და სულ მაინტერესებს, რა თანხა დევს ჩემს კეისში.

ფიფია:

— მოთამაშე რომ ვიყო, მეც ძალიან მინდა, რადგანაც საშინლად აზარტული ვარ. მოთამაშის ადგილას რომ ვიყო, არ ვიცი, ემოციების მოზღვაგების გამო, რას მოვიმოქმედებდი.

პოპიაშვილი:

— როდესაც მოთამაშე ცოცხათი თავშეკავებულია და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გამოიყურება, ჩვენც ძალიან ვიძახებით. ვალიარებ, რომ საოცრად აზარტული ვარ, მა-

ვიუა ვიზიტაქა და ვისი სახელისწერო ქალები

დიდი ხანი არ არის, რაც „რუსთავი 2“-ის ეთერში მაყურებლის ყურადღებას ყველაზე აზარტული და ექსტრემალური თამაში — „ვა-ბანკი“ იქცევს, სადაც შესაძლებელია, მოთამაშემ 50.000 ლარი მოიგოს. შოუს ერთი მამაკაცი და 26 საბედისწერო ქალი უძღვებიან. 26-ივეს ჩვენს რუბრიკაში ნამდვილად ვერ მოვუყრიდით თავს, აი, ორი კი ნამდვილად მოვიწვიეთ, რომლებიც „ვა-ბანკის“ წამყვანს — მიშა მშვილდაძეს ქრნალისტის როლში მოველინენ და კარგადაც დასუნძლეს კითხვებით.



„ე ახლაც ვა-ბანკზე ვიზიტიარ!“

გრამ იმის შანსი ნამდვილად არ გვაქვს, რომ ოდესმე მოთამაშეების ადგილას მოვხვდეთ. როგორც ვიცი, ჩვენი ოჯახის წევრებსაც არ აქვთ შოუში მონაწილეობის უფლება ანუ არ შეუძლიათ თამაში.

— მოგწონთ, ყველას ერთნაირი კაბა რომ გაცვიათ?

— ყველანი ერთნაირები ვიყავით, სანამ იმ პარიკებს არ მოგვხდინდნენ, რომლებიც შოუში გვეკეთა. მგონი, ინდივიდუალობა დაკარგული გვეკონდა. გადაცემა ეთერში რომ გავიდა, პარიკებით ვერაფერს გვიცნო. ახლა მოგვხადეს და დავისვენეთ. თან პარიკებს თმა სცვიოდა.

ფიფია:

— მინდა აღვნიშნო, რომ როგორც კაბებით, ასევე ფეხსაცმლითა და მაკიაჟითაც ძალიან კმაყოფილები ვართ.

— გოგონებო, რომ გიყურებთ, არა მარტო თქვენ, 26-ივეს თითქმის იდეალური პარამეტრები გაცვთ. არასდროს გიცდიათ, რომელიმე სილამაზის კონკურსში მიგელით მონაწილეობა?

— არასდროს მიცდია. ისე, 11 წელი ვცეკვავდი.

პოპიაშვილი:

— მე კი 18 წელი ვცეკვავდი, ყოფილი ბალერინა ვარ. ვირსალაძის სახელობის, ხელოვნების გიმნაზია მაქვს დამთავრებული.

კონკურსებს რაც შეეხება, არაერთში მაქვს მონაწილეობა მიღებული. გახლავართ — „მის მთაწმინდა-1996“, „მის ელემენტურობა-2005“, „მის ზაფხული-2007“ და წელს „მის საქართველოზე“ „ხალხის სიმპათია“ გაუჭდი. თავადაც მინდებოდა ხოლმე ჟიურიში ყოფნა კონკურსზე — „მის ამიერკავკასია“. „მის საქართველოს“ გოგონებს ერთი წელი მე ვამზადებდი. ასე რომ, ძალიან ახლო შეხება მაქვს სილამაზის კონკურსებთან. ერთი რამ მინდა ვთქვა: აქ, კასტინგზე ისეთი გოგონები ვნახე, რომ ასეთები სილამაზის კონკურსებზეც არ მინახავს. ეტყობა, ბევრი კარგი გოგონა კონკურსზე არ მიდის, რადგანაც გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ იქ გამარჯვებულები „ჩანყოფის“ შედეგად ხდებიან. იმიტომაც, ბედს აღარ ცდიან, როგორც ჩანს. აქ კი მოვიდნენ.

— ლამაზი გოგონების გარშემო თავყანისმცემლები ყოველთვის მრავლად იკრიბებიან. ბევრი თავყანისმცემელი გყავთ?

ფიფია:

— კი, მაგრამ მინდა გამოვყო მხოლოდ ერთადერთი და გამორჩეული თავყანისმცემელი, რომელსაც უპირატესობას ვანიჭებ!

პოპიაშვილი:

— რამდენი თავყანისმცემელი მყავს, არ

დამითვლია და არც ახლა ვაპირებ მათ აქ დასახელებას. თავის ქებასა და ტრაბახში არ ჩამომართვით და ძალიან ბევრნი არიან, მათ შორის — შემანუბნებლებიც, რასაც განვიცადი. ზოგიერთთან ურთიერთობა სასამოქონოც არის, რადგანაც ტაქსის ფულს არ მართმევენ... ხშირად ვიღებ საჩუქრებს, თან — სულ ტკბილესს.

— მე რას მიწუნებთ?
ფიფია:

— მიშა, ვანო ჯავახიშვილიმა თავის შოუში გითხრა: გოგონები ლამაზები შენს ფონზე არიანო. ეს რომ მოვისმინე, კინალამ ცუდად გავხდი. შენ კი არ დაგვიცავი, უბრალოდ, გაიღიმე და გადმოგვხედე. არაფერი გითქვამს, რაც ძალიან მენწყინა. იმ დროს, შენი ცემა მინდოდა.

პოპიაშვილი:

— მე შენ მიმართ პრეტენზიები არ მაქვს. მიმანია, რომ ამ გადაცემას ძალიან უხდება. შენს ფონზე ვწინააღმდეგობა გამოვხატავ. ნონაში რომ დაიკლო, გამხდრები აღარ გამოვჩნდებით (იციინის).

— თქვენ რომ ლამაზები ხართ და მომზიბვლები, ამას მაყურებელი თავადაც ხედავს და ჩემი ხაზგასმა სულაც არ სჭირდება.

ფიფია:

— მიშა, მე მარტო საყვედურები კი არ ვიცი. ვგიჟდები, ისე მომშონს, როდესაც ჩვენ გვესალმები და ჩვენ კი ერთხამად გიბრუნებთ სალაშს — „გამარჯობა, მიშა!“

— კი, მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ და მართლა მსიამოვნებს თქვენთან ურთიერთობა.

ქართული სკოლა - თაკო ფიფია და თაკო პოპიაშვილი რესპონდენტები - მიშა მშვილდაძე

პოპიაშვილი:

— მიშა, ახლა შენ მოგიყვები, როგორ მოხვდი ამ გადაცემაში?

— გავიარე კასტინგი. როგორც ვიცი, ბევრი ადამიანი მონაწილეობდა შესარჩევ ტურში, მაგრამ მე გავიმარჯვე (ვინ მონაწილეობდა, ეს მე ნამდვილად, არ ვიცი) როგორც ჩანს, გადაცემის პროდიუსერებს ყველაზე მეტად ჩემი ნაყვანილი შოუ მოენონათ.

ფიფია:

— რამდენი წლის ხარ?

— 33 წლის.

— ყველაზე მეტად რომელი კვითი მოგწონს?

— კვისი (იციინის)?

— კი, კვისი და არა — გოგონა.

— (ფიქრობს) ძნელი სათქმელია.

— აღიარე რომ 9 ნომერი. საოცარია, ხომ, 9 ნომერი კვისი რომ გირეკავს ხოლმე.

— 9 ნომერი რომ მირეკავს, მაგარია (იციინის)...

პოპიაშვილი:

— ყველაზე სწრაფად რომელი კვისი დაიმასხვრე?

— დავიმასხვრე (ფიქრობს)? კვისი ნომერი 2 (იციინის).

— დასახელები შენი საყვარელი რიცხვი.

— საერთოდ, ჩემთვის ბედნიერი რიცხვია 18, რადგანაც ამ რიცხვში

ვარ დაბადებული. ისე, ასეთი სისულელების არ მყავს, მაგრამ თუ ერთიდან 100-მდე რაღაც რიცხვია სწრაფად ასარჩევი, მაშინვე 18-ს ვირჩევ და ვასახელებ, ბევრი რომ არ ვიფიქრო.

— არ გინდება სურვილი, სტუმრის



ვერ იტყვი, რომ ერთი სჯობია მეორეს

როლში იყო?

— მაგაზე არ მიფიქრო, თუმცა — რატომაც არა?! ისე, სტუმრის როლში ყოფნა ძნელია. ბევრ ემოციას ხარჯავს სტუმარი. ნამყვანის როლში უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს.

ფიფია:

— შეეწივე 26 საბედისწერო ქალს?

— დიახ. 26 საბედისწერო ქალი ტრი-ალებს ჩემს ცხოვრებაში და ამას ვაყვაცურად ვუძღვებ.

— ზოგადად, რას ნიშნავს შენთვის საბედისწერო ქალი?

— ეს არის ქალი, რომელიც განსაზღვრავს ჩემს ბედისწერას. ამ შოუში თქვენ განსაზღვრავთ მოთამაშის ბედისწერას. თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საბოლოოდ, ეს ყველაფერი არის თამაში ანუ

ყველაფერი თამაშში ხდება. საერთოდ კი საბედისწერო ქალი არის მანდილოსანი, რომელიც ისე გიყვარს, რომ მზად ხარ, მის გამო ნებისმიერი სისულელე ჩაიდინო.

— ვინ არის შენს ცხოვრებაში ასეთი ქალი?

— ალბათ, ჩემი მეუღლე.

პოპიაშვილი:

— და მის გამო ბევრი სისულელე გაქვს ჩადენილი?

— რა თქმა უნდა. ერთ-ერთი ის არის, რომ ეს გადაცემა მიმყავს ძალიან მშვიდად და უემოციოდ. მეტი სისულელე რა გინდათ?!

— არ ეტყვიანობს?

— არა, ერთგული ქმარი ვარ. არადა, საეჭვიანო როგორ არა აქვს (იციინიანი)?! მაგრამ სადაც სიყვარულია და ნდობაა, იქ ეჭვი არ არსებობს!

ფიფია:

— ესე იგი, ნდობის მანდატი გაქვს, ხომ?

— კი, ჩემი კარგი ქცევით მაქვს მოპოვებული, რომელიც დაფუძნებულია წარსულის გამოცდილებაზე. მე პატიოსანი კაცი ვარ (იციინის).

პოპიაშვილი:

— მიშა, იდეალური ქალის სტერეოტიპი თუ გაქვს შენთვის ჩამოყალიბებული?

— ძნელი სათქმელია. სილამაზე ისეთი რამ არის, შეიძლება, ქერა ქალი ისეთი ლამაზი აღმოჩნდეს, რომ... და პირიქით — შავგვრემანმა გაგაგიჟოს... ვერ იტყვი, რომ ერთი სჯობია მეორეს. აკა მორჩილაძე ერთ-ერთ რომანში წერს: „ქალი დაახლოებით, ყველა ერთნაირია ანუ ხან კარგი და ხან — ცუდი. მთავარია, რომ ხანდახან იყოს ძალიან კარგი და არ იყოს ძალიან ცუდი“...

— გადაცემის დაწყების წინ არ ნერვიულობ ხოლმე?

— არა, აღარ ვნერვიულობ; ხომ გითხალით — 33 წლის ვარ-მეთქი. შესაბამისად, ასეთი ნერვიულობის პერიოდები გავლილი მაქვს. იმის გარკვეული გამოცდილება გამიჩნდა — როცა კამერა ირთვება,

„ჯი. ბი. თი.“

გთავაზობთ დასაქმებას ექიმებსა და ექთანებს

10-თვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ საშუალება გექვსათ, მიიღოთ მაღალანაზღაურებადი სამუშაო გერმანიაში.

მასაჟის კურსები

„ჯი.ბი.თი.“ ასევე გთავაზობთ სამკურნალო და სალონური მასაჟის 5-თვიან ინტენსიურ კურსს. კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

მისამართი: თბილისი, ლვოვის ქ. №82ა
ტელ: 38 05 95; 30 86 61 ელ-ფოსტა: office@gbt-edu.ge

ჯობია, არ ვინერვიულო. რაღაცნაირად ვახერხებ ამას. თუმცა შეიძლება, მაინც ვინერვიულო ხოლმე. ეს ისეთი რამ არის, რასაც ვერ გააკონტროლებ. შეიძლება, უბრალოდ, ვისწავლო იმის თაბაში, როგორ არ ვინერვიულო. რაღაც, ამ გადაცემაში ნაკლებად ველაფ.

— მე კიდევ ერთხელ გატყვო, რომ ამ გადაცემას უხდება. **ფიზია:**

— ეს გადაცემა მიზას გარეშე ვერ წარმომიდგენია...

— ვერც მე წარმომიდგენია თქვენ გარეშე მიმას!

— აზარტული ხარ?

— ფული არასდროს წამიგია, მაგრამ ზოგადად, ძალიან აზარტული ადამიანი ვარ. საქართველოს ნაკრების თამაშის ყურებას შეიძლება გადავყვე და მოვკვდე. როდესაც ფეხბურთს ვთამაშობ, სულსა და გულს ვაქსოვ, სხვათა შორის, გაგიკვირდებათ და, ფეხბურთს კარგად ვთამაშობ. კალათბურთს — კიდევ უკეთ. ფეხბურთში თავდასხმელი ვარ, „ტარანული“ ტიპის ფორვარდი.

— ვისი გულშემატკივარი ხარ?

— საქართველოს ნაკრების. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მომწონდა, მაგრამ...

ფიზია:

— დევიდ ბექჰემი რომ თამაშობდა?

— დიას.

— „გამარჯობა, მიზა!“ — ამ ფრაზას რომ გეუბნებით, რა განწყობილება გეუფლება?

— ამ დროს დარწმუნებული ვარ, ბევრი ქვეყნის პრეზიდენტს შეშურდება ჩემი... მე ხომ გასწავლეთ: „ბიგ დედი“ — ასე უნდა მომმართოთ. თქვენც, ვატყობ, არ გავიწყდებათ, რაც გასწავლეთ. ხოლო თუ რას ნიშნავს „ბიგ დედი“, ამ ხუმრობას ჩემი თაობის კინოს მოყვარულები მიხვდებიან.

— (ერთხმად) მიზა, შენ ჩვენი მამა ხარ!

— მოთამაშებს რამდენად თანაუგრძნობ?

— აბსოლუტურად. ჩემი ფუნქციაა ამ გადაცემაში ის არის, რომ მოთამაშეებს მივუხმოდ. ისეთ სობრტყეში მიდის ხოლმე თამაში, რომ გამხრევა და თბილი სიტყვა მათ მართლა სჭირდებათ. წამყვანის ერთ-ერთი ფუნქციაა, მოთამაშე ყოველთვის დატოვოს ისეთ სიტუაციაში, როცა ის სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— ცხოვრებაში ვაბანკზე როდის მიდიხარ?

— ვაბანკზე მივდივარ ყოველთვის! მგალითად, ახლა: ფილმის გადაღება უნდა მოვასწრო 18 დეკემბერს ფილმი უკვე უნდა გავიდეს თბილისის კინოთეატრებში. ეს საახალწლო ფილმი იქნება. მე გასტავართ პროექტის გენერალური პროდიუსერი. ფილმში „ჩვენი ოფისის“ მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. ეს არის სერიალი „ჩვენი ოფისის“ საახალწლო, მხიარულ-რომანტიკულ-სენტიმენტალური თავგადასავალი. ამბავი სიყვარულზე, კარგი, თბილი, მაღალი ხარისხის ნამუშევარი იქნება.

— (ერთხმად) წარმატებებს გისურვებთ!

სიუჰპრპრიზები ცელებიტები და „ესტონის“ ღაპრუნება „მზემ“

„დიდი კინო“, „ეტალონი“, „დიდი სანაძლეო“, „კარაოკე კლუბი“, „სიყვარულის ისტორია“ — ეს იმ სიახლეების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც 15 დეკემბრიდან ტელეკომპანია „მზე“ თავის მათყურებელს შესთავაზებს. გადაცემები ძირითადად, გასართობ-შემეცნებითი ხასიათის იქნება და მათი უმეტესობა ეთერში კვირაში ერთხელ გავა. როგორც „მზის“ პროდიუსერი მბაბ ლომიძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, სიახლეებზე მუშაობა პარალელურ რეჟიმში, ამ თარიღის შემდეგაც გაგრძელდება და მათყურებელი იანფრიდან კიდევ რამდენიმე ახალ ტელეგადაცემას იხილავს.

ლალი პაპასკირი

— მაკა, რა სიახლეებს სთავაზობთ ტელეკომპანია „მზის“ მათყურებელს?

— „მზემ“ შემეცნებით-გასართობი ხასიათის ტალღაზე გადართვა გადაწყვიტა და ბუნებრივად, იქნება გასართობი გადაცემები. უკვე გვაქვს ერთი ასეთი ტიპის გადაცემა — „დიდი სანაძლეო“, რომლის წამყვანია ნიკა კუჭავა. გარდა ამისა, გვინდა, ჩვენი სამაუწყებლო ბაღე შევავსოთ და გვექნება „კარაოკე-კლუბი“, რომელსაც ნიკა ნერეთელი გაუძღვება. ამ პროექტში მონაწილეობს მიიღებენ ძალიან უნდათ სიმულერა და ერთმანეთს „კარაოკეში“ შეჯიბრებიან. სეზონის გამარჯვებულს საკმაოდ სოლიდური პრიზი ელოდება, თუ რა — ამას შეგნებულად არ დავაკონკრეტებ.

— რამდენადაც ვიცო, „მზეზე“ „ფარული კამერაც“ დაბრუნდება...

— დიას, მაგრამ ეს არ არის „მზის დარტყმა“ და ამ გადაცემის „ხაფანგში“ როგორც ცნობილებს, ისე უბრალო გამვლელებსაც მოვამწყვდევთ ანუ ეს იქნება „ქუჩის ფარული კამერა“. ეს

გადაცემა ეთერში ოთხშაბათობით გავა.

— წამყვანზე რა შეგიძლიათ გითხროთ?

— ჯერჯერობით კასტინგი მიმდინარეობს და საბოლოო გადამწყვეტილება არ მიგვიღია.

— მაკა, ტელეპროექტი „ეტალონი“ „მზეზე“ გადმოვიდა...

— დიას, ეს გადაცემა, მცირედ სახეცვლილებას თუ არ ჩავთვლით, ეთერში ძველი ფორმატით, კვირაში ორჯერ — შაბათსა და კვირას გავა ანუ ლაპარაკია „ეტალონსა“ და „ეტალონი პლუსზე“. მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის დაგეგმილი და ძველებურად, ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი წამყვანს.

— ქართული ტელევიზიისთვის რაიმე განსხვავებული ფორმატის გადაცემის მომზადებასაც ხომ არ აპირებთ?

— ჩვენი მათყურებელი ნახავს ძალიან ხალისიან გადაცემას — „სიყვარულის წყურვილი“, რომლის მიზანია — სიყვარულს მოწყურებული ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება. გადაცემას გიორგი მეგრელიშვილი და თამუნა გველესიანი გაუძღვებიან და ფორმატის

გაგრძელება იხ. გვ. 14



ნინო კვანგრისვილი



თამუნა გველესიანი და გიორგი მეგრელიშვილი



გოჩა ტყეშელაშვილი

დაიწყა დღე



ღიღის

ქვეყნით!

მნიშვნელოვან
ნაბიჯად,
საერთაშორისო,
კვალიტატი
"ღიღის
სერვისები"

ღიღის





დასაწყისი იხ. გვ. 12

მიხედვით, ოთხი წყვილი ერთმანეთს რომანტიკული საღამოების მოწყობასა და თავის მენეჯერულ სრული ინფორმაციის მოპოვებაში შეეჯიბრება. მათ, ჩვენ მიერ მიცემულ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგონ ერთმანეთის შესახებ. გადაცემის მონაწილეებს კითხვებს დაუსვამს ფსიქოლოგი და გაარკვევს, თუ რა იციან ერთმანეთზე. ამის შემდეგ კი უკვე ჩვენ შევაჯამებთ, თუ რომელმა წყვილმა შეძლო ერთმანეთის უკეთ გაცნობა. გამარჯვებულები კი საზღვარგარეთ სამოგზაუროდ გაემგზავრებიან. გარდა ამისა, მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, მყურებლის სიმპათია გამოვლინდება.

— როგორც ჩანს, საცხებით დასაშვებია, რომ ამ გადაცემის დახმარებით, ოჯახებიც შეიქმნას...

— რა თქმა უნდა. ასე რომ, დასაოჯახებელმა წყვილებმა უნდა იაქტიურონ... მით უმეტეს, რომ ჩვენში მსგავსი გაცნობის შედეგად, მართლაც იქმნება ოჯახები, ასე რომ, ასეთი გადაცემით კიდევ უფრო დავხმარებით ქალ-ვაჟს ერთმანეთის პოვნაში. „სიყვარულის წყურვილი“ კვირაში ერთხელ გავა ეთერში.


— რადგან თქვენს ტელეკომპანიას გასართობ-შემეცნებითი მიმართულება აქვს არჩეული, ალბათ „საპნის ოპერის“ მოყვარულებსაც გაახარებთ...

— დიას, მაგრამ სანამ სერიალებზე გადავიდოდეთ, კინოს მოყვარულ მკითხველს კიდევ ერთ ინფორმაციას მივანუგო: „მზე“ მუშაობს საკმაოდ საინტერესო გადაცემაზე — „დიდი კინო“, სადაც ნაჩვენები იქნება კლასიკური, მაგრამ რატომღაც მივიწყებული ფილმები. გადაცემას ეყოლება ნამყვანი, ძალიან ნიჭიერი გოგონა — ნინო კვინტარაშვილი, რომელიც მოიწვევს სტუმრებს და ფილმის დასრულების შემდეგ, ისინი თავიანთ მოსაზრებებს გაგვიზიარებენ. დანარჩენი გადაცემებისგან განსხვავებით, სტუმრები არ იქნებიან კინომცოდნეები. სულაც არ არის აუცილებელი, კინომცოდნემ განიხილოს პაზოლინის ფილმი, შეიძლება, თავისი შთაბეჭდილება დიზაინერმა, მომღერალმა ან თუნდაც ექიმმა გაგვიზიაროს. ერთი სიტყვით, ამ გადაცემამ საზოგადოებაში გაჩენილი ნოსტალგია უნდა გააქარვოს... რაც შეეხება სერიალებს, — მინდა, მყურებელი გავახარო: „მზის“ ეთერში „ჩენტო ვეტრინე“ ბრუნდება და გარდა ამისა, უფრო გასართობი სერიალების შექმნაც გვაქვს განზრახული. ეს ყველაფერი ჩვენი უმოკლესი დროის გეგმაა, რომელიც 15 დეკემბრიდან ჩვენს სამაუწყებლო ბადეში იქნება, მაგრამ კიდევ ვმუშაობთ სამ ახალ შოუზე, რომელსაც მყურებელი 2009 წლის იანვარში ნახავს.

— წარმატებებს გისურვებთ!

აქამიანი-ოხკესტხი, მარაღი კრასის მუსიკოსი და „ქოგროსოტოჩნი“ მეგობარი

მუსიკოსმა რომა რცხილადემ, იმავე სახელმ დაბადებიდან 55 და სცენაზე მოღვაწეობის 40 წლის იუბილე ერთი თბილისური კლუბის — „დეფოვუ“ პრეზენტაციას დაამთავრია. ასე რომ, 27 ნოემბერს მუსიკის მოყვარულებსა და რომა რცხილადის მეგობრებს ბევრი რამის ერთად აღნიშვნა მოუხდათ. საღამოს, თავად იუბილარი უძღვევოდა, თავადვე უკრავდა და მღეროდა ბენდ „სპილოსთან“ ერთად, რომელიც მანვე ჩამოაყალიბა გემოვნებიანი მსმენელისთვის. საღამოზე მუსიკოსის თითქმის ყველა ცნობილი ჰიტი თუ კომპოზიცია შესრულდა, ასევე — ახალი ნამუშევრებიც. საღამოს დაწყებამდე კლუბში შეკრებილ საზოგადოებას ვესაუბრე. მეგობრისთვის და უბრალოდ, მაღალი კლასის მუსიკოსის შესაფასებლად საქებარი სიტყვები არავის დაუშურებია.



ლალი შახია

ბარინა სალშევაძე:

— რომა უნიჭიერესი, უსაყვარლესი და საოცარი გულის ადამიანია. დიდი ხანია, მას ვიცნობ. ვამაყობ, რომ მისი მეგობარი ვარ. არ მიყვარს ამ სიტყვის ხმარება, მაგრამ რომა ჯიგარია! მისგან ერთადერთხელ ავიღე ინტერვიუ. ინტერვიუში ასეთი რამ თქვა, რომ ძალიან უყვარს რიცხვი — 13. რომისგან რომ ნამოვედით, ოპერატორმა კამერას დახედა და ინტერვიუს ქრონომეტრაჟი ზუსტად 13 წუთი და 13 წამი არ აღმოჩნდა?!

ბუბა კიკაბაძე:

— ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსია. მე ასეთ საღამოებზე არ დავდივარ. დღეს კი რომას იუბილეზე სიამოვნებით მოვედი, რადგანაც ვიცი, რომ აქ კარგი მუსიკა შესრულდება... მინდა, რომ ერთი 50 წელი კიდევ ასე იყოს როგორც ახლა გამოიყურება,


ბა, მერე შეეხედავთ (იცინის).

ლალი შოროშინა:

— ბერს უკვირს, როდესაც იგებს რომას ასაკს. რეალურად, ის იმდენის არის, რა ასაკის ადამიანთანაც უნეწს ურთიერთობა: ბავშვთან — ბავშვია, უფროსთან — უფროსი; დედაჩემით დაწყებული, ჩემი უმცროსი შვილით დამთავრებული, ყველას მეგობარია. რაც შეეხება მის შემოქმედებას, ვიტყვი, რომ საქართველოში ძნელად მოიძებნება ასეთი პროფესიონალი მუსიკოსი. ბევრი კოლექტივი, რომელიც სცენაზე გასვლას აპირებდა, პირველ რიგში, რომას ასმენინებდა თავის ნამუშევრებს. ის პროფესიონალია და ხარვეზები არ გამოეპარება. საყვარელი ადამიანია, ნამდვილი სპილო. არასდროს ყოფილა გასვრილი არც ერთ პოლიტიკურ აქციაში.

მინო ფანცხავა, რომას მეუღლე:

— არც კი მგონია, რომ რომა 55 წლის გახდა. მიხარია, რომ დღეს ასეთი ლამაზი დღე აქვს. ვატყობ, რომ ამ საღამოზე ყველა





მეპრიბან ალბრსიბანი, ნაზი და კაითილი...

გულით არის მოსული.

— თავად როგორ აფასებთ მეუღლეს, როგორც შემოქმედს?

— მიჭირს რაიმის თქმა. მხოლოდ ერთს ვიტყვი — ძალიან ნიჭიერი ადამიანია. მასთან ყოფნა ძალიან ადვილია... მგონი, მის გვერდით ჩემი ყოფნაა უფროა ძნელი. თუ სიმართლე გინდათ, ეს არის.

— ბატონო რეზა, გილოცავთ იუბილეს. სულ არ მეგონა, 55 წლის თუ იყავით...

— არც მე (იცინის).

— რა არის დღევანდელი დღე თქვენთვის?

— ახალი ეტაპი, ყველაფერს თავიდან ვიწყებ! იმ მუსიკას, რომელსაც 40 წლის მანძილზე ვმნიდი, ვფიქრობ, რომ ასაკი არ აქვს. დღეს რომელ ბენდთანაც ვმუშავებ, მის წევრებს, ახალგაზრდა მუსიკოსებს ზუსტად ისეთივე ემოციები აქვთ, როგორც მე მქონდა მათ ასაკში. ჩვენ ჭეშმარიტ მუსიკას ვმსახურებით. მისარია, რომ ღმერთმა სწორედ ამ მუსიკაში აღმომაჩინა და მასში ვიხარავები.

ზურა დოიჯაშვილი:

— რომა შინაგანად ქველმოქმედი. არის ნამდვილი და როგორც იტყვიან, „კრუგლოსუტოჩნი“ მეგობარი. რაც შეეხება მის შემოქმედებას, ის მსოფლიო დონის მუსიკოსია, მაღალი კლასის პიანისტი. ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ, ამასთან, უზნელებიც ვარ. შეიძლება ვთქვა, რომ რომას თვალწინ გავიზარდე. მისი გავლენა ნამდვილად მაქვს, რითაც ვამაყობ. ვუსურვებ წარმატებებს!

ქათი დოლიძე:

— ვფიქრობ, რომა არის ნამდვილი „დღესასწაული“, ადამიანი-ორკესტრი. საოცარი ენერჯია აქვს, იმდენად დადებითი, რომ შეუძლებელია, არ გადმოგედოს. რაც მთავარია, არის ძალიან კეთილი და კარგი ადამიანი. არასოდეს ტყუის, რასაც საოცრად ვაფასებ. მისარია, რომ გაიხსნა ისეთი კლუბი, ადგილი (სადაც აუზამდ ვიმყოფებით), სადაც შეგვიძლია, წყნარად დაესხდეთ, ერთმანეთს დაველაპარაკოთ, კარგი ხარისხის მუსიკას მოვუსმინოთ.

მინალი ტანკაბაძე:

— რომას დიდი ხანია, ვიცნობ. წლებების დაზუსტება საჭირო არ არის, თუმცა მოსაწვევზე უკვე წერია — 40 წელი სცენაზე... (იღიმება). აბსოლუტურად ვეთანხმები ქეთის ნათქვამს, რომ ეს არის თბილი ადამიანი, დიდი გულის პატრონი. მის გარშემო იკრებს ასეთსავე ლად ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ძალიან ნიჭიერი, კარგი ადამიანების თავშეყრის ადგილი. რომ მოვიდნენ, გაერთონ, დაისვენონ და რაც მთავარია, რომასთან ურთიერთობითაც ისიამოვნონ.

P.S. რომა რცხილადის მეგობრებს უურნალი „გზაც“ უერთდება და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს ამ მართლაც ნიჭიერ ადამიანს!

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას — „პირველი ქალბატონები“ საკმაოდ ფართო გამომხატურება მოჰყვა. თანაც, მკითხველი მარტო ამ თემის გაგრძელებას როდი გვთხოვს. რედაქციაში არაერთი ისეთი ზარიც გაისმა, რომლის ავტორებიც იმ პირველი ქალბატონების პირობით სიასაც თავად გვთავაზობენ, ვისი ცხოვრებისა თუ საქმიანობის დეტალებსაც ინტერესით გაეცნობოდნენ. ამ სიაში ჩვენი უახლოესი მეზობლის, აზერბაიჯანის პირველი ლედი — მეპრიბან ალიევა ლიდერობს.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალბატონ ალიევას მაგალითი მართლაც, თავისებურად უნიკალურია. საქმე ისაა, რომ დასავლეთიდან შემოსული „პირველი ლედი“ ცნება — ცხადია, მისი ფართო გაგებით — პოსტსაბჭოური ქვეყნების ცხოვრებაში ჯერაც საკმაოდ ძნელად იწერება. დასავლეთში, სხვას ყველაფერს რომ თავი დაგანებოთ, პრეზიდენტის ცოლს სულ თავისუფლად შეუძლია, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა იყოს. ჩვენში კი ის ჯერაც უფრო, სანიშნუი დედად, მეუღლედ და დისასლისად რჩება. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში — და სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითია მეპრიბან ალიევა — ის ასევე შეიძლება, წარმატებული ბიზნესლადი, თავისი ქმრის არაფორმალური მრჩეველი და უბრალოდ, ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პიროვნებაც იყოს. მაშ, მოდით, ჩვენც ვნახოთ, ვინ და როგორია სინამდვილეში აზერბაიჯანის მეოთხე პრეზიდენტის მეუღლე, ქვეყნის მილიმეჯლისის (პარლამენტის) წევრი, იუნესკოს, ორგანიზაცია „ისლამური კონფერენციის“ და „განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში



ისლამური ორგანიზაციის“ კეთილი ნების ელჩი, საკუთარ სამშობლოში (და არა მარტო იქ) უჭკვიანესად, უგანათლებულესად და, ბოლოს და ბოლოს, უღამაზესად აღიარებული მეპრიბან არიფ ყიზი ალიევა.

წარმომავლობა

მეპრიბან ალიევა (ქალიშვილობაში — ფაშევა) 1964 წლის 26 აგვისტოს ბაქოში, მეცნიერთა ოჯახში დაიბადა. მამამისი — ფიზიკმათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი არიფ ფაშევი ბაქოს ავიაციის ეროვნული აკადემიის რექტორია, დედა — ან გარდაცვლილი აიდა იმანყულიევა — ცნობილი ფილოლოგი და არაბისტი იყო და წლების მანძილზე აზერბაიჯანის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს ედგა სათავეში. თავად მეპრიბანი საკუთარი წარმო-

ქალთა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი
“ბეევთან” (ისრაელი)

- *გინეკოლოგია
- *ენდოკრინული გინეკოლოგია
- *კოსმეტოლოგია
- *ფოტოეპილაცია
- *ფოტოგაბაზალტაზრდავა
- *ისრაელის ელიტარული კოსმეტიკა
- *ფიტნესი
- *იოგა
- *სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაჟე, მრგვალ ბაღთან ახლოს)
 ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
 ელ-ფოსტა: info@microgen.ge
 www.zeevs.ge

მავლობით ძალიან ამაყობს. მისი თქმით, „ეს ის აზერბაიჯანული ინტელიგენციაა, რომელმაც გასული საუკუნის მთელი სირთულეების მიუხედავად, საკუთარი იდეალების, სულიერი ფასეულობებისა და ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულების შენარჩუნება შეძლო. ბედნიერებაა ასეთი ფესვების ქონა“.



განათლება

1982 წელს, ბაქოს 23-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, მეპრიბანი, ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მოგვიანებით სწავლა განაგრძო სეჩენოვის სახელობის მოსკოვის პირველ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1988 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა. მეპრიბანი სპეციალობით ოფთალმოლოგია. როგორც თავად ამბობს, ექიმობის გარდა, მას სხვა არჩევანის უფლება უბრალოდ, არც ჰქონია: „დედაჩემს, — ისინებს იგი, — ექიმობა ძალიან უნდოდა და ამიტომაც, სკოლის დამთავრების შემდეგ საბუთები სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა. შემდეგ რატომღაც, მშობლებმა ექიმობა გადააფიქრებინეს და საბოლოოდ, გამოჩენილი ფილოლოგი გახდა. სწორედ მისმა არშემდგარმა ოცნებამ განაპირობა ჩემი არჩევანი. ვინრო სპეციალიზაციაზე კი უკვე ილჰამის დედამ, ექიმმა-ოფთალმოლოგმა — ზარიფა ხანუმმა იზრუნა, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემდი“.

მშობლიური აზერბაიჯანულის გარდა, მეპრიბანი თავისუფლად ფლობს რუსულ, ინგლისურ, თურქულსა და არაბულ ენებს.

კარიერა

1988-92 წლებში მეპრიბანი ალიევა თვალის სნულებათა მოსკოვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აკადემიკოს კრასნოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა. 1995 წელს დააარსა და სათავეში ჩაუდგა საქველმოქმედო ფონდს „აზერბაიჯანული კულტურის მეგობრები“. 1996

წელს დააფუძნა კულტურულ-ისტორიული ჟურნალი „აზერბაიჯანის მემკვიდრეობა“, რომელსაც დღემდე გამოსცემს აზერბაიჯანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე და მისი უცვლელი რედაქტორიც თავადვე გახლავთ. მეპრიბანი მიიჩნევს, რომ ამ ჟურნალის უმთავრესი მიზანი — აზერბაიჯანული კულტურის პოპულარიზაციაა და იმითაც ამაყობს, რომ „ასე „გემრიელად“ აზერბაიჯანულ კულტურაზე ჩვენამდე არავის დაუნერია“. 2002 წელს მეპრიბანი ალიევა აზერბაიჯანის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ მხატვრულ ტანვარჯიშში 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატის აზერბაიჯანში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო.

2004 წელს, ჰეიდარ ალიევის მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნების მიზნით, მეპრიბანმა „ჰეიდარ ალიევის ფონდი“ დააფუძნა. იმავე წელს, ფოლკლორისა და მუსიკალური ტრადიციების მხარდაჭერისთვის, ის იუსესკოს კეთილი ნების ელჩად დაინიშნა და აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

2005 წელს ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეპრიბან ალიევა „წლის ქალბატონად“ აღიარეს. იგი საერთაშორისო ლალის ჯვრის ერთადერთი წევრი ქალიცაა. ეს ჯილდო მას საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა — „ასწლეულის მეცენატები“ გადასცა.

2004 წელს მეპრიბან ალიევა პარტია „ახალი აზერბაიჯანის“ წევრი, 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი — აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული სათათბიროს (მილიმეჯლისის) წევრიც (და თანაც, ლამის ფანტასტიკური შედეგითაც — 94,5%) გახდა.

2007 წელს მეპრიბან ალიევა რუსეთის პრემია „ოქროს გული“ მიენიჭა, რომელიც მას ლეგენდარულმა მსახიობმა სოფი ლორენმა გადასცა. იმავე წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პრემიაც — „დედათა, ბავშვთა და ოჯახის დაცვასა და განმტკიცებაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ დაიმსახურა.

ოჯახი

მეპრიბან ფაშუვა ილჰამ ალიევა 1984 წელს გაჰყვა ცოლად. მათ სამი შვილი — 1985 და 1989 წლებში დაბადებული ლეილა და არზუ და 1997 წელს დაბადებული ჰეიდარი ჰყავთ. სახელი „არზუ“ ოცნებას, „ლეილა“ — ბნელ ლამეს, „მეპრიბანი“ კი — ალურსიანს, ნახსა და კეთილს ნიშნავს. და როგორც თავად მეპრიბანიც აღნიშნავს, სიკეთის კეთება მისთვის ცხოვრებაში მართლაც ყველაზე მთავარია.

მეპრიბანი, როგორც დედა, თავის უკვე ზრდასრულ ქალიშვილებს უახლოეს მეგობრებად მიიჩნევს, პატარა ვაჟიშვილის მომავალზე კი ძალიან ბევრს და სერიოზულად ფიქრობს. სხვათა შორის, როცა ერთმა ჟურნალისტმა პირდაპირ ჰკითხა, — გასურთ თუ არა, თქვენი ვაჟიშვილი ჰეიდარ ალიევა დაეშვაგასოს და დინასტიის ტრადიციები გააგრძელოს? — მეპრიბან-

მაც პირდაპირ უპასუხა: „საკმარისია, ევროპის ისტორიას გადახედო და მაშინვე მიხვდები უბრალო ქმშარიტებას, რომ ელიტების თეორია ჯერჯერობით არავის გაუუქმებია“. რაც შეეხება პრეზიდენტის მეუღლის როლს, — მიაჩნია, რომ „ცოლი, თუნდაც ის პრეზიდენტის ცოლი იყოს, პირველ რიგში, მაინც ქალია და ოჯახში მშვიდობის, თანხმობისა და სიყვარულის გარანტი უნდა იყოს. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არანაშუალოდ დატვირთული და დასაბუთი სამუშაო დღის შემდეგ შინ დაბრუნებულ ჩემს მეუღლეს სიტბო, სიყვარული, ყურადღება და გაგება დახვდეს, მინდა, მისი მეგობარიც ვყოფი და საყვარელი ადამიანიც“.


სარწმუნოება

როცა სიტყვა სარწმუნოებაზე ჩამოვარდება და კორკტა-ჟურნალისტები ძირითადად „საკულტო ადგილებში სახელმწიფოს „მამებისა“ და მათი მუღუღების „საჩვენებელი სიარულით“ ინტერესდებიან, მეპრიბან ალიევა, მართლაც რომ მორწმუნის სიმშვიდითა და მიმტყველობით პასუხობს: „მე მორწმუნე ადამიანი ვარ. არა — რელიგიური, არამედ სწორედაც რომ მორწმუნე, რადგან ეს უფრო ზუსტად ასახავს ჩემს სულიერ მდგომარეობას. რაც შეეხება საკულტო ადგილებში სახელმწიფოს „მამების“ „საჩვენებელ სიარულს“, — მიმაჩნია, რომ ეს უფრო, მათი უბედურებაა, ვიდრე — დანაშაული. რადგანაც ისეთი ღრმად პირადული საუბრე კი, როგორც ღმერთთან მიახლება, მათთვის პროტოკოლს ექვემდებარება და საჯარო ხდება. ვფიქრობ, არ ღირს ამის გამო, მათი შინაგანი მოტივების ეჭვქვეშ დაყენება“.

მთავარი პრობლემა და თავის ტკივილი

მიუხედავად იმისა, რომ მეპრიბან ალიევა ისევე როგორც ოჯახის ერთგული ნებისმიერი ქალი, მისი და ილჰამის ოჯახური ცხოვრების იდილიაზე ბევრს ლაპარაკობს, ოპოზიციური აზერბაიჯანული პრესა ყოველთვის ირონიულად შენიშნავს, რომ ქვეყნის პირველი ლედის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ყველაზე ნაკლები ადგილი ეთმობა „მისი ცხოვრების მთავარ პრობლემასა და თავის ტკივილს, რომელსაც „ილჰამ ალიევი“ ჰქვია“. იმავე საინფორმაციო საშუალებების მტკიცებით, „მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ელიტურ — საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში კარგი განათლება მიიღო, ის ბუნებით ყოველთვის ფლეგმატური იყო და





თობასა და ცხოვრების ყველა შესაძლო სიაშოვნებას ეძლევა, თანაც ძაღზე ხშირად, მაგასი ღრეობები მხოლოდ გამთენიისას მთავრდება. არა გვეონია, ეს ყველაფერი „უტყვიანეს“ და „ულამაზეს“ მეპრიბანს არ ადარდებდეს და ქმრის საქციელის მიმართ ხმის ამაღლების სურვილი არ უწინდობდს, მაგრამ როცა მას ჟურნალისტები ეკითხებიან, — თქვენი ოჯახის შიგნით არსებულ „ოპოზიციას“ და „სიტყვის თავისუფლებას“ რას გვეტყვოდითო? — მინც მშვიდად და

აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისკენ მიდრეკილებაც არასდროს ჰქონია, რაც ყოველ ცისმარე დღესა და ყოველ ნაბიჯზეც ვლინდება... ჟურნალისტების თქმით, „აზერბაიჯანის პრეზიდენტი ძალიან გვიან იღვიძებს და სამუშაო ადგილზე ნაშუადღევზე ადრე არასდროს ჩნდება უფრო მეტიც — თავის დროზე ჰიდარ ალიევი, რომელიც ვაეიშვილს ხშირად „უთავბოლო ილჰამად“ იხსენიებდა, დილაობით შვილისთვის დარეკვა და სამსახურში წასასვლელად მისი იძულებაც კი უწევდა ამჟამად, ილჰამ ალიევი ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას დღე-ღამეში ხუთ საათზე მეტს არასდროს უთმობს“. ვის, თუ არა მეპრიბანს უნდა მოეხსენებოდა, თუ რას წერს მის მუელზე აზერბაიჯანული ოპოზიციური პრესა, მაგრამ ქვეყნის პირველი ლედი „ეკარცობებიდან“ მინც არ ჩამოდის და იმასაც ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მუელზე „არანაშუად დატვირთული და დაძაბული სამუშაო დღე“ აქვს ოპოზიციური პრესა კი ისევ გაიძახის, რომ ილჰამ ალიევი „ყოველთვის ჰქონდა და დღესაც ინარჩუნებს აზარტული თამაშებისა და მეგობრული წვეულებებისადმი აშკარა ლტოლვას. სამორინეებში მის მიერ წაგებული თანხების შესახებ ლეგენდები დადის. დღემდეც კი სამუშაო დღის მანძილზე, საყვარელი კომპიუტერული თამაშებით გართობას ახერხებს. სამუშაო დღის დამთავრების (რაც ჩვეულებრივ, დღის ხუთ საათზე ხდება) შემდეგ კი ძველი მეგობრების წრეში ატარებს დროს. საღამოობით თავისი უახლოესი წრით გარემოცული ილჰამი გარ-

განონასწორებულად პასუხობს: „ოჯახი, პირველ რიგში, თანამოაზრეთა ერთობაა იქ ადამიანებს — მამაკაცსა და ქალს, ერთნაირი ცხოვრებისეული პრინციპები და მორალური ფასეულობები აქვთ... ასე რომ, „ოპოზიციას“, მით უმეტეს რადიკალურს, ოჯახში ადგილი არ უნდა ჰქონდეს მე და ილჰამს ბევრ რამეზე ერთნაირი წარმოდგენა გვაქვს. ჩვენ დაახლოებით ერთნაირ გარემოში ვიზრდებოდით“...

ალბათ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეცაა, რომ სულ უფრო იზრდება იმ კრიტიკოსთა თუ ანალიტიკოსთა რაოდენობა, ვინც აღიშნავს: „ილჰამ ალიევის მუელზე მისგან არა მარტო სილამაზით, ჭკუით, ენერგიით, ერთდროითა და გემოვნებით (ნეტავ, რაღა დარჩა?! — რედ), არამედ მკვეთრად გამოხატული ამბიციურობითაც გამოიჩინეა“. აზერბაიჯანის პრეზიდენტად ილჰამ ალიევის არჩევის შემდეგ მისი მუელის სახელმწიფო საქმეებზე გავლენა გამუდმებით იზრდება. და ეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ მისი ქმრის ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე ხდება“...

უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ანალოგი ბაქოში 7 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების მეორე დღეს უნდა მომხდარიყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანის ოპოზიციის ამბიციურმა გეგმებმა ილჰამ ალიევი არათუ შეაშინა, არამედ მის წინააღმდეგ სამოქმედოდ ხელ-ფეხიც კი გაუსწა. და როგორც იტყვიან, „კუდიანებზე“ უმოწყალო ნადირობაც დაიწყო. „ნარინჯისფერ შავ ქორთან“ ბრძოლის საბაბით, აზერბაიჯანში ძველი კადრების მასირებული წმენდა-დაპატიმრება განხორციელდა ეს ძირითადად, ის ხალხი იყო, ვინც სერიოზული კარიერა ვერ კიდევ ალიევი-უფროსის დროს გაიკეთა და ვისი დახმარებითაც ამ უკანასკნელმა საკუთარი ეკონომიკისთვის ქვეყნის მართვის სადავეების გადაცემა მოახერხა. ერთი სიტყვით, აზერბაიჯანში რევოლუცია „ქვემოდან“ კი არა, „ზემოდან“ მოხდა და ამ „ზემოდან რევოლუციის“ სათავეში, მრავალთა მტკიცებით — არც მეტი, არც ნაკლები — ქვეყნის პირველი ლედის, მეპრიბან ალიევისა და პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის რამდენიმე საიმედო წევრის ახალი და სერიოზული ძალის მქონე კავშირი იდგა.

მოარულ ხმებს თუ დაუფუფრებთ, „ნამდვილ ჭკუისკოლოფა“ მეპრიბან ალიევის ქვეყანაში უმაღლეს ძალაუფლებასზეც აქვს პრეტენზია და თუ ილჰამ ალიევის პრეზიდენტობის მეორე ვადის გასვლის შემდეგ ეს მართლაც მოხდა, ის დსთ-ის ტერიტორიაზე (და არა მუსლიმანურ სამყაროში!) პრეცედენტსაც შექმნის.

იმაზე დანერგებით ლაპარაკი, თუ კონკრეტულად რა გზებითა და მეთოდებით და ვისი დახმარებით უფრო შექლო აზერბაიჯანის მოქმედა პრეზიდენტმა ოპოზიციის ყველაზე ნინაღმდეგობის ჩახშობა, ძალიან შორს წაგვიყვანდა მაგრამ ერთს კი ვიტყვით, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ალიევი, როგორც აზერბაიჯანის შვერტული შტაბების, ისე რუსეთის მხარდაჭერა მიიღო, ოპოზიციას კი „ფერადი რევოლუციის“ მთავარი „სანავი“ — დასავლეთის დიდი ფულადი დახმარება გამოაცალა ხელიდან (ესეც ვითომ ბედოვლათი ილჰამი!) და ამით საბოლოოდ მშრალზეც დატოვა.

კლანი

2005 წლის ნოემბრის დასაწყისში ბევრი ანალიტიკოსი ვარაუდობდა, რომ ბაქოში მოვლენები, „საქართველო-უკრაინის სცენარის“ მიხედვით განვითარდებოდა მათი გათვლებით, საპარლამენტო არჩევნები უცილობელი „ფერადი რევოლუციით“ უნდა დასრულებულიყო.

გაგრძელება იხ. გვ. 83

26014



გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის“ 63 და 64 ინდექსის აპონენტთა საყურადღებოდ!

„გაერთიანებული ტელეკომი“ ანახლავს მუხიანის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას და 30 ნომერიდან 63 და 64 ინდექსის აპონენტების კვლი სადგურიდან ახალ. სიფრულ სადგურში გადაიტვას იწყებს.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ იზრუნა თავის აპონენტებზე და გადაიტვით საგუშაოებს ჩაატარებს ღამის საათებში.

სიფრული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად, ამაღლდება მომსახურების ხარისხი. მომხმარებელი მიიღებს ახალი სხეობის 26 დამატებით სერვისს.


ტყუპი - ამოუხსნელი ფანოზანი...

ანუ „იზღინად აკვირსხლი და შაბაკი ჰარ, ხალხს ირად ჰერვენაჰი“

თამუნა კვიციანი

ჯერ კიდევ ამოუხსნელია ის ფანოზანი, რასაც დედის სხეულში 2 და მეტი სიცოცხლის ჩასახვა ჰქვია. ყველაზე უტყუარ ფაქტორად, რომელიც ტყუპი ნაყოფის ჩასახვას უწყობს ხელს, გენეტიკა მიიჩნევა. მეცნიერთა ერთი ნაწილი კი ვარაუდობს, რომ ტყუპის ჩასახვას ცხოველური ცილებით მდიდარი საკვების მიღება უწყობს ხელს. შესაბამისად, ვეგეტარიანელ ქალბატონებს ტყუპის გაჩენის ნაკლები შანსი აქვთ. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ ტყუპი მეტწილად ხანდაზმულ, 35 წლის ზემოთ მშობიარეებს უჩნდებათ. მიუხედავად ფაქტების და თეორიების სიმრავლისა, კითხვა — რა დგას ამ სასწაულის მიღმა? მეცნიერული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ამოუხსნელია. სხვადასხვა მონაცემით, ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 80 მილიონი ტყუპი ცხოვრობს.

მე კი ამჯერად საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანთა შორის ცნობილი ტყუპისცალები მოვიძიე — აჩი არველაძე, ნანკა კალატოზიშვილი და ზაალ სულაკაური, რომლებიც სიამოვნებით საუბრობენ თავიანთ ტყუპისცალებზე.



„შოთი უფრო დინჯია, მე — ემოციური...“

აჩი არველაძე:

— აჩი, შენსა და შოთის შორის, საოცარი გარეგნული მსგავსებაა. ხასიათითაც ასე ჰგავხართ ერთმანეთს?

— ვგავართ, მაგრამ განსხვავებაც შეიმჩნევა. შოთი უფრო დინჯია, მე — ემოციური.

— ტუპისცალებს ერთმანეთის გარეშე ყოფნა ძალიან უძნელდებათ. თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

— რა თქმა უნდა. თავს ყველაზე კარგად მაშინ ვგრძნობთ, როცა ერთად ვართ. თუ ერთმანეთს ვშორდებით, ჩვენ შორის რაღაც უხილავი კავშირი სულ არსებობს. 30 წლისანი ისე გავხდით,

რომ ერთმანეთს არ დავშორებივართ. თავის დროზე, თურქეთშიც ერთად გავმგზავრეთ. პირველად ერთმანეთს 2003 წელს დავშორდით, მე გერმანიაში წავედი, მაგრამ შოთისთან ყოველდღიური სატელეფონო კავშირი მქონდა. ისე, ერთმანეთის გარეშე ბავშვობაში უფრო ვერ ვძლებდით. ერთხელ, ბაბუასთან დავრჩი, შოთი კი დედას სახლში გაჰყვა. რამდენიმე საათის შემდეგ, ჭირვეულობა დავინწყე, შოთისთან სახლში წაყვანა მოვიტხოვე.

— მოგენტრატა?

— ძალიან. არ ვიცი, ის განცდა სიტყვებით როგორ გადმოგცე. დღეს ხშირად გვიწევს. როცა შოთი შეუძლოდ არის, ამას ყოველთვის ვგრძნობ.

— როგორ?

— თავადაც ვერ ვარ ხოლმე კარგად. რამდენჯერმე ასეთი ფაქტიც მოხდა: ყელი მტკიოდა, შოთიმ დამირეკა და მიიტხრა, რომ ყელი მასაც სტკიოდა. ერთდროულად ერთნაირი ნივთებიც გვიყიდა.

საკვებიც კი ერთნაირი გვიყვარს. ალკოჰოლს არც ერთი არ ვვტანებით და არც სიგარეტს ვწევით.


— იმის გამო, რომ ერთმანეთს ძალიან ჰგავხართ, ხშირად ეშმაკობდით?

— სკოლაში გაკვეთილი შოთის მაგივრად არასდროს მომიყოლია; სხვათა შორის, არც პირიქით მომხდარა, რადგან ყოველთვის ერთად ვმეცადინეობდით. გაკვეთილი ან ორივემ ვიცოდით, ან — არც ერთმა. ერთხელ როტერდამში ყოფნისას შოთიმ დაიბრალა — აჩი ვარო; მაშინ ამ ქალაქის გუნდში თამაშობდა. როტერდამელებს ამსტერდამელები ვერ იტანენ. ერთ-ერთ ქუჩაზე შოთის ცოტა არასახარბიელო სიტუაციაში შეხვედრიან. შოთის უთქვამს: მე რას მერჩით, აჩი ვარო და ასე აიცილა უსიამოვნება. საფეხურთო სამყაროში არაერთი ტყუპია, მათ შორის, ცნობილი — ძმები დებურები.

— თქვენ უფროსი ძმა რეზი ბავშვობაში როგორ გაქცეოდით?

— რეზი ჩვენზე 3 წლით უფროსია. ის ყოველთვის დიდ ყურადღებას გვაქცევდა. მასზე დამოკიდებულები ვიყავით. თუ რეზი ოჯახში იტყოდა, ბიჭები გავუშვათო, გზა ყველგან ხსნილი გვქონდა. მერე თვითონვე მოგვაკითხავდა და წამოგვიყვანდა. მას ჩვენზე დიდი ამაგი აქვს.

აჩი და შოთი არველაძეების დედა,



რეზი ჩვენზე 3 წლით უფროსია

ტყუპი - ამოხსნალი ჟანოხანი...



მანეთს ბევრი რამით ჰგვანან. შოთიმ ყოველთვის იცის, სად არის და რას აკეთებს აჩი და — პირიქით. ორივენი მზრუნველები არიან. იუმორის გრძნობა და ამბის საინტერესოდ გადმოცემის უნარი აქვთ. როცა უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ, ჩვენთან ახლობლები, ნათესავები მხოლოდ იმისთვის მოდიოდნენ, რომ მათი მოყოლილი ამბები მოესმინათ და ესალისათ.

თამარ დოლიძე ამბობს, რომ ტყუპის გაზრდა ძალიან რთული იყო და ამ საქმეში მას ნათესავები ეხმარებოდნენ.

— პროფესიით ექიმი ვარ, როცა ტყუპი დაიბადა, ვმუშაობდი. ხშირად მორიგეობაც მიწევდა. ბიჭების მოვლაში ჩემი და კიჭას (მეუღლე) მშობლები, დეიდები, მამიდები გვეხმარებოდნენ. წარმოიდგინეთ, ყველაფერს ერთდროულად ითხოვდნენ. ვირუსული დაავადებებიც კი ორივეს ერთდროულად ხვდებოდა.

— მათი ერთმანეთისგან გარჩევა არ გიჭირდათ?

— სხვებს უჭირდათ, მაგრამ მე და კიჭა ვარჩევდით. დედაჩემი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ბიჭებს სულ ეკითხებოდა, — შენ რომელი ხარო?

— ალბათ, ძალიან ცელქები იყვნენ.

— თუ რამეს დააშავებდნენ, ორივეს ვსჯიდი და ოთახის სხვადასხვა კუთხეში ვაყენებდი. ერთხელ, ისე მოხდა, რომ მხოლოდ აჩი (თუ არ მეშლება) დავსაჯე და კუთხეში დავაყენე. ტირილი დაიწყო. შოთი იქვე, შორიახლოს თამაშობდა. მე საქმის კეთებას შევეყვი, აჩი დასჯილი რომ მყავდა, დამავინცდა. მოგვიანებით, სასტუმრო ოთახში შევედი და რას ვხედავ — აჩი შოთის შეუცვლია, მის ნაცვლად კუთხეში იდგა და ტირიდა. ძალიან გამიხარდა, გავიფიქრე — გონიერი ბავშვები იზრდებიან, ერთმანეთის გატანა უკვე იციან-მეთქი. როცა მათ დაბანას დავაპირებდით, ეშმაკობდნენ: აჩი ამბობდა, — მე უკვე მბანანეთ, ახლა შოთის ჯერიაო. შოთიც იმავეს იმეორებდა. ერთხელ, ისე მოხდა, რომ აგვერია. ერთი ორჯერ დავბანეთ, მეორე კი დაუბანელი დავტოვეთ.

— ფეხბურთის სიყვარული რა ასაკიდან გამოამჟღავნეს?

— არ ვიცი, მგონი, თანდაყოლილი ჰქონდათ. ძალიან პატარები იყვნენ, ბურთზე რომ გიჟდებოდნენ. ბიჭები ერთ-

ტყუპი არველაძეებისგან განსხვავებით, მსახიობი **ნანკა კალატოზიძე** ამბობს, რომ ის და მისი ტყუპისცალი ძმა — გიორგი ერთმანეთს ნაკლებად ჰგვანან, მაგრამ აღიარებს, რომ ორივე პატარაობისას მათე ბავშვი ყოფილა...

— მე და გიორგი ერთმანეთს არც



ნანკა და გიორგი

გარეგნულად ვგავართ და არც — ხასიათით. ჩემგან განსხვავებით, ის ქერაა. ბავშვობაში ერთმანეთს არ ვშორდებოდით, ძალიან ცელქები ვიყავით. გიორგი მათე ბავშვი იყო. მას მამამ მეტსახელად ჩაპა დაარქვა.

— რატომ?

— ჩაპას, ხომ იცით, უმეტესად ძაღლებს არქმევენ. გიორგის ეს სახელი იმიტომ შეურჩია, რომ ძაღლივით იკბინებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დედას ძალიან ვაბრაზებდით, მას ჩვენთვის ერთი ხმამალალი სიტყვაც კი არასოდეს უთქვამს. მახსენდება, ერთხელ ძალიან გავაბრაზეთ, სააბაზანოში შეგვიყვანა და ჩაგვეტა. კარს პატარა ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც ვიყურებოდით.

— **მითხარო, მე და გიორგი**

ერთმანეთისგან ხასიათითაც განსხვავდებითო, რას გულისხმობდი?

— გიორგი ბავშვობაში სულ ენციკლოპედიაში იქექებოდა, წიგნებს კითხულობდა, მე კი თამაში მიწოდდა და მის ამ საქციელზე წერები მეშლებოდა. ახლაც შეუძლია, ერთდროულად 3 წიგნი დაიწყო და დაამთავროს. ამას როგორ ახერხებს, არ ვიცი. გარდა ამისა, გიორგის, ჩემგან განსხვავებით, გამძაფრებული გრძნობები აქვს. თუ ცუდად ვარ, შეუძლია, ეს უთქმელად, საზღვარგარეთ ყოფნის დროსაც კი იგრძნოს. ერთხელ დამირეკა და მკითხა: რა არის, რა გჭირს, ცუდად რატომ ხარო? გამიკვირდა: შენ საიდან იცი-მეთქი?! მგონი, ასეთი რამ ტყუპის უმეტესობას ახასიათებს. ჩვენ საკვებსაც კი განსხვავებულს ვირჩევთ. გიორგის ხორცი უყვარს, თან არაჩვეულებრივად ამზადებს, მე — არა. ჩვევად მაქვს — გიორგის თეფშიდან საქმელი უნდა მოვპარო ან წვენი მისი ჭიქიდან უნდა დავლიო. სულ მეჩხუბება: რა არის, რა გჭირს, ამას როდის უნდა გადაევიო?! თუ გინდოდა, ხომ შემოგთავაზებო?

ამ საუბარში ნანკას ნათლია — ქალბატონი ძეთი დარჩიაშვილი ჩაგვერთო. ტყუპი და-ძმის შესახებ ცოტა რამ მანაც მიაბმო:

— ძალიან ცელქები იყვნენ, თამრიკო (ნანკასა და გიორგის დედა) მათ ხშირად მიტოვებდა. განსაკუთრებით კარადიდან ჭურჭლის გამოლაგება უყვარდათ, მაგრამ ამას ისე აკეთებდნენ, არაფერს ამტვრევდნენ. ნანკა გიორგის დამცველი იყო. აბა, ვინმეს გაებედა მისთვის და რამე ეთქვა! ერთხელ, ბებია ცუდად გაუხდათ. „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოვიძახეთ, ყველანი იმ ქალბატონს დავტრიალებდით თავს, ტყუპი მიგვაყინებდა, გვეგონა, სამზარეულოში წყნარად იყვნენ; არადა, 3-ლიტრიანი ზეთით სავეს ქილა გადმოებრუნებინა.



გიორგის ეს სახელი იმიტომ შეურჩია, რომ ძაღლივით იკბინებოდა

ტყუპი - ამონხსნალი ფანოხანი...

ნათ, იატაკზე დაედგარათ, თვითონ შიგ ჩამსხდარიყვნენ და ზეთში ხელებს ატყაპუნებდნენ... ერთხელ ფარდაც კი დაჭრეს. უფრო სწორად, ბოლო მოაჭრეს. როცა ვკითხეთ, ასე რატომ მოიქცით-თქო? — თავი იმართლეს, — ქსოვილი გვჭირდებოდა და აბა, რა გვექნაო?!

ცნობილმა კარიკატურისტმა ზაბალ სულაკაურმა კი ტყუპის თემაზე საუბარი ანექდოტით დაიწყო:

— მიხოს ჰკითხეს: — შენს ცოლსა და მის ტყუპისცალ დას ერთმანეთისგან როგორ არჩევო? — ვარჩევ, როო?... — გულახდილად უპასუხა მიხომ. მე და ჩემს ტყუპისცალ ძმას — ზურიკოსაც სწორად გვეკითხებიან — ცოლებს არ ეშლებითო?

— თქვენ რას პასუხობთ?

— სანამ ერთ ბინაში ვცხოვრობდით, ზურას ცოლმა რამდენჯერმე დამიძახა — ზუ-რი-კო! — ზურიკო არ ვარ-მეთქი, შევახსენე.

— სახელები ვინ დაგარქვათ?

— მე და ზურიკო ქვეყანას 1970 წლის 23 ივლისს მოვევლინეთ. პაპანაქება ზაფხული იყო. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა სულაკაურების ოჯახში? ორი ბიჭი შეგვეძინაო და დიდი სუფრა გაუშლიათ. მამის მეგობრები შეკრებილან. სუფრის თამადა ნოდარ დუმბაძე ყოფილა (განა შეიძლებოდა მე კარიკატურისტი არ გამოვსულიყავი?...). დაუწყიათ მსჯელობა, ბიჭებს რა სახელები შეეურჩიოთ? მწერალ ედიშერ ყიფიანს უთქვამს: ზალი და ზურაბი დავარქვათო. ასე შეგვირჩიეს სახელები. მე ზურიკოზე 7 წუთით უფროსი ვარ. მაშინ მამა კინოსტუდიაში მუშაობდა. 3 წლისანი ვიყავით, როცა ფილმში — „ჩირიკი და ჩიკოტელა“ გადაგვიღეს. ერთმანეთს გარეგნულად ძალიან ვგავართ. უბრალოდ, ზურიკო წვერს არ ატარებს; როცა მოუშვებს ხოლმე, ერთმანეთი სხვებს კი არა, ზოგჯერ ჩვენც გვეშლებ... ოღონდ, მე ცაცია ვარ, ზურიკო — არა. ბავშვობაში ორივენი ერთ ფურცელზე ვხატავდით

ისე, რომ ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით. ზურიკო ძალიან მაგნი იყო, მე — მიმნდობი და მიამიტი.

— ამის გამო ხომ არ იჩაგრებოდით?

— ერთხელ, კარლო სულაკაურის ოჯახში სტუმრად ვიყავით. ზურიკომ რკინის თმის სამაგრი იპოვა, ხელში დამაჭერინა და დენის ჩასართველში შემაყოფინა. ძიგძიგი დავინწყე... სწორად ვისვენებდით თუშეთში. იქ იმდენს ვცელქობდით და დავრბოდით, ახლობლები ბინოკლით გვეძებდნენ. თუშეთში ერთი არჩილა ცხოვრობდა, ერნესტ ჰემინგუეის ისე ძალიან ჰგავდა, მისი ტყუპისცალი გეგონებოდა. სოფელში სახლი თუნუქით პირველად მან გადახურა; სხვა სახლები კრამიტით იყო გადახურული და ძალიან ლამაზი სანახავი გახლდათ. არჩილას სახლის სახურავი გოიმურად ანათებდა. ამან ჩვენში პროტესტის გრძნობა გამოიწვია. ერთ დღეს ზურამ დარაჯად დამაყენა, თვითონ არჩილას სახლის სახურავზე აძვრა და თუნუქი წვრილად დახვრიტა. მეორე დღეს ვხედავ, ჩვენც „თუში ერნესტი“ მოდის. ზურიკომ დაინახა თუ არა, დაიმალა, თან დამიბარა, — თუ მიკითხოს, უთხარი, აქ არ ვარო. არჩილამ დამიძახა თუ არა, მასთან მივირბინე, ხელუკულმა ისეთი სილა გამანნა, დღემდე მახსოვს. ზურიკოს მოსახვედრი მე მომხვდა.

— ცალ-ცალკე ყოფნის დროს, ერთდროულად ერთი და იგივე რამე თუ გაგიკეთებიათ?

— ძალიან ხშირად. ზოგჯერ ჩვენი ნახატებიც კი ერთი ადამიანის დახატულს ჰგავს. უბრალოდ, მე კარიკატურების ხატვა დავინწყე, ზურიკო უფრო, საღვადორ დალის მიმდევარია... ორივე ერთ მელოდიას ამოვიჩემებთ და ვლინებთ ხოლმე. როცა სასწავლებელში ვაბარებდით, ჩვენ მიერ დახატული ნატიურმორტიები ერთმანეთს იმდენად ჰგავდა, შარი მოგვდეს და დიდი 2-იანები დაგვიწერეს.

— ერთმანეთის მსგავსების გამო, ალბათ, კურორულ სიტუაციაში არაერთხელ მოხვედრილხართ...

— ცოლი რომ მოვიყვანე, ოჯახში სტუმრად სიდ-



ედრი და ზესიდედრი (ასე სიდედრის დედას ვეძახი) მეწვივნენ. ზარის ხმა რომ გავიგონეთ, მე და ზურიკო კარის გასაღებად ერთდროულად მივედით. ჩვენს დანახვაზე სიდედრი ისე დაიბნა, შინ რომ უნდა შემოსულიყო, დაავიწყდა. ძმებს შორის მისი სიძე რომელი ვიყავით, ვერ გაგვარჩია. ერთხელ, ზურიკო თავის შვილთან, სანდროსთან ერთად ქუჩაში ფეხით მისეირნობდა. — „ზა-ლი-კო!!!“ დაუძახა ვიღაც გოგომ. მივიდა, გადაკოცნა, ჩაეხუტა და მოიკითხა. ცოტა ხნის შემდეგ, ვიღაც ბიჭმა შეაჩერა. — „ზა-ლი-კო!“ — არ ვარ, ზალიკო, არა! — შეუჩერებია ზურიკოს. მერე სანდროს მამისთვის უკითხავს: კი, მაგრამ იმ გოგოსთვის თუ იყავი ზალიკო, ამ ბიჭმა რა დაგიშავაო?! — ეგ, შვილო ინსტინქტიაო, — უპასუხია ზურას.

— როგორც ვიცი, თქვენ ჯარშიც ერთად მსახურობდით...

— იმიტომ, რომ კომუნისტების დროს, კანონით, ტყუპი ძმის დამორება არ შეიძლებოდა. რაც ზურიკომ ჯარში ყოფნის დროს რუსები სცემდა, იმდენი მათ „ბარაბანს“ არ მოხვედრია იქ განსაკუთრებით აგრესიული იყო. ახლა ეს თვისება აღარ აქვს. სამაგიეროდ, თამადაობა უყვარს.

— შენ არ თამადაობ?

— მე რომ ვთამადაობ, მერე „ვჭედავ“.

— ტყუპის უფროს ძმას — ბაკურს არ აბრაზებდით?

— რას გავაბრაზებდით? მაშინ, როცა ჩვენ ვცულულტობდით, ბაკური იჯდა და წიგნებს კითხულობდა. იცი, რამდენი წიგნი აქვს ნაკითხული?! უ-უჰ! ვერავინ დათვლის. მეშინოდა, არ გაგიუდეს-მეთქი, მაგრამ გადარჩა... მე რომ ტყუპისცალი ძმა მყავს, ბევრმა არ იცის. მათ ყოველთვის ასე გეუბნები: ტყუპისცალი ძმა კი არ მყავს, იმდენად მკვირცხელი, სწრაფი და მაგარი ვარ, ხალხს ორად ვეჩვენები-მეთქი.



ზურიკო ძალიან მაგნი იყო, მე — მიმნდობი და მიამიტი

გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლის
კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ **სარეჟრად**

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“

სწ „ვეფხისტყაოსანი“

„დიდი საბავილო
ენციკლოპედია“

„დიდი წიგნი
ხელოვნებაზე“



მედია სახლი „პალიტრას“ გამოცემები:

დასახელება	1 კვ. წელი	კვ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში	წელი 1 წლით
კვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიზჟვე და საგზა	1.00	260	260.00
ყველა სიზჟვე	0.80	52	41.60
გზა	0.80	52	41.60
რეზინები	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
ქარიშხალი	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
ქარსული	0.50	52	26.00
საბავილო ქარსული	1.00	52	52.00
გომონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.50	312	156.00
ათიანი	5.00	12	60.00
ოსკარი	1.00	52	52.00
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

დაგვიკავშირდით: არასისა და წიგნების გაერსელების
საბავილო „ელვა.ჯი“
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოცემების მიღება შეუძლიათ „ელვა.ჯი“-ს
საბითუმო გაერთიანების წერტილებში. აღნიშნული წერტილებს მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის თვისა **29 ლარი**
თქვენ ყი მას ყოველთა მიიღობთ!

ჭონილი ზონისგან ხაზური სივრცე, მოხარული რეზიდენტი და ახალი ლინის გეგმა



„კარგად ესწავლობდი, მაგრამ შეიძლება ითქვას, ზომიერ მეტად ცელქი ბიჭი ვიყავი, ამიტომ სწორად მინდოდა სკოლის გამოცვლა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ტრადიციულად, სკოლის დირექტორებისგან ერთსა და იმავეს ვისმენდი: ახლა კი დაგინერო ყოველწევრში ფრიადს, კარგ დახასიათებასაც მოგცემთ, მაგრამ ახალ სასწავლო წელს აქ ნულარ მოხვალ, სხვა სკოლაში გადადიო. ასე მოვიარე ჭიათურის საშუალო სკოლები, მათე კლასში კი, რადგან ჩემს სოფელ ჭორვილაში მხოლოდ რვანლიანი სკოლა იყო, მეზობელი სოფლის — საირხის საშუალო სკოლაში გადავედი“, — ასეთ „აღიარებით ჩვენებას“ იძლევა საჩხერის რაიონის სოფელ საირხის საშუალო სკოლადაბრუნებული, ბატონი **ვასილ წარბაქიანი**, რომელიც სკოლის დროინდელ მოგონებებს თანაკლასელს — ცნობილ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს.

ირმა ხარშილაძე

საერთოდ კი, ძალიან გამიძინებდა ბატონი ბიძინას კლასზე მასალის მოპოვება, რესპონდენტები გამირბოდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ შიშობდნენ, საქებარი სიტყვებით თანაკლასელი არ გაენანყებინათ — ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილს თავის სიტყვებზე ხმაძალა ლაპარაკი არ უყვარს. არადა, ჩემი თვალთ მინახავს ამ საინტერესო და მართლაც ქველმოქმედი ადამიანის გაკეთებული ბევრი სიკეთე და მადლიერი ხალხიც. ამიტომაც არ დავეყარე ფარ-ხმალი, რადგან ვფიქრობდი, მის თუნდაც ბავშვობაზე ლაპარაკი ძალიან დააინტერესებდა ჩვენს მეიტხველს და ბიძინა ივანიშვილის კლასზეც შევძელი „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მომზადება. ამ, ერთ დროს ჩვეულებრივი კლასისა და თანაკლასელის გახსენებას კი ბატონი ვასილ წერეთელი განაგრძობს:

— მახსოვს, საირხის საშუალო სკოლაში რომ მივედი, დირექტორმა, ზურაბ კაპანაძემ ინტერესით შემათვალისწინა და მითხრა: „რას გეტყვი, იცი, ბიძიკო? რაიკომიდან მთხოვეს შენზე. აქანა არაფერი დამიშავო, ბოვშები არ გადამირიო და სხვა მხრივ, მე ვარ პასუხისმგებელი — კარგ ატესტატს მოგცემ და კარგ დახასიათებასაც გაგიწავალ. ხომ გამიგე, ბიძიკო?“ რაღას ვიზამდი? თავი დაუფენიე და მორჩილად გავეყვი საკლასო ოთახში. რომ შევედით, დაფასთან ცარცით ხელში შუახნის, მკაცრი გამომეტყველების ქალბატონი — ალგებრის მასწავლებელი თამარ ლუღნიშვილი იდგა. დირექტორმა ქებადიდებით წარმადგინა, ლამის ვიფიქრე, სხვაზე ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი (იცი-ნის)?!. კლასი მოვათვალისწინე — ბევრი ნაცნობი სახე შევინახე — ჭორვილელი და საირხელი ბავშვები იყვნენ. აბა, სადაც გინდა, იქ დაჯექი, ბიძიკო, — მითხრა დირექტორმა. როგორც კი დავიძარი, ნაცნობი მზურა ვიგრძენი და

მეც იქით წავედი. ნაცნობის გვერდით მედომი გოგონა სხვანაირად გადავხედე, მე კი ბიძინა ივანიშვილს მივუჯექი. გავიგონე, დირექტორმა კლასიდან გასვლისას რომ ჩაილაპარაკა, — მონახეს დოსტებმა ერთმანეთიო!.. — მაგრამ ყურადღება აღარ მიმიქცევია.

— რადგან ბატონ ბიძინას გვერდით, ერთ მერხთან ისხედით, საკლასო თუ კლასგარეშე ამბებიც გეტყვობთ გასახსენებელი როგორი ბავშვი იყო ბიძინა ივანიშვილი?

— ბიძინა ნესიერ, ქართულ, მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. მაშინდელი სოფლის მცხოვრების კვალობაზე არც ძალიან უჭირდათ და არც დიდად უღბინდათ — მხედველობაში მატერიალური მდგომარეობა მაქვს. ბიძინა ყოველთვის განონასწორებული და ზრდილობიანი ბიჭი იყო. მეც, რატომაც, ყოველთვის ვუჯერებდი მას. მახსოვს, შემოდგომაზე, საირხის სკოლაში ახალი გადასული რომ ვიყავი, მე და ბიძინა, გრძელიშვილების უბანში მოვხვდით. ყველგან ბადაგის, მოხარული სიმინდისა და გოგრის სურნელი ტრიალებდა. ცოტათი მოშივებულებიც ვიყავით და ერთ-ერთი მოსახლის ეზოში სარზე ორი თუ სამი დღის ამოვლებული ჩურჩხლები დავინახეთ. ძირს თეთრი სუფრა დაფინათ, რომელზეც თათარის წვეთები იყო შემხმარი. ერთმანეთს გადავხედეთ და მიმოვიხედეთ; დიდი ეზო იყო, არავინ ჩანდა.

იმ ჩვენი ცოდვით სავსე დიასახლისს ჩურჩხლები ღობესთან ახლოს გამოეფინა. ბიძინამ დამანამავესავით ამარიდა თვალი. ბევრი აღარ მიფიქრია და ღობეს გადაველე. სარზე აცმულ ჩურჩხლებს მარჯვენა მკლავი გაუფყარე და დაახლოებით, ოცი წყვილი ჩურჩხელა წამოვილე. ჭიშკარი შიგნიდან გავაღე, რამდენიმე მეტრი გავიბრინეთ და ტყემლის ხეს მოვეფარეთ. უცნაოდ ბიძინა მეუბნება: „ცოდვია, ბიჭო“. ვინ-მეთქი? — ვერ გავიგე ნათქვამი და ჩურჩხელა მადიანად ჩავკბიე — მოხალული თხილის იყო. — ცოდვია პატრონი, ჩვენ ამდენს ვერ შევჭამთ; სახლში ხომ არ წავიღებთ, თითო წყვილი დავიტოვოთ და დანარჩენი დავაბრუნოთო. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. ვერ გავიგე, რატომ უნდა დამებრუნებინა უკან ჩურჩხლები. თანაც, შეიძლებოდა, ამჯერად შარს გადავეყოდი... ბიძინა მიხვდა, რომ ვყოყმანობდი, ორი წყვილი ჩურჩხელა დამიტოვა, დანარჩენი უკან წავიღო, სარზე გადავკიდა, უკან დაბრუნდა და მხოლოდ მაშინ ჩავკბიე ჩურჩხელა. თითქოს არაფერი მომხდარა, მაშინ არც მიფიქრია ამაზე, მაგრამ დღეს, ამ გადმოსახედიდან რომ ვუკვირდები, ვხვდები, ბიძინა მართალი იყო. წარმოდგენილი მაქვს, ოჯახის პატრონი დაცარილებულ სარს რომ დაინახავდა, რა დაემართებოდა.

— თუმცა გემჩნევათ, იმ ჩურჩხელის გემო არ დაგინწყობათ...



საირხის ახალი სკოლის შენობა



— რას ამბობთ, რა დამავინწყებს (იცი-
ნის)?!. ერთი შემთხვევაც გამახსენდა: ისევ
მე და ბიძინა მოვდივართ სკოლიდან,
სახლებამდე საკმაოდ დიდი მანძილი გვა-
ქვს გასავლელი — დაახლოებით, სამი
კილომეტრი. თანაც — სულ აღმართი.
გადაწყვიტეთ, წმინდა გიორგის საყდარ-
თან მივსულიყავით და გზიდან გადავუბ-
ვიეთ. შევედით მაჭავარიანების უბანში
და შარანზე, სოფელში ცნობილი პიროვნება
შეგვხვდა, მაშინაც და ახლაც გამოირჩევა
თავისი აღნაგობით. სიმაღლე გითხრათ,
დიდად არ მესაბუთოდა ის კაცი გულზე...
აბა, ბიჭებო, უნდა მომხმაროთ, სახლში
ავეჯი მაქვს გადასაადგილებელი და უარი
არ გაგივათო, — კატეგორიული ტონით
გვითხრა. ის-ის იყო, ხელი უნდა ამქენია
და მეთქვა, — მოხარული ნაბილი არ
გინდა-მეთქი?! — ბიძინამ მკლავზე დამ-
ქაჩა და ხმადაბლა მითხრა, — არ გამოვა,
უნდა მივხმაროთ, უფროსი კაცია და
სირცხვილიაო. რაღას ვიზამდი და უკან
გავყვი. ერთ საათზე მეტხანს გვამუშავა.
ვამჩნევდი, თვითონ სიმძიმეების აწევას
თავს არიდებდა, ჩვენ კი — არ გვზოგავ-
და. გულში კი ვბრაზობდი, მაგრამ... როდე-
საც მოვრჩით, სახელდახელოდ სუფრა
გაგვიშალა, ორი ორლიტრიანი ქილით
თეთრი და წითელი ღვინო მოიტანა, თეთრი
თვითონ დაისხა, წითელი ღვინით კი ჩვენ
შეგვივსო ჭიქები. მოვსვი თუ არა, ვი-
გრძენი, ამჟავებული იყო. შემატყო, არ
მესიამოვნა და მითხრა, — ავადმყოფი
კაცი ვარ, წითელი ღვინო მწყენს, თქვენ
კი, ახალგაზრდებს, არაფერი გიჭირთ, შეგ-
ერგებათო. ისე, სხვათა შორის, ავადმყო-
ფობის არაფერი ეტყობოდა. დღესაც ჯან-
მგარი კაცია (იციანის). აღარაფერი მითქ-
ვამს. ვსვით, წითელი ამჟავებული ღვინო
და შინ მისვლამდე რამდენჯერმე „დავიბა-
ნეთ ხელ-პირი“ (იციანის). მეორე დღეს მე
და ბიძინა სკოლაში ერთად წავედით.
წავიბუღლუნე, — რას მოვიწყვიტეთ წელი,
თანაც დაძმარებული ღვინო გვასავა-მეთ-
ქი... ბიძინას გაეცინა, — არა უშავს, ჩვენ
ვალი ხომ მოვიხადეთო.

მასწავლებლებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— საირხის საშუალო სკოლაში ერთი
მასწავლებელი იყო — ავქსენტი გრ-
ძელიშვილი, სიმღერას გვასწავლიდა. შავი



საირხის ძველი სკოლის შენობა

დაფანჯული წარბები და სქელი უღვაში
ჰქონდა. ცხვირის ნესტოებიდან ისე უსტე-
ვინდა, სალაშური გვეგონებოდა (იციანის)
მგონი, ცოტათი ელაშიც იყო. ტანდაბა-
ლი, საკმაოდ ნაპატივები მუცლით, სულ
ცილინდრითა და „პაპკით“ დადიოდა.
სიმღერაზე მწყრალად გახლდით და ამ-
იტომაც არც გუნდში დავდიოდი. ავქსენტი
მასწავლებელმა დირექტორთან დამასმი-
ნა, მაგრამ იმას დიდად არ უნერვიულია,
მე კი გავბრაზდი და ბიჭები კატეგორი-
ულად გავაფრთხილე, სიმღერის მეცადი-
ნობაზე აღარ მისულიყვენ. ასეც მოხ-
და. რეპეტიციები ჩაიშალა, არადა, ავქსენ-
ტი მასწავლებელს სკოლის გუნდი მოს-
წავლეთა სპარტაკიადისტების უნდა
მოემზადებინა. საერთოდ, ჩვენი სკოლა
სიმღერით ყოველთვის გამოირჩეოდა,
რადგან ჭორვილელი ხატელიშვილები
და ივანიშვილები დღემდე განთქმული
არიან სიმღერით. აქვე სწავლობდა ცნო-
ბილი ტენორი — ვალერიან გამგებელი,
რომელსაც ავქსენტი მასწავლებელი დიდ
ყურადღებას აქცევდა და, თუ არ ვცდუ-
ბი, მოფერებით, „ფერნატოს“ ეძახდა.
მოკლედ, სიმღერის გუნდი დაიშალა.
ავქსენტი მასწავლებელი აწრიალდა, მიხ-
ვდა, რაც ხდებოდა. რამდენჯერმე გა-
მომელაპარაკა კიდევ, მაგრამ თავი ისე
დავიჭირე, თითქოს არაფერი ვიცოდი.
ბოლოს, ისევ ბიძინამ „უშველა“: ერთხ-
ელ დამიმარტოხელა და მითხრა, — რას
ერჩი? ცოდავ კაცია, თავის საქმეს აკეთებს,
ხელს ნუ შევუშლითო. არაფერი მიპა-
სუხია. ვიცოდი, მართალი იყო. საბ-
ოლოოდ, გუნდი შედგა, ავქსენტი მას-

წავლებელმაც ახალი შემართებით დაი-
წყო მუშაობა. ბიძინა იმდენს მელაპარა-
კა, მეც მიმიყვანა გუნდში. ავქსენტი მას-
წავლებელმა კი, ვითომ ჩვენი გულის
მოსაგებად, აკრძალული სიმღერა გვას-
წავლა სტალინზე: „ჯულაშვილი დედა
გშობა და სტალინი — საუკუნემ“ (იცი-
ანის)... არადა, როდესაც სკოლა დავაბთავრე,
სტალინზე იმდენი ცუდი გავიგონე და
წავიკითხე, რომ თვალის დასანახავად
ვეღარ ვიტანდი.

დღეს საირხეში, ბატონ ბიძინას აშენებული დიდი და ლამაზი სკოლაა თუმცა ძველი სკოლაც შემორჩენილია, ილწოდ — მასწავლებლის გარეშე მაშინ როგორი იყო თქვენ სკოლა?

— პირველ სართულზე, საავტომობი-
ლო გზის მხარეს, მასსოვს, ბუფეტი გახ-
სნეს. მაშინ, სოფლის სკოლაში ხაჭაპური
და ღვეხელი ახალი ხილი იყო, არადა,
საირხელმა და ჭორვილელმა დიასახ-
ლისებმა, მათ შორის, ბიძინას დედა —
ქალბატონმა ციციანომ ისეთი ხაჭაპურე-
ბის ცხობა იცოდნენ, იმასთან ბუფეტში
მოტანილი ხაჭაპური, თონეში ჩავარდ-
ნილი კუტი პურივით იყო. მაგრამ მო-
ტოროლერის ხმას რომ გავიგონებდით,
ბუფეტთან მაშინვე რიგი დგებოდა —
ამ მოტოროლერით მოჰქონდათ ხაჭაპუ-
რი. სოფელს არ უჭირდა, მაგრამ ყველა
ოჯახს მაინც არ სიამოვნებდა, რომ
ყოველდღიურად 30 კაპიკი უნდა მიეცა
ბავშვისთვის. სკოლაში კი „ცხოვრების
წესი“ შეიცვალა — ადრე სანაძლეო თუ
ხილსა და ჩურჩხელაზე იდებოდა, ახლა
ტექსტი გადაკეთდა: ბუფეტის ხაჭაპურე-
ბზე ვითამაშეთო, სახლში გაკეთებული
არ ითვლებო (იციანის). არ მასსოვს,
ბიძინას ან მე ბუფეტში შემზიარებელი
არ გვეყოლოდა. ბიძინა ყოველთვის
მასწრებდა — არავისთვის ენანებოდა
ღვეხელი და ხაჭაპური. სხვათა შორის,
ცოტა ხნის წინ ჭორვილაში, ბიძინას
ქველმოქმედებით აშენებულ სკოლაში
ვიმყოფებოდი. რატომღაც, სკოლის სას-
ადილოშიც შევედი და... დამხვდა დიდი
დარბაზი, სანიმუშო სისუფთავე, მრავალ-
ფეროვანი მენიუ და ეს ყველაფერი
უფასოდ ურიგდება მოსწავლეებს. ძა-
ლაუნებურად, საირხის სკოლის ბუფეტი
გამახსენდა და გამეღიმა...



ბადრი ივანიშვილი, ვასილ წერეთელი, ბიძინა ივანიშვილი და გაითხ დვალი. 1972 წ. სექტემბერი

შახველსა და ყვანის სახელებს ანუ ჩემი ადგილი „მე ზეთი“ ზეიანი სახელებს

„გზის“ წინა ნომერში „საპატარძლოს“ რუბრიკით „მის ბიკინი“ ნონა დიპლომატი წარმოგიდგინეთ, რომლის ინტერვიუს ნაკითხვის შემდეგ, უამრავი მამაკაცი გამოგვეხმაურა (არა მარტო მამაკაცი) და „ესემესებით“ ტელეფონი „ამიფეთქა“. ნონასთან შეხვედრის სურვილი ბევრმა გამოთქვა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთს — ზვიად ლილუაშვილს გაუმართლა. ნონასა და ზვიადის შეხვედრა ჩვენთან, რედაქციაში შედგა. სანამ მათ ინტერვიუს წარმოგიდგინებ, მანამდე ნონას თაყვანისმცემლების მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.

სოფო ჭონიშვილი

„გამარჯობა, საქართველოს მშვენიერო დედოფალო! შენი ფოტოების ნახვისას, სურვილი გამიჩნდა, ახლოს გიცნობდე. თაყვანს გცემ. იმედია, შეემხიანები“.

„ნონა, ძალიან კეთილი, ჭკვიანი და ლამაზი გოგონა ხარ, გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ირაკლი“.

„ნონა, მეც სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ. ხოტბას ვასხამ შენს სილამაზეს. მშვენიერი ხარ. ღმერთი გფარავდეს. მაია“.

„უცხოეთიდან გიმესიჯებთ. ახლა უურნალ „გზას“ ვკითხულობდი და ნონას ინტერვიუს წავანყდი. მართლაც, არაამქვეყნიური სილამაზე აქვს. ნონა, ვიცი, რომ დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი, მაგრამ... წარმატებას და ლამაზი ოჯახის შექმნას გისურვებ. ლუკა 23 წლის“.

„ნონა, ისე ძალიან მომწონხარ, კაცი რომ ვიყო, ცოლად შეირაგებდი. ნატალი“.

„დღემდე შენი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. უურნალ „გზის“ აქტიური მკითხველი ვარ. შენი ფოტოები მომე ვნახე, გული შემიქანდა. ლამაზი ქალი ბევრი მინახავს, მაგრამ შენ მათზე ბევრად უფრო მშვენიერი ხარ. ვარ 24 წლის, 185 სმ, სპორტული აღნაგობის. თუ სურვილი გაგიჩნდება, დაამკავშირდი“.

„გამარჯობა, სოფო, იმედია, ამ „ესემეს“ დაამბეჭდავ და ნონაც წაიკითხავს. ნონა, ძალიან ლამაზი და საყვარელი გოგონა ხარ, მე კი ერთი უბრალო ბიჭი ვარ, რომელსაც განსაკუთრებული არაფერი აქვს. შენთან მეგობრობა მინდა. რის გამოც ყველაფერს გავაკეთებდი. იმედია, უპასუხოდ არ დამტოვებ. ლუკა“.

„გარეგნობით ლა-

მაზი ხარ, სულიერად კიდევ უფრო მშვენიერი. მიხარია, პიროვნებას მისი ადამიანობით რომ აფასებ და არა იმით, თუ რამდენი ფული აქვს. შენი თაყვანისმცემელი. თენგი“.

„პრივეტ“, ნონა! შენზე ფიქრებმა გამაგიჟა, ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ოცნება მაქვს — მინდა, ახლოს გიცნობდე. გთხოვ, დაამიხსიჯე. ძალიან მიყვარხარ, შენი ფანი ვარ“.

„დიდი ბოდიში, მაგრამ უურნალი „გზა“ პირველად ნონას გამო შევიძინე. თუ ამ მესიჯს არ დამბეჭდავთ, „გზას“ აღარ ვიყიდო. ძალიან მაგარი, ეფექტური გოგონა. უურნალის გარეგანს რომ შეხვდეთ, გული შემიქანდა. მიყვარხარ“...

„ეჰ... ვინ მომცა იმის ბედი, რომ ნონამ მე ამიჩიოს?! თუმცა — ცდა ბედის მონახევრეაო, — გამოვიჩინე. ამიტომაც გადავწყვიტე, ბედი მეცადა. სამწუხაროდ, არ გამომართლა. ჯერ არაფერ შემხიანებია. ეს უკვე მესაბე მესიჯია“.

ნონა

— ზვიად, სასიამოვნოა, რომ გაგიცანი. თამაში და გაბედული მამაკაცები ძალიან მომწონს. მაინც რატომ გადაწყვიტე, რომ პირისპირ შეხვედროდი?

— საერთოდ, ძალიან გულლია და პირდაპირი ადამიანი ვარ. სათქმელს ყოველთვის დაუფარავად ვამბობ. რატომ მოვიხდომე შენთან შეხვედრა? მგონი, ამას კითხვა არ სჭირდება. უმშვენიერესი გოგონა ხარ. ინტერვიუსი ამბობ, მამაჩემი სპეცრაზმში მუშაობსო. მეც სპეცრაზმელი ვარ. მამა რომელ დანაყოფშია?

— სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცი. ერთი ის ვიცი, რომ მამას მთელი ცხოვრება ფორმაში ვხვდავ. სიმართლე გითხრა, ჯარისკაცები არ მიყვარს. თუმცა ადამი-



ანს გააჩნია.

— როგორც ვიცი, კონკურსზე — „მის მსოფლიო ბიკინი“ მიემგზავრები...

— ეს კონკურსი ტალიანდში ტარდება. ახლა იქ რაღაც არეულობაა და კონკურსიც გადაიდო. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, როდის ჩატარდება, რაც ძალიან მახარებს, რადგან წასასვლელად ჯერჯერობით მზად არ ვარ.

— ასეთი ლამაზი გოგონა მარტო არ იქნები, ალბათ შეყვარებული გყავს, არა?

— მყავს მეგობარი ბიჭი, მაგრამ ოჯახის შექმნა ჯერჯერობით არ მაქვს გადამწყვეტილი.

— ძალიან კარგი. სამომავლოდ რას აპირებ? ბოლომდე მოდელობას გინდა გაჰყუ?

— ძალიან მინდა, მოდელობას გავყვე და ამით დიდ წარმატებას მივალნიო, მაგრამ ეს საქართველოში შეუძლებელია. სამოდლო ბიზნესი აქ არ არსებობს. გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი საქმიანობა საზღვარგარეთ გავაგრძელო, ოღონდ — გარკვეულ ასაკამდე. მერე კი მინდა, ბიზნესლენი გავხდე. ეს ჩემი ბავშვობის ოცნებაა.

— ოჯახის შექმნას როდის აპირებ?

— ჯერ ამ საკითხზე საერთოდ, არ ვფიქრობ. ძალიან მაკვირვებს ის, რომ საქართველოში ბევრი გოგონა ცდილობს ადრეულ ასაკში გათხოვდეს. მიმაჩნია, რომ ოჯახი 25-დან 28 წლამდე ასაკში უნდა შექმნა. ეს საამისოდ ყველაზე იდეალური ასაკია. მანამდე კი ცხოვრება უნდა ნახო (იცინის) დაიხვეწო და ჩამოყალიბდეს. როცა ბავშვობას და თავისუფლებას ადრეულ ასაკში ემშვიდობები, ეს ცუდია.


— ნონა, როგორი დიასახლისი იქნები?

— სამწუხაროდ, სადილების მომზადება არ ვიცი. სულ რამდენიმე კერძია, რომლის მომზადებაც ვიცი. რაც შეეხება დალაგება-დასუფთავებას, — ეს ყველა ქალს შეუძლია. ჯერჯერობით დიასახლისობით ვერ დავიკვები. როცა საჭირო იქნება, ყველაფერს ვისწავლი. ამჟამად, ოჯახში მთავარი დიასახლისი — დედაჩემია.



— დედა ქართველი გყავს?
 — არა. დედაჩემს სხვადასხვა სისხლი ურევია: უკრაინული, ბულგარული და რუსული...
 — იმიტომაც ხარ ასეთი მშვენიერი. მამა რომელი კუთხიდან არის?
 — იმერელია. მამაჩემი სუფთა ქართველია!
 — სოფელი თუ გაქვთ იმერეთში?
 — კი, მაგრამ იქ სამწუხაროდ, ნამყოფი არ ვარ. თერჯოლის რაიონია, სოფელი ალისუბანი. ახლა იმ სახლში, როგორც ვიცი, შორეული ნათესავები ცხოვრობენ.

— მეც თერჯოლიდან ვარ.
 — მამა ამბობს, იქაურობა ძალიან ლამაზიაო. მინდა, ერთხელ ჩავიდე და მოვინახულო.
 — პრობლემა არ არის, ჩემთან დაგპატიჟებ.
 — დიდი მადლობა! ზვიად, ძალიან მაინტერესებს ის მესიჯი, რომელიც გამომიგზავნე: რას მწერდი?



— თინეიჯერები რომ წერენ, ისეთი მესიჯი არ გამომიგზავნია. ყველაფერი ორი სიტყვით დაგწერე: რომ ვარ კეთილი და ყურადღებიანი მამაკაცი.
 — სიმართლეს გეტყვი: ახალი თაობის მამაკაცები ცოტა უტაქტოები არიან. ხშირად, როცა ქუჩაში მხედებიან, უნდათ, რომ რალაც მითხრან, გაიპრანჭონ და ამ დროს, ცუდად გამოსდით. შენ რას იტყვი?
 — გეთანხმები, შენი ასაკის ბიჭებიცა და გოგონებიც არასერიოზულები არიან. თინეიჯერი გოგონები ძირითადად, ერთმანეთს ჰგვანან, ერთნაირად აცვიათ. ბიჭები ნაკლებად გაბეღულები არიან.
 — აგვისტოს ომის დროს იბრძოდი?
 — ნიქოზში ვიბრძოდი. საშინელება ხდე-

ბოდა. ალბათ 100 წელი ვიცხოვრებ, რაც იმ ხალხისგან ლოცვა მივიღე. უამრავი ადამიანი გადავარჩინე, მათ შორის — ერთი პატარა გოგონა, რომელიც რუს ხელიდან გამოვტაცე. მართლაც საოცრება იყო.
 — ზვიად, როგორი გოგონები მოგწონს?
 — ქალი თბილი და „გაგებული“ უნდა იყოს. მხიარული ადამიანი ვარ, მიყვარს ქეიფი, დროს ტარება. ამ ყველაფერში ჩემმა მეუღლემ უნდა გამიგოს.
 — „აზიატი“ მამაკაცი ხარ?
 — არა. კომპლექსები არ მანუხებს. ქართულ ტრადიციებსაც პატივს ვცემ, თუმცა

არის ისეთი ტრადიციები, რომლებიც ძალიან მოძველებულია და შეუძლებელია, დღეს მათი დაცვა.
 — ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობ?
 — როგორ არა?! ყველაზე მეტად, ოჯახის შექმნა მინდა.
 — 32 წელი ძალიან კარგი ასაკია, იმისთვის რომ ოჯახი შექმნა. შეყვარებული არ გყავს?
 — არა, ჯერჯერობით გულის სწორი ვერ ვიპოვე.
 — არ არის პრობლემა, ჩემს სააგენტოში სპეციალურად შენთვის, კასტინგს ჩაგაატარებ. რეკლამას გაგიკეთებ, ვიტყვი, რომ შესანიშნავი ადამიანი ხარ და საცოლეს ეძებ (იცინის).

— დიდი მადლობა!
 — ისე, რომ ვიცოდე, როგორი გოგონები მოგწონს?
 — ზოგჯერ ქუჩაში გოგონა დამინახავს და ისე მომწონებია, მიფიქრია, ახლავე ვთხოვ, ცოლად გამომეყვეს-მეთქი... მთავარია, მომეწონოს. მნიშვნელობა არა აქვს, განათხოვარი იქნება თუ შვილები ეყოლება. მთავარი — სიყვარულია. სიყვარულის გულისთვის ნებისმიერ რამეს გავაკეთებ.
 — საინტერესოა (იცინის). ეს ყველაფერი დღეს იშვიათობაა. სასიამოვნოა, როცა ქალს, მამაკაცისგან ასეთი რაღაცები გესმის.
 — ნონა, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა ჩემზე?
 — ძალიან კარგი ადამიანი ხარ, ნამდვილი ქართველი მამაკაცი, რისი ნაკლებობაც დღეს ნამდვილად არსებობს. მიხარია, რომ კიდე არსებობენ მამაკაცი, რომლებსაც ვუაქაცობა არ დაუკარგავთ.
 — დიდი მადლობა. ასეთი კომპლიმენტი შენი მხრიდან ჩემთვის სასიამოვნოა.

— შენ როგორ შემაფასებ?
 — უმშვენიერესი ქალბატონი ბრძანდები, გარეგნულადაც და შინაგანადაც. დღევანდელი გოგონებისგან განსხვავებული, თავისუფალი, გახსნილი და უკომპლექსო.
 — მიხარია, რომ ასე მაფასებ!
 — გიყვარს, როცა მამაკაცი ვარდებს გჩუქნის?
 — ძალიან რომანტიკული ვარ. პატარა-პატარა სიურპრიზები მახარებს და ბედნიერს მხდის.
 — წარმატებას გისურვებ — პირად ცხოვრებაშიც და კარიერაშიც.
 — გმადლობ. მეც ყოველივეს კარგს გისურვებ.

გაპოვიდა დეპუტატის ნომერი

თქვან სოპ გაპოვნებიანი
გკითხვალი ბრკანდებით...

№12
12 2008
აპრილი

ლიხთაქუჩული

პრობა

- ვემ ღმინაძე
- სოფი ტყეშელაშვილი
- სოსო მალაქაძე
- ანა ჩიქოძე

პოეზია

- ვაჟა ხაშაძე
- ი. ჯიქია
- ლეო ქვიციანი
- ვახტანგ მუხომბე

თარგმანი


- ვიქტორ ჰაიკო
- ანა კვინიტაძე

დრამატურგია

- მარტო მარტო
- მარტო მარტო

შოთა და პანთეონის როანი და პოლიტიკოსის პიროვნული პროზა

შოთა მალაშვილი გა-
ნათლებით ეტიმო-ნეგრო-
პათოლოგია, მაგრამ
პოლიტიკურად აქტიური
ცხოვრების გამო, საკუ-
თარი პროფესიით აღარ
მუშაობს. მართალია, თა-
ვად პრაგმატიკოსობას
იბრალებს, მაგრამ აშკარად
რომანტიკოსია. უყვარს
პოეზია, სჯერა სიყვარუ-
ლის მარადიულობის, აღმ-
ერთებს შვილებს და ოც-
ნებობს გაერთიანებულ საქართველოზე — დღემდე დიდი
სიყვარულით იხსენებს მათემატიკის მასწავლებელს — ქალ-
ბატონ ლენას, რომლის წყალობითაც, გულჩათხრობილი და
ყველასათვის შეუმჩნეველი შოთა მალაშვილი ერთ წელიწადში
საუვეტესო და სხვებისთვის მისაბამ მოსწავლედ გადაიქცა.
ნოსტალგია აქვს იმ პერიოდის მიმართ, როდესაც ჯერ
კიდევ ძალიან ახალგაზრდას, დედა და დები ანებივრებდნენ.



ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო შოთა, მეუღლე არ
განებივრებთ?

— როგორ არა?! მისი მხრიდან
განებივრებად მივიჩნევ იმას, რომ ოჯახში
მყუდრო გარემოს მიქმნის. მე და ჩემი
მეუღლე ტემპერამენტითა და საგნების ხე-
დვის თვალსაზრისით, ერთმანეთს ძალიან
ვგავართ. ის პროფესიით სპარსული ენის
სპეციალისტია და უნივერსიტეტში ლექციე-
ბს კითხულობს. გვყავს სამი შვილი, რომელ-
თა შორის ასაკობრივი სხვაობა თითო
წელია. ძალიან მომწონს ის ფაქტი, რომ
ბავშვებთან ჩხუბი ჩემს მეუღლეს უწევს, მე
ამ მიმე ტვირთისაგან თავისუფალი ვარ.
უფროსი ბიჭი უკვე 11 წლის არის და
ძალიან კარგად ერკვევა სამხედრო სფერო-
ში, სულ ზეპირად იცის, რა ტიპის შე-
იარაღება აქვს რუსეთს, საქართველოს
და ამერიკას. ჯერ კიდევ აგვისტოს ომის
დანწყებამდე წუნუნებდა — რად გვინდა,
ამდენ ბომბდამშენს რომ ვყიდულობთ?
ჯობია, ავიაგამანდგურებლები შევიძინო-
თო. მიხარია, რომ რაღაც საკითხებში უკვე
ჩემზე მეტი ცოდნა აქვს.

— ოჯახი სიყვარულით შექ-
მენით?

— კი. სხვათა შორის, ვიდრე ცოლად
მოვიყვანდი, ძალიან ავად იყო, ინფექცი-
ურ საავადმყოფოში, სეფსისის დიაგნოზით
ინვა. ვუძეკურნალე, საავადმყოფოდან გამ-
ოვიყვანე და ორ თვეში ცოლად შევიერთე.

— მერე კიდევ იტყვი, რომან-
ტიკოსი არ ვარო?..

— არა, რომანტიკოსი მართლა არ ვარ.
უბრალოდ, რაღაც-რაღაცებს ემოციურად
განვიცდი.

— ძირითადად, რა ლიტერატუ-
რას კითხულობთ?

— ძირითადად, ახალგამოჩენილი მწ-
ერლების შემოქმედებას ვკითხულობ. ამ
ეტაპზე, ჩემთვის მოდური მწერალი პაო-
ლო კოელიოა. პოეტებიდან ტერენტი გრანე-
ლი მიყვარს და ძალიან განვიცდი, რომ
მისი შემოქმედება სათანადოდ არ არის
დაფასებული. მე რომ რეჟისორი ვიყო,
გრანელზე ფილმს გადავიღებდი. ამ ად-
ამიანს თითოეულ ლექსში ღრმა ფილოსო-
ფია აქვს ჩადებული. „არა სიკვდილი, არა
სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“... — მარ-
ტო ამ ერთი ფრაზისთვის უნდა ელიარე-
ბინა მსოფლიოს მისი გენიალობა. სხვა
ყველა სიკეთესთან ერთად, დიდი პატრი-
ოტიც იყო. საქართველოს „განათლებას“
ვერ გაუძლო და ფსიქიკური აშლილობა
დაეწყო.

— თქვენ თუ ვარდებით ხოლმე
დეპრესიაში?

— არა, ცხოვრებაში შექმნილი პრობ-
ლემები უფრო ბრძოლისუნარიანს მხდის.
ჩემთვის პრობლემების გადალახვა ერთგ-
ვარი აზარტიც კია. მე და ჩემს მეუღლეს
ქორნიებიდან სამი წლის განმავლობაში
შვილი არ გვიჩნდებოდა, მაგრამ დარწმუ-
ნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან, უეჭვე-
ლად გავხდებოდი მშობლები. ასეც მოხ-
და. მერე ისიც ვიცოდი, რომ ტერიტორი-
ული მთლიანობის საკითხებზე მომინვედა
შეუბობა და თავადაც იცით, რომ ამ სა-

პარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ვარ.
ახლა ჩვენს ქვეყანაში რთული ვითარებაა,
მაგრამ გარწმუნებთ, მალე ყველაფერი მოგ-
ვარდება და დაკარგულ ტერიტორიებს
დავიბრუნებთ... უსუსურად მხოლოდ მა-
შინ ვიგონებ... უსუსურად მხოლოდ მა-
შინ ავადმყოფობის ამბავი შევიტყვე. ჩემთვის
რომ ჩემთვის ძვირფას ადამიანს ვერაფ-
რით დავხმარებოდი და ძალიან განვი-
ცადე.

— თქვენს დას რა სჭირდა?

— ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა და
ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა, 44 წლის
ასაკში ხელიდან გამოგვეცალა. სწორედ
მაშინ დაიღუპა, როდესაც რუსეთი
საქართველოს ანექსიას ახორციელებდა.
მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ძალიან
ცუდად იყო, მაინც ქვეყანაში შექმნილ
რთულ ვითარებაზე დარდობდა. ამ ქვეყ-
ნიდან ისე წავიდა, რომ საქართველოზე
დარდი თან გაჰყვა.

— ტერიტორიული მთლიანობის
აღდგენის იმედი მართლა გაქვთ?

— წელიწად-ნახევრის წინ გამოვიდა
ჩემ მიერ დანერგილი ანგნი, რომელშიც
დეტალურად აღწერილი აღწერილი — თუ რა
სამართლებრივი ბერკეტები უნდა გამოე-
ყენოთ და რომელ საერთაშორისო სასა-
მართლოებს უნდა მივმართოთ იმისათვის,
რომ საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობა აღვადგინოთ. დღეს ამ მიმა-
რთულებით რეალური ნაბიჯებია გადა-
დგმული.

— რა ნაბიჯებს გულისხმობთ?

— მსოფლიო რუსეთი კონფლიქტის
მონაწილე მხარედ აღიარა. დასავლეთმა,
მსოფლიო კრიზისის დროს ოთხ-ნახევარი
მილიარდი დოლარი გამოგვიყო. ეს იმას
ნიშნავს, რომ არსებულ კრიზისს, ჩვენ დან-
არჩენ მსოფლიოსთან ერთად დავძლევთ,
რუსეთს კი სერიოზული პრობლემები შე-
ექმნება და საქართველოსათვის ტერიტო-
რიების წართმევის თავი აღარ ექნება. წარ-
მომიდგენია, რა დიდ ტკივილს განიცდიან
ის ადამიანები, ვისაც აგვისტოს მოვლენ-
ების დროს ახლობელი დაეღუპა ან სახ-
ლი დაეკარგა და დევნილად იქცა. მათთვის
შესაძლებელია, უსიამოვნო მოსასმენი იყოს,
რასაც მე ვამბობ, მაგრამ საერთო ფაშში,
პროცესები ჩვენს სასარგებლოდ ვითარდებ-
ა. წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ სახლი,
მოდის სამშენებლო კომპანია და ძველის
ნაცვლად ახლის აშენებას გპირდებათ. თუ
სახლს მშენებლობის პერიოდში შეავლეთ
თვალს, შეიძლება გული გაგისკდეთ, მა-
გრამ როდესაც უკვე აშენებულს ნახავთ,
კმაყოფილი დარჩებით.

— აშენებულ სახლს როდის
ენახავთ?

— იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე.
ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რუსე-
თი ეკონომიკურ კრიზისის ალმოჩნდეს.
ავღანეთის ოკუპაციისათვის საბჭოთა კავ-
შირის დაშლას მხოლოდ რვა თუ ათი
წელი დასჭირდა. ამ შემთხვევაში, რუსე-
თის დასაშლელად ამდენი დროც აღარ
არის საჭირო.

— ევროპამ, რომლის მიმართაც

თქვენ ასე იმედიანად ხართ განწყობილი, ბოლო დროს, რუსეთის მისამართით საგრძნობლად დაითბო ტონი; ქართულ მხარეს კი ომის დაწყებაში ადანაშაულებს...

— ასეთი ტენდენცია მოსალოდნელიც იყო, იმიტომ, რომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო მასშედიდა და პოლიტიკა სრულად მოიცვა. ობიექტური მასშედიდა ქართულ და რუსულ მხარეს თავის მართლების საშუალებას თანაბრად აძლევს. მალე საერთაშორისო ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფი ყველაფერს გამოიძიებს და მტყუან-მართალიც გამოჩნდება. მთავარი ის არ არის, ვინ გაისროლა 7 აგვისტოს პირველმა. რუსების საქციელი იცით, რას ჰგავს? საკუთარ ბინაში შემოვარდნილი ყაჩაღების ხროვას იარაღი რომ წავართვათ, მათ კი პრეტენზია გამოგვიცხადონ — რატომ განგვიარაღეთ, იქნებ, ჩვენ სულაც არ ვაპირებდით სროლასო. კუშნერმა, მეთიუ ბრაიზამ და საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ეს იყო რუსეთის მიერ დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც მიზნად საქართველოს ანექსიას და ადგილობრივი ხელისუფლების დამხობას ისახავდა.

— ბატონო შოთა, თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან რამეს

— მიუხედავად იმისა, რომ მაგ დროს, ჩემი და უკვე მძიმედ იყო, თბილისსა და სამეგრელოს შორის ვიყავი გაბმული. ხან ტელევიზიით გამოვდიოდი და განცხადებებს ვაკეთებდი, ხან სესიაზე ვიჯექი და ხანაც კონფლიქტის ზონებში დავდიოდი. მდგომარეობას კიდევ უფრო მირთულებდა ის ფაქტი, რომ ჩემი შვილები ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. ბავშვები წალენჯიხის რაიონში დასასვენებლად წავიყვანე და სულ რამდენიმე დღეში, რუსების ალყაში მოექცნენ. ჩემმა გოგონამ თბილისში წამოსვლა დაიჟინა, უარი ვერ ვუთხარი და წამოვიყვანე. გზაში სწორედ იმ დროს აღმოვჩნდი, როდესაც გორი დაიბომბა. ჩემმა შვილმა საკუთარი თვალით ნახა დამწვარი მანქანები და პანიკაში ჩავარდნილი ხალხი.

— ხშირად ამბობენ: პოლიტიკა ბინძური საქმეა და ვინც პოლიტიკაში მოსვლას გადაწყვეტს, მას მარტორქაზე თხელი კანი არ უნდა ჰქონდესო. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

— მე ისიც გამიგია — „არ შეიძლება ტალახში იქექებოდე და შენ სუფთა დარჩეო“, მაგრამ ასეთი გამოთქმაც არსებობს — „ჭეშმარიტად ზღვა უნდა იყო, ოდეს ბინძური მდინარე შეიერთო და არ ნაიბილწო“. ასე რომ, არჩევანი ყოველთვის გვა-

საქმედ გეგვინებთ, ამ სფეროში მოღვაწეობა რატომ გადაწყვიტეთ?

— პოლიტიკურ მოღვაწეობაზე არასოდეს მიფიქრია, უბრალოდ, როგორც რიგითი ქართველი, ეროვნულ-განმანათვისუფლებელი მოძრაობის მიერ ჩატარებულ საპროტესტო აქციებში ხშირად ვმონაწილეობდი. როდესაც ხელისუფლებაში ეროვნული მთავრობა მოვიდა, „ლუჩკომბინატის“ ლაბორატორიაში ჩემი პროფესიით გავაგრძელე მუშაობა, მაგრამ მერე ქვეყანაში ისე დაიძაბა ვითარება და გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ პროვოკაციული აქციები დაიწყო. მაშინ, ცხოვრებაში პირველად, პოლიტიკური სტატია დავწერე. 1992 წლის გადატრიალების შემდეგ, „ეროვნული ხსნის მოძრაობა“ დავაფუძნე და მშვიდობიან, საპროტესტო აქციებში ვმონაწილეობდი. შემდეგ მე და ჩემმა თანამოაზრეებმა ეს მოძრაობა ქრისტიან-კონსერვატიულ პარტიად გადავაკეთეთ. მე ორგანიზაციის თავმჯდომარე გახდედი. ჩვენი ძირითადი ამოცანა მაშინაც კონფლიქტების მოგვარება გახლდათ. ამ მხრივ სერიოზული სამუშაოები ჩავატარეთ, მაგრამ შევარდნაძის მმართველობის დროს ქვეყანაში სულ სხვა ტენდენციები იყო და ტერიტორიული პრობლემის მოგვარება არავის ანალღებდა. როდესაც „მოქავშირი“ დაიშალა, ჩემი და ზურაბ ჟვანიას გზები გადაიკვეთა. მას საკუთარი პარტიის ჩამოყალიბება უნდოდა, მაგრამ რეგისტრაციის დროს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მე შევეთავაზე, რომ ადგილობრივ არჩევნებში ჩვენი პარტიის სახელით მიეღო მონაწილეობა. ასეც მოიქცა და შვიდ თუ რვაპროცენტიანი ბარიერი გადალახა. მე და ზურა თანდათან დავახლოვდით და საბოლოოდ, „ბურჯანაძე და დემოკრატების“ სიაში აღმოვჩნდით.

— საპროტესტო აქციაში მონაწილეობის დროს, პოლიციას თუ დაურბევინართ?

— ძალიან ხშირად. ერთ ამბავს მოგიყვებით: 1995 წელს შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ აქციას ვაწყობდით. პოლიციამ ზვიად გამსახურდიას სახლთან ახლოს, გალის ქუჩაზე დაგვაპატიმრა და ორთაჭალის ციხეში ორკვირიანი პატიმრობა გამოგვინერა. ჩვენ შიმშილობა გამოვაცხადეთ. მაშინ დედაჩემი ცუდად იყო, მაღალი წნევის გამო, თავს შეუძლოდ გრძნობდა და ლოგინში იწვა. ტელევიზიები ჩვენი პატიმრობისა და შიმშილობის ამბებს ყოველდღე გადმოსცემდნენ. არ მინდოდა, რომ დედას ჩემი პატიმრობის ამბავი გაეგო და ენერვიულა, ამიტომ ნათესავებს ვთხოვე, როგორმე საინფორმაციო ვაკუუმში მოექციათ. მე ციხიდან დაფურეკე და ვუთხარი — ქორწილში ვარ და რამდენიმე დღე ვერ ჩამოვალ-მეთქი. იცით, რა მითხრა? — აქ, შვილო, ისეთი არუელობაა, ჯობია, დიდხანს დარჩე მანდ, სადაც ხარო. დედა ისე გარდაიცვალა, რომ ჩემი ციხეში ყოფნის ამბავი არ გაუტია.

მდგომარეობას კიდევ უფრო მირთულებდა ის ფაქტი, რომ ჩემი შვილები ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ...



თუ ნაწილად?

— მხოლოდ იმას ვნანობ, რომ სამედიცინო საქმიანობას თავი დავანებე. ჩემი ხელმძღვანელი ფიქრობდა, რომ ჩემგან კარგი ექიმი გამოვიდოდა. ძალიან განვიცადე, აგვისტოს მოვლენების დროს, სხვა ექიმებთან ერთად, ქართველი ბიჭების დახმარებისა და მკურნალობის საშუალება რომ არ მომეცა.

— აგვისტოს მოვლენების დროს თქვენ სად იყავით?


ქვეს. მე ჩემს საქმიანობაში აბსოლუტურად გულწრფელი და სუფთა ვარ. ხალხს ხშირად ჰგონია, რომ სოხუმიდან დევნილი ვარ და ეს ძალიან მახარებს. დევნილების ტკივილი ისე გავითავისე, როგორც პირადი ტრაგედია. როდესაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოგვარდება, პოლიტიკა ძალიან მოსაწყენი საქმე გახდება, ამიტომ გაგრაში წავალ და იქ ჩემი პროფესიით ვიმუშავებ.

— თუ პოლიტიკა მოსაწყენ

ინფორმაციულ-ჰეპტანატი
კოლაჟი

ყუბნალისცილ
უბის ნიგნაკიან:

1. წყალბურთის სამშობლო დიდი ბრიტანეთია.
2. ნაპოლეონი 27 წლის ასაკში გახდა გენერალი.
3. ბეთჰოვენმა მთელი თავისი ქონება ძმისშვილს დაუტოვა.
4. ბეტმენი გოტჰემში ცხოვრობდა, სპაიდერმენი — ნიუ-იორკში.
5. ატომური წყალქვეშა ნავი დღეს ყველაზე სრულყოფილი იარაღია.
6. რომის იმპერიის მოსახლეობის ერთ მესამედს მონები შეადგენდნენ.
7. ბეჭდოთის ნაშეიერი ხშირად წყალქვეშ ყოფნის დროს წოვს ძუძუს.
8. მსოფლიო მასშტაბით ყველაზე ხშირად, პიკასოს ტილოებს იბარავენ.
9. წყალქვეშა ფლოტის ტრადიციებში არ შედის მოწინააღმდეგის ტყვედ აყვანა.
10. პიგმეებს არასოდეს გამოუყენებიათ ნაგები. ისინი მდინარეზე ბაგირის ხიდებს აგებდნენ.
11. როდესაც სტუმართან არაფერი აქვთ სასაუბრო, მას ოჯახურ ალბომს აჩვენებენ ხოლმე.
12. ტერმიტებს რამდენიმე წელიწადში შეუძლიათ ადამიანის საცხოვრებელი სახლის დანგრევა.
13. „სელიოდაკა“, კარტოფილი, ხაზვი, არაყი, ლუდი — ასეთი გახლავთ რუსული „მეფური“ საუზმე.
14. ალექსანდრე დიუმე დიდი გურმანი იყო. დიდი კულინარიული ნიგნი მას დაუმთავრებელი დარჩა.
15. „არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრული ტანისამოსი“, — ამბობდა კოკო შანელი.



16. ანტარქტიდა ყველაზე მშრალი კონტინენტია. იქ იმდენივე ნალექი მოდის წლის განმავლობაში, რამდენიც საჰარაში.

17. პლაჟის ფრენბურთში ნაქცევის შემდეგ, ნებადართულია


წყლით თვალბის ამობანა. ამ სპორტში სასპარეზო მოედანი წმინდა ქვიშით არის დაფარული.

18. სპარტაკმა, რომელიც ბრძოლის დროს, კრასუსამდე მიღწევას ლაშობდა, ორი ცენტურიონი მოკლა ერთი დარტყმით და სწორედ მაშინ აკუნეს.


19. თბილისიდან ზესტაფონამდე თურქული ახალბედა დააგეს, წვიმის დროს დასველდა და გორამდე დამოკლდაო, — ჰყვებოდა საკუთარ შოუში ნიკა ქავთარაძე.

20. „ს ლუკომ, ს იაიცამი, ნო ნე პერაკოკ“ — ამ გამოცანის პასუხი, ეგვენი პეტრო-

რაც ვერ აწვებს ოჯახურ ურთიერთობებს მარინა სლოუქვაძე



„არ ვიცი, ვინ არის მისი ქმარი. მაგრამ მისი ნამდვილად არ მშურს“



6060 მკელმევილი

— ამ პიროვნების პოროგოპიდან ირკვევა, რომ ნარმატებების მომტანი პლანეტა ოუპიტური აქვს სასწორის ზოდიაქოს ნიშანში, ურანიც — სასწორის ზოდიაქოს ნიშანში და სატურნი — კუროს ზოდიაქოს ნიშანში. ეს სამი კომპონენტი მიუთითებს, რომ ამ ადამიანის განვითარებისთვის ყველაზე კარგია ორი გზა: ხელოვნება და იურისპრუდენცია ვერა — პლანეტა, რომელიც ხელოვნებას განაგებს, მას აქვს ლომის ზოდიაქოს ნიშანში ანუ ნებისმიერი დამოკიდებულება ხელოვნების ნებისმიერ სფეროსთან, მათ შორის შოუ-ბიზნესთანაც კი, ასეთი ადამიანისთვის მაქსიმალური სიმპათიისა და ავტორიტეტის მომტანია. მიუხედავად იმისა, რომ ქალწულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული, აქვს თხის რქის ზოდიაქოს თვისებებიც ანუ ის არის ძალიან კარგი ორგანიზატორი, ნებისმიერ სიტუაციაში ძალიან კარგად ხედავს პრობლემების გამომწვევ მიზეზს. აქვს უნარი, საკმაოდ ზუსტად შეაფასოს თავისი მტრის სუსტი მხარე და შემდგომ ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ესეც მისი ძლიერი მხარეა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ასეთი ადამიანისთვის დამახასიათებელია გარკვეული წინასწარი შფოთვა მოვლენათა შემდგომი განვითარების თაობაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთ ადამიანს ყოველთვის ეშინია, რაიმე პრობლემას მოუშადავებელი შესვდეს და ამის გამო წინასწარ შფოთავს, სად შეიძლება გაჩნდეს პრობლემა და ეს აკარგინებს წარ-

გათავაზობთ ახალ რუბრიკას, ამ რუბრიკაში ცნობილი ადამიანების ცხოვრების უცნობ დეტალებს ასტროლოგის მეშვეობით შეიტყობთ. გამოკვლევის პირველ ობიექტად ჩვენი კოლეგა, ქალ ბატონი მარინა სლოუქვაძე ავირჩიეთ. მეტი ინტრიგისთვის და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ასტროლოგს უურნალისცხის ვინაობა არ გავუშოვეთ. 1969 წლის 16 სექტემბერს, 16 საათი და 30 წუთი, სქესი — ქალი ეს ის მონაცემებია, რომელიც ასტროლოგ დავით ბუშინაშვილს გავაცანთ და ამ ადამიანს ასტროლოგიური პროგნოზის გაკეთება ვთხოვეთ.

მატებების მისაღწევად აღებულ აუცილებელ ტემპს. მისი დაბადების მომენტში შავი მთვარე ანუ კარმული წერტილი პირად პოროგოპში იმყოფებოდა კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანში, ისევე, როგორც მზე იმყოფებოდა ქალწულში. ასეთი ადამიანისთვის წარმატებულია უცხოეთში მოღვაწეობა. სამშობლოში თავისი ცხოვრების ყოველ მეცხრე წელიწადს შესაძლოა, ამ ადამიანს გარკვეული პრობლემები ექმნებოდეს. შესაძლოა, თავადაც უკვირდეს — საიდან ჩნდება ეს პრობლემები და აუცილებლად უნდა ვუთხრა, რომ ეს კარმული ხასიათის პრობლემა ეს წინააღმდეგობები მან აუცილებლად უნდა დასძლიოს, რათა თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდეს. სულნა, ასევე კარმული წერტილი პოროგოპში მას აქვს ლომის ზოდიაქოს ნიშანში ანუ მისი კარმის რეალურიზაციის ობიექტები არიან ბავშვები. შეიძლება, ასეთმა ადამიანმა თავისი საქმიანობა პედაგოგიკას დაუკავშიროს. მისი ქველმოქმედების ობიექტები არიან ბავშვები. ეს ქალბატონი ხალხე პრაგმატული გონებით გამოირჩევა. კერძოდ, მას აქვს უნარი, ნებისმიერ სიტუაციაში ადვილად შეამჩნიოს წვრილმანები და შემდეგ ამ წვრილმანების დახმარებით, ძალზე სწორი და ლოგიკური დასკვნები გააკეთოს, მაგრამ ის პრობლემები, რომლებიც მას ცხოვრებაში ხვდება, მოითხოვს, უფრო მეტად მიენდოს საკუთარ ინტუიციას. თუკი ასეთი ადამიანი უჯერებს თავის იმპულსებს, ათიდან ცხრა შემთხვევაში, წარმატებულია.

— რითია გამოწვეული პრობლემა მის ცხოვრებაში?

— პრობლემები, რომელიც მის ცხოვრებაშია, თითქოს წინასწარ არის განერილი მის ბედში ანუ არა აქვს მნიშვნელობა, თვითონ როგორ იქცევა. თუ დააკვირდება, შეამჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში, პრობლემები თავს იჩენს 20 აპრილიდან 20 მაისამდე. ეს არის გამოცდები, რომელიც მან უნდა ჩაა-

ბაროს, მასთან ადვილად არაფერი მოდის, ყველაზე წარმატებული საქმე შეიძლება დაიწყოს სიძნელეების დაძლევით... ის ჩაცმის სტილითაც ახდენს გავლენას გარშემო მყოფებზე და მათ სიმბათიებს იწვევს.

მის უარყოფით მხარეებზე თითქმის არაფერი გითქვამთ...

— საურთიეროდ ყოველთვის არ არის განწყობილი. მაგალითად, ახალმთვარეობის პერიოდში შეიძლება მომეტებული ჰქონდეს გალიზიანების ხარისხი. შესაძლოა, ეს გალიზიანება ისეთ ემოციურ აფეთქებაში გადაიზარდოს, ისეთი ტკივილი მიაყენოს ადამიანებს, რომ მერე ინანოს კიდევ. საკმაოდ ადვილად კარგავს კონტროლს და შეიძლება, საქმე ნივთების მტკრევადეც კი მივიდეს. აზვიადებს წვრილმანებსა და დეტალებს და ამ დროს შეიძლება თვალთახედვის არედან გამოეპაროს ძალზე მნიშვნელოვანი რამ. ადამიანების შეფასების დროსაც დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას. კრიტიკულობაც მისი უარყოფითი მხარეა.

რამდენად ერთგულია?

— ოო, აქ საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ გვაქვს. უეცრად შეიძლება, ემოციური გაუცხოება დაეფულოს იმ ადამიანების მიმართ, ვისადმიც მანამდე ერთგულებას იჩენდა. ცვალებადი ხასიათი ხელს უშლის ურყევი კავშირების დამ-



ყარებაში. კავშირების რღვევაში ისევე და ისევე წვრილმანების გაზვიადება უწყობს ხელს.

როგორი მეუღლეა?

— აქ ორი უკიდურესობისადმი მიდრეკილება არსებობს. პირველი, მეუღლის მხრიდან მისთვის კომფორტის შექმნა ძალზე რთულია. კომფორტისადმი მოთხოვნილება ზედმინწევით აქვს განვითარებული, განსაკუთრებით ოჯახურ ურთიერთობებში. მოითხოვს, რომ თვითონ დომინირებდეს და ყველაფერი ისე იყოს, როგორც მას სურს. მეუღლე ყოველთვის ისე აღმერთებდეს, როგორც ეს ურთიერთობების დასაწყისში იყო ხშირ შემთხვევაში, ეს შეუძლებელია, მაგაჩი რამ მხოლოდ ლიტერატურულ რომანებშია აღწერილი, ცხოვრებაში კი სულ სხვანაირად ხდება. ამის გაგება მას უჭირს და ამის ნიადაგზე შეიძლება, სერიოზული ოჯახური კონფლიქტიც წარმოიშვას. მეორე, თუ მოახერხა და ქმარი ისე „გამოძერწა“, რომ ის მისი

სიახვის საგანი გახდა და მას ემორჩილება — ეს მოსწონს; ამ შემთხვევაში, ის შეუყვარდება, მაგრამ თუ ქმარი ენინალმდებება ამ პროცესს, კონფლიქტები გარდაუვალია ქმარი ისეთი უნდა იყოს, როგორც მას სურს: აკონტროლებდეს მის ჩაცმას, იმიჯს, ქცევას და ა.შ. არ ვიცი, ვინ არის მისი ქმარი, მაგრამ მისი ნამდვილად არ მშურს (იციინის).

ზოდიაქოს ნიშნებიდან რომელია მისთვის იდეალური პარტნიორი?

— მშვილდოსანი, სასწორი, მერწყული, ტყუპი და ლომი.

დიდი არჩევანი ჰქონია როგორი დედაა?

— შემძლია ვთქვა, რომ ასეთი ადამიანი თავის შვილებზე დიდ ფსონს ჩამოდის. ფინანსური და მატერიალური თვალსაზრისით, მაქსიმუმს დებს შვილებში და მაქსიმუმსვე მოეღის მათგან. შვილებთან მფლობელური მიდგომით გამოირჩევა მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები იზრდებიან, ის ყოველთვის მიიჩნევს — მისი შვილი მთლიანად მას ეკუთვნის.

როცა ამ ადამიანის ასტროლოგიურ პორტრეტზე მუშაობდით, ხომ არ გიფიქრიათ, ვინ შეიძლება ყოფილიყო, ჩვენი განხილვის ობიექტი?

— რომ გითხრათ, არა-მეთქი, მოგატყუებთ, ტყუის ვიჭყლტვი, მაგრამ ვერ მივხვდი. პოლიტიკოსი, არ უნდა იყოს. ალბათ, ხელოვანი და თუ ეს მართლაც ასეა, აუცილებლად წარმატებული იქნება. 2009 წელი მისთვის საკუთარი პროფესიონალიზმის საუკეთესოდ გამოვლინების წელიწადი იქნება. ეს წელი მას დიდ აღიარებას მოუტანს და თუ ხელოვანი არ არის, ეურჩევ, რამენაირად დაუკავშირდეს ამ სფეროს. ხელოვნებასთან კავშირი, თუნდაც მოყვარულის დონეზე, მას ნევროზის განაც კი განკურნავს.

ჩვენ ალბათ ვერ დავადგენთ, აქვს თუ არა ამ ადამიანს ნევროზი.

— ჯანმრთელობას რაც შეეხება, მიდრეკილება აქვს უშილობის, თავის ტკივილისა და ნევროზისადმი. ასეთი ადამიანი უნდა მოერიდოს ცხოვრების აჩქარებული ტემპს. მისი ორგანიზმი ასეთი ტემპის შესაბამისად გადაწყობას ვერ ასწრებს და ნერვული სისტემა ამაზე რეაქციას იძლევა... ძალიან მაინტერესებს, ვინ არის. ალბათ, გამომხელთ...

ეს გახლავთ მარინა სალუქვაძე.

— სასიამოვნოა... უცხოეთში გაუმართლებს, გადაეცით, რომ მისი პრობლემები საგვარეულო კარმასთან არის დაკავშირებული და ასეთი ადამიანი ვერასდროს აანყობს თავის ოჯახურ ურთიერთობებს. თითქმის რაღაც, მისგან დამოუკიდებელი ძალა უნგრევს ამ ურთიერთობებს. საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება აქვს მშობლებთან. შავი მთვარე ისეთ პოზიციაშია, როგორც მის ზოდიაქოს ნიშანშია, ხშირად აფუჭებს მშობლებთან ურთიერთობას. რომელიმე მშობლის ჩარევა მის ოჯახურ საქმეებში ურევს სიტუაციას. ასეთი ადამიანი შეიძლება, ძალიან მალე დასცილდეს რომელიმე მშობელს.

საინტერესოა, ყოველივე ამაზე რას იტყვის თქვენ ქალბატონი მარინა.

ნიუმოკაპსიულ-პეპსნეაჰიტიკოლაჟი

ყუნალისციკლის წიგნაკიდან:

სიანის მტკიცებით, რობინ ჰუდაი.

21. პირველი გადაღების წინ, რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ იური ნიკულინს უთხრა, გრიმი არ გჭირდება, ისედაც სულელური გამომეტყველება გაქვს, ოღონდ ხშირ-ხშირად ახამხამე თვალებიო.

22. „ეკიმმა მითხრა, მეტი აღარ დალიო, თორემ, მოკვდებიო. სამი დღის წინ გავიგე, რომ თვითონ მომკვდარა“, — ჰყვებოდა ოთარ რამიშვილი.

23. რესტავრატორებს შორის, დღესაც მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, გახადონ თუ არა ტანსაცმელი მიქელანჯელოს ფრესკის — „სამინელი სამსჯავროს“ პერსონაჟებს. ეს ტანსაცმელი შედარებით გვიან, XII-XIII საუკუნეებშია დახატული, მანამდე ისინი შიშვლად იყვნენ გამოსახულნი.


24. პეტერბურგში ნიკოლოზ გოგოლი ერთი დიდებულის ოჯახში მასწავლებლად მუშაობდა. მისი მოსწავლე გონებასუსტი ბავშვი გახლდათ, რომელიც თავის ქალის დაზიანებით იყო დაბადებული. მწერალი მის გვერდით იჯდა, მაგიდაზე გაშლილი ჰქონდა ნახატებიანი დიდი წიგნი და უკვე მერამდენედ იმეორებდა: „შეხედე, საშენკა, ეს არის ბატკანი — მევე, მევე! ეს არის ძროხა — მუუ, მუუ! ეს არის ძაღლი — აუ, აუ!“ და ასე შემდეგ, გაუთავებლად. ასეთი შრომით უწევდა მწერალს ლუკმაპურის შოვნა.

25. ერთ-ერთ უცხოურ ტელეარხზე, დოკუმენტურ ფილმში ორი ინგლისელი მოგზაური გოგო აჩვენეს, რომლებიც იმერეთის მთავარ გზატკეცილზე ერთ-ერთი სასადილოს წინ იდგნენ და გულიანად იცი-ნოდნენ. — რა გაცინებთ? — ჰკითხა მათ ოპერატორმა. — ჩვენ ახლახან აღმოვაჩინეთ ყველაზე საშინელი ტუალეტი მთელ ცენტრალურ აზიაში, — უპასუხეს მათ. მერე ერთმანეთს დაუწყეს ჩხუბი — არა, შენ აჩვენე ოპერატორს, არა, შენო! ბოლოს, ერთ-ერთმა დათმო, ოპერატორს წინ გაუძღვა, ცხვირზე თითები მოიჭირა, სასადილოსგან მოშორებით, ეულად მდგომი „ჩემის“ კარი გამოაღო და განაცხადა: აი, შეხედეთ!.. წარმოგიდგენიათ, აქაურები, ტუალეტის ქალაღდის ნაცვლად, გაზეთებს ხმარობენ. P.S. ასეა... კინემატოგრაფის, არქიტექტურის, სიმფონიური ორკესტრების, კულტურული ძეგლებისა და მდიდარი ისტორიის გარდა, სხვა კრიტიკრიუმებიც არსებობს ქვეყნის კულტურის შესაფასებლად.



იდიკოსთან და იდარიონთან დამეგობრებული „პრეზიდენტი“

ის სკოლაში ყველაზე კარგად ჰუმანიტარულ საგნებს სწავლობდა. დღეს „ჯიპა“-ში ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სპეციალობებს ეუფლება, თან „ფორმულა კრეატივში“ სცენარისტად მუშაობს, თან გადაცემებისთვის პაროდებს აკეთებს და მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დროის გამონახვასაც ახერხებს. ყველაზე მეტად ის ნანარმოებები მოსწონს, რომლებშიც იუმორი იგრძნობა. მისი საყვარელი მწერლები — ნოდარ დუმბაძე და ერნესტ ჰემინგუეი არიან. ლიტერატურული პერსონაჟებიდან იდიკოსთან და ილარიონთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს. მაშ ასე, ცნობილი პაროდისტი გიორგი აფციაშვილი დღეს „ერუდიტის“ სტუმარია.



თამუნა კვიციანი

პრეზიდენტის მეგობარი

— გიორგი, შენ პაროდებით გახდი ცნობილი. პრეზიდენტს ჩვეულებრივად ლაპარაკის დროსაც რომ პაპაძე ამას თუ ამჩნევ?

— დიახ. ეს სხვებსაც არაერთხელ უთქვამთ. ზოგჯერ საკუთარ თავს მე თვითონაც „დავიჭერ“ ხოლმე.

— პრეზიდენტის პაროდია ვინმეს მოსატყუებლად თუ გაგიკეთებია?

— გამიკეთებია, მაგრამ ახლა აღარ ვაკეთებ. ერთხელ ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსმა სხვა რაიონის პოლიციის უფროსთან დამარეკვინა და პრეზიდენტის ხმით მათქმევინა: ახლა ბათუმში ვარ, ნახევარ საათში სუფსის ტერმინალთან ვიქნები და დამხვდით. ამ საუბრიდან ზუსტად 3 წუთში „მსხვერპლმა“ იმ პოლიციელს გადმოურეკა, რომელმაც მასთან დამარეკვინა, მდგომარეობა აუხსნა და სთხოვა, — პრეზიდენტს ველოდებით და თანამშრომლები დამხმარეო...

— პაროდების გამო, ალბათ სასაცილო მდგომარეობაშიც არაერთხელ აღმოჩენილხარ.

— გიორგობას, მეგობრებთან ერთად, წვერის წმინდა გიორგის სალოცავში ვიყავი წასული. იქიდან დაბრუნება გვიან ღამით მოგვიხდა. სანამ მთავარ საავტომობილო გზაზე გავიდოდით, ბიჭებმა, — თითო ჭიქა კიდევ დავლიოთო, — და მანქანიდან გადავიდნენ. სანამ „მინიქვიფს“ არ მორჩინენ, ფარები ჩართული მქონდა, რის გამოც აკუმულატორი დაჯდა. წარმოიდგინე, ღამის 3 საათია, მანქანას ვერ ვქოქავთ. არადა, თბილისს 31 კილომეტრი გვაშორებს... ბოლოს გზაზე გავედი, მანქანა გავაჩერე, მძღოლს ჩემი მდგომარეობა ავუხსენი და ვთხოვე, რომ დამხმარებოდა. მის გვერდით შებახსებული მამაკაცი იჯდა, თვალს არ მამორებდა. ლაპარაკი რომ დავამთავრე, — მიდი, ერთი, კაცურად, სააკაშვილი „გააკეთე“, რა, ძალიან გთხოვო. მე რა მიჭირდა, სულ არ აინტერესებდა, გართობა უნდოდა.

— რომელ ქვეყანას უწოდებენ ნიდერლანდს?

— ჰოლანდიას.

— ინდოეთის ოკეანის აუზში რომელია ყველაზე დიდი ზღვა?

— (ფიქრობს) ჩემი ვარაუდით, ყველაზე დიდი — არაბეთის ზღვა უნდა იყოს, მაგრამ პასუხის სისწორეში დარწმუნებული არ ვარ.

— სწორი პასუხია. ამ წვთით ოდისევსის მამა ბაღში მუშაობდა. მას ძალზე ხშირად იყენებდა აბრაამ ლინკოლნი. დღესაც იყენებენ სამშენებლო საქმიანობაში.

— ქაფჩა.

— ქაფჩა და აბრაამ ლინკოლნი?! არ ვიცოდი.

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) ხელათმანი?

— დიახ. რომელ ქალაქში მდებარეობს მუსლიმანთა წმინდა ტაძარი ქაბა?

— ალბათ, მექაში, არა?
— ამ შემთხვევაშიც სწორად მიპასუხე. როგორი საათი უჩვენებს სწორ დროს დღე-ღამეში მხოლოდ ორჯერ?

— (ფიქრობს) ვერაფრით ვხვდები.

— არადა, ძალიან მარტივი კითხვაა.

— რატომ არ მეშვები? არ მინდა, რომ არასწორად გითხრა.

— დღე-ღამეში სწორ დროს ორჯერ გაჩერებული საათი უჩვენებს. თერგი, ვოლგა, დონი, მტკვარი — ამ მდინარეებიდან რომელი არ ერთვის კასპის ზღვას?

— თერგი და მტკვარი უნდა გამოვრიცხო. (ფიქრობს) დონი, არა?

— დიახ. რამდენი შტატისგან დაფუძნდა ამერიკა?

— იმდენი შტატისგან, რამდენი ზოლიც დროშაზეა გამოსახული.

— ეს პასუხი არ არის.

— 13 შტატისგან.

— რამდენი წლით იყო ლუარსაბი დარეჯანზე უმცროსი?

— უმცროსი იყო? სულ არ ეტყობოდათ (იცინის). არ ვიცი.

— 1 წლით. ველური ვარდი იგივეა, რაც —

— ყაყაო.

— ცდები. სწორი პასუხია — ასკილი. ალქამიკოსები რომელ მეტალს უწოდებდნენ მეტალთა დედას?

— არ ვიცი.

— ვერცხლისწყალს. ენათა რომელ ოჯახს მიეკუთვნება აფხაზური?

— იბერიულ-კავკასიურს.

— 1824 წელს პარიზში გამოვიდა ფრანგი დედოფლის, მარია ანტონეტას მოდელიერი ქალის, მადმუაზელ ბეტინის მეშუარები. რომელი ფრთიანი გამოთქმის ავტორი გახდა ეს მოდელიერი მას შემდეგ, რაც დედოფლის ძველი კაბა განაახლა?

— არ ვიცი.

— „ყველაფერი ახალი“

— (მანვეტინებს) „...კარგად დავინყებულნი ძველია“.

— ერთხელ დეპრესიით შეპყრობილმა პაციენტმა ექიმს რჩევისთვის მიმართა. მას ვერანაირი წამალი ვერ შეელოდა, ყოველდღე მიხაილ ზოშჩენკოს თითო მოთხრობა წაიკითხეთ, — ურჩია ექიმმა. ამის გაგონებაზე პაციენტი უფრო დანალღლიანდა. რატომ?

— იფიქრა, ველარ მოვრჩები, არაფერი მეშველებო.

— ის თავად იყო მიხაილ ზოშჩენკო.

— დანალღლიანდებოდა, აბა, რას იზამდა?!
— რა შემთხვევაში არ აქვს მსაჯეს უფლება, განსაჯოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი?

— თუ ფინალში მისი მშობლიური ქვეყნის ნაკრები თამაშობს.

— მითოლოგია კარგად იცი?

— მეტ-ნაკლებად.

— ბერძნულ მითოლოგიაში რა ერთევა ჰერმესისა და აფროდიტეს ორსქესოვან შვილს?

— არ ვიცი.

— ჰერმეოფროდიტი. რომელი ყვავილი მიიჩნევა მიუ-
წვდომლობის სიმბოლოდ?

— ედელვაისი.

— რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ბასიანი,
სადაც 1203 წელს საქართველოს სამეფო ლაშქარი
თურქულეთთან წინააღმდეგ იბრძოდა?

— თურქეთის ტერიტორიაზე.

— რა ეროვნების იყო მურვან ყრუ?

— არაბი.

— რომელი ფსევდონიმით არის ცნობილი რუსი
საესტრადო მომღერალი ინესა კლიმუკი?

— რუსულ ესტრადას ნაკლებად ვიცნობ. მგონი, ეს ირინა
ალეგროვაა, არა?

— დიას. ლონდონი, დელი, თეირანი, ნუიორკი —
ამ ქალაქებიდან რომელში არ არის მეტროპოლიტენი?

— დელიში.

— „ფესვები“, „ლონდონი“, „დათა თუთაშია“, „სიყ-
ვარული ყველას უნდა“ — ამ ფილმებიდან რომელში
არ მონაწილეობს გივი ბერიკაშვილი?

— „ფესვებში“.

— რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩანჭქერი
ანხელი?

— (ფიქრობს) ვენესუელის.

— რომის პირველი დიქტატორი ლუციუს კორნე-
ლიუს სულა იწოდებოდა ფელიქს დიქტატორად. რას
ნიშნავს „ფელიქს“ ქართულად?

— არ ვიცი.

— ბედნიერს. ყველაზე მეტჯერ რომელი ქვეყანა იყო
ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი?

— ურუგვაი.

— დარწმუნებული ხარ?

— უკაცრავად, ბრაზილია უნდა მეთქვა. ურუგვაი ფეხბურთში
პირველი მსოფლიო ჩემპიონი იყო.

— რომელ ქვეყანაში ლაშქრობისას მოუკლეს ალექსან-
დრე მაკედონელს საყვარელი ცხენი ბუცეფალი?

— ინდოეთში.

— 1709 წელს თბილისში ვახტანგ VI-მ რა დააარსა?

— სტამბა.

— პორტუგალია, კუბა, ლიტვა, შვეიცარია — ამ
ქვეყნებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა?

— ლიტვა ან შვეიცარია.

— ერთ-ერთი უნდა დამისახელო.

— შვეიცარია. გამოვიცანი?

— გამოიცანი. ინდოეთი, კამბოჯა, კორეა, ავღანეთი
— ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, სად არ არის განვითარე-
ბული სარკინიგზო ტრანსპორტი?

— ავღანეთი და რკინიგზა ვერ წარმოიდგენია.

— იმიტომ, რომ იქ ტრანსპორტის ეს სახეობა არ
არსებობს. ამერიკულ დოლარზე გამოსახული პირებიდან,
რომელი არ იყო აშშ-ის პრეზიდენტი?

— (ფიქრობს) ფრანკლინი.

— რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძე-
ლად საქართველოს ჰიმუს?

— ზაქარია ფალიაშვილის.

— ეს ქალაქი წერილობით ძეგლებში 1256 წლიდან
იხსენიება. იგი გალიჩოლინის მთავარმა, დანიელ რომანის
ძემ დააარსა და „ლევი“ უწოდა. 1772-დან 1918 წლამდე
ის ავსტრიის შემადგენლობაში შედიოდა და „ლემბერ-
გად“ იწოდებოდა. რომელ ქალაქზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებ.

— ეს ქალაქი ლევი. ვინ მეფობდა კოლხეთში,
როცა არგონავტებმა ოქროს საწმისი გაიტაცეს?

— აიეტი.

— რომელ ქალაქშია ბრანდენბურგის კარბოჭე?

— გერმანიაში.

— ასეთი ქალაქი არსებობს?..

— (იცინის) ბერლინში.

— რომელმა მხატვარმა მოიგონა სიკვდილი, რათა
შემდგომ მისი ნახატები უფრო ძვირად გაყიდულიყო?

— არ ვიცი.

— რემბრანდტმა. სენა, ტიბრი, ტემზა, ხუანხე — ამ
მდინარეებიდან რომელი არ გადის ქვეყნის დედაქალაქზე?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ.

— ხუანხე. რამდენი გქონია ხელფასი, თუ 20%-ით
გაზრდის იდეა ამის შემდეგ, 20 ლარით შემცირების
შემდეგ იგივე დაგრჩა?

— (ფიქრობს) 100 ლარი.

— დაასახელე სლოვენის დედაქალაქი.

— ლუბლიანა.

— რა ფერის თმა აქვს მალვინას „ბურატინოს
თავგადასავალში“?

— ცისფერი.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია კატმანდუ?

— ერთი ნუთი მადროვე, გავისენებ (ფიქრობს). ნეპალის
დედაქალაქია, არა?

— სწორია. რომელი ხლით მონამლა ჯადოქარმა
ფიფქა?

— ვაშლით.

— ისინი რუსული თავდაზნაურული წრის წარმო-
მადგენლები იყვნენ, ბატონყმობისა და თვითმპყრობელო-
ბის წინააღმდეგ იბრძოდნენ, 1825 წელს პეტერბურგში
შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს. ვინ იყვნენ ეს
რევოლუციონერები?

— ვერ გიპასუხებ.

— მიგანიშნებ: მათ აჯანყება დეკემბერში მოაწყვეს.
— „დეკაბრისტებზე“ მეკითხები? ახლა მიგხვდით.

— ინგლისის რევოლუციის შემდეგ, ცნობილმა სამხედრო
დიქტატორმა 1599-1658 წლებში მიიღო თანამდებობა —
ლორდო-პროტექტორი. ვინ იყო ეს სამხედრო დიქტა-
ტორი?

— არ ვიცი.

— ოლივერ კრომველი. მას შეუძლია ალაგზნოს
ადამიანის გონება, რათა ფული გამოსძალოს. ეს არის
საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი
ძალა.

— ვერ გიპასუხებ.

— დაფიქრდი, რთული კითხვა არ არის.
— ასე გგონია? ვერ ვხვდები.

— სწორი პასუხია — რეკლამა.

— ა! ეს მართლა უნდა გამომეცნო, 1 ქულა დაკვარგე.

— რისი ვაჭარია სირაჯი?

— ღვინის.

— „დედაო ღვთისაჲ! მზეო მარიაჲ! როგორც ნანვი-
მარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და
შორეული ცის სილაჯვარდე“. ვინ არის ამ სტროფის
ავტორი?

— ძალიან ნაცნობია (ფიქრობს). გალაკტიონს ეკუთვნის, ხომ?

— დიას. რამდენი უფრედია ქადრაკის დაფაზე?

— 46. არა, არა, ციფრები ამერიი

— 64.

— რომელია მსოფლიოში ყვე-
ლაზე დიდი სტადიონი?

— „მარაკანის“ სტადიონი რიო-დე-
ჟანეიროში.

— დაასრულე გერმანული
ანდაზა: „ვინც ბევრ საქმეს ნამ-
ოინყებს...“

— ზუსტად არ მახსოვს.
— „ცოტას დაასრულებს“.

ჩაკვიზი +

საიდან მოდის გამოთქმა – გორდიას ჯვანძის გახვეთა?

გადმოცემის თანახმად, აზიაში ლაშქრობის დროს ალექსანდრე მაკე-
დონელს ერთ ტაძარში ლეგენდარული მეფის — გორდიასის ეტლი უჩვენეს,
რომელზედაც კვანძი იყო გაკეთებული თქმულების მიხედვით, ვინც ამ
კვანძის გახსნას შეძლებდა, იგი მთელი აზიის ბატონ-პატრონი გახდებოდა.
ალექსანდრემ სცადა კვანძის გახსნა, მაგრამ უშედეგოდ, იგი მეტისმეტად
დახლართული აღმოჩნდა. ბოლოს, მან ხმალი მოიქნა და ყოველგვარი
წვალეების გარეშე ერთი დარტყმით გაკვეთა. ამის შემდეგ გამოთქმა —
გორდიას კვანძის გაკვეთა — რთული, დახლართული საკითხის გადაჭრას,
სწრაფი და გაბედული გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს.

დაავარცხნით სტრესი

ოჯახური ცხოვრება ყოველთვის სიხარულითა და მხიარულებით აღსავსე როდია. მეტიც, ყოველსმცოდნე სტატისტიკა ამტკიცებს, რომ სტრესის 30-40%-ს (ზოგჯერ 90%-საც კი) სწორედ ოჯახში ვიღებთ. ამის საბაზი კი უამრავია: ბავშვმა ორიანი მიიღო, მეუღლე სამსახურიდან გვიან დაბრუნდა, მეუღლის მშობელმა უხეშად მოგმართა და ათასი სხვა რამ.

ოჯახის ერთი წევრის სტრესული მდგომარეობა აუცილებლად გადადის დანარჩენებზეც არადა, სტრესის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ათვისება უადვილესია:

I ხარხი — გაშვები სენტიჟა

მისი ჩატარება ადვილია: დაჯექით სწორად ან მიიღეთ ჰორიზონტალური მდგომარეობა. მოადუნეთ გულმკერდისა და მუცლის კუნთები. შემდეგ, ცხვირით ნელა და ღრმად შეისუნთქეთ ჰაერი, შეაჩერეთ სუნთქვა და ასევე ნელა ამოისუნთქეთ (ცხვირიდან). ასე ისუნთქეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში.

II ხარხი — სხეულის დაბრუნება მოხსნა

შეცადეთ, შეიგრძნოთ, თუ რომელი კუნთები გაქვთ ძლიერ დაძაბული და მოადუნოთ ისინი. აუცილებლად მოადუნეთ სახის კუნთები, შემდეგ თავისუფლად ჩამოუშვით მხრები — ეს შეგიძლიათ ღრმა, მშვიდ სუნთქვასთან ერთად გააკეთოთ. ეფექტურია ასევე ვარჯიშიც დადებით ფეხები მხრების სიგანეზე და ჩაქინდრეთ თავი; მოადუნდით, დაუშვით მხრები და ხელები. ასე იდევით რამდენიმე წუთის განმავლობაში და შემდეგ ნელ-ნელა გაიმართეთ.

III ხარხი — სხვა საქმეზე გადასვლა

შეიძლება, ეს სხვა საქმე ნებისმიერი რამ იყოს: სახლის დალაგება, თევზების ან სარეცხის რეცხვა და სხვა. ფიზიკური შრომა ხომ პრობლემიდან ყურადღების გადატანის არაჩვეულებრივი საშუალებაა. შეიძლება ინტელექტუალური საქმიანობა დაკავდეთ. გახსოვდეთ, საინტერესო საქმის კეთებას (კითხვა, წერა, ზატვა, სიმღერა და სხვა) ადამიანის არასასიამოვნო ემოციებისგან დაცლა შეუძლია.

IV ხარხი — დეტალურად კონსულტაცია

ყურადღება გადაიტანეთ თქვენ ირგვლივ არსებულ რაიმე საგანზე. დააკვირდით მის ფერს, ფორმას; წარმოიდგინეთ, რა გრძნობა დაგეუფლებათ მასთან შეხებისას. წარმოსახვაში საგნები ფერების მიხედვით ცალკეულ ჯგუფებად დაყავით: ნითლები — ერთ ჯგუფში მოაქციეთ, მწვანეები — მეორეში და ა.შ. წარმოიდგინეთ რაიმე ნივთი და ფიქრში ხელით შეეხეთ მას. რაიმე საგანზე ყურადღების ასეთი კონცენტრირება, პრობლემის დაგინყებაში დაგეხმარებათ.

V ხარხი — ჯადოსნური მუსიკა

მუსიკამ შეიძლება, ჩვენს გრძნობებზე მოახდინოს გავლენა: დაგვამშვიდოს, მოგვადუნოს. სასიამოვნო მელოდის მიაპყრით ყურადღება, თავიდან ამოიგდეთ უსიამოვნო ფიქრები, მოხერხებულად მოკალათდით და მოდუნდით. შეგიძლიათ ფანტა-



ზია აამუშაოთ და ტკბილ მოგონებებს მიეცეთ. დამამშვიდებელ მელოდისთან სინთეზში ეს კარგ შედეგამდე მიგიყვანთ.

VI ხარხი — დაითვალეთ

აუჩქარებლად დაითვალეთ 100-მდე, 500-მდე, 1000-მდე... ქუჩაში მანქანების, ადამიანების, მუშობელი სახლის ფანჯრების რაოდენობა დაითვალეთ. ეს უბრალო მოქმედება გარე სამყაროში გადართვაში დაგეხმარებათ და სტრესულ სიტუაციას დაგეხმარებთ.

VII ხარხი — იპოვიეთ ბარათი

სტრესის გამომწვევი არასასიამოვნო სიტუაციის თავში დაუსრულებლად ტრიალს თავი დაანებეთ და საზოგადოებაში გადით: ისაუბრეთ ვისთანაც გინდათ, რაზეც გინდათ — სამომავლო გეგმებზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებასა და ა.შ. ეს თქვენ ანემოში დაგაბრუნებთ, იმის მიუხედავადაც კი, თუ სულ ცოტა ხნის წინ, ამ ანემოში ძალიან ცუდად გრძნობდით თავს.

ტვინის წარმატებულ მუშაობას სამი მნიშვნელოვანი მიკროელემენტი განაპირობებს: იოდი, რკინა და თუთია. თუ ბავშვი არ იღებს ამ ნივთიერებას საკმარის რაოდენობით, მას მექსიერებაც სუსტი ექნება, შრომისუნარიანობაც — დაქვეითებული და აზროვნებასაც ვერ შეძლებს სათანადო დონეზე.

დაეწიეთ იოდს

იოდი რომ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე ზემოქმედებს, მეცნიერებმა დიდი ხანია, იციან. იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც იოდის ბუნებრივი უკმარისობა აღინიშნება და იოდის პროფილაქტიკა არ ტარდება, მოსახლეობის ინტელექტი საშუალოდ, 10-15%-ით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა — იოდით უზრუნველყოფილი მოსახლეობისა.

იმის დასადაგენად, თუ რა ცვლილებებს განიცდის ბავშვის ინტელექტი იოდის ნაკლებობისას, მეცნიერებმა ექსპერიმენტები ჩატარეს. სკოლის მოსწავლეთა ერთ ჯგუფში შევიდნენ ბავშვები, რომლებსაც ორგანიზმში იოდის დაბალი მაჩვენებელი და შესაბამისად, დაბალი შრომისუნარიანობა ჰქონდათ, მეორეში კი ისინი, ვისაც ეს მაჩვენებელი ნორმალური ჰქონდა და შრომისუნარიანობა — მაღალი. პირველი ჯგუფის ბავშვებს 6 თვის განმავლობაში აძლევდნენ იოდის პრეპარატებს ფიზიოლოგიური განვითარებისთვის საჭირო დოზით. ნახევარი წლის შემდეგ, სასკოლო დატვირთვის პიკზე, ამ ბავშვების გონებრივი, შრომისუნარიანობის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო, მეორე ჯგუფში შემავალ ბავშვებთან შედარებით. ნახევარწლიანმა მცდელობამ მშვენიერი შედეგი გამოიღო: სამოსნებმა სწავლა ოთხებზე დაიწყეს.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მწვავე იოდდეფიციტის კრატაა მიჩნეული — ჩვენს წყალსა და კვების პროდუქტებში იოდი ცოტაა. ამიტომ, უნდა მოვიხმაროთ იოდიზებული მარილი. მათთვის კი, ვინც რაციონში მარილის შეზღუდვას ცდილობს, არსებობს სპეციალური მინერალური კომპლექსები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის იოდი. ამ კომპლექსებში იოდი არა სამკურნალო, არამედ პროფილაქტიკური დოზითაა და ბავშვი არ მიიღებს იმაზე მეტს, ვიდრე სჭირდება.

აირჩიე და შეიძინე სასლიდან გაუსვლელად
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge

პრასის და ნიგნავის გაავრცელებლის სააგენტო „ელვა.ჯი“

გამოცემის დასახელება	1გზ. ფასი	3 თვე
1. GEO / GEO	9.00	27.00
2. ЛИЗА	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.00
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.00
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! / ХЭЛЛОУ!	4.00	52.00
7. ОДХОНИ!	2.00	26.00

ქ. თბილისი
 თბილისის ქ. №49
 ტელ: 38-26-73; 38-26-74
 ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა
 E-mail: elva@kvirispalitra.com

ინტელექტის მიკროელემენტები


რკინის ჰირკაულობა

ბავშვები, რომელთაც რკინა აკლიათ, ფერმკრთალები, უხალისონი არიან, აღნიშნებათ გემოსა და ყნოსვის გაუკუღმართება, ინტელექტუალური აქტიურობის დაქვეითება — მათი ტვინი ხომ გამუდმებით ჟანგბადოვან შიმშილს განიცდის, რადგან ჟანგბადის ატომები ტვინამდე რკინას მიაქვს. ბავშვს უუარესდება მესხიერება, ყურადღება, აბსტრაქტული აზროვნება, მოსწავლეები კარგავენ ინტერესს სწავლისადმი, უწინდებათ სიმწიფეები მათემატიკის ათვისებისას.

რკინის დეფიციტის (ანემიის) სიმპტომები მკვეთრად ვლინდება ბავშვის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში: როცა პატარა მიდის ბაღში, შუდის სკოლაში, სექსობრივად მნიფდება გოგონებში პრობლემა მწვავედ იჩენს თავს მენსტრუაციის მოსვლისას, განსაკუთრებით, თუ ისინი დიეტას იცავენ გაბდომის მიზნით. ანემიის განვითარებას ხელს უწყობს ხშირი გაცივება, კუჭნაწლავის ქრონიკული დაავადებები (დაზიანებული ლორწოვანი გარსი ხელს უშლის რკინის ათვისებას).

რკინას შეიცავს ბევრი ისეთი პროდუქტი, რომლითაც ყოველდღიურად ვიკვებებით: ხორცი, ღვიძლი, წინიბურა, ხორბალი, პარკოსნები, პური... მაშ, რატომ ვითარდება მისი დეფიციტი? საქმე ისაა, რომ რკინა ცუდად შეინოვება. ამ ჭირვეულ მიკროელემენტს განსაკუთრებული პირობები სჭირდება. გამოსავალი არსებობს: ყველაზე უკეთ ინოვება ჰემის რკინა, რომელსაც შეიცავს ცხოველური პროდუქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ჭამოთ ღვიძლი და ხორცი. მაგრამ ცხიმი ხელს უშლის რკინის შენოვას, ამიტომ ხორცი მჭლე უნდა იყოს. რკინის ათვისებას ეწინააღმდეგება კალციუმი და ფოსფორი, ამიტომ ხორციან ერთად ნუ მიირთმევთ რძესა და ყველს. რკინას იკავშირებს ტანინი, ამიტომ ხორციან კრძს ნუ მიაყოლებთ ჩაის ან ყავას. ხილში, ბოსტნეულში, ბურღულეულსა და თხილეულში შემაველი რკინა უკეთ შეინოვება C ვიტამინთან ერთად, ამდენად, წინიბურას ან ხორბლის ფაფას ერთი ჭიქა წვენი ან ასკილის ნაყენი მიაყოლეთ.

როელემენტს განსაკუთრებული პირობები სჭირდება. გამოსავალი არსებობს: ყველაზე უკეთ ინოვება ჰემის რკინა, რომელსაც შეიცავს ცხოველური პროდუქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ჭამოთ ღვიძლი და ხორცი. მაგრამ ცხიმი ხელს უშლის რკინის შენოვას, ამიტომ ხორცი მჭლე უნდა იყოს. რკინის ათვისებას ეწინააღმდეგება კალციუმი და ფოსფორი, ამიტომ ხორციან ერთად ნუ მიირთმევთ რძესა და ყველს. რკინას იკავშირებს ტანინი, ამიტომ ხორციან კრძს ნუ მიაყოლებთ ჩაის ან ყავას. ხილში, ბოსტნეულში, ბურღულეულსა და თხილეულში შემაველი რკინა უკეთ შეინოვება C ვიტამინთან ერთად, ამდენად, წინიბურას ან ხორბლის ფაფას ერთი ჭიქა წვენი ან ასკილის ნაყენი მიაყოლეთ.



პირველი თუთია

თუთიის უკმარისობისას ვითარდება ალერგია, ფერხდება სექსობრივი მომნიფების პროცესები, შეიძლება — უნაყოფობაც. სამეცნიერო გამოკვლევებმა კიდევ უფრო გააფართოვა ეს სია. თუთია, რკინის მსგავსად, იცავს ტვინის უჯრედებს მავნე ზეგავლენისაგან. ის გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე, შედის ტვინის ქსოვილთა შემადგენლობაში, აკონტროლებს იმ ცილებს სინთეზს, რომლებიც მესხიერებასა და სწავლის უნარზე პასუხისმგებელი... ამ მიკროელემენტის დეფიციტი საჭაოდ დიდი ხნის განმავლობაში, გარეგნულად არაფრით ვლინდება. ამიტომ გავითვალისწინოთ, რომ გაძლიერებული სასწავლო დატვირთვები, სტრესები აქვეითებს მის შენოვას. თუ ბავშვი კარგად ველარ ხედავს ბინდში, თვალებს ჭუტავს, თუმცა არა აქვს დარღვეული მხედველობა, შეამოწმეთ, ხომ არ აღნიშნება თუთიის ნაკლებობა. თუთიას დიდი რაოდენობით შეიცავს ქაშაყი, ღვიძლი, ხორცი, კვერცხი, სოკო, მარცვლეული, თხილეული, გოგრის კურკა... იგი უკეთ შეითვისება ცხოველური პროდუქტებიდან, ვიდრე მცენარეულიდან. დადგინოთ, რომ მთელი მსოფლიოს, მათ შორის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 48% თუთიის ნაკლებობას განიცდის.

ჩანართი გათვვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

სასლში პაპარა ჰყავს

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

მეურნალი
საქართველოში მარადი

შაბროვა და აკინძა

სილაგაზის აბები



კავკასიელი ქალების დაახლოებით 75%-ს ანუხ-ებს ქარბთმიანობა და გამონაყარი სახესა და სხეულზე (აკნე). კანისმიერი პრობლემები არასახარბილოდ აისახება, როგორც „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა გარეგნობაზე, ასევე მათ გუნება-განწყობილებაზე. გამონაყარის არსებობას და ქარბთმიანობას განსაკუთრებით მწვავედ მოზარდები განიცდიან. გოგონებს არასრულფასოვნების კომპლექსი უფითარდებათ, ბევრ დროს ატარებენ სარკესთან, გამონაყარის შენიღბვას სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებით ცდილობენ.

ხშირად ქალები პრობლემის მოსაგვარებლად კოსმეტოლოგებს მიმართავენ, ძვირად ღირებულ, მტკივნეულ პროცედურებს (ეპილაცია) იტარებენ და გარკვეულ შედეგსაც აღწევენ. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, ეს ეფექტი დროებითია, რადგან ქარბთმიანობისა და აკნეს

გამომწვევი მიზეზი დაუდგენელი რჩება. ამ მეტად აქტიუალურ პრობლემაზე გვესაუბრა ჟორდანის სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო და სასწავლო დარგში, პროფესორი **ფინარო ძრისტისაშვილი**.

— ცნობილია, რომ ჰორმონული დარღვევები ქალის გარეგნობაზე აისახება.

— დიახ. აღმოჩნდა, რომ ქარბთმიანობა, გამონაყარი სახესა და სხეულზე (აკნე) და კანის მომატებული ცხიმოვანობა (სებორეა) ქალბუნში მამაკაცის ჰორმონების სიჭარბის — ჰიპერანდროგენიის გარეგან ნიშნებს წარმოადგენს.

— რა არის ჰიპერანდროგენიის მიზეზი?

— ჩვეულებრივ, მამაკაცის ჰორმონები (ანდროგენები) მცირე რაოდენობით გამოიშვება ქალის ორგანიზმში — საკვერცხეებში და თირკმელზედა ჯირკვლებში. ჰიპერანდროგენიის მიზეზი კი შეიძლება იყოს, როგორც ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმების დარღვევა — საკვერცხეებისა და თირკმელზედა ჯირკვლების ფუნქციის მოშლა, ასევე მამაკაცის ჰორმონების მიმართ კანის მგრძობილობის მომატება. კანისმიერი გამოვლინების გარდა, ჰორმონული დარღვევები უკავშირდება მთელ რიგ გინეკოლოგიურ პრობლემებს და რაც მთავარია, უნაყოფობას. ამიტომ, ჰიპერანდროგენის მეტად მნიშვნელოვან სამედიცინო და სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

— შესაძლებელია თუ არა ჰიპერანდროგენიის მკურნალობა?

— რა თქმა უნდა. ფარმაკოლოგიური პრეპარატებით მკურნალობენ არა მარტო ჰიპერანდროგენიის შემწახეხებელ გარეგან გამოვლინებებს (ქარბთმიანობა, აკნე, სებორეა), არამედ მათ გამომწვევ მიზეზებსაც. განსაკუთრებით ეფექტურია ანტიანდროგენის (მამაკაცის ჰორმონების სანინალმდეგო მოქმედების ნივთიერება) შემცველი გერმანული წარმოების პრეპარა-

ტი **დიანე-35**, რომელიც მსოფლიოს დაახლოებით 170 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც წარმატებით გამოიყენება.

— როგორია პრეპარატის მოქმედების მექანიზმი?

— **დიანე-35** ორ მოქმედ კომპონენტს შეიცავს — ჰორმონ ესტროგენს, რომელსაც ჩვეულებრივ ქალის ორგანიზმში გამოიშვება საკვერცხე და ჩვენთვის საინტერესო ნივთიერებას — ანტიანდროგენს. ანტი — სანინალმდეგოს ნიშნავს ე.ი. როგორც, თვით სახელწოდებიდან ჩანს, ამ ნივთიერებას მამაკაცის ჰორმონების სანინალმდეგო ეფექტი აქვს. ანტიანდროგენი მოქმედებს კანში ქარბად განლაგებულ მამაკაცის ჰორმონების მიმართ მგრძობიარე უჯრედებზე — რეცეპტორებზე, ბოჭავს მათ, ანდროგენების მიერთების საშუალებას არ აძლევს და მამაკაცის ჰორმონების მოქმედებას ანეიტრალებს. გარდა ამისა, **დიანე-35** თრგუნავს საკვერცხის არასწორ ფუნქციონირებას და ე.ი. ანდროგენების ქარბ გამოიშვებას (მაგ. საკვერცხების პოლიკისტოზის დროს). ამგვარად, **დიანე-35** მოქმედებს, როგორც ჰიპერანდროგენიის შედეგებზე, ასევე მის გამომწვევ მიზეზებზეც.

— რა ხანგრძლივობით ინიშნება **დიანე-35**?

— **დიანე-35**-ის მიღება შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. სამწუხაროდ, ზოგიერთ ექიმს არა აქვს ამ პრეპარატის გამოყენების სათანადო გამოცდილება და პაციენტებს **დიანე-35**-ს ორი-სამი თვით უნიშნავს. ასეთ ხანმოკლე პერიოდში **დიანე-35** საკმაოდ ეფექტურად ამცირებს კანის გაცხიმოვნებას, ასუფთავებს კანს ფერიმჭამელებისაგან. თმა სახეზე რბილდება და უფერულდება. რაც შეეხება თმის ცვენას სახიდან, ის მოგვიანებით იწყე-

ბა, რადგან თმის ძირებზე პრეპარატის სრულყოფილი ზემოქმედებისათვის მინიმუმ 6 თვეა საჭირო. შემდგომ, აუცილებელია მიღწეული შედეგის გაყარება თვეების მანძილზე. აქედან გამომდინარე, **დიანე-35**-ის ხანმოკლე გამოყენების გამო, მისმა არასაკმარისმა ეფექტურობამ შეიძლება პაციენტში უსაფუძვლო იმედგაცრუება გამოიწვიოს.

— ხომ არ გამოიწვევს **დიანე-35** თმის ცვენას თავზე?

— ხშირად ქალებს, რომელთაც აღენიშნებათ ქარბთმიანობა სახესა და სხეულზე, ახასიათებთ თმის ცვენა თავზე და გამელოტებაც კი. ამის მიზეზია თავსა და სახეზე თმიანობის რეგულირების სხვადასხვა მექანიზმი. აღმოჩნდა, რომ თმის ლოკალიზაციის მიხედვით, მამაკაცის ჰორმონებს მოქმედების ურთიერთსანინალმდეგო ეფექტი ახასიათებს. კერძოდ, ანდროგენების სიჭარბე იწვევს თმის ცვენას თავზე, სახესა და სხეულზე კი — ამოსვლას და გახშირებას. **დიანე-35** ამცირებს თმის ცვენას თავზე და ამავრებს თმის ძირებს. იგი ქალებს გამელოტების სამკურნალოდაც ენიშნებათ.

— ხომ არ გამოიწვევს **დიანე-35** წონაში მატებას?

— **დიანე-35**-ის მიღებისას არ არის დამახასიათებელი წონაში მატება. ეს პრობლემა არასწორი კვებითა და არასაკმარისი ფიზიკური აქტივობითაა განპირობებული. წონაში მატება აგრეთვე დამახასიათებელია ზოგიერთი ენდოკრინული დარღვევისთვის, რომელიც ჰიპერანდროგენიით გამოვლინდება და რომლის სამკურნალოდაც ინიშნება **დიანე-35**. ამდენად, ასეთ პაციენტებს წონის რეგულირებისათვის კურჩევთ თავი შეიკავონ ტკბილეულის, ცომეულის, ზედმეტად ცხიმოვანი და მარილიანი საკვების მიღებისაგან.


— ალბათ, **დიანე-35**-ს, ისევე როგორც ყველა პრეპარატს თავისი უკუჩვენებები აქვს?

— რა თქმა უნდა. ამიტომ, **დიანე-35**-ის დანიშვნის საჭიროება ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. ჟორდანის სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში **დიანე-35**-ის კლინიკური გამოყენების ხანგრძლივი გამოცდილება დაგროვდა. ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე მივიჩნევთ, რომ ეს პრეპარატი მინიმალური გვერდითი მოვლენების ფონზე, მაღალი კოსმეტიკური და სამკურნალო ეფექტით ხასიათდება.

მინდა გავამხივეო ქალბატონები, რომლებსაც ანუხებთ ქარბთმიანობა და გამონაყარი კანზე, ნუ მიეცემიან სასწონარკვეთას, მიმართონ ექიმს, დაადგინონ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და სათანადო მკურნალობა ჩაიტარონ.

ამჟამის უფასო საბელეფონო კონსულტაცია: 30 80 99

თქვენთვის
ქაღალტონებში!



საქართველო

ნარსულით ვსსოვნობ, ზვიდაზისთვის კი — ვსოსლოზ

მარინა ბაბუნაშვილი

ნათქვამია, ყველა ოჯახი ერთნაირად არის ბედნიერი, უბედური კი — თავისებურად. მართლაც, როცა რესპონდენტები ბედნიერებაზე მელაპარაკებიან, მათი ამბები ერთმანეთს საოცრად ჰგავს, პრობლემებით აღსავსე თითოეულ თავგადასავალს კი თავისი, განსხვავებული შტრიხი აქვს...

40 წელს გადაშორებული მამაკაცები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე გაურკვეველ მდგომარეობაში. ვისაც სიყვარულში ხელი მოეცარა და არც ოჯახში გრძნობენ თავს ბედნიერად, ყველა უბედურების თუ პრობლემის მთავარ მიზეზად ერთ დროს საყვარელ ქალს მიიჩნევენ. სწორედ ამ თემას ეხებოდა „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილი წერილი „ნარსულის დავიწყება ვერ შევძელი“ (2005 წლის 13 ივნისი).

ამჟამი
პირველი

„ისუ ის
„ჩით“

ბადრის მამა ციმბირში მუშაობდა. კაცს იქ უსიამოვნება რომ შეემთხვა და დააბატიმრეს, ბადრი მაშინ 23 წლის იყო


და დღე-დღეზე დაოჯახებას აპირებდა, მაგრამ მამის გამო გადადო და ბიძასთან ერთად ციმბირში გაემგზავრა. იქიდან 9 თვის მერე ჩამოვიდა, ქეთი კი გათხოვილი დახვდა. ამონარიდი წერილიდან: „დრო რომ გავიდა, მივხვდი, არ შემეძლო ქეთის დავიწყება. მინდოდა მენახა, დავლაპარაკებოდი, მაგრამ პირი არ მაჩვენა. 1997 წელს ცოლი შევირთე. შვილები რომ შემეძინა, ვიფიქრე, ყველაფერ ცუდს ნარსულში დავტოვებ და საერთოდ აღარ გავიხსენებ-მეთქი, მაგრამ ვერც ნარსულის დავიწყება შევძელი და ვერც — ქეთის. ერთმანეთის მიყოლებით გამომეცალნენ დედა, მამა, ბოლოს, უახლოესი ძმაკაციც დამელუბა და... სიცოცხლე შემძულდა. ჩემი ცოლი ცოტა თბილი რომ ყოფილიყო და გვერდში ამომდგომოდა, ალბათ ამ დღეშიც არ ჩავვარდებოდი... ქეთი რომ გამოჩნდა, მთლად ამეზნა თავგზა. მხოლოდ მასთან ვგრძნობდი თავს ბედნიერად...“

ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ბადრი აცხადებდა, ქეთი ძალიან მიყვარს, ცოლთან მოვალეობა მაკავშირებს; პირველს ვერ ვთმობ, მეორეს კი შვილების გამო ვერ ვშორდებიო; ქეთი ქმარს იყო გაშორებული. ერთხანს, მას მთელი გულით სურდა ბადრისთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ კაცის მერყეობამ დააფიქრა, გარდა ამისა, იგი ხშირად საყვედურობდა ქეთის გათხოვების გამო და უსიამოვნებაც არ იყო უცხო ხილი. მიხვდა ქეთი, რომ ბადრი ვერასოდეს დათმობდა ოჯახს და ვერც ვერასოდეს აბატიებდა მაშინდელ არასწორ ნაბიჯს. ამიტომ გადანწყვიტა, წერტილი დაესვა ამ ურთიერთობისთვის. „წერტილი“ კი ბადრის იმე მტკივნეულად განიცადა, რომ რედაქციაში მოვიდა თავისი დარდის გასაზიარებლად. მისსავე თხოვნით, მე ფსიქოლოგ-

საც ვუამბე ბადრის შესახებ. ფსიქოლოგმა, ნინო ბარბაქაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა მაშინ: „განონასწორებული და მტკიცე ნებისყოფის მამაკაცი არასდროს დააბრალებს ქალს (თანაც, ძვირფასსა და დიდი ხნის მერე ნაპოვნს) თავის უბედურებას. იმის



მაგივრად, რომ ქალს სიყვარული, სითბო და პატივისცემა აგრძნობინოს, იგი ვერ ივინყებს წყენას და საყვედურებით ავსებს... თუ ის ძველ ტკივილს ვერ მოერია და ბოღმა სძალავს, მაშინ რა აზრი აქვს მათ ურთიერთობას? ჩემი რჩევაა, თავად გაერკვეს „ლაბირინთში“ და ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს. ვფიქრობ, ქეთისთვისაც არ არის ბადრი საიმედო ადამიანი. ჯობს, კაცმა ოჯახზე მოიბრუნოს გული და შინ დადებითი განწყობილებით შევიდეს. ჩემი აზრით, ქეთი მასთან თბილ და მყუდრო კრას ვერ შექმნის“.



ნობი დამეხმარა. რამდენიმე წლის წინ, სწორედ მან ურჩია ბადრის ჩემთან მოსვლა და გულახდილი ლაპარაკი.
ძველი რესპონდენტი კარგახნის ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა გასაუბრებაზე.
— ძველი რესპონდენტები

იოლად მთანხმდებიან ამბის გაგრძელებაზე და მცირედენ სიახლესაც მაცნობენ. თქვენი დაყოლიება კი გამიძნელდა. რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემთვის ძნელია წარსულზე ლაპარაკი...

— თუმცა, თქვენ მაინც მოხვედით სამი წლის წინ ჩემთან და რაც განუხებდათ, გულწრფელად გამიზიარეთ.

— ახლაც გულახილად გეტყვით, რაც პირველი პუბლიკაციის გამოქვეყნების მერე მოხდა... მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგი მირჩევდა, ოჯახს დავბრუნდებოდი, ვერ გავიზიარე მისი რჩევა. ალბათ იმიტომ, რომ ქეთი უსაზღვროდ მიყვარდა და მისი დაკარგვა ვერ წარმომედგინა. სამაგიეროდ, ქეთიმ პრინციპულად განმიცხადა — ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლებაო და ალა-

აფხაზი ზორა
„შე ვწი ვთხოვდო, მან კი შეოჩიღ შეშაქცია ზუჩვი“

ბადრის მოძებნაში ჩემი ნაც-

დევნილი

წყალში გატარებული ღამე და „გადამწვარი“ იმედი

როცა მითხრეს, მრავალჭირვარამგადატანილი ქალი უნდა გაგაცნოთ, სოფელ ქსუისიდანაა, მისთვის ნუგეში და ერთი იმედია სიტყვაც კი ძალიან ბევრს ნიშნავსო, მაშინვე დავთანხმდი და მეორე დღესვე მივადექი მისი სიძის, ზაზა ქსოვრელის ბინას. მმ წლის თინათინ ტოლიაშვილი ახლა ქალიშვილთან ცხოვრობს. მასპინძელი მაშინვე გამომგება და შინ შემეპატიყა.

თინა ბებო ბუხრის წინ იჯდა და ფიქრებში ჩაძირულიყო. მართალი გითხრათ, დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეთქვა მოხუცებულისთვის საიმედო. ჩემს დანახვაზე შეკრთა. ეტყობა, არავის ელოდა. როცა უთხრეს, უურნალისტი გვეწვიაო, თავისთვის ჩაილაპარაკა, — ეჰ, შვილო, ჩემნაირი რამდენია, ჩემი გულისთვის რატომ შეანუხეთო?!

— იცი, შვილო, რა სახლი და ეზო-კარი მქონდა? მეც და ჩემი ქმარიც დღენიადაგ მუხლჩაუხრელად ვშრომობდით და ამ შრომის ნაყოფს რომ ვხედავდით, გულით ვხარობდით. ქსუისი ერედვის თემს განეკუთვნება.

დიდი სოფელი არაა, სულ 100 კომლი ცხოვრობდა, მაგრამ ღამაში და ხეხილით სავსე იყო. ქმარი ომის ინვალიდი გახლდათ, დახმარებებს იღებდა, ხილსაც ვაბარებდით, შვილებიც გვეხმარებოდნენ და გვეყოფნია. 5 ქალიშვილი მყავდა. ერთ-ერთი ცხინვალში იყო გათხოვილი. იმ პირველი ომის მერე ცხინვალში რაღა გააჩერებდა? ქალიშვილი და სიძე გორში გადმოვიდნენ, მაგრამ დიდხანს ვერ იცოცხლეს. რკინა უნდა იყო, რომ ის საშინელება გამოიარო და კიდევ დიდხანს იცხოვრო ამქვეყნად. 12 წლის წინ ქმარი გარდაამეცვალა და მარტო დავრჩი. ოთხივე გოგო მეხვეწებოდა, წამოდი და ჩვენთან იყავიო, მაგრამ უარი ეუთხარი. იქაურობის ყოველი კუთხე-კუნჭული ჩემი ხელშეგლებულია, ყველაფერი რაღაცას მაგონებს. როგორ დავტოვებდი? ომი ხელახლა რომ დაიწყო, არ მჯეროდა, იქაურობის დატოვება თუ მომიწევდა. ორი დღის განმავლობაში, ხან სად ვიმალებოდი, ხან — სად. მერე მეზობლებმა მითხრეს, — თინა, აქ

გაჩერება შეუძლებელია, გაგვაგებინეს, რომ კაზაკები მოდიან, ჩვენ გამოგყვები, თბილისში წაგიყვანთო. წინაღამეს წყალში ვიდექი, სახლებს უშენდნენ და არ შეიძლებოდა შინ გაჩერება. უცებ ჩამსვეს მანქანაში და წამომიყვანეს. იმედი მაინც მქონდა, ყველაფერი ჩაივლის და ისევ დავბრუნდები-მეთქი. მეზობლებმა რომ მომიხახულეს, ძლივს ამოლერდეს, ბევრი სახლია გადაამწვარი, მათ შორის შენიცო. ისე ყოფილა დანახშირებული, საშენ მასალადაც ალარ გამოდგება. გარეთ, ჩვენი, ქართული დროშა მქონდა დამაგრებული. ალბათ, ამან გააცოფა ოსები და ჩემი სახლიდან არაფერი დატოვეს. სანამ დაბრუნების იმედი მქონდა, არა მიშავდა, ახლა კი ძალიან ცუდად ვარ. ახალგაზრდებს უჭირთ, შვილო, ამ ყველაფრის გახსენება და ამ ხნის ქალს რაღა მომივა?

წამოსვლისას კიდევ ერთხელ თვალი შევაკლე მოხუცებულს. თინა ბებო მმ წელს ითვლის და არ იცის, მომავალი რას მოუტანს ამ ძირძველ ქართულ მიწას.

რც ტელეფონზე მპასუხოვდა, აღარც შეხვედრახე მთანხმდებოდა. რამდენჯერ დავხვდი სამსახურთან და ვთხოვე, ხელი არ ეკრა ჩემთვის. მაინც ერთსა და იმავეს მიმეორებდა, — აღარ მინდა შენთან ყოფნაო. ერთ ცოდვას (რომელიც არ ჩამიდენია, მაგრამ ფიქრადაც რომ გაივლებ, ისიც ხომ ცოდვაა?!) გაგიმხელთ: იმდენად გავმწარდი ერთხელ, ქეთის მოკვლაც კი გადავწყვიტე. მაგრამ როცა ის ქუჩაში თავის გოგონასთან ერთად დავინახე, მივხვდი, სიგიჟეს ვყავდი შეპყრობილი.

— ახლა როგორ გრძნობთ ოჯახში თავს?

— მშვენივრად-მეთქი, რომ გითხრათ, დამიჯერებთ? უბრალოდ, ის სირთულეები, რაც ადრე მქონდა, დავძლიე.

— თქვენმა მეუღლემ იცის ქეთის არსებობის შესახებ?

— იცის. ადრე ეჭვიანობის სცენებსაც მინჷობდა, მაგრამ მერე დაწყნარდა.

— რატომ? რამ დააწყნარა? შეეგუა ქეთისადმი თქვენს სიყვარულს თუ თქვენ დაარწმუნეთ, რომ წარსულს ჩაჷბარდა ყველაფერი?

— ქეთი საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. ორ წელზე მეტია, რაც სალონიკშია. ჩემმა ცოლმა ეს რომ გაიგო, დაწყნარდა.

— ალბათ, ჩემთან მეორედ გასაუბრება ამიტომ არ გინდოდათ, რომ ძლივს დამშვიდებული ქალი ხელახლა არ გაგენერვიულებინათ...

— არა ამიტომ არა. ჯერ ერთი, მაშინ ჩვენ ხომ სახელები შევცვალეთ. თანაც, რამდენი ქალია საბერძნეთში წასული ან თუნდაც ჩემნაირ მდგომარეობაში რამდენი კაცი იმყოფება?... უბრალოდ, მე ისევ მიჭირს ქეთიზე ლაპარაკი, ვერ ვეგუები იმას, რომ იგი ჩემგან ასე შორსაა.

— მაგრამ ფსიქოლოგის არ იყოს, ალბათ, მაინც ჯობდა თქვენი ცალ-ცალკე ყოფნა.

— რატომ? იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლე ასე დავტანჯულიყავი? თუ ასეა, მაშინ ჯობდა!..

— თქვენი შვილები, ალბათ დიდები არიან...

— არც ისე, მე ხომ გვიან დავოჯახდი... გოგონა 10 წლისაა, ბიჭი — 7-ის. სწორედ მათი გაზრდა და ბედნიერი მომავალია ჩემი მთავარი მიზანი. მე ახლა მათთვის ვცოცხლობ, წასულით კი ვცხოვრობ.


როცა მედოევი ხარ

„ჩემი ამბავი ძალიან ჰგავს წინა ნომერში მოთხრობილს („როცა ასეთი სიყვარულია“). განსხვავება ერთია: მე არ დამიწყია არც ჩხუბი, არც შანტაჷი, ჩუმად და წყნარად გავდექი გვერდზე...

ვიცოდი, რომ ჩემს ქმარს სკოლის წლებიდან უყვარდა „იგი“. როცა თენგო ჯარში წავიდა, ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ მისი შეყვარებული გათხოვდა (ჩვენ, სამივენი, სკოლელები ვიყავით). თენგომ იცოდა, რომ მე ის ყოველთვის მომწონდა. ბევრი არ უფიქრია, მოვიდა და ცოლობა მთხოვა. მეც გავყვევი. ვატყობდი, ძალიან დარდობდა ეკას (პირობითად ასე დავარქმევ) და კარგვას, მაგრამ მას უკვე ქმარიც ჰყავდა და შვილიც. მერე ჩვენც შეგვეძინა ქალ-ვაჷი. 7 წლის შემდეგ კი თენგოს და ეკას ურთიერთობა აღდგა. გვიან გავიგე ამის შესახებ. მთელი სანათესავო და სანაცნობო ჩვენზე ჭორაობდა... მე ვდუმდი. წყალწალეულივით ვბლაუჭობდი ხავისდარ იმედს — „თენგო ოჯახს არ მიატოვებს“, „თენგოს შვილები სიგიჷმდე უყვარს და ზურგს არ შეაქცევს“, „ქმარი ჩემს ერთგულებას დააფასებს...“ მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა, თურმე ვცდებოდი. როგორც იტყვიან — როცა ასეთი სიყვარულია, სხვა დანარჩენი უკანა პლანზე გადადის. თენგომ რომ გამომიცხადა, — უნდა წავიდეო, არც ისტერიკა ამიტხვავს, არც შევწინააღმდეგებოვარ, პირიქით — თავს ძალა დავატანე და ვუთხარი: თუ გინდა, უნდა წახვიდე-მეთქი.

იმ დღიდან 9 წელი გავიდა. თენგო მასთან ძალიან ბედნიერია. ორი შვილიც ჰყავთ. თქვენს რუსპონდენტს ქალბატონ ქეთევანს რომ მიაჩნია — სხვის უბედურებაზე არ შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანიო, ცდება. მეც ასე მეგონა და მოვტყუვდი. აქამდე არ ვამხელდი. ახლა კი უნდა გავამჷლავნო, რომ მეგონა, მცირე დროის შემდეგ (1-2 წლის მერე), თენგო კვლავ ოჯახს დაუბრუნდე-

ბოდა. ასე არ მოხდა და მივხვდი — მას მართლაც მთელი გულით ჰყვარებია ეკა. თუკი პირველ ხანებში ძალზე ვდარდობდი ქმრის წასვლას, მერე დავმშვიდდი. რად მინდოდა ისეთი კაცის გვერდით ყოფნა, რომელიც დღეში რამდენჯერმე მომატყუებდა, სიყვარულით სხვა ეყვარებოდა, ჩემთან კი მხოლოდ მოვალეობა დააკავშირებდა?! მას კვლავინდებურად აქვს შვილებთან ურთიერთობა, ყურადღებას არ აკლებს მათ. მეგობრები მეუბნებიან, — შენ რომ მისთვის შვილების




წახვა აგვერძალა, მალევე მოვიდოდა ჭკუაზეო. ეს არ მიმაჩნია სწორად, რადგან ამ საქციელით ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან; დედ-მამის ჩხუბის დროს ისინი „იჭყლიტებიან“. არადა, რა დაამავს მათ? ჩემს დაქალებს ისიც უკვირთ, რომ ნორმალური ურთიერთობა მაქვს ქმარყოფილთან, ძალიან „ვეროპული გიჭირავთო“... აბა, რა ვქნა? ომი გამოვუცხადო, რას ჰქვია, სხვა გიყვარს-მეთქი?! არასოდეს ვყოფილვარ ავი და რალა ჩემი შვილების მამის მიმართ გავხდებოდი კაპასი და ანჩხლი? ეტყობა, ღმერთს მათი ერთად ყოფნა უნდოდა! შეიძლება, ბევრმა გამამტყუნოს, სუსტიც დამიძახოს, მაგრამ მიმაჩნია, სადაც ზედმეტად იგრძნობ თავს, უნდა წახვიდე... თ.მ. თბილისი.“

ან ვიცი, რა გზას დაუდგე

„3 წლის წინ გავიცანი დათო. რომელიც თავდავინწყებით შემიყვარდა. ის პირველი დღეებიდანვე მიმტკიცებდა, რომ ძალიან ვუყვარდი და ცოლად ვუნდოდი. დათო თბილისელი გახლდათ, მე კი კახეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში ვცხოვრობდი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხშირად ვახერხებდით ერთმანეთის ნახვას. ერთ მშვენიერ დღეს გაპარვა შემომთავაზა, გეგმაც კი გამაცნო, — 3 დღის შემდეგ ჩამოვალ, შენ ჩვენს კაფესთან დამხვდი და ნავიდეთო. ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა დანიშნული დღე. დილიდანვე მოვემზადე და იმ კაფესთან მივედი, სადაც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. გავიდა ერთი, ორი, სამი საათი, დათო კი არ ჩანდა. ლამის გული გადამელია. საღამომდე მაინც ვიდექი იქ. მერე კი დავბრუნდი სახლში, აბა, რა მექნა?! იმ ღამეს დათოს ერთ-ერთმა ძმაკაცმა დამირეკა: დათომ სახლში ყველაფერი დალენა, რადგან მასთან ვილაცები მიგიგზავნია, — თავი დამანებოს, სხვა მიყვარსო. გავოგნდი. დათოს გარდა სხვა არავინ არსებობდა ჩემს ცხოვრებაში და ვის მიუგზავნიდი? ტირილი ამივარდა, ეს ტყუილია, ვილაცას ჩვენი დაშორება უნდა და ცილს მწამებს-მეთქი, მაგრამ აღარ მომისმინეს. მომ-

დევნო დღეებში ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, სიარულიც კი მიჭირდა. მერე კი მტკიცედ გადავწყვიტე, თბილისში ჩამოვსულიყავი და დათოსთან გამერკვია ყველაფერი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ დათომ კატეგორიული უარი მითხრა შეხვედრაზე. არ გასულა დიდი ხანი, რომ ჩემი უახლოესი მეგობარი გამომიტყდა, — სიმართლე უნდა გითხრა, დათოს მე ვუყვარვარ, ყოველდღე მირეკავს და სიყვარულს მეფიცებო. კინალამ გული გამისკდა. ჯერ ერთი, ამ სიახლით სახტად დავრჩი, მეორეც — თურმე, რამხელა ტყუილი არსებობდა ჩვენ შორის, მე კი ჭურში ვიჯექი. თურმე ამ ხნის განმავლობაში, დაქალიც თვალთმაქცობდა ჩემთან და საქმროც. იმისათვის, რომ დამშორებოდა, აქეთ მომდო შარი და

ზურგი შემაქცია. ამას სჯობდა, სიმართლე ეთქვა და კაცურად წასულიყო. საშინლად განვიცადე ამ ორი ახლობელი ადამიანის ლალატი. ამ ჭაობიდან თავდასაღწევად ერთი კვირის გაცნობილ ბიჭს გავყევი ცოლად. ხომ იცით, დაზაფრული და დეპრესიაში მყოფი ადამიანი გაუცნობიერებლად დგამს არასწორ ნაბიჯებს. მეც ასე დამემართა. მალევე მივხვდი, რომ სისულელე ჩავიდინე. დათომ რომ გაიგო ჩემი გათხოვების ამბავი, დამირეკა. ძალზე აფორიაქებული ჩანდა, ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარო, — მიმტკიცებდა. მერე მინახულა კიდეც და პირისპირაც იგივე გამიმეორა, თუმცა ისიც მითხრა, — ცოლად არ შეგირთავ, რადგან ქმარს რომც გაშორდე, განათხოვარ ქალის სახელი გექნებო. აბა, რა უნდა ჩემგან, ვერ გამიგია? უნდა, რომ მისი საყვარელი გავხდე? ეგ ხომ უარესი ჭაობია? არ მაკმარა, რომ ჩემს დაქალთან გააბა ფლირტი, ახლა ქმრის პარალელურად მთავაზობს თავის სიყვარულს. არ მინდა, არამზადა ვუნდოდო, მით უმეტეს, რომ ისე მიყვარს, სულ ის მელანდება. ქმარი მეხვეწება, ჯვარი დავინწეროთო, მე კი ფეხს ვითრევ. **მელისა“.**



22 წლის შექცევ

„...დაახ, ბედისწერა განაგებს ჩვენს ცხოვრებას, რაც გვინერია, იმას ვერ ავცდებით. „ბედისწერამ ასე იწება“ — ნავიკითხე და კიდეც ერთხელ დავრწმუნდი ამაში. ლევანი თუ წლების შემდეგ საქართველოდან ძალიან შორს შეხვდა თავის სიყვარულს, ჩემმა ბებია-ბაბუამ თბილისში, 22 წლის შემდეგ ხელახლა იპოვა ერთმანეთი. ერთიც და მეორეც ოზურგეთიდან გახლდათ. ბებუის მშობლებმა დაინუნეს სასიძოდ ჩემი ბაბუა, მეტისმეტად ღარიბი

ოჯახის შვილიაო და 17 წლის გოგო სხვაზე ძალით გაათხოვეს. ბაბუა თბილისში წამოსულა სამუშაოდ. მერე მანაც იქორწინა და ქალ-ვაჟი შეეძინა. ბებუას სამი შვილი მყავდა. მის უმცროს შვილს ასთმა ჰქონია. ექიმებს ურჩევიათ, ოზურგეთს მოაშორე, აქაური ჰავა მისთვის ცუდიაო და ოჯახი თბილისში გადმოსახლებულა. ერთმანეთს სრულიად შემთხვევით, ქუჩაში შეხვედრიან. უფრო მეტი ძა-


ლით იფეთქა თურმე მათ შორის სიყვარულმა... ორი წლის მერე კი დაქორწინებულან. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა გურულებში?! რალა ბევრი გავაგრძელო და, 1960 წელს მამაჩემი დაბადებულა. ბებუამ იგი 41 წლის ასაკში გააჩინა. კარგა ხნის განმავლობაში, ბებუას თავისი უფროსი შვილები არ ნახულობდნენ. ბაბუასთან უფრო მალე გამთბარა ურთიერთობები. ისინი სიკვდილამდე ერთად იყვნენ. ჯერ ბებუა გარდაიცვალა, ერთ წელიწადში კი ბაბუაც მის გზას გაჰყვა. **ნონო ცეცხლად, თბილისი“**

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru



მღაღთაშინი ჯადოქარი

ლუიზა ადელე როზა მარიამ მარკიზას ტიტული 19 წლის ასაკში მიიღო, როდესაც ცოლად 20 წლის კამილო კაზატის გაჰყვა. არავინ იცის, ამ ქორწინების შედეგად ვინ უფრო მოგებული დარჩა — დიდგვაროვანი და გალატაკებული კაზატის ოჯახი თუ იტალიელ მენარმეთა უმდიდრესი გვარი — ამანი, რომელთა მამულებსაც ხშირად სტუმრობდა მეფე უმბერტო I. მომავალი მარკიზას ბავშვობამ მილანის მუზეუმებსა და ტაძრებში გაიარა. იქ ლუიზა და მისი უფროსი და, ფრანჩესკა ძიძებს დაჰყავდათ ხოლმე. ულამაზესი ფრანჩესკა მშობლების სიამაყე იყო. უმცროსი ლუიზა კი ბავშვობაში სილამაზითა და გონებამახვილობით არ გამოირჩეოდა. ერთადერთი, რაც ყურადღებას იპყრობდა, მისი საოცრად ლამაზი, ზურმუხტისფერი თვალები იყო, რომელსაც ჟღალი, გრუზა თმის ქვეშ მალავდა.



ლუიზა ადრეულ ასაკშივე მიხვდა, რომ საკუთარი ბედის მართვა თავადვე მოუწევდა. 17 წლისამ თავისი ხელით შეიჭრა ლამაზი თმა და მთელი ოჯახი შოკში ჩააგდო. სამაგიეროდ, ახლა მისი თვალები — უფრო ლამაზი, გამოხედვა კი მწველი გახდა და გულგრილს არავის ტოვებდა. მარკიზ კაზატი ერთ-ერთი იყო იმ მრავალთაგან, ვინც ლუიზას მაგიური სილამაზის მსხვერპლი გახდა და ერთადერთი, ვისაც ლუიზამ თანაუგრძნო. 1 წლის შემდეგ ახალგაზრდები დაქორწინდნენ და თაფლობის თვის პარიზში გატარება გადაწყვიტეს. სწორედ იმ დროს, პარიზის ელიტური საზოგადოების ყურადღება შავი მაგის, ქრისტიანა ტრიველციოსკენ იყო მიმართული. ამ ქალზე ლეგენდები დადიოდა; ამბობდნენ, რომ მას შინ 17 წლის საყვარლის ბალზამირებული ცხედარი ჰქონდა. მისით აღფრთოვანებას გამოხატავდნენ შოპენი და ბალზაკი.

ერთ-ერთ წვეულებაზე, მარკიზა კაზატი ტრიველციოსთან გარეგნული მსგავსების გამო ჯადოქრად მიიჩნის. პუბლიკის მიერ გამოხატულმა ყურადღებამ და აღფრთოვანებამ ლუიზაზე დადებითად იმოქმედა და ამ შემთხვევის შემდეგ ცდილობდა, ქრისტიანასთან მსგავსებისთვის ხაზი გაესვა. შავ მაგიაზე დაწერილი წიგნები მის გატაცებად იქცა.

ლუიზას 1 წლის შემდეგ გოგონა შეეძინა. მას თავისი ცნობილი ორეულის სახელი დაარქვა და მაშინვე პანსიონში გადაიყვანა, სადაც 13 წლის ასაკიდან გოგონას ჩაჩითა და პანტალონით ატარებდნენ, რომ შვილის სანახავად მისულ დედას თავისი ასაკი ვერ შეეგრძნო.

ლუიზამ ქმრის მიმართ ინტერესი მალე დაკარგა. კამილოც

შეეგუა მის მრავალმხრივ გატაცებას. თუმცა, 1924 წელს ისინი ერთმანეთს გამორდნენ. ლუიზა პირველი კათოლიკე ქალი გახლდათ, ვინც განქორწინება ოფიციალურად მიიღო. მრავალი წლის მანძილზე, მისი ცხოვრების მთავარი მამაკაცი იმ დროისთვის ცნობილი პოეტი, რომანისტი და დრამატურგი, გაბრიელ დანუციო იყო.

მათი პირველი შეხვედრა ნადირობისას შედგა და მარკიზა შეძრწუნდა. „ის მელოტია და კვერცხს ჰგავს“, — ასე აღწერა დანუციოს გარეგნობა. თუმცა, მამაკაცი ისეთი დახვეწილი და შარშიანი აღმოჩნდა, რომ როგორც კი ლაპარაკს იწყებდა, მისი გარეგნული მხარე მაშინვე უკანა პლანზე იწევდა. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ მისი საყვარლების გრძელ სიაში

ულამაზესი ქალები იყვნენ შესული. არც ლუიზა დარჩენილა მის მიმართ გულგრილი. მათი რომანის შესახებ ჭორაობდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა. გაზეთებში მათ შესახებ ათასი სისაძაგლე იბეჭდებოდა, მაგრამ შეყვარებულები ამან ვერ დააფრთხო. ცოტა ხანში მარკიზა კაზატის ევროპის ყველაზე ელუგანტურ ქალად მოიხსენიებდნენ. ახალი ქმრის მიერ ნაბოძებმა მილიონებმა მას საუკეთესო მკერავებთან მისასვლელი კარი გაუღო. რომში გამართულ ერთ-კვირიან კარნავალზე მარკიზა ყოველდღე სხვადასხვა კაბაში გამოწყობილი მიდიოდა და საზოგადოებას დახვეწილი გემოვნებით ალაფრთოვანებდა. გაზეთები დაწვრილებით აღწერდნენ მარკიზას კაბებს; რისხვა კი აღფრთოვანებული კომენტარებით შეიცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ მარკიზაზე ისევ ალაპარაკდნენ. ამჯერად მისი გატაცების საგანი სასახლეების მოწყობა გახდა, რომლის შესაძენად მილიონებს არ იშურებდა. თავდაპირველად ლუიზამ რომში უზარმაზარი სასახლე შეიძინა, რომლის ინტერიერიც შავ-თეთრ ფერებში შეღებდა. თოვლივით თეთრ კედლებს ვენეციური სარკეები ამშვენებდა, ფანჯრებს — თეთრი ხავერდის ფარდები, თეთრ მარმარილოს იატაკზე კი თეთრი დათვის ტყავი იყო დაგებული. „სურვილი გიჩნდება, რომ ამ სახლში თითის წვერებზე იარო და ჩურჩულით ილაპარაკო“, — იწერებოდა გაზეთებში. ლუიზასთვის წვრილმანი არ არსებობდა. ის დაწვრილებით უხსნიდა მოსამსახურეებს, როგორი კუთხით უნდა დაედგათ კომოდზე ფაიფურის ფიგურა, რათა განსაკუთრებული ეფექტი მოეხდინა. მან უზარმაზარი, შავი ძალი შეიძინა, რომელიც მხოლოდ მარკიზას ბრძანებებს ასრულებდა. სახლი სპარსული და სიამის

კატებით აავსო. დიასახლისის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდნენ შავი და თეთრი მწვერები, რომლებიც სასახლეში თავისუფლად დასეირნობდნენ. მარკიზამ მათთვის ბრილიანტით განწყობილი ოქროს საყელურები შეუკვეთა.

მალე მარკიზას რომში ყოფნა მოსწყინდა და გადაწყვიტა, ვენეციაში შეეძინა სასახლე და მისი მოწყობით გაერთო თავი.

თავდაპირველად ლუიზა ვენეციის ყველაზე მდიდრულ სასტუმროში დაბინავდა. ერთ საღამოს, როდესაც ის სასტუმროს რესტორანში სავახშმოდ, შავ კაბაში გამოწყობილი წავიდა, მისი ყურადღება დაბალმა, ჭალარა მამაკაცმა მიიპყრო, რომელიც მის გვერდით მაგიდასთან ვახშმობდა. მამაკაცმა მისი ყურადღებიანი მზერა შენიშნა და მარკიზას წარუდგა: „ნება მომეცით, გაგეცნოთ, მხატვარი ჯოვან ბოლდინი. ნებას მომცემთ, რომ თქვენი პორტრეტი დავხატო?“ „რა შეგიძლიათ?“ — ჰკითხა მარკიზამ და ხელი საკოცნელად გაუწოდა. ამ დროს მის ყელზე შემოხვეული მარ-

გალიტის მძივი განყდა და მსხვილი მძივები რესტორნის იატაკზე ხმაურით მიმოიფანტა. ბოლდინიმ მათი შეგროვება დაიწყო და რამდენიმე წუთის შემდეგ მარგალიტები მარკიზას წინ, მაგიდაზე დაახვავა. „თუ არავის ვკოცნი და თავისუფალი დრო მაქვს, მარგალიტებს ვაგროვებ“, — ჩაილაპარაკა ლუიზას წინ თავდახრილმა, ცნობილმა მხატვარმა.

ლუიზას პორტრეტის პირველი შტრიხები ვენეციაში შესრულდა. პორტრეტის ხატვა და კი პარიზში გაგრძელდა, სადაც მარკიზა სპეციალურად გადავიდა, მხატვრისთვის რომ პოზირება გაეწია. ის ყოველ დღით მიდიოდა სახელოსნოში. პორტრეტისთვის მას შავი, ტანზე კარგად მორგებული კაბა ეცვა, შავხელთათმანიან მკლავებზე კი მელნისფერი შარფი ჰქონდა შემოხვეული. მის ფეხებთან ოქროსსაყელურიანი, შავი მწვეარი იწვა.

ნახატი 1 წლის შემდეგ პარიზის სალონში გამოიფინა. „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი, ძალით“ ყურადღების ცენტრში მოექცა. კაზატის გაცნობაზე მთელი საფრანგეთი ოცნებობდა, თუმცა, მან მხატვარს იმ დროისთვის წარმოუდგენელი თანხა, 20 ათასი ფრანკი გადაუხადა და ვენეციაში დაბრუნდა, გეგმების განსახორციელებლად. იქ შექმნილი სასახლე მისთვის ჩვეულ, შავ-თეთრ ფერებში გადაწყვიტა. სასახლეში ერთადერთი ოთახი იყო განსხვავებული, რომლის კედლებიც ოქროს ფილებით მოაპირკეთეს. ეზოში კი მარკიზამ ნამდვილი ზოოპარკი მოაწყო. ხეებზე თეთრი შაშვები ისხდნენ, რომლებსაც ყოველდღე ლუიზას თმის ფერად ღებავდნენ, მინაზე კი თეთრი ფარშავანგები დასეირნობდნენ. დიასახლისის ყველაზე საყვარელი არსებები გველი და გეპარდი იყვნენ, რომლებიც მარკიზას სასეირნოდაც კი დაჰყავდა.



ერთხელ, საკუთარი თავისუფალი გემოვნების გამოისობით, ქალაქის ხელმძღვანელობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ტრადიციულად შავი ფერის გონდოლა, რომლითაც ვენეციის ქუჩებში დასეირნობდა, თეთრად გადაღება.

ვენეციის ელიტასთან მისი პირველი ნაცნობობა შავ კაბაზე შემოცმული, წითელი ატლასის, კაპიუშონიანი მოსასხამით მოხდა. მის წინ თეთრი და შავი მწვეარი მიდიოდა, უკან კი — ზანგი მოსამსახურე. მეორე დღეს მარკიზა განხილვის მთავარი თემა გახლდათ. მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინ გამოსული, გაბრიელ დანუციოს ახალი რომანის მთავარ გმირში მისი შეცნობა იოლი გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მის გარდერობში 4 ათასამდე კაბა იყო, მარკიზას მოსწონდა შიშველ ტანზე ბენვის მოსასხამით სეირნობა. „მას მხოლოდ სუნამო „ეცვა“, — ასე ხუმრობდნენ ლუიზაზე. ქალაქის ხელისუფალნი კი მას უფლებას აძლევდნენ, ქალაქის ცენტრში დღესასწაულები მოეწყო. ერთი თვის განმავლობაში კაზატიში რამდენიმე მხიარული დღესასწაული მოაწყო. მის მიერ დახარჯულ მილიონებზე მთელი ევროპა ალაპარაკდა. ერთ-ერთი დღესასწაული კი ნამდვილი სკანდალით დასრულდა. ოქროსფერი საღებავით შეღებილი ზანგი მსახური ჰაერის უკმარისობის გამო უგონოდ დაეცა და სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. მეორე დღეს ამის შესახებ მთელი ვენეცია ლაპარაკობდა. მარკიზა ვენეციის ისეთივე ღირსშესანიშნაობად მიიჩნეოდა, როგორც — ქალაქის არხები და წმინდა მარკოსის ტაძარი. თუმცა, ლუიზას ეს ყველაფერი მალე მოსწყინდა და მიზანში პარიზი ამოიღო. თავდაპირველად პარიზში ვარდისფერი მარმარილოთი აგებული მდიდრული სასახლე, პალე-როზი შეიძინა. ახალი სახლის სიამაყე ბიბლიოთეკა გახლდათ, სადაც წიგნების უმეტესობას შავი მაგიის სახელმძღვანელოები და ლუიზა კაზატის 130, ცნობილი მხატვრის მიერ დახატული პორტრეტი შეადგენდა. მარკიზა კაზატი უმოკლეს დროში პარიზის უგვირგვინო დედოფლად იქცა. როგორც კი ის ბულვარში



გამოჩნდებოდა, მანქანები და ფეხით მოსიარულეები მოძრაობას წყვეტდნენ. თუმცა, არავინ იცის, რა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პარიზელებზე — ლუიზას თავზე მორგებული, ცხვრისრქებიანი, პარიკი თუ ზანგი, რომელსაც ის ჯაჭვით დაასეირნებდა. წვეულებებზე ის თეთრი წეროს ბუმბულისგან შეკერილი კაბით დადიოდა, რომელსაც ყოველ მოძრაობაზე ბუმბული, სცვიოდა და წვეულების ბოლოს ლუიზა თითქმის შიშველი რჩებოდა. 1924 წელს პაბლო პიკასომ მისთვის ისეთი კოსტიუმი შექმნა, რომლის მთავარ ელემენტსაც ელექტრონათურები წარმოადგენდა. თუმცა, პუბლიკის შოკში ჩაგდება მარკიზამ ვერ მოასწრო, რადგან თავსამკაულით კარის ანჯამას გამოედო და დენმა ისეთი ძალით დაარტყა, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში, კონვულსიის შედეგად იატაკზე თავს ურტყამდა.

მის შესახებ გაზეთები წერდნენ: „კაზატი წვეულებაზე მხოლოდ ოქროს დიადემით გამოცხადდა. მის გარეგნობაში ყველაზე მიმზიდველი თვალებია, რომელსაც შხამიანი მცენარის, ბელადონას წვეთებით კიდევ უფრო იფარებოდა“.

ფუტურისტი მხატვრები მას თავის მუზად მიიჩნევდნენ და პორტრეტებს ქმნიდნენ, სადაც, ყურადღების ცენტრში მისი „იარაგის გამოხედვა“ ექცეოდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ის რომს, პარიზსა და ვენეციას შორის დადიოდა. ხანდახან კი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა. იმისათვის, რომ მოგზაურობის დროს არ მოეწყინა, თან მუსიკოსთა ჯგუფს

იახლებდა.

ერთ-ერთმა სკულპტორმა თავის მემუარებში მარკიზას შესახებ ასეთი ჩანაწერი დატოვა: „ქალი კი არა, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში დავინახე. ფართო, ფარჩისგან შეკერილი სპარსული შარვალი კოჭებთან ბრილიანტის შესაკრავით ეკვრებოდა. ფეხზე ალმასისქუსლიანი, ოქროს ფეხსაცმელი ეცვა. დეკოლტე ფართო, ფარჩის ქამართან სრულდებოდა. ის ნამდვილ „ათას ერთი ღამის“ გმირს ჰგავდა. თუმცა, ამაში არაფერი იყო არაბუნებრივი. ეს ტანისამოსი ძალზე უხდებოდა. ის ისე განსხვავდებოდა დანარჩენი ქალებისგან, რომ ჩვეულებრივ სამოსში მისი წარმოდგენა შეუძლებელი გახლდათ“.

სამწუხაროდ, ყველა ზღაპარს ადრე თუ გვიან, დასასრული აქვს. მარკიზას 1002-ე ღამე 1927 წელს შედგა, როდესაც მან გრაფი კალიოსტროს პატივსაცემად მდიდრული წვეულების გამართვა გადაწყვიტა. სიამოვნებას აყოლილმა ვერ შენიშნა, რომ ექსტრავაგანტურობა მოდიდან გადავიდა და მხოლოდ გაღიზიანებას იწვევდა. უამინდობამ და აგრესიულმა გლეხებმა — რომლებმაც მის სტუმრებს დამპალი პომიდვრები დაუშინეს, პანიკა გამოიწვია და დღესასწაული არ შედგა. მარკიზამ ცოდვების გამოსასყიდად შინ ეპოსკოპოსი მიიწვია, მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და ვიზიტზე უარი უთხრა. მაშინ მარკიზამ თავი მოიავადმყოფა და ეპისკოპოსს შეუთვალა, რომ კვდებოდა. „უკანასკნელი სურვილის“ შესრულებაზე ეპისკოპოსმა უარი ვერ უთხრა და მიუხედავად იმისა, რომ ფილტვების ანთება ჰქონდა, აღსარების მისაღებად მარკიზას ეწვია.



„მომაკვდავი“ ინვალიდის ეტლში იჯდა და თეთრი, მარგალიტებით განწყობილი კაბა ეცვა. ეტლს 4 შიშველი მსახური მოაგორებდა. აღსარება არ შედგა, მაგრამ ქალაქის ხელისუფლებამ მარკიზას სულით ავადმყოფთა პანსიონატში იძულებით მკურნალობა „მიუსაჯა“. თუმცა, მის უცნაურ საქციელს სულ სხვა ახსნა ჰქონდა. კოკაინი და ოპიუმი მაშინ ხელმისაწვდომი იყო და ლამის კარგ ტონად მიიჩნეოდა.

იმისათვის, რომ გრაფი კალიოსტროსთვის გამართული წვეულების ხარჯი, ნახევარი მილიონი ფრანკი დაეფარა, მარკიზა იძულებული გახდა, თავისი ვენეციური სასახლე გაექირავებინა. ამ დროისთვის მის ანგარიშზე 25 მილიონი დოლარი (დღევანდელი კურსით) იდო. თუმცა, მას ფულის გადახდა არ უყვარდა. ტაქსის მძღოლებს მგზავრობის საფასურს ბეჭდებით უხდიდა, ხოლო ნახშირის საფასურად შეეძლო, ოქროს ქანდაკება გაემეტებინა.

იმისათვის, რომ თავისი მატერიალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, კაზატიმ ამერიკელი მილიონერის ცოლობა გადაწყვიტა. ხოლო როდესაც შეიტყო, რომ ის მილიონერი ცოლიანი იყო, მეგობარს მისწერა: „არა უშავს, როცა დამინახავს, ცოლს გაეყრება“.

ნიუ-იორკში ჩასულმა (როცა საბედისწერო პაემნისთვის ემზადებოდა) აღმოაჩინა, რომ მისი საყვარელი პითონი მომკვდარიყო და მოითხოვა, რომ

ადგილობრივ ზოოპარკში ნებისმიერი თანხის საფასურად ექირავებინათ პითონი. როდესაც მისი მოთხოვნა შეასრულეს და უზარმაზარი პითონი მხრებზე „მოარგეს“, ოთახში სტუმარი მოიწვიეს. თუმცა, მამაკაცმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რადგან პითონის დანახვისას ძალზე შეშინდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ლუიზამ უკანასკნელი დანაზოგი პითონის ქირაში გადაიხადა და პარიზში ხელცარიელი დაბრუნდა, სადაც კრედიტორები მოუთმენლად ელოდნენ.

აუქციონზე გაყიდულმა მისმა ნივთებმა ვალი მხოლოდ ნაწილობრივ დაფარა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას 2 თვით თავისუფლების, აღკვეთა მიუსაჯეს.

სასამართლოს დარბაზიდან გამომავალ მარკიზას ტაშით შეხვდნენ, რაც ლუიზამ ტრაგიკოსი მსახიობის გამომეტყველებით მიიღო. მისი სახლი მოჩვენებებმა დაიპყრო. საკნიდან გამოსული, შინ დაბრუნებული მარკიზა იძულებული იყო, ოთახიდან ოთახში შანდალი თავად ეტარებინა, მის წინ კი პეკინესის ჯიშის ძაღლი დარბოდა. ვენეციელთა ახალი თაობა მის დიდებულებას არ აღიარებდა და კითხულობდა: „ვინ არის ეს ჯადოქარი დედაბერი?“

ლუიზა საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა და ერთი მომცრო ოთახი იქირავა. უფულოდ დარჩენილმა მარკიზამ, როგორც იქნა, შვილთან და შვილიშვილთან ურთიერთობა აღადგინა.

„ბებია ჩვენთან ტაქსით მოდიოდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ცოცხზე იჯდა. ის ძალიან ჰგავდა

ბოროტ ჯადოქარს“, — იხსენებდა მოგვიანებით შვილიშვილი.

სხვათა შორის, ის შვილიშვილს „ბების“ დაძახების უფლებას არ აძლევდა.

ლონდონში მარკიზას ახლო მეგობრად მხატვარი, ოგასტეს ჯონი მიიჩნეოდა. „სილატაკის მიუხედავად, მას ძველებური მანერები ჰქონდა შემორჩენილი“, — იხსენებდა მხატვარი.

ლეგენდარული მარკიზას სიკვდილამდე 2 წლით ადრე, წიგნის მალაზიებში მოდური ფოტოგრაფის, სესილა ბიტონის ალბომი გამოჩნდა, სადაც 73 წლის მარკიზას უამრავი ფოტო იყო შესული. ბიტონი მაშინვე მარკიზას მტრების სიის სათავეში მოექცა. სიას მარკიზა ბოლო წლების განმავლობაში ადგენდა.

ლუიზა კაზატი 76 წლის ასაკში, ტვინში სისხლჩაქცევით, სპირიტული სეანსის ჩატარებისას გარდაიცვალა.

მარკიზას გასვენებას მხოლოდ 6 ადამიანი დაესწრო.

ერთ დროს, მსოფლიოში უმდიდრესმა ქალმა სიკვდილის შემდეგ ცხენის ძუით გამოტენილი ლეიბი, გატეხილი, გუგულიანი საათი და ხელოვნური ყვავილების თაიგული დატოვა.

P.S. 1976 წელს, ფილმში „დრო გვიჩვენებს“, მარკიზას როლი ინგრიდ ბერგმანმა შეასრულა. მარკიზას ბიოგრაფიამ ჯონ გალიანის, ტომ ფორდსა და ჯორჯო არმანის ახალი, მოდური კოლექციის შექმნისკენ უბიძგა.



ჩიბიჩი უნდა გათხოვდეს მდიდარ მამაკაცს?

მდიდარ კაცზე გათხოვება ბევრი ქალის ოცნებაა, მაგრამ ხალხური სიბრძნე გვეუბნება, ვარდი უეჭოდ ვის მოუყრეფიაო? ვარდი – ვარდია და... რატა უნდა თქვა თეთრ „მერსედესზე“ „ამხედრებულ“ პრინცზე, რომელსაც ესპანეთში ვილა აქვს და ანტალიაში – უზარმაზარი სახლი...

მარი ჯაფარიძე

როგორც წესი, ასეთი კონტინგენტის სასიძოვებზე იმდენი პოტენციური საპატარძლო ნადირობს, რომ „საწყალი პრინციები“, იძულებული არიან დაიმალონ, რადგან რაც უფრო მდიდარია კაცი, მით ნაკლები სურვილი აქვს, ფულის ტომარად აღიქვამდნენ. მინდა გითხრათ, რომ ნამდვილ სიყვარულზე მილიონერებზე ოცნებობენ. ამიტომ, ყოველ ქალში ეს „ფულის ტომარა“ მის სიმდიდრეზე მონადირე მხეცს ხედავს და მისგან გარბის. ჰოდა, ალბათ იკითხავთ — თუ ასეა, მაშ, როგორ უნდა გავთხოვდე მდიდარ კაცზეო?

ამ თემით მას შემდეგ დავინტერესდი, როდესაც რამდენიმე დღის წინ, საცობში დგომისას, უკანა ხედვის სარკეში უზარმაზარი, შავი ჯიპი შევნიშნე და მის საჭესთან მჯდომ მამაკაცში ჩემი ბავშვობის მეგობარი ამოვიცანი. მართალია, ის ოლიგარქი არ გახლავთ, მაგრამ საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია. ზაზა წლებია, არ მინახავს, მაგრამ მისი წარმატებების შესახებ სხვებისგან მსმენია. ჰოდა, როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ მისი ჯიპი ჩემს მანქანას გვერდით ამოუდგა, მინა ჩამოვნიე და შევცინე. მაშინვე თვალი ამარიდა. მივხვდი, ვერ გააცნობიერა, ვინ ვიყავი. დავუსიგნალე და მხოლოდ გაბმული პიპინის შემდეგ მომაქცია ყურადღება. ჩემი დანახვა გაუხარდა. რამდენიმე უესტით ერთმანეთი უსიტყვოდ მოვიკითხეთ და მანიშნა, რომ სადმე გამეჩერებინა. საცობს თავი რომ დავაღწიე, მანქანა

ბორდიურთან გავაჩერე. ერთმანეთი გადავკოცნეთ, მოვიკითხეთ და გადავწყვიტეთ, სადმე გვესადილა და გულიანად გვეჭორავა.

როდესაც ზაზას ვკითხე, ცოლი კიდეც არ მოგიყვანია-მეთქი? ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა.

— გოგო, აბა, სად ვნახო კარგი გოგო? მეტროთი მე არ დავდივარ, არც ახალგაზრდების თავშეყრის ადგილებში მიწევს ყოფნა, ხომ იცი, იმ ასაკში აღარ ვარ, რომ დისკოთეკებზე ვიარო... არც დრო მაქვს, სამაგისოდ, — ნაინუნუნა ზაზამ.


— იცი, რა ქენი? სალამოს, როცა შინ ბრუნდები, გზაზე კარგ გოგოს რომ დაინახავ, გაუჩერე და სახლამდე მიყვანა შესთავაზე, — რჩევის მიცემა ვცადე.

— შინ ძალიან გვიან ვბრუნდები. ჰოდა, წარმოიდგინე, რომ ბნელ ქუჩაზე შავი ჯიპი ჩერდება, იქიდან გადმოხტება ჩემნაირი „ჯინი“ და გოგონას შინ მიყვანას შესთავაზებს. როგორი რექცია ექნება?

წარმოვიდგინე და გამეცინა.

— ხედავ, გეცინება. თუ ეს გოგონა მანქანში ჩაჯდება, ალბათ დამეთანხმები, რომ მისი ცოლად მოყვანა არ ღირს. თუ არ ჩაჯდება, როგორ გავიცნობ?

— ჰო, მართალია, ასეთი ხერხით ცოლს ვერ მოიყვან, — სინანულით ჩავილაპარაკე, — არადა, დარწმუნებული ვარ, შენისთანა ქმარზე უამრავი



კარგი გოგო ოცნებობს. იქნებ, რომელიმე ცნობილ მოდელზე გეფიქრა? — მეორე ვარიანტი შევთავაზე.

— შენ გგონია, რომ რადგან მდიდარი ვარ, აუცილებლად მოდელზე ან ჩემივე წრის გოგონაზე მინდა დაქორწინება? არა, ჩემო კარგო, წინააღმდეგი სულაც არ ვარ, რომ ჩემი გული, სული და ფულიც, რა თქმა უნდა, ერთ უბრალო „კონკიას“ დავუთმო. პრობლემა ისაა, რომ მდიდარი ადამიანები და ღარიბი კონკიები სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ. ხანდახან გაცრეცილ ჯინსს, უბრალო მაისურს ვიცვამ და ქუჩაში ლუდის ბოთლით ხელში დავდივარ, რომ იქნებ ისეთ გოგონას გადავანყდე, რომელსაც მოვეწონები, შემიყვარებს მე, უბრალო ადამიანს და არა — ჩემს ფულს და მერე გაიგებს, რომ მდიდარი ვარ, — გამიღიმა ზაზამ.

— უყურე შენ, ეს ნამდვილი ზღაპრის სიუჟეტია, — ჩემი აღმოჩენით აღვფრთოვანდი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნათქვამი ძალზე გამიკვირდა.

— ჰო, ნამდვილად ასეა, — დამეთანხმა „პრინცი“.

— ახლა დავფიქრდი და



მივხვდით, რომ შესაძლოა, 2 ადამიანი — მდიდარი საქმრო და ღარიბი საცოლვე ერთმანეთზე ოცნებობდნენ და ერთმანეთს ვერ პოულობდნენ, — დაფიქრებულია ჩავილაპარაკე...

— სწორად მსჯელობ... არადა, როგორ ვოცნებობ ერთ ღამეზე, ღარიბ გოგონაზე, რომელიც ბევრ შვილს გამიჩენს, წრფელი გულით ვეყვარები, მეყვარება და შინ მისვლა გამიხარდება იმიტომ, რომ იქ „ის“ მელოდება...

ზაზას დავემშვიდობე. მის ნათქვამზე კარგა ხანს ვფიქრობდი და ერთ დასკვნამდე მი-

ვედი: ფულიანი მამაკაცისთვისაც ძნელი ყოფილა მეორე ნახევრის მოძებნა. არადა, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი...

მეორე დღეს მეგობართან სტუმრად ყოფნისას, რაიონიდან ჩამოსული მისი ნათესავი გოგონა, ნატო გავიცანი. გარგულად მშვენიერი გოგონა იყო, მოვლილი, შხვართი, „შუშპარა და მჩქეფარე“.

— გათხოვილი ხარ? — ზაზა გამახსენდა, მის დანახვაზე.

— არა.

— რამდენი წლის ხარ?

— 25-ის.

— მშვენიერი გოგონა ხარ,

რატომ არ გათხოვდი? ახლა არ თქვა, რომ მთხოვნელი არ გყავს. იქნებ მდიდარ საქმროს ეძებ და ვერ იპოვე?

— მდიდარ საქმროს ვინ არ ეძებს? — სევდიანი თვალები მომაპყრო ნატომ.

— სამწუხაროდ, პატარა ქალაქებსა და რაიონებში მდიდარ კაცს ვერ „იშოვი“, — საუბარში ჩემი მეგობარი ჩაერია, — ნატოს კი მშობლების მიტოვება არ შეუძლია, თორემ თბილისში ჩამოვიდოდა, ნორმალურ სამსახურს იშოვიდა და არც მდიდარ კაცზე გათხოვება გაუჭირდებოდა, — ინფორმაცია მომანოდა ინგამ.

— დავუშვათ, ჩამოვიდა და სამსახურიც იშოვა. მდიდარ კაცს როგორ გაიცნობს?

— მაგალითად, რესტორანში წავიდოდა ან ღამის კლუბში.

— კარგი, რა, იქ უსიამოვნო თავგადასავლების მეტს ვერაფერს იპოვის, — ტუჩი ავიბოუე, — დიდი-დიდი, ფიტნესზე თუ ივლის და იქ თუ გაიცნობს მდიდარ კაცს, რომელიც კარგი ცხოვრების „ნიშნის“, ღიპის დასაგდებად იქნება მისული ან აუზზე თუ წავა და იქ წყალზე უზრუნველად მონანავე „ოქროს თევზს“ გაიცნობს.

მოკლე ჩართვა

რა ღირს ბედნიერება?

• ბედნიერება ფულზე არ იყიდება, თორემ ამქვეყნად ბევრი მდიდარი და შესაბამისად, ბედნიერი ადამიანი იქნებოდა. არ არსებობს ბედნიერი სიცოცხლე არსებობს მხოლოდ ბედნიერი წუთები და ალბათ სწორედ ამ წუთების გამო ღირს სიცოცხლე მათ საფასურს კი სამწუხაროდ, ხშირად ცრემლებით ვიხდით ცხოვრება ასეა მოწყობილი. სვანის ასული.

• ბედნიერება იმდენსახოვანია, რამდენი ადამიანიცაა დედამიწაზე. ზოგადად, ამქვეყნიური ბედნიერება „დიდი ფული“ ღირს, ერთ „მანეთ-კაპეიკად“ ვერ იყიდი, კაცი ზეციური ბედნიერების ფასი კი სიყვარულით სავსე სულია. არჩევანი ჩვენზეა მე.

• ბედნიერება ღირს კონა — ათი შაურო. ისე „ოპტაგოიზე“ „პარა — პიტნადცად“ ყოია.

• ბედნიერება ფასდაუდებელია. ბედნიერება გულით უნდა შეიგრძნო, მას ფულით ვერ იყიდი. მანაველი.

• ბედნიერება არ არსებობს და შესაბამისად, არც არაფერი ღირს green girl.

• ბედნიერება ძალიან ძვირად ღირებული რამ არის და ძნელია, ნამდვილი ბედნიერება მოიპოვო. დღეს კი ყველაფრის მოუხედავად, მხოლოდ ღამაში სიყვარულით, ბედნიერი ვარ კვატა.

• აბა, ყოველისმცოდნე, თქვენ იცით, რა ღირს ბედნიერება? მე — არა (არც მინდა, ვიცოდე). მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ბედნიერების მოპოვება რთული და ძვირია. სამაგიეროდ, უბედურებაა უფასოდ. ლუნა.

• ეჰ, ბედნიერება რომ იყიდებოდეს, იმდენს ვიყიდდი, მაგრამ სამწუხაროდ, არ იყიდება. მე მაშინაც კი ბედნიერი ვარ, თუ ჩემი მესიჯი „გზაში“ ვნახე სოფიშ.

• ბედნიერება სულის სიმშვიდის ფასად უნდა მოიპოვო, მე ასე მგონია ელისო.

• ბედნიერების ღირებულება? თუ ორგულობის კურსი აქვს, ამქვეყნიურ ნეტარებად ღირს, ხოლო თუ ერთგულების — მარადიულ სამოთხედ. ლოკოკინა.

— აუ, მართალია, ნატო, მოდი, ხვალ წავიდეთ აუზზე, იქნებ გაგიმართლოს? — ჩემმა მეგობარმა უცებ აიტაცა ჩემი წინადადება.

— არა, არა, თუ ასეა, ნატო მარტო უნდა წავიდეს, ალბათ ასე აჯობებს, — ცოტა „წაუფსიქოლოგე“.

— კარგი, მარტო წავიდეს! ოღონდ, იცოდე, რომ „მსხვერპლს“ დაჟინებით, პირდაპირ თვალეში არ უნდა უყურო, თორემ „ოქროს თევზი“ რალაცას მიხვდება და შეიძლება, გაგექცეს, — დამოძღვრა ინგამ, — იცი, საკუთარ თავს უნდა შთააგონო, რომ შენ მდიდარი ქალი ხარ, ის „ოქროს თევზი“ კი უბრალო მამაკაცი; მიუახლოვდი და რალაც უმნიშვნელო რამ სთხოვე. შემდეგში კი „შემთხვევით“ ისევ იმ დროს მიდი, როცა ისიც იქ იქნება. თუ პირველი შეხვედრისას მოეწონე, მეორე შეხვედრაზე აუცილებლად შინ გაგაცილებს. მთავარია, არ უნდა მიხვდეს, რომ მოგწონს. მას სურვილი უნდა გაუჩნდეს, რომ შენთვის იბრძოლოს და ისე მოგიპოვოს, — მცირე ფსიქოლოგიური კონსულტაცია ჩაუტარა ჩემმა მეგობარმა.

— ისე, არც ის იქნება ცუდი, თუ ბუტიკში მამაკაცის განყოფილებაში ხშირად შეივლის და ერთ მშვენიერ დღეს, თუ მდიდარ კაცს გადააწყდება, სთხოვოს, რომ მამამისისთვის პალატუხის შერჩევაში დაეხმაროს, — მორიგი ვერსია წამოვაყენე.

— ეგეც კარგი იდეაა, — მხარი დამიჭირა მეგობარმა.

— ხანდახან კი მდიდარი მამაკაცები უბრალოდ იცვამენ და ქუჩაშიც გამოდიან სიყვარულის საძებნელად, — ზაზას ნათქვამი გამახსენდა, — ჰოდა, გასათხოვარ გოგოს კარგი ყნოსვა უნდა ჰქონდეს, რომ ამდენ ხალხში „პრინცი“ ამოიცნოს.

— როგორ უნდა ამოვიცნო? — როგორც ჩანს, ნატა პერსპექტიული საქმროს პოვნის ეშხში შევიდა.

— როგორ და... ჩემი აზრით, კარგად უნდა დააკვირდე. მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც გაცვეთილი ბოტასი ეცვას, არავითარ შემთხვევაში იაფფასიანი, ბაზრობაზე ნაყიდი არ იქნება. იგივე შეიძლება ითქვას ტანისამოსზეც. ფულიანი მამაკაცი არავითარ შემთხვევაში თურქულ, იაფ-

ფასიან ქურთუკს არ ჩაიცვამს, არც იაფფასიან საათს შეიბამს მაჯაზე და არც მობილურს დაიჭერს. თანაც, ტელეფონის ზარად სუპერთანამედროვე მელოდია კი არა, ნაზი, წყნარი მელოდია ექნება დაყენებული. მდიდარი და საქმიანი მამაკაცი ხშირად დაჰყურებს ტელეფონის ეკრანს და ყველა ზარს არ პასუხობს. ცოტა დრო აქვს და ამიტომ, ტყუილად არ ფლანგავს, — ისეთი არგუმენტები მოვიყვანე, რომ თავად გამიკვირდა, საიდან მოვიტანე ასეთი „ბრძნული“ აზრი. თუმცა, თუ დაუკვირდები, მგონი ტყუილი არ მითქვამს.

— ისე, მგონი, ასეთ კაცს ვიცნობ, — გაიღიმა ნატომ.


— ჰოდა, თუ იცნობ, კარგად გაიგე, ვინაა, იქნებ გაგიმართ-

ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ახლა 4 შვილი ჰყავს და ბედნიერია, — ჩემს მეგობარს სახეზე ეწერა, რომ თავისი ნათქვამით კმაყოფილი დარჩა.

— მე კი ისეთი შემთხვევების შესახებაც მსმენია, რომ ავარიში მოყოლილი გოგონა სამუდამოდ ინვალიდად დარჩენილა, — ნატო შეთავაზებული წინადადებით მაინცდამაინც არ მოიხიბლა.

— ჰო, ეგეც მართალია, — ნიკაპი ხლისგულზე ჩამოდო ინგამ და თვალეში ჭერს მიაპყრო.

— მდიდარი მამაკაცის გასაცნობად კიდეც ერთი ხერხი არსებობს, — დავინწყე მე, — მაგალითად, თუ შენი რომელიმე ახლობელი ასეთ მამაკაცს კარ-



ლა?

— ეჰ, არა მგონია, — თავი უიმედოდ გააქნია ნატომ, — ის სულ ბირჟაზე დგას და უსაქმურია, „პროსტო“, ტანისამოსს სულ „მეორადებში“ ყიდულობს და ამიტომ ყველაფერი ხარისხიანი აცვია.

— გოგო, ერთი რამ მოვიფიქრე, — თვალეში აუციმციმდა ჩემს მეგობარს, — გზაზე დადექი და როცა მაგარი ჯიბი გამოივლის, შეუვარდი. მართალია, ეს ცოტა სარისკოა, მაგრამ სამაგიეროდ, ხომ იცი, ვინც არ რისკავს, ის ვერ თხოვდება და ქორწილში შამპანურს ვერ სვამს. ჩემს მეგობარს, ლანას, გზაზე გადასვლისას „ინფინიტი“ დაეჯახა. ბევრი არაფერი დაშავებია, მაგრამ სამაგიეროდ, „ინფინიტის“ პატრონის მძლოლი გაიცნო და ცოლადაც გაჰყვა. მართალია, სანამ გაჰყვებოდა, ეგონა, რომ მანქანა მისი საქმროსა იყო და როცა სიმართლე გაიგო,

გად იცნობს და მისი ტელეფონის ნომერს მოგცემს...

— მააარი, — კატასავით დაკვესა თვალეში ინგამ, — აბა, ამოყაჭე, ვინაა ეგ შენი ნაცნობი და ტელეფონის ნომერიც მოგვეცი!

— მოგვეცი, რააა?! — ყელი გამომიწია ნატომაც.

გაინტერესებთ, რა მოხდა შემდეგ? ნატოს ზაზს ტელეფონის ნომერი მივეცი და ისიც ვიცი, რომ უკვე ერთმანეთს ემესიჯებიან, მაგრამ წინასწარ ვხვდები, რომ ამ „საქმიდან“ არაფერი გამოვა, რადგან ხანგრძლივი საუბრისას ნატოს ერთხელაც არ დასცდენია, რომ მისთვის მთავარი სიმდიდრე კი არა, თბილი, ტკბილი ოჯახი და მოსიყვარულე ქმარია... თუმცა ყველაფერი ბედია და შესაძლოა, ჩემი და ზაზას და შემდეგ ჩემი და ნატოს შეხვედრაც სწორედ იმიტომ მოხდა, რომ...

როგორ კვდაბიან დამაზმაზნები

სიკვდილი ერთადერთი რამ არის, რაც ადამიანს გარანტირებული აქვს. ადრე თუ გვიან, „ცელიანი ჯაცი“ ყველას ჯარზე დააჯაყუნებს. სხვა საქმეა, ეს როდის მოხდება – ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრების შემდეგ თუ ახალგაზრდობაში, დიდების მწვერვალზე ყოფნისას.

13 ქალი, რომლის შესახებაც ახლა ვიამბობთ, სრულიად ახალგაზრდა, ტრაგიკული სიკვდილით გარდაიცვალა, მაგრამ მათ შესახებ ყიდევ დიდბანს ემახსოვრებათ.

ლიზა ლოპეზი მომღერალი გახლდათ, რომელსაც თავისი პიტების წყალობით მხოლოდ შეერთებულ შტატებში როდი იცნობდნენ.



შეტსახელი — „მარცხენა თვალი“ მან თავად აირჩია, რადგან ერთხელ, ერთ-ერთმა თავყვანისმცემელმა უთხრა, რომ ლამაზი თვალები აქვს, განსაკუთრებით — მარცხენა. კონცერტის დროს ის სათვალის მარცხენა ლინზაზე პრეზერვატივს აცვამდა და ამით უსაფრთხო სექსის პროპაგანდას ეწეოდა. ლიზა 2002 წელს, პონდურასში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამ დროს მისი სოლო ალბომი გამოსაცემად მზადდებოდა.



ჯინ ჰერლოუ იგივე „ქერა ბომბი“ კინოვარსკვლავი გახლდათ. მან ითამაშა მთავარი როლი „ჯოჯოხეთის ანგელოზებში“. შეიძლება ითქვას, რომ თავისი სექსუალური მიმზიდველობით მაყურებელს აპიპნოზებდა. ის სამჯერ გახლდათ გათხოვილი. მსახიობი 26 წლის ასაკში, თირკმლის უკმარისობით გარდაიცვალა. ექიმების თქმით, მისი ჯანმრთელობა სურდომ გააუარესა. საყურადღებო ფაქტია, რომ მერილინ მონროს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ჯინ ჰერლოუს გმირის განსახიერება შესთავაზეს, გარდაცვლილი მსახიობის ბიოგრაფიის მიხედვით გადასაღებ ფილმში.

ანა ნიკოლ სმიტმა „პლეიბოიში“ დაბეჭდილი მისი სურათების წყალობით, ერთ მშვენიერ დღეს პოპულარულმა გაიღვიძა. მან 89 წლის მილიარდერზე, ჯეიმს ჰოვარდ მარშალზე იქორწინა. ქორწინებიდან 1 წლის შემდეგ ქმარი გარდაეცვალა.



2007 წლის 8 თებერვალს ანა ნიკოლ სმიტი ფლორიდაში, ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში უგონო მდგომარეობაში იპოვეს. ის საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა. ექიმები ვარაუდობენ, რომ სიკვდილი ნარკოტიკის ზედმეტმა დოზამ გამოიწვია. მოგვიანებით მის სისხლში 11 სახის ნაკოტიკული ნივთიერების კვალი აღმოაჩინეს.

პრინცესა დაიანა, იგივე უელსის პრინცესა, პრინც ჩარლზის პირველი ცოლი გახლდათ. დაიანა მსოფლიოში თავისი ქველმოქმედებით იყო ცნობილი. დიდ ბრიტანეთში დაიანას სამეფო ოჯახის ყველაზე პოპულარულ წევრად მიიჩნევენ. მას სიყვარულით „გულების დედოფალს“ ეძახდნენ.

დაიანა პარიზში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მასთან ერთად მანქანაში მისი მეგობარი, დოდი ალფაედი და მძღოლი, ანრი პოლი იმყოფებოდნენ, რომლებიც ადგილზე გარდაიცვალნენ. დაიანა 2 საათის შემდეგ, საავადმყოფოში გარდაიცვალა.





დოროთი სტრატენი „პლეიბოის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელი გახლდათ. 1979 წლის აგვისტოში ის — „თვის გოგონა“, ხოლო 1980 წლის ბოლოს „წლის გოგონა“ გახდა.

დოროთი თავისმა ქმარმა, პოლ სნაიდერმა მოკლა. ამ დროისთვის ისინი გაყრის ზღვარზე იყვნენ და მოდელი თავის მეგობარ მამაკაცთან, რეჟისორ პიტერ ბოგდანოვიჩთან ერთად ცხოვრობდა. სტრატენი და სნაიდერი ერთმანეთს ფინანსური დავის გადასაწყვეტად შეხვდნენ. მოგვიანებით, დოროთი ქმრის საძინებელში, თავში სასიკვდილო ჭრილობამიყენებული იპოვეს. სნაიდერმა დოროთი მოკლა და შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სელენას „მექსიკელ მადონას“ ეძახდნენ და ლათინოამერიკულ სცენაზე პირველ მომდერლად მიიჩნევენ. სელენა ცნობილი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ასაკში გახდა და ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, უამრავი ალბომის ჩანერა მოასწრო.

სელენა თავისივე ფანკლუბის პრეზიდენტმა, იოლანდა სალდივარმა მოკლა. ფანკლუბის გარდა, იოლანდა, სელენას მალაზიათა ქსელის მენეჯერიც გახლდათ, საიდანაც ქურდობისთვის გაათავისუფლეს. 1995 წლის მარტში სელენა და იოლანდა ერთმანეთს ტენასის ქალაქ პორპუს-კრისტის ერთ-ერთ სასტუმროში, ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად შეხვდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, როდესაც სელენა წასასვლელად მოემზადა, იოლანდამ მას ზურგში ესროლა. ის რამდენიმე საათის შემდეგ, საავადმყოფოში გარდაიცვალა.



ედი სეჯვიკი ამერიკელი მსახიობი და ენდი უორჰოლის მუზა გახლდათ. ის ცხოვრების უმეტეს ნაწილს ნარკოტიკულ დამოკიდებულებასთან ბრძოლას ანდომებდა. 1971 წელს ის ნარკოტიკების მომხმარებელი აღარ იყო, მაგრამ ექიმმა პრეპარატი ბარბიტურატი ტკივილების გასაყუჩებლად გამოუწერა. 15 ნოემბერს სეჯვიკმა წამლის დანიშნული დოზა მიიღო და დასაძინებლად დანვა. დილით ის მკვდარი იპოვეს.




კრისი ტელორი სამოდ-ელო ბიზნესში თავისი დის, ნიკი ტელორის წყალობით მოხვდა. ის გადაღებებში 11 წლის ასაკიდან მონაწილეობდა და მალე წარმატებას მიაღწია.

გარდაცვლილ დას მშობლების სახლში სწორედ ნიკიმ მიაკვლია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კრისის სიკვდილის მიზეზი ასთმური შეტევა გახდა, რომელიც მოულოდნელმა არითმიამ გაართულა.




მსახიობი **ჯეინ მენსფილდი** 50-იანი წლების ქერა სექსსიმბოლოდ იყო აღიარებული. ის არაერთხელ გამოჩენილა „პლეიბოის“ ყდაზე და როგორც ამბობდნენ, დიდების მოსაპოვებლად ყველაფერზე წამსვლელი იყო. ჯეინი 1967 წელს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ის მეგობარ მამაკაცთან, სემ ბროდისთან და 3 შვილთან ერთად მოგზაურობდა. ავარიის შედეგად მხოლოდ ბავშვები გადარჩნენ.





ჯია კარანჯი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სუპერმოდელად მიიჩნევა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა 80-იანი წლების დასაწყისში გაუარესდა — მას შემდეგ, რაც შეროინზე „შეჯდა“. 1984 წლის დეკემბერში ჯია ფსკერზე დაეშვა. ოჯახის მოთხოვნით, ის საავადმყოფოში დაწვა მკურნალობის კურსის ჩასატარებლად. მან თავი ლატაკად გამოაცხადა და შემონირულობებით ცხოვრობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოდელი შიდსით იყო დაავადებული. კარანჯი ერთადერთი ცნობილი ქალია, რომლის სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად იმუნოდეფიციტური სინდრომის ვირუსია დასახელებული.

აალია ამერიკელი მსახიობი, მომღერალი და მოდელი გახლდათ. ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მან თავისი უცნაური სახელის წარმოშობის შესახებ განაცხადა: „აალია არაბული სახელია, რომელიც უზარმაზარ ძალას ფლობს“. აალიამ მთავარი როლი შესარულა ფილმებში — „რომეო უნდა მოკვდეს“ და „წყულთა დედოფალი“. ვარსკვლავი 2001 წლის 25 აგვისტოს, ავიაკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა. ის კუნძულ აბაკოდან, მორიგი კლიპის გადაღებიდან ბრუნდებოდა. თვითმფრინავში მყოფი 8 ადამიანიდან არც ერთი არ გადარჩენილა.





შარონ ტეტი „ოქროს გლობუსის“ ნომინანტი და რომან პოლანსკის ცოლი გახლდათ. თავისი მხიარული და კეთილი ბუნების გამო ყველას სიყვარულს იმსახურებდა. მ თავის ფეხმძიმე მსახიობი და მისი 4 მეგობარი ჩარლზ მენსონის დაჯგუფების წევრებმა მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ შარონი თავდამსხმელებს ევედრებოდა, მისი ჯერ არდაბადებული პატარა დაენდოთ, მათ ქალს დანით 16 ქრილობა მიაყენეს.

მერილინ მონრო ნამდვილი ჰოლივუდელი ლამაზმანი იყო და დღემდე ყველაზე ლამაზ ქალადაა აღიარებული. თავისი სილამაზითა და უჩვეულო სექსუალურობით მან პრეზიდენტ კენედის მოხიბვლაც კი შეძლო. მის მზერას თვალს ვერავინ უსწორებდა.

36 წლის მერილინი 1962 წლის 5 აგვისტოს, ბრენტვუდში, საძილე საშუალების ჭარბი დოზის მიღების გამო გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზის 5 ვერსია არსებობს:

1. ძმები კენედების ბრძანებით, სპეცსამსახურის თანამშრომლებმა მოკლეს. მიზეზი — სექსუალური კავშირის გამჟღავნების შიში;
2. მაფიის მიერ მოწყობილი მკვლელობა;
3. ნარკოტიკის ზედმეტი დოზა;
4. თვითმკვლელობა;
5. მსახიობის ფსიქოანალიტიკოსის, რალფ გრინსონის შეცდომა.





ფოტო, რომელსაც ნარნარა დაკარგა

- „არც ერთი იყო ქალია, არც მეორე — კაცია, ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ, ლუკმაპურისთვის უცხოეთში გადახვეწილნი, მაგრამ...“ — (კეთილი ფერია.
- „აქეთ მზე, იქით მთვარე, შუაში კი მექალთანე“. ბოთელია
- „აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, ორივე ერთად, ტრაკით გიცანით“. საჩაღელი.
- „ამას მივართვა, იმას ეწყინება, იმას მივართვა, ამას ეწყინება... არადა, რა ბუნჩულები არიან, პატრონძაღვები?!“ ცალთვალა მგელი.
- „ამ კაცის ადგილზე ამყოფა ახლა ჩემი მეგობარი ბიჭები?! აუუუ, რას გაიხარებდა ვანო? ნუ, დიდი არაფერი, მაგრამ ვანოსთვის ალაღია, ალაღიი!“ ლუნა.
- „აქეთ-იქით თაიგული, შუაშია მაიმუნი“. აფერისტკა.
- „ბიჭო, ბიჭო, ლა ტლაკია, ლა ტლაკიი!“ ვიკა.
- „ხელგაშლილი მამაკაცის ხვედრი“. ილალო.
- „ერთი, ორი, სამი და ჰოპ!“ პუტზა.
- „ეპ, ნეტავ, ასეთი კარგები ჩემთვისაც მოეცა ღმერთს, მაშინ სხვაზე ხელი აღარ წამიცდებოდა“.
- „ორი „ღუმა“ მოგიხსნით გაღიზიანებას“. უსკო.
- „აქეთ მზე, იქით მთვარე, მულატკა, „ადიელა“ გადაიფარე“. თაისი.
- „ახლა დაგვანახვა, წინ რა ხდება“... აგრესიონერა.
- „ესა, მესა, გადის ესაა... არა, ორივე იყოს“.
- „ამ ტაკუნების გულისთვის, შე კაცო, პუტინსაც გავა-პუტინებდი და მედვედევს ზედ გადა-ვამედვედევებდი“.
- „მდედრობითებს ხელები სად აქეთ, ნეტავ?“ აგრესიონერა.
- „რა მზე და რა მთვარე? მაგის შედარება მზესთან სირცხვილია. აქეთ სიძვა, იქით მრუში, შუათანას მოხედეს მუშტი“. ვიკა
- „მაცნე უშარვლო უკანალი სჯობია“.
- „რალაც, მარჯვენა უფრო ფუმფულა

- ჩანს“. პეპი.
- „ვინც აქედან გამოიცნობს, ვინ — ცოლი, ვინ — საყვარელი, ჩემი ბინა ალალ მისი“. მე.
- „ორმაგი ცხოვრება ორმაგად კარგია“. სოფა.
- „მზე და მთვარე არა, „მაროუნი!“ „კარმანშიკია“. კაცური კაცი, კასპიდან.
- „მეტრო სალამოს საათებში“.
- „ზამთარია, ზაფხულია, თქვენთან ყოფნა მიხარია“. კოზანოსტრა.
- „ხულოი წვერში გეიხსნა ახალი საგულაო, ორი — ერთის ფასად, ჭო“. კოზანოსტრა.
- „საერთო ტუალეტი“. კოზანოსტრა.
- „ჯიბის ქურდი მოქმედების პროცესში“.
- „აი, თურმე რატომ ყვირიან ოპერაში“.
- „აბა, გუდის ყველი, ადგილზე გასინჯვით“.
- „რომელი უფრო დიდია, ნეტავ?“ სარათანა.
- „ახლა წადი, ვენახებ უყარაულე, მოსავალ რო დავაბინავებთ, ცოლსაც მოგცემ და ცოლიდასაცო, ხომ შეჰპირდა? ა, შეასრულა კაცმა დანაპირები“. 9717.
- „ვერ გამიგია, რა ხდება, „ბუტილკა“ სჯობს თუ „შლაქსი“? რომელში უფრო კარგად ჩანს ქალის სიმდიდრე — ტრ...ი? ვეფათურები ორივეს, ხელით ვუსინჯავ ვაშლებს, „ბუტილკა“ უხეში არის, ისევ ავირჩევ „შლაქსებს“. ვიკა.
- „მოკლედ, ამ ქართველებს სისხლში გვაქვს, სადაც აწერია, არ შეეხოთო, მაინცდამაინც იქ ვეხებით“.
- „შენ მოდი, სახეს ნუ მალავ“... მე.
- „აქეთ ბუშტი, იქით ბუშტი, შუაშია ბაიყუშიი“.
- „ერთი მკვრივია, მეორე — მაგარი, რომელი ავირჩიოო?“ SWEET-GIRL.
- „რა ხდებაო, რააო, არჩევანის გაკეთება ხომ არ გიჭირსო?“ მერცია.

ფოტო, რომელიც ნაჩვენებია დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი ნაჩვენებია უნდა
გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:

8.77.45.68.61

ჩვეულებრივი ვერსია ან ასეთია:

„შეჯდეს თავის ლურჯა ცხენზე,
გააჭინ-გამოაჭინა“...



4 - 10.12.2008

გზისკენი

მარი ჯაფარიძე

ნაჲი, როგორც სოფრეა ზეჲადა




გამარჯობა, ეს კვირა ისე სწრაფად გავიდა და ხუთშაბათი ისე სწრაფად მოვიდა, რომ უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი. ლამის „უგზავნილებოდ“ დაფრჩით... ამდენ გადარბენაში, ერთხელ ძლივს მოვხედი ისეთ სიტუაციაში, რომ „სიტუაცია“ დამეწერა და ალბათ, როგორც ყოველთვის, ჩემს პატარა თავგადასავალს ახლაც წაიკითხავთ. მოკლედ, „სიტუაცია“ იქით (თუ კარგად) იყოს და „გზავნილებს“ მივხედოთ. ჯერ იმის შესახებ, გეტყვით, ვინ როგორ იქცეოდა ამ კვირაში. გრუზინკა პასიურობდა; პუშკიკას მესიჯი ნაწილ-ნაწილ მოვიდა და თავი და ბოლო ვერ გავუგე; კამელია და კანბალკა ნამდვილად ქების ღირსნი არიან, რადგან სიტყვა შეასრულეს და საბოლოოდ დაგვიბრუნდნენ (მგონი); ეს საჩაღელი ვინ არის, ვერ გავიგე, მაგრამ

კარგი ვინმე კია და ვინც გინდა, იყოს; როგორც ყოველთვის, ამ კვირაშიც უამრავი მკითხველი მსაყვედურობდა, მესიჯის დაუბეჭდაობის გამო; ვილაცამ ჩვენს ყოფილ მგზავნელზე საზოზლობები მომწერა, თან — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და აუცილებლად დამიბეჭდეთ, მთხოვა, მაგრამ სამწუხაროდ, თხოვნას ვერ ვუსრულე, რადგან არ არის მიღებული, რომ ერთსა და იმავე ადამიანზე ამდენი ილაპარაკო; ჩემი ილინისა და მამაცი თოჯინას საქციელზე აღარაფერს ვამბობ, მასახელეს გოგონებმა; ელისომ კი მხიარულ მოკლედ მესიჯი გამოგზავნა „მოკლედ ჩართვისთვის“ და მორჩა. დავიჭერ მაგას და დავაპატიმრებ, ასეთი პასიურობისთვის... კიდევ? კიდევ სხვა დროს გეტყვით, ვინ მამბრაზებს და ვინ — არა. ახლა მესიჯებს მივხედოთ.

ცოცხალი მიცვალებული

„ბაბუასთან ვიყავი წყალტუბოში, როდესაც ხმა დაირხა 23 წლის ბიჭის გარდაცვალების შესახებ. ექიმებმა ვერ დაადგინეს დაღუპვის მიზეზი. გულდათუთქული დასტიროდა ერთადერთი შვილის ცხედარს დედა. დათო შვანგირაძე ბაბუის ახლობლის შვილი აღმოჩნდა და ბაბუას მეც ნავეყვი სამძიმარზე. ნეტავ, არ შევსულიყავი-მეთქი, ვნანობდი, იქ ისეთი საცოდაობა დამხვდა. ცხედართან ძაძებშემოსილი დათოს საცოლე, ნინა იდგა და გულში ჩამწვდომი სიტყვებით მოთქვამდა. გადაუნყვეტია, მკვდარ შეყვარებულზე დაენერა ჯვარი და მალე მღვდელიც მოვიდა. ამჯერად ჯვრისწერა უკულმა მიდიოდა — შავი კაბა და თეთრი კოსტიუმი ეცვა ნეფე-პატარძალს. ასე იქცა რამდენიმე წამში, გამწარებული საცოლე, ახალგაზრდა ქვრივად. თუმცა, აქ როდი დამთავრდა ყველაფერი. დაკრძალვის დღეს მთელი იმერეთი ტიროდა და გოდებდა. გამოჩნდა სასაფლაო და ადულდა ცრემლი თვალებში. კუბოს სახურავი დააფარეს და ნელ-ნელა ჩაუშვეს 2-მეტრიან ორმოში. მე სახლში წამოვედი. ბაბუმ კი — როცა დაბრუნდა — ასეთი რამ მომიყვა: სანამ მიწის მიყრას დაიწყებდნენ, თურმე ხმა გაუგონიათ. აქეთ-იქით გაუხედავთ, ყველა მიმოფანტული ყოფილა. მიმხვდარან, რომ ხმა კუბოდან მოდიოდა. უშიშარი ვანო კუბოსთან ჩამხტარა, სწრაფად აუხდია თავი, იქიდან კი თვალებ გაფართოებულ და სუნთქვაშეკრულ დათოს წამოუყვია თავი (კლინიკური სიკვდილი დამართვია). ასე მარხავდნენ ცოცხალ კაცს; ასე შეცვალა გასვენება ქორწილმა, შავი ძაძა კი — თეთრმა კაბამ და ასე გადაწყვიტა წამმა ცოცხალი მიცვალებულის ბედი... ვიკა“.



სასწრაფოდ გვესაჭიროება განმნალმველი

ვინი

„მდივნად ვმუშაობდი. უფროსის კაბინეტი ისეთი ვინრო იყო, რომ თათბირზე ჩემს ადგილამდე რომ შევსულიყავი, მაგიდის ქვეშ მიხედებოდა შეძრომა. ერთ-ერთი რაიონიდან ახალი თანამშრომელი ჩამოვიდა. ისეთი გარეგნობა ჰქონდა, დისნეის მულტერსონაუს ჰგავდა, ამიტომ ვინი შევარქვი. ისეთი კოტილა თითები ჰქონდა, ერთმანეთთან ახლოს ვერ მიჰქონდა. ღიმი მუხლებამდე ეკიდა, ნიკაპი სამი იარუსისგან ჰქონდა ანყობილი. შევიდა ვინი უფროსთან და ცოტა ხანში გვესმის მტკრევის ხმა, მერე იღება კარი და გამოდის უფროსი, პირზე ხელაფარებული, საჩვენებელ თითს ოთახისკენ იშვერს და სიცილისგან დაოსებული ვერაფერს ამბობს. ვეცით კარს და რას ვხედავთ? არის ვინი კედელსა და მაგიდას შუა გაჩხერილი, ყურებამდე განითლებული და სკამჩატეხილი. ახლა, მისი „ამოძრობა“ არ გინდა? ძნელია თქვა, მისი თვალები რას გამოხატავდნენ. იმდენი ვიცინეთ, ნახევარი საათი ვერ მოვახერხეთ მისი გათავისუფლება და იყო ასე გაჩხერილი. იმ დღიდან ვინი აღარ გვინახავს. იმ წამმა გადაწყვიტა მისი ბედი, როცა სკამი ჩაუტყდა. საჩალელი“.

მოემზადე, დაუმიზნე, ისროლე!

„მარ, ერთხელ ბებია-ბაბუასთან ვიყავი ჩასული ჩხორონყუში. ბავშვებმა გავიგეთ, რომ ფეხბურთი ტარდებოდა და ბაბუას შევხვევინეთ, ნავეყვანეთ. უპატრონოდ ვინ შეგვიშვებდა ლანირაკ ბავშვებს? ჰოდა, დიდი ხვენა-მუდარის შემდეგ, ბაბუმ

ცელოვიზის ცხვირისგან აქამას აყალიბებს.



გადარჩენილი

„ერთ მშვენიერ დილით გავიღვიძე და ცოლის მოყვანა გადავწყვიტე- რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმ დღეს საქმე არაფერი მქონდა; მეორეც — დედაჩემის გულის გამანყალბელი შეკითხვებისთვის — როდის მოგყავს ცოლი? რატომ არ მოგყავს ცოლი? და ა.შ. წერტილი დამესვა. მაშინ 27 წლის ვიყავი და გაგიმხელთ, შეყვარებულიც მყავდა. ნუ, შეყვარებული რაა... ერთი გოგო მომწონდა და იმასაც მოვწონდი. კიდევ ერთ რამეს გაგიმხელთ, ეს გოგო მამიდაჩემმა გამირიგა და უბრალოდ, მომეწონა. ვიფიქრე, ცოტა კარგად გავიცნობ, იქნებ შემიყვარდეს-მეთქი. ასე იყო თუ ისე, არ შემიყვარდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ცოლად მომიყვანა. ავდექი, წვერი გავიპარსე, საგანგებოდ გამოვეწყვე, სარკეში ჩემი თავი შევათვალიერე, თვალი ჩავუკარი და შინიდან გავედი. დიდი ხალისით არ მივდიოდი შეყვარებულის სახლისკენ, მაგრამ მტკიცედ კი მივაბიჯებდი. ჯერ ვიფიქრე, ყვაილებს ვუყვიდი-მეთქი, მერე გადავიფიქრე და ხელცარიელი მისვლა გადავწყვიტე. ის იყო, მის ეზოში უნდა შემეხვია, რომ ვილაცამ დამიძახა. ჩემი თანაკლასელი, მიშკა იყო. მისი დანახვა გამიხარდა. სად მიდიხარო? — მკითხა. ცოლის მოსაყვანად-მეთქი, — არ დავუმაღე. — „ვაა“, — გაუკვირდა მიშკა. პირდაპირ ახლა მიდიხარო? — პო-მეთქი. — წამო, თითო ჭიქა დავლიოთ, გზას დაგილოცავო. სადღაც, გულის სიღრმეში გამიხარდა კიდევ მისი წინადადება, რადგან ცოლის მოყვანა რამდენიმე საათით გადაიდო. პოდა, წავედით მე და მიშკა სახინკლეში, ერთ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მერე მეორე ბოთლი შევუკვეთეთ და კარგადაც გამოვთვერეთ.

— აბაა, ჩემო ძმობილო, ახლა წავიდეთ და ცოლი მოვიყვანოთ, — საჩვენებელი თითი აღმართა მიშკამ.

— ცოლი მე უნდა მოვიყვანო, — ლოზუნგით წარმოვთქვი.

— პო, ჩვენ უნდა მოვიყვანოთ ცოლი, — გაიმეორა ისევ, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე.

— კარგი, მოვიყვანოთ, — დავეთანხმე მერე და ბანცალ-ბანცალით წამოვედით სახინკლიდან.

— მეც მინდა ცოლი, — გადაჭრით თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

— პოდა, მოვიყვანოთ, — მხარი ავუბი.

ერთი სიტყვით, ჩემი შეყვარებულის ეზოში ძლივს მივფორთხდით. სადარბაზოში შუტე არ იყო და კიბეზე ასვლა დამეზარა. ქვევიდან დავიწყე ყვირილი. ძახილზე სასიამაორომ გამოიხედა. მიცნო და ცოტა ხნის მერე ქვევით ჩამოვიდა. ჩემი შეყვარებულიც გამოჰყოლია და უკან კუსკუსით მოსდევდა.

— ჩვენ ცოლის მოსაყვანად მოვედით, — ომანთანად გამოვუცხადე სასიამაოროს.

— ორივე? — გაუკვირდა.

— პო, ორივე. ერთი მე და ერთი მიშკას.

— შენ შეიღს მოგათხოვებ, მიშკას — ჩემს ცოლს, — საქმიანი წინადადება წამოაყენა სასიამაორომ.

— არა, მე შენი ცოლი არ მინდა, მე ჩემი ცოლი მინდა, — გააპროტესტა მიშკამ და ისე წაბარბაცდა, ლამის წაიქცა. მე ხელი შევაშველე, ამასობაში თავი ვერ შევიკავე და მიშკასთან ერთად ეზოში „ადგილი მოვზომე“.

— აბა, ახლა გამასწარით აქედან, თქვე უქნარებო და შენ აქ მოსული აღარ გნახო, — მკერდზე თითი მატაკა კაკომ. ამას გავუძლებდი? ისევ ძირს დავენარცხე. მიშკამ ილღიაში ამომიჩარა და იქიდან წამომათრია.

— არა, ამ კაცთან ლაპარაკს აზრი არ აქვს, ეს ჩვენ ცოლებს არ გამოგვატანს, ჯობია, სხვაგან წავიდეთ, — ბურტყუნებდა მიშკა.

სახლამდე ძლივს მივედით. დედაჩემმა მიშკა შინ აღარ გაუშვა და იმ ღამით ჩვენთან დატოვა. მეორე დღეს შვებით ამოვისუნთქე. ახლა მამიდაჩემის მიმართ სინდისის ქენჯნა აღარ შემანუხებდა, რადგან კაკომ თვითონ ამიკრძალა იქ მისვლა. პოდა, დაფრჩი უცოლოდ. სწორედ ერთმა წამმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. მიშკა რომ არ შემხვედროდა, დღეს ცოლი მეყოლებოდა. მადლობა ღმერთს, რომ სწორედ ასე მოხდა. გაუმარჯოს მიშკას! აბრაკადაბრა“.



თუ ვინღა, აღაძიანი ამოიწნო,
სოხაჟე, მეგობრებზე მამე მოვიყვებს.

ჯადოსნური და სანატრელი სიტყვა — „მოემზადეთ!“ წარმოთქვა. ისე სწრაფად ჩავიცვით, ცარიელ სტადიონზე ბილეთების გამყიდველზე ადრე მისულები ვარკვევდით, ვის ვისი მაისური და შარვალი ეცვა. ეს დიდი კატასტროფა არ იყო ჩვენთვის. მთავარი — ფეხბურთის საინტერესო

მეგნილები

მატჩი ხომ წინ გველოდა? როცა მსაჯის სატენის ხმას სულელებიც ამოვაცოლეთ და გავიტრუნეთ, გვეგონა, ეს იდილია ბოლომდე გაგრძელდებოდა, მაგრამ... ის იყო, სიმწრის ცრემლი მოვიწმინდე, ლამის თითებდაჭმულმა და ჩემი ფავორიტი ფეხბურთელის უმოქმედობით გამწარებულმა, რომ ფერდში რალაც მწარედ მომხვდა და კიდევ ერთი სიმწრის ცრემლი კადმოვშვა ლოყაზე. მივიხედე და ზედა რიგში, ჩემი ტოლი, ცინკლიანი ბიჭები იცინოდნენ. ქვა უსვრიათ და ჩემი რეაქციით თავს ირთობდნენ. გამწარებული დავწვდი იმ ქვას და გავიფიქრე, მე თქვენ გაჩვენებთ სროლას-მეთქი და სწრაფად მოტრიალებულმა, მთელი ძალით გაუქანე (არადა, მათ დანდობილად მესროლეს). და იმ ერთ წამში ყველაფერი ერთად მოხდა — ჩემი ცოდვით სასვე ფეხბურთელმა, რომელიც

„მე და ლამე“

„მარ, შესავალში რომ აღწერე, ზუსტად ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი ცოტა ხნის წინ — სოფელში, ბუხართან. კაკალს არ ვამტყრევდი, მაგრამ კვი მწვადებს კი ვწვავდი, ბუხრის პირას. :) მოკლედ, მეგობრები ჩავუსხედით და წავიდა ქეიფი. დაღევასა და განელილ სადღეგრძელოებს მხიარული ამბებებს მოყოლა გვერჩივნა და კურობებს ვისხენებდით. აი, რა მოგვიყვა ჩემმა მეგობარმა: შარშან ქართული ლიტერატურის გამოცდას აბარებდა ჯგუფთან ერთად. ერთ სტუდენტს გალაკტიონის „მე და ლამე“ შეხვდა, რომელიც არ იცოდა, მაგრამ შენიშნა, რომ ასაკოვანი ლექტორი უწყისებს ავსებდა და უყურადღებოდ უსმენდა სტუდენტებს. იფიქრა, გამოვძვრები სიტუაციიდანო, გავიდა და დაიწყო: „მე და ლამე, ლამე და მე, მე და ლამე, ლამე...“ — და ასე უსასრულოდ ლექტორმა ისე, რომ თავი არ აუნევიო, მიუგო: „ლაბაძე, შენ და ორიანი, ორიანი და შენ... დაბრძანდი“. გკოცნით, თქვენი პარიჟანკა“.

საოცარი ბედნიერება



შუბლიდან გზა მისი არწივივით ცხვირისკენ გაიკვალა, ელვის სისწრაფით აღმოვჩნდით შინ. ასე შეცვალა ერთმა წამმა ყველაფერი. ის დღე იყო და ის, მას შემდეგ ბაბუასთან ფეხბურთი არ გვისხენებია. მე კი სტადიონის დანახვაზე ახლაც მაურჯოლებს, რადგან იმ დღეს სახედანსახიანებული ქმრის დანახვაზე ისტერიკატეხილი ბებოს წყევლა ისევ ყურებში ჩამესმის. მართალია, ბაბუამ არ ჩამიშვა, მაგრამ ჰაერში აჭრილი მხურვალე წყევლა ხომ ჩემი მისამართით მოდიოდა?! — შვილიშვილები წაიყვანა კაცმა გასახარად და ჩაამწარეს ბაღნებსაც ყველაფერი; ამის ჩამდენს არ ეღირსოს არც შვილი და არც შვილიშვილებიო, — და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ არ უნდა მღირსებოდა, მაგრამ მთავარი დევიზი — „არ მისულეიყოს ამის ხნობამდე“ იყო. ეჰ, ბებო, წყველის პირველი ეტაპი წარმატებით გავიარე და იმედიო, დანარჩენებსაც გადავურჩები. კამელია“.

მანამდე მთვარეულივით დაბორიანობდა, გოლი გაიტანა და მისი გულშემატკივარი ჩემი ბაბუ ადგილიდან ოვაციით წამოფრინდა, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც, ჩემს რიგსა და ზემოთ ხსენებულ ბიჭების რიგს შორის ჩემი ბაბუ იჯდა, გაღიმებული სახით წამომხტარს, სწორედ მის შუბლს დააკვდა ჩემი წასროლი ქვა, დიდი ხნის უნახავი შეყვარებულის ტუჩებივით. შემდგომი მოვლენები „არაჩვეულებრივად“ განვითარდა

— ბაბუს სახიდან ღიმილი ტკივილმა ჩამორეცხა, ხოლო როცა სისხლმა გატეხილი

საადრეოესო შიშოო ივივე
ქამოთო ყანონდებოთსაოთს
ქეშქოთო შიშოოა.



ბოილარო

„მამაჩემი ერთ-ერთ მთიან სოფელში გაიზარდა. ბავშვობიდანვე დაეკისრა მოვალეობად ღორების მოვლა-პატრონობა. მალე ეს საქმე ისე შეუყვარდა, გაიძახოდა, მელორე უნდა გამოვიდეთო. მართალია, სოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ დიდი საფიქრალი გაუჩნდათ მშობლებს მისი მომავალი პროფესიის გამო. მამას ყველა

დაარქვა. იმ დღიდან მას ყველაზე დიდ საიდუმლოებებს უყვებოდა, რადგან მასზე კარგი მეგობარი არავინ ეგულებოდა. გავიდოდნენ საღამოობით სოფლის ბირჟაზე ერთად, რაც ხალხს კარგად ართობდა და პატარა, 7 წლის ბიჭუნასაც მეტი რა უნდოდა? მთელმა კუთხემ იცოდა მათი მეგობრობის ამბავი. ჰოდა, ერთხელ ჩამოიარა მეგელმა და სულ კბილების კრაჭუნით წააცუნცუნა ბოილარო. ეჰ,

ძახილით. სწორედ ამ წამმა გადაწყვიტა მისი პროფესიის ამბავი. მამამ მელორეობაზე უარი თქვა. უსკო“.

მაშველი „03“

„სალამი ყველას. ახალი ვარ, ახალი... თუ თქვენს რიგებში მიმიღებთ, ხომ კარგი, თუ არა და, ისევ მკითხველად დავრჩები. პეკინისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთაზე ერთხელ მაინც თუ მოხვედრილხართ, თვალში აუცილებლად მოგხვდებოდათ მალალი კოშკი. ამ დღეებშიც თუ გაიარეთ, შეამჩნევდით უზარმაზარ რეკლამას... ჰოოდა, ეს რეკლამა სალექ რეზინს აქებს და ადიდება — ათეთრებს თქვენს კბილებსო... მათთვის კი ვინც ქართული წერა-კითხვა არ იცის, ვიზუალურადაა ნაჩვენები, თუ როგორ წმენდს კაცი, რომელიც თოკებითაა „მიკიდებული“ რეკლამაზე, მომხიბლავი გოგონას კბილებს. დღესაც ჩვეული ოვაციებით შესვდა ამ რეკლამას გამველე-გამომველი (კოშკში მე ვმუშაობ). ერთ-ერთმა მათგანმა კი არც აცია, არც აცხელა და „03“-ში დარქვა. დროზე მოდით, კაცი გაიჭედა კედელზეო. „სასწრაფო“ ჩვეული სისწრაფით ადგილზე გამოცხადდა და როდესაც ბანერზე მართლა კაცუნა დაინახეს, სრული სერიოზულობით იკითხეს, იქ როგორ მოვხვდეთ, რომ მივეშველოთო? მაგრები ხართ, ყველანი... რედაქტ2“.

„ბარია“

„აი, ის დღეც დადგა, როცა ჩემი საყვარელი დედიკოს და მამიკოს ქორწინების ამბავს უნდა აგნადო ფარდა. მოკლედ, დაინახა თუ არა მამაჩემმა ჩემი ლამაზი დედიკო, გაგიჟდა და გადაირია, მაგრამ დედაჩემის შებმა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ამიტომ, მამაჩემმა არც აცია, არც აცხელა და რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო. გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს მისეირნობს დედაჩემი დაქალთან ერთად, მარჯანიშვილზე. უეცრად საიდანღაც მამაჩემი გაჩნდა, მეგობრებთან ერთად და წავიდა ერთი განევ-გამონევა და წივილ-კივილი. დედაჩემი ვერაფრით ჩასვეს მანქანაში. ამ დროს საიდანღაც მოხუცი, ჩია ტანის ქალი მიუახლოვდა ჩემს დევივით მამას და ხელჩანთა გამეტებით ჩასცხო — გაუშვი ბავშვს ხელი, შე მხეცოო. მამაჩემი შესანიშნავი იუმორის პატრონია (მე მგავს, რა) და მიუბრუნდა ამ ქალს, სერიოზული სახით: დეიდა, ეს ქალი ნარკოტიკებით ვაჭრობს, ჩვენ კი პოლიციელები ვართ და ახლა ოპერაციას ვატარებთ მის ასაყვანად, უკვე 4 თვეა, ვეძებ ხელსაყრელ შემთხვევას, მის დასაპატიმრებლადო. ქალმა თურმე ავად მოელვარე თვალეებით შეხედა „ბარიას“, მამაჩემი გვერდზე გასწია და თვითონ ჩატენა აკივლებული დედაჩემი მანქანაში. თან დააყოლა — პირი აუკარით და ხელბორკილი დაადეთ, შვილო, მაგ ქვეყნის დამაქცევარს, თორემ ისე გაკვივის, ვინმეს მართლა მოტაცებული ეგონებაო. ასე უშველა იმ ქალმა მამაჩემს, მამაჩემმა — დედაჩემს, ორივემ კი — მე. ჰოდა, მადლობა მათ, ახლა თქვენთან რომ ვარ და ასე ძალიან რომ მიყვარხართ. იკუშებები“.

ჯადო

„მე ხომ დიასახლისთან ვცხოვრობდი ქირით, ჰოდა, ერთ დღესაც მანიკიურს ვიკეთებდი და გადავწყვიტე ფრჩხილები მომეხატა. ამისთვის ერთი გალუნული ნემსი ავიღე და წითელი ლაქით დავიხატე. მერე აღარ მახსოვს, ნემსი სად წავიღე და ერთ ღამეს საშინელმა ხმაურმა გამაღვიძა: „ხომ გეუბნებოდი, გათვალულები ვართ, აი, რატომაც ვერ თხოვდები, აი, რატომ არ ჭამს ბავშვი საჭმელს, აი, რატომ არ ვართ მილიონერები... მიდი, მიაფსი, მიაფსი...“ (უკაცრავად). ავდექი, რომ გამეგო, რა ხდებოდა და ვხედავ, დაარბენინებენ რალაც ნემსს, აქეთ-იქით. ხედავ? ჯადო ვიპოვეთ, კატის-სისხლით მოსვრილი, გალუნული ნემსი კედელში იყო გარჭობილიო, — ახსნას არ აცლიდნენ ერთმანეთს. მართალია, მაშინვე გამახსენდა

ლორი საკუთარ დედამიშვილს ერჩივნა და სათუთად უვლიდა. მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებით უყვარდა და მას ბოილარო

უნდა გენახათ, თურმე, საწყალი ბავშვი როგორ დადიოდა ტყე-ტყე დაკონკილი სამოსით და გულამოსკვნილი, „ბოილაროს“



მეზობლები საყვარელიც არიან.

თავის ქება

„მამაჩემის ახლობელი მაგარი „პრიკოლი“ კაცია. ერთხელ მამაჩემს უყვებოდა: „კლიენტი მიმყავდა დანიშნულების ადგილზე (ტაქსაობს) და გზად ჩემს სახლთან უნდა გამეველო სახლს რომ მიფუახლოვდი, დავინწყე, მარა, რა დავინწყე ჩემი თავის ქება? აუ, რა მაგარი სახლია, იმ კაცს გაუმარჯოს, რა ხელი ჰქონია, ღმერთი გაახარებს-მეთქი. ნუ, აღარ ვჩერდები. ითმინა, ითმინა ამ კლიენტმა, ბოლოს ყელში ამოუვიდა და ერთი, მაგის ცოლ-შვილიც მოგ...ო. სიმწრით კბილებს ვაკრატუნებდი, მაგრამ ხმას რავა ამოვიღებდი?“ ჰა“.

ამ „ჯადოს“ წარმომავლობა, მაგრამ არაფერი ვთქვი, რადგან მინდოდა, ამ ყველაფრის დასასრულიც მენახა. ასაკის მიხედვით, ყველამ რიგრიგობით მიაშარდა „ჯადოს“ და მერე მეც მთხოვეს, იქნებ შენც მიამატოო. :) — არა, გმადლობთ, მე ოჯახის წევრი არ ვარ და ჩემს შარდზე უარყოფითი რეაქცია არ ჰქონდეს-მეთქი. :) მერე, ღამის 4 საათზე სადღაც წაიღეს ნემსი და დილით კართან უზარმაზარი ნალი ჩამოვიდეს. :) ასე „განვაიარაღეთ“ ჯადო და თუ თქვენც განუხებთ მსგავსი პრობლემა, დაგვიკავშირდით და ჩვენ დაგეხმარებით. პატივისცემით, ჯადოს წინააღმდეგ მებრძოლთა ჯგუფის წევრი, კანიბალკა“.

ძვირი „გზა“

„ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ათენში კვირაობით „არის ხუთშაბათი“. მოკლედ „გზაც“ მოვიპოვე და გზაშივე გადავაბუღებულე. ერთმა ქალბატონმა შემაჩერა და ჟურნალის ფასი მკითხა (ჰმ, ახალი ჩამოსულია, აშკარად). 1 ევრო-მეთქი, ვუთხარი. ისე შეიცხადა, „გზიდან“ ფურცლები ამოცვივდა. — რა ამბავია 1 ევრო? მაგათთვის ვმუშაობ მთელი დღე ნაკუზულიო? — „უკაცრავად, როგოორ?“ — თვლები გამიფართოვდა. — ჰო, რაია, რეიზა გეიკვირვე, მთელი დღე უნიტაზებს ვხეხავ, ნაკუზულიო, გამიმეორა (ქუთაისელია, „ასიანი“). — მეც არ ვიფიქრე-მეთქი? — წამომცდა უეცრად. ღამის თმაში მწვდა, განინმატებული. სულ „მაგაზე“ რომ ფიქრობთ, დეიდა, პანა ბუნებაზეც უნდა იფიქროთ ხანდახანო,

მითხრა და უკანმოუხედავად მოკურცხლა. რა შემატყო, სულ „მაგაზე“ ფიქრის? ქალი კანიბალკას დონჟუან ბაბუაზე ვფიქრობდი :-). ღმერთმა აცხონოს. ანარქია“.

ეკუა და მაკუა

„ჩემს სოფელში ცხოვრობდნენ დები, მაკა და ეკა; იქვე მეზობლად კი — ყველასთვის საყვარელი ძია მიშა. უბანში ყველა მეტსახელი ძია მიშას შერქმეული იყო. ეს დები ძალიან ღამაზი, პუტკუნა გოგონები იყვნენ და ძია მიშა მათ სიყვარულით ეკუას და მაკუას ეძახდა. გავიდა დრო, გაიზარდნენ გოგონები და ეს მეტსახელი, რა თქმა უნდა, არც ერთს აღარ მოსწონდა. გათხოვდა ჩვენი მაკა. ქორწილის დღეს ძია მიშა თვალცრემლიანი ლოცავდა და თან ხმამაღლა ამბობდა — „ეს როგორ, მაკუა?“ ჩვენი დედოფალი მაკა კი უხერხულად იშმუშნებოდა. გამოსავალი მეზობლის კაცმა გამონახა, ჰო, მიშა, ის მაკუა, აგერ, ჩვენი დედოფალი მაკუააო. ათენი, უცნობი“.

წამში ნაპოვნი ბედნიერება


„ამ ბოლო დროს ჩემი გულმავინცობის გამო (არადა, ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ), რა

აღარ მემართება. სადაც მივალ, აუცილებლად რამე მრჩება ხოლმე. გუშინ გაჩერებაზე ვიდექი და 20 წუთის მერე აღმოვაჩინე, რომ „ნაუშნიკებში“ მუსიკა არ მესმოდა. რატომ? ტელეფონი აუდიტორიაში დამრჩენია. ეგ არაფერი, 1 კვირის წინ არაბულის მეცადინეობაზე მივდიოდი და ორი გაჩერებით ადრე აღმოვაჩინე, რომ საფულე შინ დამრჩენია. ლექტორს დაუურეკე და ღამის სირბილით გამოვიყვანე გაჩერებაზე, რომ ჩემი მგზავრობის ფული გადაეხადა (აუ, მაგრად მერიდებოდა, მაგრამ ავტობუსიდან, რომ მომისაჯონ, ვერ ჩავიპარები და რა ვქნა?). ოოო, აი ჩემი და კი მთლად გავაგიჟე და უკვე — „სად არის?“ გაგონებაზე ისტერიკა ემართება. ყელში ამოუვიდა ჩემი გამუდმებული შეკითხვები: „ლუ (ასე ვეძახით), ჩემი ქუდი სად არის? ლუ, ჩემი წიგნი? ლუ, „ნაუშნიკები“? ლუ, ფუნჯები? აკვარელი? კედები? პიჯაკი? გასალები? დანა? კოვზი? ასანთი? სათვალე? ჩანთა? ტელეფონი? ლუუ, მომიძებნე, რა...“ ნეტავ, რა მემშველება? აი, გუშინ ღამით მაგარი რაღაც მოვიფიქრე, უნდა მომეწერა და დილით ველარაფრით გავიხსენე. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ხომ? ლელუჩია“.

გაურკვევლობა

„არც ისეთი პატარა გოგო ვარ, მაგრამ ასეთ სისულელეს თუ ვინმე გამიკეთებდა, არ მეგონა. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი, და იქნებ ვინმემ ისიც კი თქვას, მერე რაო, მაგრამ... ამჟამად ათენში ვარ. ჩემს მახლობლად ერთი ქართველი გოგო მუშაობს, პატარა ბავშვის მომვლელად. კარგი ადამიანი ჩანდა. ერთ დღეს მთხოვა, შენი მობილურით სურათს გავგზავნი ახლობლებთანო. არ ვიცი, რატომ გააკეთა ან რისთვის დასჭირდა: თავისი სურათის ნაცვლად ჩემი სურათები

მამცობელობას, მოცა სხვისთვის
განსუობილობის ვაიუქება ვინდა,
მაგრამ ვერმლოი არაყინას.





გუგზავნია (ცნობისთვის, თვითონაც ლამაზი გოგოა) და არა — ერთთან... ამას მოჰყვა ის, რომ ჩემი სურათი

ხელზე შუათითი მოიტეხა და მკურნალობა დაიწყო, მაგრამ ვინაიდან ტკივილმა არ გაუარა, ექიმბაშს ერთი ამბავი დაანია,

ხელოსნების მიერ აშენებული თბილისის აეროპორტი. ა, ამის თქმა მინდოდა, რა... 9717“.


„გზავნილები“ დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ მაგონებს. ასეა თუ ისე, ყველა სამოთხიდან ვართ გამოძევებული. მარის „გზავნილებში“ ისე ვიქცევთ თავს, თითქოს ნოეს კიდობანი ყოფილიყოს. „გზავნილების“ დაარსებიდან „მოკლედ“ ვარ ჩართული. ჰოდა, ერთხელ გრძლად მეც მათქმევინეთ მე, უწყინარ ლოკოკინას, იქნებ რას გეუბნებით? საქმეები გვერდზე გადადეთ. ერთი წუთით შემომხედეთ და მიპასუხეთ — ვინ ხართ?! რა არჩევნები, რის ლიდერი, რა ფილოსოფია, რის მორალი? თქვი შენი სიტყვა და გაიარე, რააა... „გზავნილები“ მეფობენ და არა — მგზავნილები. ლოკოკინა“.

„შეიძლება, ჯადოქრობად მიიჩნიოთ, რადგან 7 თვის ვიყავი, პირველად რომ გავქერი. 3-ოთახიან ბინაში ვცხოვრობდით მაშინ. მთელი სამეზობლო მეძებდა, მაგრამ ამაოდ. ზუსტად ლამის 12 საათზე ფანჯრის რაფაზე მჯდარი მიპოვეს. აი, ასეთი ამბავი გადამხდა. ალბათ მართლა ჯადოქრობის ბრალი იყო. ჯეზა“.

„ძალიან ცუდად ვარ, უცნაური შემთხვევაა, ასეთი არაფერი მინახავს. ჩემმა ძალღმა ლეკვი გააჩინა მკვდარი. ორი დღეა, გულში ჰყავს ჩაკრული, არც ჭამს, არც წყალს სვამს, გული დამეთუთქა მისი ყურებით, ნეტავ, რა ვუშველო? უსიცოცხლო თვალებით იყურება, თითქოს მისთვის წამი და დრო გაჩერდა. კაჭკაჭი“.

„ჰოდა, რას ვამბობდი... მარი, ძან საყვარლები ხართ შენც და შენი მგზავნილებიც. 70 წლის ბებია მყავს და ის კითხულობს ყოველ ხუთშაბათს „გზას“. არაა, მაგადი? მოვიკითხავ ელისოს. მშობლები ვერტყვიჭალიდან მყავს, ზაფხულში იქ ვარ ხოლმე და შორიდან გიცნობ. გრანდიოზ“.

მომდევნო „გზავნილების“ თემად გთავაზობთ: ტელეფონით ნაპოვნი სიყვარული. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვა კი ასეთია: პატრულმა რომ დაგიჭიროს, როცა პირველი სართულის ფანჯარაში ვინმეს უთვალთვალე, რით იმართლებ თავს?



ახლა თქვენ ჯერია, ოფიცერო

ბევრმა ნაცნობმა მიიღო. თავს მართლა უხერხულად ვგრძნობ და პრობლემებიც შემექმნა. აღარც კი ვიცი, ვის უნდა ენდო. ათენი, უცნობი“.

მაგრამ მსხვერპლი მაინც თვითონ აღმოჩნდა. ერთი თვე გაშვერილი თითით ემუქრებოდა იმ ექიმბაშს. აბლახანუმი“.


„გაზაფხულის წვიმიანი საღამო იყო, სიო ნაზად არხევდა აყვავებული ატმის რტოებს. მე ქუჩაში ჩაფიქრებული სახით მივდიოდი და ობლად დარჩენილ სიყვარულზე ვფიქრობდი. ღანჯებს ცრემლი მისველებდა. უეცრად მას ქარმა ქუდი მოხადა და ჩემკენ გამოაფრინა. მე შევიპყარი. ავხედე მონინებით და მივხვდი, რომ მე, მე ვიყავი და ის — თურქი

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ერთი ახლობელი ქალი ექიმბაშის მსხვერპლი საკუთარი ნებით გახდა. შემთხვევით



თუ ჩაღს მამყაყი თყაღს, ხელოღსღს მამღღღღსღს მნიღღღღღსღს ამ აჭღს. მთაღღღღს, მღს მამღღღღნი მღხაღღღღს.



ემპაზის მოქიჯარი

დასაწყისი — „გზა“, №38-48
მარი ჯაფარიძე

ვიოლეტა შეშინებული თვალებით მიყურებდა და ნერვიულობისგან ტუჩები უცახცახებდა.

— მართლაც, კარგი გოგოა, სად გაიცანი? — ვკითხე თვალებაცმიციმებულ სიძეს.

— ჩემმა თანამშრომელმა გამაცნო, მისი ნათესავია.

— ჰოო, იმ შენს ნათესავს მადლობა და სამაჩანკლო საჩუქარი ეუთვნის, — ჩავიცინე. ჩავიცინე კი არა და უშნოდ დავიღრიჯე, — ვიოლეტა ნამდვილად კარგი, ლამაზი გოგოა და დარწმუნებული ვარ, მისგან კარგი ცოლიც დადგება.

— ვიოლეტა კი არა, მაკა ჰქვია, — ხელი ნაზად მოხვია ცოლს.

— უკაცრავად, მე ვიოლეტად ვიცნობდი, — უნებლიეთ წამომცდა გაკვირვებულს.

— იცნობდი? — წარბი ასწია სიძემ.

ვიოლეტას სახეზე ფერმა გადაჰკრა და ქვედა ტუჩი კბილებს შორის მოიქცია.

— არა, მე კი არ ვიცნობდი, გარეთ, ნათესავები ამბობდნენ. ალბათ, შეეშალათ, — უხერხულობისგან თვალები სად წამელო, აღარ ვიცოდი.

— აა, კარგი, ახლა გავიდეთ სტუმრებთან, სირცხვილია, — ჯერ ვიოლეტა (თუ მაკა) გაატარა, მერე მე და თავდაც უკან მოგვყვა.

ქორწილში დიდხანს არ ვაჩერებულვარ, საქმე მოვიმიზეზე, შევპირდი, ხვალ აუცილებლად მოვალ-მეთქი და წამოვედი.

იმ ღამით თითქმის არ მეძინა. სინდისი მექნჯნიდა, ნათესავს რომ ვატყუებდი, მაგრამ რა უნდა მექნა? ვერ გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი, დამენგრია ამ ადამიანის ბედნიერება და სიმართლე მეთქვა თუ ყველაფერი ასე დამეტოვებინა და მთელი ცხოვრება ტყუილში ეცხოვრა? ბოლოს, ვიფიქრე, რომ ისევ პირველი ვარიანტი აჯობებდა. რაც არის, არის, ხვალვე ყველაფერს გავუმჟღავნებ-მეთქი, — გავიფიქრე და შვებით ამოვისუნთქე.

ქართული ტრადიციის თანახმად, ქორწილის მეორე დღეს წინა დღის სტუმრებიდან ნახევარზე მეტი ისევ საქეიფოდ

იჯდა და სადღეგრძელოსთვის სამადლობელს იხდიდა.

ვიოლეტას თვალი თვალში გავუყარე და კარგა ხანს გავუმტერე მზერა. თვითონაც დაჟინებით მიცქერდა, მაგრამ მერე თავი დახარა. ამ დროს ქმარმა რაღაც ჩასჩურჩულა და ისე ნაზად, ბედნიერად გაიცინა, რომ შემეცოდა. ვიფიქრე, რომ არ ღირდა ამ წყვილის დაშორება, მაგრამ წინა დღის დანაპირები სისრულეში აუცილებლად უნდა მომეყვანა. ვიოლეტას რომ ვხედავდი, ის დღეები მახსენდებოდა, როცა „ბორდელში“ ვაკითხავდი ხოლმე. მის შეხებას, სხეულსა და ვნებისგან ანთებულ თვალებს

**არ ვიცი, რა საშუალებით,
მაგრამ დედამისი აიძულა, რომ
მელანო მასთან ურთიერთობაზე
დაეყოლიებინა**

მიდის. ჰოდა, მეც გავემზადე და ახალდაქორწინებულებს მივადექი.

იქ უკვე უამრავი ხალხი დამხვდა. ზოგი სუფრასთან იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა და აქეთ-იქით დაბორიანებდა, ზოგს უკვე ქეიფიც მოესწრო და წასვლას აპირებდა. ოვაციებით შემხვდნენ და სუფრასთან ადგილი გამომიძებნეს. სიძე-პატარძალი სუფრის თავში

წარმოვიდგენდი და ცუდად ვხდებოდი. სანოლში სასწაულებს ახდენდა და სწორედ ამიტომ შემორჩა ჩემს მესხიერებას ასე ცოცხლად.

სტუმრები კარგად შეთვრნენ, სიძეც დაგვითვრა, საღამო ხანს ყველა დაღლილი იყო და უკვე ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდ-წამოვიდოდნენ სტუმრები. სიძე სანოლზე მიწვა და დაძინება გადაწყვიტა.

— უტა (ასე მეძახდნენ საქართველოში), ერთი წუთით მოდი, — თავისთან მიმიხმო, — შინ წასვლას რომ დააპირებ, მაკას დედა და და გაიყოლე და სახლამდე მიაცილე, გთხოვ.

— რად მინდა თხოვნა, აუცილებლად წავიყვან, — შევპირდი.

— მეც გავყვები, შინ რაღაცები დამრჩა და ბარემ წამოვიღებ, — თავზე ვიოლეტა წამოგვადგა.

— კარგი, წადი, მაგრამ უკან ვინ მოგიყვანს?

— ტაქსით წამოვალ.

— აბა, აბა, არ გრცხვენიათ? აქედანაც წავიყვან და უკანაც მე მოვიყვან, — თავი გამოვიდე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვიოლეტას სახლისკენ მივექროდი. ეზოში სულ რაღაც 3 წუთი დამჭირდა ლოდინი. პატარძალი უკანვე ჩამოვიდა, ჩემ გვერდით მოკალათდა და მანქანა დავძარი.

— საით? — ვკითხე და სახეზე შევხედე.

წამოჭარხლდა და უხერხულობისგან შეიშმუნა.

ხმას არ იღებდა.

— სად წავიდეთ? — არ მოვეშვი.

— სახლში, — ძლივს ამოილულულა.

— ჰმ, ძალიან მალე დაგავიწყდა გუშინელი პირობა.

— უტა, აღარ მინდა, ძველი ცხოვრებით ვიცხოვრო. მინდა, ყველაფერი დავივიწყო, ნუ მაიძულებ, რომ ოჯახური ცხოვრების პირველსავე დღეს ვულალატო ქმარს.

— ამას მართლა ამბობ? ის არ იცი, რომ შენი წარსული მუდამ თავს შეგახსნებს? განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ყველაზე ბედნიერი იქნები? სწორედ ასეთ დროს იგრძნობ ყველაზე მეტად წარსულის სიმწარეს და აუცილებლად თვალზე ცრემლს მოგადენს. სხვებს სიხარულის ცრემლი ეგონებათ და მხოლოდ შენ გეცოდინება, რატომ ტირი.

— ამით რისი თქმა გინდა? — ქალს თვალელები აუნწყლიანდა.

— არაფრის. ერთი რამ იცოდე, მუდმივად თვალთახედვის არეში მეყოლები და თუ შენ შესახებ რაიმეს გავიგებ, თუ ერთ არასწორ ნაბიჯს გადადგამ, იცოდე, რომ საქმე ცუდად გექნება, — შემეცოდა და გადამწყვეტილება შევცვალე.

— ნუ მემუქრები, — მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა და მადლიერების ნიშნად ლოყაზე მაკოცა.

ამის შემდეგ ვიოლეტას

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევხვდი. მას უკვე 2 შვილი ჰყავდა და ბედნიერად გამოიყურებოდა. ასე ცხოვრობს დღემდე.

ეს ამბავი ახლა რატომ გამახსენდა, არ ვიცი.

— ხმას რატომ არ იღებ? — მივუბრუნდი ნიცას.

— ფიქრში ხელი არ შეგიშალე. მივხვდი, ახლა აქედან ძალიან შორს იყავი.

— ჰო, ძალიან შორს, ჩემს ბავშვობაში.

— ცხოვრებაში ვინმე გყვარებია? — გულუბრყვილო გამომეტყველებით მკითხა ნიცამ.

— კი, როგორ არა, ერთხელ ვიყავი უგონოდ შეყვარებული.

— მომიყვი, ვინ გიყვარდა?

— ჩემი მეზობელი, ჩემზე 2 წლით უმცროსი გოგო.

— რა ერქვა?

— მელანო.

— მელანო? მელანია, არა?

— არა, მელანო!

— აუ, მიდი რა, მომიყვი რაღაცები...

— 14 წლის ვიყავი, რომ შემიყვარდა. მელანოს ლამის დაბადებიდან ვიცნობდი და მთელი ცხოვრება მიყვარდა, მაგრამ 14 წლის ასაკში სხვანაირად შემიყვარდა.

— ამას როგორ მიხვდი?

— რა უცნაურ რამეს მეკითხები, როგორც სხვები ხვდებიან ხოლმე, მეც ისე მივხვდი. თუმცა, ჯერ იმას მივხვდი, რომ მელანოს ვუყვარდი „სხვანაირად“ და მერე მივხვდი, რომ მეც იმავეს ვგრძნობდი, მის მიმართ.

— მერე?

— მერე ის, რომ ერთ დღეს სიყვარული ავუხსენი, მან კი მითხრა, რომ მასაც ვუყვარდი, მაგრამ ვერ გაბედავდა ჩემთან „სხვანაირ“ ურთიერთობას.

— შენ რა, სექსი შესთავაზე?

— არა, რას ამბობ?!

— აბა, „სხვანაირში“ რას გულისხმობდა?

— იმას, რომ ჩვენს სიყვარულს მომავალი არ ექნებოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დედა ჰყავდა ბოზი და იცოდა, ჩემი ოჯახის დამოკიდებულება ამ სიტუაციის მიმართ.

— მერე, შენ რა უთხარი?

— მე ვუთხარი, რომ ჩემს საქმეში არავის ჩავრევდი და მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი იქნებოდა, ვის შევიყვარებდი.

— მაგრამ ასე არ აღმოჩნდა,

ხომ?

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ მელანო ცოლად არ მოიყვანე. ალბათ, შენმა ოჯახმა იქონია გავლენა...

— არა, ჩემმა ოჯახმა კი არა, მელანომ აღარ ისურვა ჩემთან ურთიერთობა, ერთი შემთხვევის შემდეგ.

— რა იყო ასეთი?

— ერთხელ, მაშინ მე და მელანო უკვე 3 წლის შეყვარებულები ვიყავით... იცი, როგორ მიყვარდა? მის გარეშე სუნთქვა არ შემიძლო... ისიც გიჟდებოდა ჩემზე. ჰოდა, მოკლედ, მელანო ჩემ მიმართ გაცივდა. თვალს მარიდებდა და ვგრძნობდი, რომ რაღაც ხდებოდა. თავისი საქციელის ახსნა რომ მოვთხოვე, მითხრა, არაფერი ხდება, გეჩვენებო. არადა, რა მეჩვენებოდა? თითქოს გამოცვალესო, ისე იქცეოდა.

ერთ დღეს კი მეზობლების ჭორაობას შევესწარი შემთხვევით და გავიგე, რომ თურმე მელანოსთვის თვალი დედამისის ერთ-ერთ კუროს დაუდგამს და არ ვიცი, რა საშუალებით, მაგრამ დედამისი აიძულა, რომ მელანო მასთან ურთიერთობაზე დაეყოლიებინა. ეს რომ გავიგე, ტვინში ლამის სისხლი ჩამექცა. მთელი საღამო მელანოს ფანჯრებთან გავატარე, მაგრამ შინ მისული ვერ დავინახე. ლამის პირველი საათი ხდებოდა, როცა მათ სადარბაზოსთან მანქანა გაჩერდა და მელანო გადმოვიდა. ვაცალე, როდის წავიდოდა მანქანა და მელანოს სადარბაზოში დავენიე.

ჩემს დანახვაზე შევრთა და გაქცევა სცადა, მაგრამ ხელი მარწმუნით მოვუჭირე, მკლავები უკან მოვუქციე და კედელზე ავაკარი... მიძალიანდებოდა, ხელიდან გასხლტომას ცდილობდა, მაგრამ ისე მყავდა ჩაბლუჯული, რომ ვერაფერს ახერხებდა. ბოლოს დაიღალა და გაჩერდა. თვალელები ჩავეხედე, მაგრამ თავი ჩალუნა... მერე შემომხედა, თვალზე ცრემლი მოადგა და ლოყაზე ჩამოუგორდა. ასე, უხმოდ ტიროდა კარგა ხანს. არ ქვითინებდა, არც სახის მიმიკა ეცვლებოდა. მხოლოდ ცრემლი სდიოდა ღვარად. დავაცადე, ვიდრე დამშვიდდებოდა, მერე ხელი ნელა გავუშვი და რომ მივხვდი, აღარსად გაიქცეოდა, მთლიანად გავათავისუფლე.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში



მობილური-სერვისი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილ-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ფრცვლი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

კანკაბი



- ვარ 24 წლის, სექსუალური გოგო. თუ ვინმე სიყვარულს და სიტბოს ეძებს, გამოემხმეაუროს.
- ვარ 32 წლის, დაბალი და შეუხედავი გოგო. ღმერთმა ასეთად შემქმნა. ალბათ არავის ექნება ასეთი ადამიანის გაცნობის სურვილი, თუმცა მაინც ვწერ... რა ვიცი...
- ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მხოლოდ თბილისელ, მხოლოდ 45-50 წლამდე ასაკის, დასაქმებულ, სიმპათიურ, არამსმელ მამაკაცს. ვარ თბილისელი, განათხოვარი, თბილი ქალბატონი.
- გაუმარჯოს. ჩვენ ვართ ანი და ინა, 17 და 18 წლის. ვეძებთ ლამაზ საქმროებს. გამოგვეხმეაუროთ.
- 34 წლის, ნახევრად უკრაინელი ქალბატონი გაცივობს სერიოზულ მამაკაცს.
- მყავს ულამაზესი მეგობარი, სულიერადაც და ფიზიკურადაც, 24/45/160, რომანტიკული, თბილი, კეთილი. შეუძლია ნამდვილი სიყვარული. რაც მთავარია, პატიოსანია.
- ვარ 34 წლის ქალბატონი. მინდა გავიცნო ისეთი ადამიანი, ვისაც ქალის დაფასება შეუძლია. მესიჯით არ გაგეცნობით, დამირეკეთ. ლიკა.
- გვსურს გავიცნოთ დიმა ჩხეიძე და თუ არ შენუხდებით,

ნომერი მოგვწერეთ. დიდი მადლობა.

- ვარ 20/170/64, თაფლისფერი თვალები, მუქი წაბლისფერი თმა, თეთრი პირისახის, სერიოზული ურთიერთობისთვის გამოემხმეაუროს მალალი, 27 წლის, დასაქმებული პიროვნება, თბილისიდან ან ქუთაისიდან.
- ვარ 39 წლის, განქორწინებული. მინდა, ისევ ვცადო და ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 40-48 წლის, დასაქმებული, სერიოზული მამაკაცი. არ ინანებთ, ვინც იცით ოჯახის ფასი.

მამაკაცები



- ვარ 33 წლის, ინტელექტუალი. გავიცნობ საინტერესო ურთიერთობის მსურველ. 28 წლამდე ასაკის გოგონას. უკეთესია, თბილისელს. დამიმესიჯეთ.
- გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №48, მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
- ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან, არამწველ, სერიოზულ გოგოს. ვცხოვრობ კახეთში, ვარ 36 წლის, დასაქორწინებელი ბიჭი.
- გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ გოგონას. ვარ მატერიალურად უზრუნვე-

ლყოფილი, საკმაოდ სიმპათიური, 34 წლის მამაკაცი. დანარჩენი — პირადად.

- გამომეხმეაუროს „გზა“ №38, მე-8 მესიჯის ავტორი.
- ვარ 28 წლის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 20-25 წლამდე ლამაზ და ჭკვიან მანდილოსანს. გიო.
- ვარ 42 წლის მამაკაცი, წლოვანება არ მეტყობა. გავიცნობ თბილ და კეთილ, თბილისელ ქალბატონს. გარეგნობა და ფული ჩემთვის არაფერს ნიშნავს.
- ვეხმეიანები „გზა“ №35, მე-7 მესიჯის ავტორს. გთხოვთ მისცეთ ჩემი ნომერი. ჯემალი.
- ვარ 25 წლის, დედისერთა. გავიცნობ ლამაზ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით.

ვკკკკ



- ვეძებ
- გთხოვთ, დამაკავშიროთ 23-ე მესიჯის ავტორთან, „გზა“ №46. ის ჩემი მეგობარია და ეძებდა მეგობარ სოსოს.
 - ვეძებ მამაკაცს, რომელიც „ლურჯ მონასტერში“ მეჯვარედ იყო 18 ოქტომბერს.
 - ვეძებ სტუდენტობის მეგობრებს, ლარისა გაბელიას და ლუიზა გოგიბერიძეს. გამოემხმეაუროთ. რუსუდანი, დილმიდან.
 - ვეძებ ლაშა წყარუაშვილს, რომელიც დიდი ხანია, არ მინახავს. გთხოვთ, თუ იცნობს ვინმე, მიანვდინეთ ხმა. სამწუხაროდ, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

ვანანანან



- არ ვიცი, რამდენი კილომეტრი მაშორებს საბერძნეთიდან საქართველომდე, თუმცა ამ აიშორეს ჩემი სამყარო არ შეუცვლია. არ ვიცი, რამდენად ვახსოვარ მეგობრებს, არ ვიცი, რამდენად სწორი ნაბიჯი გადავდგი ჩემი შორს ყოფნით. საინტერესოა, როგორი ვახდა თბილისის ქუჩები... ქართველი ადამიანის სახე... გამომეტყველეთ... ჩემს



წარმოსახვამდე ველარ აღწევს.

• ჯობია, ცოტა გქონდეს ყველაფერი, გარდა ღვინისა, ლამაზმანებთან დაოკება გიჯობს ჟინისა, სჯობს სიმთვრალეში დაგეკარგოს გზები შინისა და წუთისოფელს ამჯობინო წუთი ღვინისა! ემკამი.

• „გზა“ საბერძნეთში მყოფი ქართველების დიდი იმედია. ამ უურნალით ბევრი ეხმიანება ახლობლებს და მეც მინდა, ყველას მოვეფერო.

• დღეს ჩემს დაიკოს ვემესიჯე, ლიკას. ჰოდა, მეუბნება, შენზე ეგეთები მესმის, ჭორებიო და აი, ერთიც მითხრა: თურმე ერთდროულად ბევრს ვაბამ. კარგი, რა, არ გეკადრებათ... ერთდროულად ხომ ყველა დაიცლება? ჯერ ერთს, მერე მეორეს შევაბამ და ა.შ. თავი ხომ არ გეფხანებათ, ხალხო, შიგნიდან? თუმცა, შური გაჭორავებთ. ჰე, მიდით, მე მკიდია მაინც უკარება.

• გაირბინა წლებმა, შენ გაიზარდე, პატარა ფრთებით შეეჭიდე ცხოვრების სიმძიმეს და მე გიპოვე. მაშინ გიპოვე, როცა ამის არც კი მჯეროდა. ახლა უკვე ვიცი, რომ ოცნებები ხდება.

• ვერა მხედავ მდუმარეს, ცრემლებს რომ ვღვრი, მდუმარეს, რად არ მეტყვი შენს ამბავს, ნუგეშს არ მცემ მწუხარეს, ან როდესაც ფარულად შენ ვინც გამოგაგზავნა, ანგელოზი სუფევდა შენს გულში თუ სატანა? აფრიდონიძე.

• მგზავნელებო, მართლა კარგები ხართ. თქვენ რომ არა, უთქვენოდ „გზა“ უინტერესო იქნებოდა. წარმატებებს გისურვებთ. ნათათო.

• მარი, მინდა შეგეკითხო: ყველაფერი — ყველაფერი, მაგრამ განძის მაძიებელი გაზაფხულზე გამოჩნდება პირველი მერცხალივით? აფრიდონიძე.

• ლამაზმა თვლებმა ლამაზი ცრემლები იცის, თვალ-

ზე ცრემლმა ლამაზად ციმციმი იცის, ლამაზმა ტუჩებმა ლამაზი კოცნა იცის და ყველა ლამაზმა ლამაზი სიყვარული იცის. ავთანდილოვნა.

• ყველა სწეულებზე, სიყვარული ძნელია, შეყვარებულისათვის ნათელიც კი ბნელია. თვალთ ველარას ხედავს, ყურში არ ეყურება და ყურმოჭრილ ყმასავით, მის კერპს ემორჩილება. და მეც ამას ველოდი, რაც ვალი და წესია, თუმც ამ გრძნობას ჩემს გულზე, ჯერ არ დაუკვნესია. იცი, რომ ამის ღირსი ხარ, ჩემგან? ნათათო.

• მარ, საყვარელო, დამიბეჭდე რა, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, დროის სიმცირის გამო ხშირად ვერ ვამესიჯებ. გადარეულ გურულს მოვიკითხავ, მეც გადარეული გურული ვარ. პაკო.

• ყველა მიყვარხართ, გურულებო, გამრავლდით! გადარეულ გურულს გაუმარჯოს. გურული პაკო.

• მარი, ჩემი მეუღლის სახელი ტიტო არ არის. ალბათ შეცდომით მოგწერე. სულ სხვა სახელი ჰქვია. მგზავნელები — ვინც იცოდა სახელი — მიხვდებოდნენ, რომ შეცდომა იყო. ლორელაი.

• პ-რინცესავ, ერთი ამისხენ, რაზედ მანატრებ თავსაო,

რ-ატომლაც შორს გამირბინარ, არცა მასწავლი გზასაო, ი-ცოდე, ყველგან მოგძებნი, ჩემზედაც დაგნერ ჯვარსაო, ნ-ეტავ ვიცოდე, რად მღუპავ, რისთვის ახარებ ავსაო.

ც-ელქობ, ჩემ ტანჯვა გახარებს, უმიზნოდ მიკლავ გულსაო,

ე-რთ გზა მაქ შენკენ სავალი, არცა გადავალ კურსსაო,

ს-აბრალოს, შენ ერთ უყვარხარ, სხვას არ გაჰხედავს არავის,

ა-რ გაგცვლის მეფის ასულზეც, შენ ეყვარები მარადის.

ეს შენ, ჩემო პრინცესავ 9717.

• მარ, გაბუტული ვარ, გზავნილებს რომ არ მიბეჭდავ! ახლა იცი, რას ვაკეთებ? ტრანსფარანტს ვწერ, მერე რედაქციასთან მოვალ და პროტესტის ნიშნად ვიშიმშილებ. sweet-girl.

• უზომოდ მენატრება ჩემი საქართველო, ჩემი ზესტაფონი, სადაც ჩემი ოჯახი, ლამაზი დედიკო, მამიკო, ძმა მიშკა და მეგობრები მელოდებიან. „გზა“ ათენში მყოფი ქართველებისთვის დიდი იმედია. ამ უურნალით ბევრი ეხმიანება ახლობლებს და მეც მინდა, ყველას მოვეფერო. ხიდარში შრუკიებს, მირანდას, პოპიას, როინს, ტინტილას.

• მივესალმები მთელ საქართველოს და თითოეულ თქვენგანს. ყველანი მაგრები ხართ, გაიხარეთ, ხალხო. მე ახალი ვარ, პირველად ვამესიჯებ და მინდა, მეც შემოგიერთდეთ. ნათია.

• მეგრელო მგელო, პენსიონერო, კანიბალკავ და დანარჩენებო, თქვენი დავინყება შეიძლება? თქვენმა გამოჩენამ ძველი დრო გამახსენა და სევდა მომეძალა... მართალია, მაშინ არ ვამესიჯებდი ხოლმე „გზაში“, მაგრამ თქვენს გზავნილებს სიამოვნებით ვკითხულობდი. მართალია, მე ახალი მქვია, მაგრამ მახსოვხართ და მიყვარხართ. sweet-girl.

• მე ეს სიშორე მეტად მაფიქრებს, ვჩქარობ, ისევ გავიქცევი, აქ ათენის მზე დღეს მე ვერ მათბობს, შენს ბაგეზე ალბათ დავინწები. ემკამი.

• სულ ორი თვეა, რაც ათენში ვარ და უკვე საშინლად მენატრება თბილისი. იქ ბევრი მეგობარი დავტოვე. არადა, მათ გარეშე ერთი დღეც ვერ ვძლებდი. ახლა სრულ სიმართოვეს ვგრძნობ. ჩემი გიჟი ბავშვები მენატრებიან. ცუდი ბარტყი.

• შენ ცხოვრების სიყვარული მასწავლე, სიცოცხლის სიყვარული, პატარა ქალო, შენ ჩემი მოუსვენარი გოგო ხარ, ჩემი ნერვების მომშლელი და ყველაზე საყვარელი ამქვეყნად. მანატრო.

• სალამი, ხალხოოო! მრავალჯერ თქმულა, მაგრამ მეც მინდა ვთქვა, რომ უმაგრესები და უსაყვარლესები ხართ ყველანი. იმედია, არ მიწყენთ, თუ კახელოს განსაკუთრებულად შევაქებ. გოგო,



კლიაიჭი შშშში
თავებს ხელავენ, ლილიაჭიჭები
— საჯამებს.

მეგზნილები

ჩემს ძმას მაგრად ევასები. ნუ იკარგები ხოლმე, თორემ ეს საცოდავი დგას და იგინება, — ნეტავ, გამეცნოო. იქნებ, „მობილი-ზაციაში“ ნომერი დატოვო?! ბიჭებიდან აპოლონი, ჯეჯე, მანესტრო და 9717 მევასებიან მაგრად, უსაყვარლესები ხართ. მარ, შენს შესაფასებლად კი სიტყვები არ მყოფნის, ქალი — ლეგენდა ხარ, რაა... თქვენი ფანი.

• ჰო, მართლა, ჩემზე ვინც ჭორაობს, იმათ გასაგონად ვამბობ: გამადლობთ, ჩემზე ფიქრით რომ ათენებთ და აღამებთ, თქვენმა ჭორებმა იქნებ ხელფასი მომიმატოს. უკარება.

• ვააა, ჩვენი კანიბალკა დაბრუნებულა. ეგრე, რა! რომ იცოდე, როგორ მოგვენატრე! საყვარელო მგზავნელებო (ძველებო), მეც გიერთდებით „გზავნილიორკის“ დალაგებაში. რა სჯობია სიმშვიდეს და ჰარმონიას?! ერთხელ თიკუნას სახლში მიაკითხა ლეომ, ეზოში თიკუნას დედა იდგა და ჭორაობდა. ლეოს დანახვაზე ჩხუბი ატეხა. დედის ყვირილზე გამოვიდა თიკო გარეთ და სანამ მეზობლები ლიანას აწყნარებდნენ, წაიყვანა ლეომ და გაუყვა თელავის გზას. დარჩა ლიანა ვაკეში, გულწასული! პატარა მავნე.

• ჩემთვის ბედნიერება შეუფასებელია. ბედნიერი ვარ ჭამის დროს, განსაკუთრებით. ვალიარებ ამას. რა ვქნა, მიყვარს ჭამა. გრუზინკა.

• შენ რომ დაიბადე, წვიმდა, მაგრამ ეს არ ყოფილა უბრალო წვიმა, თურმე მთვარე ტიროდა, რადგან დაკარგა საუკეთესო ვარსკვლავი, რომელიც მე ვიპოვე...

• ნათია ქარაულს! ნათი, მიყვარხარ ძალიან. ჩემი საყვარელი ბიძაშვილი ხარ. მინდა გითხრა, თავი მარტოდ არასდროს იგრძნო და გახსოვდეს, რომ მიყვარხარ. მარი.

• სიყვარული ეგ ისეთი დიდი გრძნობაა, მას ვერ იყიდი და ვერც გაცვლი რამეში. იბრძოლეთ, რომ ბედნიერები იყოთ და გულის კარნახს მიჰყვეთ. მეგრელი მგელო.

• მარიამულო, ვიცი, რომ არ მეპატიება, „გზავნილიორკიდან“ ასე უმიზეზოდ აბარგება. თუმცა, ხატზე დავიფიცებ, რომ თქვენი ლალატი გულშიც არ გამივლია. შუაგული ათენიდან, გულითა და სუ-

ლით გადევნებთ თვალს. ყველა მგზავნელზე ვიფიქრებდი, მაგრამ აპოლონს და ნიკოლს თუ გავახსენდებოდი, მართლა არ მოველოდი. ჰოდა, შიგ გულში ვენაცვალე, ორივეს. ანარქია.

• გამარჯობა მარი, როგორც იქნა, მოვახერხე და ამდენი წლის განმავლობაში („გზავნილებს“ ვკითხულობ პირველივე ნომრიდან, თან ყველა ჟურნალი შენახული მაქვს) პირველად გიგზავნი წერილს. იცი, ისეთი ასაკის ხალხი გიგზავნის მესიჯებს, რომ მერიდებოდა, ამხელა ქალი რამ გადარიო, არ გეთქვათ. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ვეცდები, ამის მერე თემებზეც მოგწეროთ ხოლმე. დიდი მოკითხვა მთელ „გზავნილეთს!!!“ პატივისცემით, ქალბატონი.

• „ბედს ვეძებდი, ვაი, სად არ ვიარე...“ ნანა ხოცუაშვილო, ჩემთან შემოიარე.

• გულით მიხარია ძველების დაბრუნება. მაგრები ხართ. გიჟ-ხიფათას: თავს ვდებ გრუზინკობაზე. 2 ლერი თათრული ძლივს ვისწავლე. უკარებას: ჭორის გამო „გზიდან“ არ წახვიდე.

• კანიბალკა, გეხვეწები მითხარი, ბაბუაშენი რით გარდაიცვალა? ბებო მყავს 103 წლის და შენახვა ძვირი მიჯდება, ჩაცმა-დახურვას მთხოვს. ნუ მომკლავ, გთხოვ. გრუზინკა.

• ბედნიერები არიან ის მგზავნელები, ვინც ერთმანეთს არ იცნობენ. ვირტუალური სამყარო რეალურს სჯობია. მგელო, დაბადების დღეს გილოცავ. რატომ არ გიხარია იუბილე? გრუზინკა.

• ჩემი „მეობა“ არ მიპოვია საიმისოდ, რომ კვლავ დავკარგო. ადამიანად დავბადებულვარ, ეშმად კი არა, რომ ვით-ა-თხაო! ვინაა ჩემი მოსახელე, ლუნა რომ გაანაწყენა? მე.

• სულ ერთი ციციქნა მესიჯი ვარ, სადაც მგზავ-

ნიან, მეც იქ მივდივარ. ზოგს ნერვებს ვუშლი, ზოგს ვახარებ. თქვენ გაგახარეთ თუ გაგაბრაზეთ? მეც შევჭერთები „გზავნილებს“. მერწედეს.

• არ მინდოდა აქ, ასე საჯაროდ დამენერა ეს, მაგრამ უკვე საშინლად დამლალეთ, რა. რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ. ასე მგონია, ზომბებივით ცხოვრობთ, თქვენთვის უცხოა სიტბო და სიყვარული. მინდა, ერთხელ და სამუდამოდ გითხრათ, იქნებ ახლა მაინც დაიმშვიდოთ აქავებული ენები, გრძელცხვირა ჭორიკანებო. არავინ მიყვარს ამ ჟურნალიდან, როგორც ქალი. ნამდვილად არ წყდება ჩემი ქალისადმი ინტერესი ამ ჟურნალში. საბედნიეროდ, რეალური სამყაროც მაქვს და გაცილებით ლამაზი ყოფილა, ვიდრე აქ, თქვენთან. მანესტრო.

• აპოლონ, ნიკოლ, ეგონისტკა, გამადლობთ, მეც რომ მახსენეთ. მიყვარხართ. კაკუუუ, რა მაგარია, აქ რომ ხააარ... მიყვარხართ ყველა. პავლიკ, მელოდე! :) სესი.

• პრივეტ, ყველას, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, ყოველთვის ვკითხულობ „გზავნილებს“ და მინდა, მეც თქვენთან ვიყო. მიმიღებთ? სხივი.

• პრივეტ, მგზავნელებო, როგორ ხართ? ძალიან საყვარლები ხართ. მინდა, მეც ვიყო თქვენთან. იმედია, მიმიღებთ. სულ „გზავნილებს“ ვკითხულობ. გკოცნით. დუჩი2.

• ყველა მიყვარხართ, „გზაელებო“. ახლა ცუდად ვარ და „გზიდან“ მივდივარ, ცოტა ხნით. ველარ მოგწერთ. თუ კარგად ვიქნები, დაგიბრუნდებით. მაგრად მიყვარხართ. გაკოცეთ. ედეღვანისი.

• კაკუ, უღრმესი მადლობა, ჩემო კარგო. უსაყვარლესი და უთბილესი ხარ. აუცილებლად გავაგრძელებ მხიარულ ნოტაზე გურულების



თუ ქალი შმასობს,
მეყუანის და თანაყ
ამას ხვდება.



Story-manias. გატოცე ბევლი... იკუშკები.

- ქუთათურს ცოტა დაგვიანებით ვულოცავ 21 წლის იუბილეს. ბედნიერ და წარმატებულ მომავალს გისურვებ, ჩემო კარგო. გაიხარე **green girl**, ძალიან მიყვარხარ. იკუშკები.

- გრუზინკას და **crazy girls** უღრმესი მადლობა, მოლოცვისთვის. გაიხარეთ, საყვარლებო. მგზავნელების გაცნობა მინდა და შემდეგ შეკრებას არ გამოვტოვებ. გაცოცხეთ. იკუშკები.

- მე ხომ გამომტოვეთ, დამპლბოოო... ლუნა, დაი, ყველა ცუდი დაიკიდე! ოლეგარიო, სულ მინდოდა მეთქვა — იცი, რა საყვარელი ადამიანი ხარ? აი, ხომ გითხარი. ეგოისტკა.

- ბაია და დათო, ასე რატომ შემყვარეთ თავი? თქვენ ჩემი გულის ნახევარი გეკუთვნით. გეფერებით ორივეს შორიდან. ბაია. გმადლობთ. ლუნა (ანა).

- მარ, კიდევ ერთი გზავნილშვილი გყავს, შორეულ საბერძნეთში. პატარა ქართველი ვაჟკაცი, მარკოზი დაიბადა. მივულოცოთ კოხის. აბა ჰე, ყველამ ერთად! გილოცააავთ! ოლეგარიო.

- ლუნა, გაიხარე, საყვარელო. მარტო აპოლონი მეძახის ნათათუნას. გაკოცე, ძამი. ნიკოლ, შე საყვარელო, მომენატრე. კანიბალკავ, მე აქ ვარ და მიყვარხარ. ძველებო, დაბრუნდით. **green girl**.

- მე მორიელიც ვარ და მშვილდოსანიც. თან, მ-თვიანი ვარ და თაფლისფერი თვალები მიმწვანდება ხოლმე. :) არა, რა, ანტიკა ბოვში ვარ. ჰოდა, კიდევ ჩიპსი და სნიკერსი „ლუბიტ“. :) **green girl**.

- მაპატიე, ჩემო კარგო მაიკო, რა ვიცოდი, ტელეფონი თუ შენი მეუღლის ხელში იყო. არ მინდოდა, შენთვის პრობლემა შემექმნა, მაგრამ მაინც მოხდა. მაპატიე, გთხოვ, ჩემი ბრალია. ვიცი, რა დღეშიც ხარ ახლა. მეც უფრო ვიტანჯები, ამას რომ წარმოვიდგენ. მაპატიე, ჩემო კარგო მეგობარო, გთხოვ...

- **green girl**, ნუ, არ მომეწონე და რა ვქნა ახლა? ვაჰ, კაცო... ლუნ, მაგრამ მიყვარდი, ასე მწარე რითმა რა საჭირო იყო, ჰა?! მე.

- გამარჯობა კარგებო, ცელქებო, ხუმარებო და მოწყენილებო, მგზავნელებო და მკითხველებო, მომნატრებისართ და თქვენთან მოვედი. აბა, გააღეთ გულის კარი...

- ვინც მიცნობს, იმ მგზავნელების საყურადღებოდ: არ იფიქროთ, რომ არ მახსოვხართ, მობილი დავკარგე და არცერთი თქვენთაგანის პირადი ნომერი აღარ მაქვს. სიმართლე გითხრათ, ყველაფერთან ერთად, ძალიან დიდი პრობლემები მქონდა როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სამსახურშიც. ძალიან გთხოვთ, დამიკავშირდით. მე თქვენ ყოველთვის მახსოვხართ, სადაც არ უნდა ვიყო და რასაც უნდა ვაკეთებდე. ეს განსაკუთრებით ეხება ჩემს ლეო91-ს, პატარა ლელას, რევოს და ენიგმას. ანარქია.

- მენატრებით ყველა, მართლა გამიჭირდა უთქვენოდ, მენატრებოდა თქვენი ხალისი და იუმორი. მარ, დამაბრუნე გთხოვ. გეხუტებით ყველას და მიყვარხართ. ბარტყი.

- გაუმარჯოს ყველას. წამიერად გადავწყვიტე, რომ თქვენთვის მომენერა. ამიერიდან ყოველთვის შეგანუხებთ და ბევრს დაგიმესიჯებთ. ფისუნია ვარ.

- დილა მშვიდობისა, მარი, როგორ ხარ? ჩემი მესიჯები მოგივიდა? გავიგე, ილინი ნახალოვკელია. მეც ნახალოვკელი ვარ, ძალიან მინდა მისი გაცნობა. გაკოცე ბევრი. უფალი გფარავდეს.




- აგნეს, მინდა ქვეყანამ გაიგოს, რომ მიყვარხარ და მენატრები. ციხის კედლები გვაშორებს ერთმანეთს. რამდენი წელი გავიდა, მაგრამ წლებმა შენი თავი ვერ დამავინცა.

- ჩემო სიყვარულო, მინდია გოხიძე, მაგრამ მიყვარხარ და ნუ ხარ ბუტია. შენი პრონტოზავრი.

- ჩემო სიყვარულო, ძალიან მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ. ძალიან მენა-

ტრები. გთხოვ, მალე დაბრუნდი, უშენოდ ვერ ვძლებ. ჩემი ლამაზი, ბედნიერი სიყვარული ხარ. კვატია.

მობილი-ზაცია



- ბოხო, 20 დეკემბერს, იუბილეს გილოცავ. გისურვებ, სულ ასეთი მიუწვდომელი იყო. მიყვარხარ, მეგობარო. იმედია, საიქიოში მანც გამეცნობი. თუმცა, ჯვარი გვწერია. გრუზინკა.

- საყვარელ ნოდეკოს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ნოემბერს. ემიგრანტო, გაბედნიერებასა და ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებ. დედიკო ლალი, ბებო ეთერი, დაიკო სოფო გაგებარებინოს. ეკა.

- საყვარელ დედიკოს, ეთერ ფურცხვანიძეს ვულოცავ 11 დეკემბერს, დაბადების დღეს. ღმერთი გფარავდეს, აგისრულოს ნატვრა. ეკა.

- ქრისტინა ბალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ნოემბერს. გისურვებ ბედნიერებას სიხარულო, მიყვარხარ მაგრამ. შენი დეიდა, თამუნა.

- ჩემს მონატრებულ შვილს მინდა მივულოცო ჩემთვის ყველაზე ლამაზი და ბედნიერი დღე, 29 ნოემბერი. გიო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უღვევ სიხარულს და სიყვარულს, შენს მეგობრებთან ერთად. გფარავდეს წმინდა გიორგი. გკოცნის და გეფერება შენი დედა, მზევინარი.

- ოზურგეთელო ნონა ლომაძე, გილოცავ 17 დეკემბერს და გისურვებ უღვევ სიხარულს, ჩემო პატარა მეგობარო. ნესტანი.

- მაგდა ბაჯელიძეს და სვეტა ტვილდიანს: გილოცავთ 17 დეკემბერს და გისურვებთ ლამაზი ოცნებების ახდენას. ნესტანი.

- სოფოსა და გოგიტას ვულოცავთ პატარას შექმნას. ღმერთი გფარავდეთ, გკოცნით. 13.07 და ვახო.

- ლაშა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად.

სოფო, შენი ბიძაშვილი.

- კოხი20-ს და გოგიტას ვულოცავთ პატარა ვაჟკაცის დაბადებას. ღმერთმა სასახელო ვაჟკაცი გაგიზარდოთ. ხათო დ ვახო.

- გიორგი ბებიაშვილს დაბადების დღეს, 29 ნოემბერს საბერძნეთიდან ულოცავს დედა, ციცო ქლიბაძე და უსურვებს ბედნიერებასა და სიხარულს, საყვარელ მეუღლესთან ერთად.

- მაკა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, შორიდან გიგზავნი იმდენ კოცნას, რამდენი წლისაც გახდი. იყავი დღეგრძელი, იცოცხლე, მანამ მზეს შეეძლება ქვეყნად ნათება. ნინო და როსტომი, ათენიდან.

- 30 ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს და ულამაზეს დედიკოს. დე, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ყველანი მენატრებით. ნანა.

- იბადებოდი, რათა მუდამ შენტვის მელოდა, მთელი ცხოვრება რომ მქონოდა თვალებზე ცრემლი, მთელი სიცოცხლე მუხლზე დაჩოქილს შენზე მელოცა, იბადებოდი, ჩემს შემშლელად იბადებოდი და ჩემს მკვლელად გწერდა უფალი, იმისთვის, რომ გეტანჯე მარად, შენ მიტომ გაჩნდი, რომ არ ვიყო თავისუფალი, მთელი ცხოვრება შენ რომ მყავდე, ფიქრად და დარდად. წერდა განგება, იბადებოდი! ჩემი ურჩი, ჩემი თავნება... სიცოცხლეო, 3 დეკემბერს, იუბილეს გილოცავ. სამტრედიელ ალექო (დადუია) ნიკურაძეს, სოფოსგან.

- გრიგოლ ლილუაშვილს დაბადების დღეს, 11 დეკემბერს ულოცავს ციცო ქლიბაძე.

- რომა ლილუაშვილს დაბადების დღეს, 10 დეკემბერს ულოცავს ციცო ბებო. უსურვებს ჯანმრთელობას და

მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას. ჩემო სიცოცხლევ, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი.

- მაიკო მითაგვარიას და ზაზას ვულოცავ ნიშნობას და გაბედნიერებას. დიდი პატივისთემით, ირაკლი კომახიანი და ნატალია.

- 29 ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ჯიგარ ძამიკოს. წარმატებულ ცხოვრებას გისურვებ, კაცი. ჩემი საამაყო ადამიანი ხარ. მაგრად მიყვარხარ. მეესტრო.

- ბუსკუს, გილოცავ! უფალი იყოს შენი მფარველი. მიყვარხარ.

- 5 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს, ჩემს დეიდაშვილს, დიტო აფციაურს, ახალ სამგორში. მრავალს დაეხსნარი დიტული, ჯანმრთელი და ბედნიერი. ძალიან მიყვარხარ. შენი დეიდაშვილი, მარი ბალახაძე.

- ჩემო კარგო და საყვარელო ნინო გოგოლაურო, გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი და გახარებული დედა ყოფილიყავი. იხარე და შენს ცხოვრებაში ცრემლი აღარ მენახოს, შენს ლამაზ და ცისფერ თვალებზე. შენი ნანული დეიდა.

- ციალა ბურდულისა და ლია ნიკლაურის თამადობით დაბადების დღეს ვულოცავთ ათენში მყოფ, დეკემბერში დაბადებულ, ყველა ღირსეულ ქართველ დედას და ქალს. უფალი ღმერთი და ღვთისმშობელი ყოფილიყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს ყოველთვის თქვენი მეგზური. გკოცნით ბევრს. ნანული და ნანა.

- ახმეტაში ვახუნა ფეტვიაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. ვახუნა, გკოცნი ბევრს და იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ. ეთო.

ყურადღება!


„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ჩუკიანბა ჩაშობა
თავითონვე იცის, როდ
სულოლია.

აღზარდ აინშტაინის ? სასარგებლო ციხაბა

აღზარდ აინშტაინი ფიზიკოსი იყო და უამრავი აღმოჩენაც გააკეთა, მაგრამ ხალხი მას გენიოსს მხოლოდ ამის გამო არ უწოდებს. პროფესორი აინშტაინი ფილოსოფოსიც გახლდათ და კარგად ერკვეოდა წარმატების მიღწევის კანონებში და ამ თემასაც ისევე კარგად ხსნიდა, როგორც თავის ტოლობებს. აი, რამდენიმე ციტატა, რომელიც ამ გენიოსს ეკუთვნის.



1. ადამიანს თუ შეცდომა არ მოსვლია, მას სიახლის გაკეთება არ უცდია.
ადამიანთა უმეტესობას სიახლის სწორედ შეცდომის დაშვების გამო ეშინია. თუმცა, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ როდესაც ადამიანი მარცხს განიცდის, მომავალი გამაჩვენებს მისი მამაცობის სწავლებას.
2. განათლება ის გახლავთ, რაც მესხიერებაში მას მერე რჩება, როდესაც სკოლაში ნასწავლი გავიწყდება.
30 წლის შემდეგ სკოლაში ნასწავლი ყველას ავიწყდება და მხოლოდ ის ამახსოვრდება, რაც თავად შეისწავლა.
3. თავის წარმოდგენაში პროფესიონალი მხატვარივით ხატვა ყველა ადამიანს შეუძლია. წარმოდგენა ცოდნაზე მნიშვნელოვანია. ცოდნა შეზღუდულია, წარმოდგენა კი მთელ სამყაროს მოიცავს.
როდესაც წარმოდგენ, როგორი ევოლუცია განიცადა ადამიანმა გამოქვაბულში ცხოვრების შემდეგ, წარმოსახვის ძალას მთელი მასშტაბით შეიგრძნობ. ის, რისი პატრონებიც ახლავართ, ჩვენი წინაპრების მიღწევაა. ის, რაც მომავალში გვექნება, ჩვენი წარმოსახვის საშუალებით იქნება აშენებული.
4. შემოქმედების საიდუმლო შთაგონების წყაროს გასაიდუმლოებაშია.
ადამიანის შემოქმედების უნიკალურობა

იმანა და მოკიდებული, რამდენად კარგადაა გასაიდუმლოებული შთაგონების წყარო. შესაძლოა, ვიღაცას სტიმულს სხვა დიადი ადამიანები აძლევენ, მაგრამ როდესაც მას მსოფლიო იცნობს, იდეები უნიკალურად უნდა გამოიყურებოდეს.

5. ადამიანი იმით უნდა შეფასდეს, თუ რისი გაკეთება შეძლო და არა იმით, თუ რისი გაკეთება შეეძლო. ეცადე, წარმატებული კი არა, დაფასებული ადამიანი იყო.
თუ მსოფლიოში ცნობილ ადამიანებს გადახედავ, მიხვდები, რომ თითოეულმა მათგანმა სამყაროს რაღაც მისცა. უნდა გაცე, რომ მიიღო. როდესაც შენს მიზნად სამყაროს ფასეულობის გაზრდას დაისახავ, ცხოვრების შემდგომ ეტაპზე გადახვალ.

6. არსებობს ცხოვრების 2 საშუალება: იცხოვრო ისე, თითქოს სასწაული არ არსებობს და იცხოვრო ისე, თითქოს სამყაროში ყველაფერი სასწაულია.

თუ ცხოვრების წესად პირველს აირჩევ, მაშინ ყველაფრის გაკეთებას შეძლებ და წინააღმდეგობებს არ წააწყდები, ხოლო თუ იფიქრებ, რომ სამყაროში ყველაფერი სასწაულია, მაშინ სულ მცირე სილამაზით დატკობასაც კი შეძლებ. თუ ორივე საშუალებას ერთდროულად გამოიყენებ, შენი ცხოვრება ბედნიერი და პროდუქტიული იქნება.

7. იმისათვის, რომ ცხვრის ფარის სრულ-უფლებიანი წვერი გახდე, ჯერ ცხვრად უნდა გადაიქცე.
თუ წარმატებული მენარმეობა გსურს, ბიზნესი ახლავე უნდა წამოიწყო. თუ წამოწყება გინდა, მაგრამ შედეგის გეშინია, ეს არაფერს მოგიტანს. ეს წესი ცხოვრების სხვა სფეროებშიც მოქმედებს: რომ მოიგო, უნდა ითამაშო.


8. ჯერ თამაშის წესები უნდა ისწავლო, შემდეგ ყველაზე კარგად უნდა ითამაშო.
ეს წესი ისეთივე უბრალოა, როგორიც ყველაფერი — გენიალური.

9. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კითხვების დასმა არ შეწყვიტო. ცნობისმოყვარეობა ღმერთს კაცობრობისთვის ტყუილად არ უბოძებია.
ჭკვიანი ადამიანები ყოველთვის სვამენ შეკითხვებს. ჰკითხე საკუთარ თავს და სხვა ადამიანებს, რომ პრობლემის გადაჭრა შეძლო. ეს სიხლის შეცნობასა და საკუთარი ზრდის ანალიზში დაგეხმარება.




ფიდის ჰრესი ცრცხადი!

რამდენიმე დღის წინ ელვის პრესლის დამ გააფრცელა ინფორმაცია, რომ მისი ძმა, როკ-ენ-როლის მეფე, ელვის პრესლი ცოცხალია. თავისი განაცხადი მან დემის ანალიზით დაადასტურა. მისი თქმით, მამაკაცი, რომელმაც ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ელვის პრესლია, ნამდვილად მისი ძმაა. მისი დემ სრულიად შესაბამეა ელვისის, მისი დისა და დანარჩენი ნათესავების დემ-ს. ჭორები იმის შესახებ, რომ როკ-ენ-როლის მეფე ცოცხალია, უკვე დიდი ხანია, არსებობს... თუმცა, ელვისის გარდაცვალების ოფიციალურ თარიღად 1977 წლის 16 აგვისტოა დასახელებული.



ფიდის განცხადება შესაქმნადი!



შისდის ვირუსის აღმომჩენმა, ფრანგმა მეცნიერმა, ლუკ მონტანიემ განაცხადა, რომ უახლოესი 3-4 წლის მანძილზე შიდსის განკურნება შესაძლებელი იქნება. მკურნალობა თერაპევტული მეთოდით ჩატარდება. მონტანიეს წელს ნობელის პრემია მიანიჭეს. „ამის თქმის საფუძველს შედეგიანი კვლევა და ცდები გვაძლევს. სულ მალე XX საუკუნის „შავი ჭირი“ დამარცხდება“, — განაცხადა მეცნიერმა.

ანუდოსეი



☺ პატრულმა ბოლო მოდელის „მერსედესი“ გააჩერა, რომლის საჭესთანაც ნარკომანი მძღოლი ზის. ამ დროს მძღოლის ტელეფონმა დარეკა.

— ალო, ჰო, მე ვარ; კი, მომაქვს, მაგრამ პატრულმა გამაჩერა. არა... ჯერ არ უპოვიათ.

☺ მიხოს ცოლი ავად გაუხდა. ორლობეში მიტო შეხვდა და მარო მოიკითხა.

— ჯო, შენი ცოლი როგოა?
— რავი, ხმას არა უშავს, მაგრამ გამოსახულება კი არ უვარგა და...


☺ — რისი გეშინია ყველაზე მეტად? — ეკითხება ერთი მეგობარი მეორეს.

— სიბნელის და სტომატოლოგების.

— სიბნელის რომ გეშინია, გასაგებია, მაგრამ სტომატოლოგების რატომღა გეშინია?

— აუჰ, იცი, სიბნელეში რამდენი სტომატოლოგია?

☺ სვანმა „ოპელი“ იყიდა და მესტიაში, თავის სახლთან გააჩერა. დილით მანქანა ადგილზე არ დახვდა. გაბრაზდა, მაგრამ რაღას იზამდა?! იმავე დღეს მეორე „ოპელი“ იყიდა. დილით ისევ არ დახვდა. გაბრაზებულმა კვლავ იყიდა „ოპელი“ და ისევ სახლთან გააჩერა, წარწერით: „ნუ წაიყვანთ, ერთი დღე მაინც ვისეირნო“. მეორე დილით ჭიშკართან „ტოიოტის“ ჯიპი დახვდა, წარწერით: „ისეირნე, ისეირნე. მაგრამ სვანებს ნუ შეგვარცხვენ“.



ნაჩუქარი ჰალსტუხი...

ინგა ჯაყელი

რამდენნაირი ჰალსტუხიც არსებობს, იმდენნაირი კაცია და გემოვნებამო! — ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში თქვა ერთმა ცნობილმა დიზაინერმა და ძნელია, მისი ავტორიტეტის მქონე კაცს არ დაეთანხმო, მაგრამ ის ჰალსტუხი რომ გენახათ, რომელიც დაბადების დღეზე ორჯერ აჩუქეს ლამას, მიხვდებით — ზოგჯერ გენიოსებსაც წამოსცდებით ხოლმე სისულელე და ბრმად არავის აზრს არ უნდა გაუწიოთ ანგარიში...

შარშან, 35 წელი შეუსრულდა ლამას და მართალია, მთლად მრგვალი თარიღი არ ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, მაინც მასშტაბურად აღენიშნა, მით უმეტეს, რომ 15 წლის უნახავი, ბავშვობის მეგობარი ჩამოუვიდა ამერიკიდან, რომელმაც ოკეანის მიღმა ცხოვრებაც მოიწყო და ბიზნესიც ისე ააწყო, — მილიონერობას აღარაფერი უკლიაო — ამბობდნენ. ჰოდა, გულის კუნჭულში ლამა იმასაც ფიქრობდა, — ვინ იცის, საჩუქრად, თუ მეტი არა, ათასი დოლარი მაინც შეიძლება გაიმეტოსო, — მაგრამ ნურას უკაცრავად: პატარა კოლოფი შეაჩეჩა ხელში, ის კი უთხრა — საგანგებო შეკვეთითაა დამზადებული და შენს მეტს არავის ექნება მსოფლიოში...

ლამის გინებით აიკლო მჩუქებელიც და გამომშვებიც, როცა სტუმრების წასვლის შემდეგ, საჩუქრებისთვის მოიცალა და პირველ რიგში, ამერიკული „პრეზენტი“ გახსნა: ჰალსტუხი იყო, მუქი მწვანე — „ბოლოტინი“ ფერის, რომელსაც დიდი წითელი მამალი ესაბა და ინგლისური წარწერაც ამშვენებდა: „ნამდვილი მამლაყინებისთვის!“

მართლაც, მე შენი GTNE-ი თავიო! — კიდევ ერთხელ შეიგინა და საჩუქარი გვერდზე მიაგდო. ორიოდვე კვირაში კი მოძებნა და საჩუქრად, მოულოდნელად გამდიდრებულ მეზობელს წაუღო, რომელსაც ორი წიგნიც არ ექნებოდა ნაკითხული და გემოვნებაც ამ ჰალსტუხივით უცნაურად — „ბრჭყვიალა“ ჰქონდა...

კი აჩუქა, მაგრამ კიდევ ორ კვირაში ასეთი ინფორმაცია მიიღო მისგან: შენი ჰალსტუხი ჩემს ქვისლს მოეწონა და ვაჩუქე, ხომ არ გენყენებო?

წყენით რატომ ეწყინებოდა ლამას?

შას?! ეს კია, ისევ შეაგინა თავის ამერიკელ მეგობარს, რომლის ნაჩუქარი ჰალსტუხიც მხოლოდ „პედერასტების“ გემოვნებაში ჯდებოდა; სწორედ ასეთი რეპუტაცია ჰქონდა მისი მეზობლის ქვისლს...

ლამას ალბათ აღარც გაახსენდებოდა ის ჰალსტუხი, შემთხვევით თავისი ბიზნესპარტნიორის სახლში რომ არ ენახა, თიხის თოჯინაზე დაკიდებული. — ერთი დარტყმული თანამშრომელი მყავს, — განუმარტა მასპინძელმა, — იმას ეკეთა და ხუმრობით ვუთხარი, — ეს რა „უცხო“ ჰალსტუხი გაქვს, სად იშოვე-მეთქი? — და ვერ მიხვდა ირონიას. ეგონა, მართლა მომეწონა, მოიხსნა და მომაჩეჩა: ფეშქეში იყოს, მაინც მინდოდა, რაიმეთი პატივი მეცაო!.. რას ვეტყვოდი?! არადა, მაგის გამკეთებელი ვარ?! ჩემი შვილის კლასის დამრიგებლის დაბადების დღეა ორ კვირაში, საწყალი კაცია, იმისთვის გავატან...

ლამამ მოსმენილი უკომენტაროდ დატოვა, მაგრამ ორიოდვე თვეში, დაწყევლილივით, ისევ გადაეყარა ამ ყბადაღებულ ჰალსტუხს: მალაზიაში შეჰყვა ცოლს, მონონებული ჭალის საყიდლად, და იქ არ დახვდა?! თან, ფასიც სოლიდური ეწერა — 150 დოლარი. როგორც ჩანს, არც იმ საწყალი მასწავლებლის გემოვნებაში ჩაჯდაო! — გაიფიქრა და ისე მოარიდა ჰალსტუხს თვალი, თითქოს შეეშინდა, ძალით არ გაეტანებინათ მისთვის...

ამის შემდეგ ალბათ მართლა დაივიწყებდა იმ საზიზღრობას, თავისი შეფის ოჯახში მომხდარი უცნაური ინციდენტის მომსწრე რომ არ გამხდარიყო. 60 წლის იუბილეზე რომელიღაც ნათესავმა მოართვა გივის ეს ჰალსტუხი და იქვე, სუფრასთან დაუპირა ყელზე ჩამოკიდება:

— პირდაპირ ამერიკიდანაა ჩამოტანილი, ერთადერთი ეგზემპლარია, მთელ საქართველოში კი არა, მსოფლიოში არავის ექნება მსგავსი რამე!.. — დასძინა სტუმარმა.

გადაირია იუბილარი. ლამის კინისკვრით გააგდო სახლიდან:

— ასეთი ხუმრობა როგორ მაკადრე?! ვინ გგონივარ, შე თავად პედერასტო!..

ძლივს გააშველეს სტუმარ-მასპინძელი და ხუმრობაში რომ გაეტარებინათ ყველაფერი, ვილაცას მოაფ-



იქრდა — მოდი, სახელდახელო აუქციონი მოვანყოთ აქვე, სუფრასთან და ვნახოთ, ვინ რამდენს გაიღებს ამ „მამლაყინაშიო“: რადგან იშვიათი ეგზემპლარია, ვინ იცის, რა ფასი დაედება თავის დროზე?! აბა, ჰე, გაიკარით ჯიბეზე ხელიო! — და საწყის ფასად, 5 ლარი დაადო. „უცხვირპიროდ“ რომ არ ჩაეთვალათ, ლამაც აჰყვა სხვებს ხუმრობაში და პირველმა ასწია ფასი 10 ლარამდე... მეორედ, 30 ლარი ააფრიალა და ასე, სიცილ-ხარხარში, ჰალსტუხი, ბოლოს და ბოლოს, 150 ლარად გაიყიდა.

საზეიმო ვითარებაში გადასცეს ახალ მფლობელს და ფული იუბილარის შვილიშვილებს გაუნანილეს — ბაბუის სახელზე ტკბილეული იყიდეთო!..

ის დღე ამით დამთავრდა. ამასობაში, წელიწადიც მიიღია და ლამამ მომდევნო დაბადების დღეზე რამდენიმე მეგობარი რესტორანში შეკრიბა. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?.. ერთ-ერთმა მათგანმა სწორედ ის ჰალსტუხი აუფრიალა ცხვირწინ: ვიცი, იმ „აუქციონზე“ ძალიან გინდოდა, შენ დაგჩენოდა და გული დაგწყდა, ცხვირწინ რომ აგაცალე; მაშინვე გადავწყვიტე, რომ ამ დღეს გაჩუქებდიო!..

ძაღვების არაადამიანური დაძაბვით შეძლო ლამამ თავის შეკავება... როგორც იქნა, მშვიდობიანად გაისტუმრა სტუმრები. შინ მისულმა კი ჰალსტუხი წვრილ ნაკუნებად აქცია და გულდაგულ დაწვა ბუხარში...

ყოველდღე მინდა ღვთისმშობლის
ტაძარს მივყავნება — ერთ-ერთი თორმეტი
საუფლო დღესასწაულოთაგანია მას მარ-
თობადიდებელი ეკოესისა, დევეშვიტის
დღესასწაულოებს სამი წლის წინა იყო
წმინდა მარიამი, როდესაც მშობლებმა —
იოაკიმმა და ანამ ღვთის წინაშე დადგ-
ნული ართქმის თანახმად, იერუსალიმის
ტაძარში მივყავნეს წმინდა ქალწული
დაწინდებულ ტაძარს არ გახდნოვნა...



შორენა მერკვილაძე

საეკლესიო გარდამოცემა მოგვითხრობს, რომ სამ წლამდე წმინდა მარიამი მშობლებთან იზრდებოდა. ღვთისმშობი და ბრძენი მშობლები — იოაკიმე და ანა ერთადერთ ასულს უფლის სამსახურისთვის აზადებდნენ. ჯერ კიდევ მცირეწლოვან ყრმას შთაგონეს, რომ ღვთისთვის ჰყავდათ აღთქმული: უმვილობით დამსუხრებულმა ანამ, იოაკიმესთან წინადადებას თანაცხოვრების შემდეგ, ანგელოზისგან მიიღო უწყება, რომ მიეცემოდა ასული, რომლის სახელიც იქნებოდა მარიამი და მისი წყალობით კაცობრიობა ხსნას მიიღებდა (წმინდა მარიამისგან იშვებოდა მხსნელი კაცობრიობისა — განკაცებული უფალი იესო ქრისტე) ამ უწყებით გახარებულმა ქალმა წამოიძახა: „ცხოველ არს ღმერთი, თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შევწირავ, დაე, დღედაღამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადიდოს“. უფლის ანგელოზი იოაკიმესაც გამოეცხადა და მასაც აუწყა ნება ღვთისა... აღსრულა კიდევ აღთქმა ღვთისა — იშვა ყოვლადწმინდა ქალწული. ანგელოზის მითითებით, ახალშობილს მარიამი უწოდეს, რაც ებრაულად ქალბატონს, ასევე — იმედსაც ნიშნავს: „მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით ყოველივე შექმნილის ქალბატონად და იმედად იქცა“...

დადგა ღვთისადმი დადებული პირობის

**ყოველდღე მინდა ქალწულს
ყოველდღე ეცხადებოდნენ უფლის
ანგელოზები, ზეციურ საკვებს
უძღვნიდნენ და ესაუბრებოდნენ**

აღსრულების დრო. სამი წლის ყრმა ქალწული სადღესასწაულოდ მოამზადეს იერუსალიმის ტაძარში წასაყვანად. ამ დღეს მართალ იოაკიმესა და ანას სახლში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. აქვე იყვნენ წმინდა ყრმის თანატოლებიც, რათა გალობით გაცვილებინათ იერუსალიმის ტაძრისკენ მიმავალი ღვთაებრივი ყრმა ნაზარეთიდან იერუსალიმის ტაძრისკენ მიმავალ წმინდა ქალწულს გალობითა და ანთებული სანთლებით მიაცილებდნენ...

და აი, გამოჩნდა იერუსალიმის ტაძარიც. ტაძარში შესასვლელად 15 კიბის ავლა იყო საჭირო, იმ ფსალმუნთა რიცხვის მიხედვით, რომლებსაც ღვთისმსახურნი და ლევიტელნი თითოეულ საფეხურზე გალობდნენ ტაძარში შესვლისას. ღვთაებრივი ყრმის მისაგებებლად, ტაძრიდან ღვთისმსახურნი გამოვიდნენ. მათ წინ მღვდელმთავარი ზაქარია — მამა იოანე ნათლისმცემლისა მიუძღოდათ. იოაკიმემ და ანამ პატარა მარიამი ტაძრისკენ მიმავალი კიბის პირველ საფეხურზე დააყენეს. მან დაუხმარებლად, დამოუკიდებლად აირბინა კიბეზე და ბოლო საფეხურზე შედგა. დამსწრენი განცვიფრებულნი შესცქეროდნენ მარიამს. მღვდელმთავარ ზაქარიას ყრმა კიბეზე არ შეუყოვნებია, როგორც ჩვეულებისამებრ აყოვნებდნენ მლოცველთ, არამედ ხელი მოჰკიდა და ტაძრის საკურთხეველში შეიყვანა, სადაც არათუ ქალს, არამედ მღვდელმსახურთაც კი ეკრძალებოდათ შესვლა. „წმიდათაწმიდაში“ მხოლოდ მღვდელმთავარი შედიოდა წელიწადში ერთხელ, ხანგრძლივი მარხვისა და ლოცვის შემდეგ, რათა საკუთარი და ერის ცოდვები სამსხვერპლო ცხოველის სისხლის პურებით განწმინდა. თუმცა, როგორც ეკლესია გვიჩვენებს, მღვდელმთავრმა ზაქარიამ წმინდა ქალწული ღვთის შთაგონებით შეიყვანა ტაძრის „წმიდათაწმიდაში“; „ღვთისმშობელი შევიდა „წმიდათაწმიდაში“, ისევე, როგორც წარსულში აღთქმის კიდობანი, რომელიც კაცობრიობის მხსნელის — ქრისტეს დედის წინასახეს წარმოადგენდა“.

მღვდელმთავარმა ზაქარიამ, ღვთის შთაგონებით, ყრმა მარიამს საკურთხეველში სალოცავი ადგილიც მიუჩინა. იოაკიმემ და ანამ საძაღლობელი მსხვერპლი შესწირეს უფალს და ნაზარეთისკენ გაემართნენ. მაღლობას სწირავდნენ ღმერთს, რადგან შეიქმნენ ღირსნი ღვთის უდიდესი წყალობისა. ამიტომაც არ მიჰკარებია ხანდაზმული მშობლების გულს ნაღველი და მწუხარება ერთადერთ ასულთან განშორების გამო...

სამი წლის მარიამი ტაძრად მიყვანების შემდეგ იქვე დამკვიდრდა, იგი ტაძართან არსებულ ქალწულთა სავანეში დააბნინავეს, სადაც ქალწულები, უზაკველი ქვრივები და ნაზორველები (სექტის წევრები, რომლებსაც თავი მიეძღვნათ ერთი ღმერთის მსახურებისათვის, თავის უარყოფითა და წმინდა ცხოვრებით მსახურობდნენ ღმერთს) ყრმა მარიამი ქალწულთათვის განკუთვნილ შენობაში მკვიდრობდა. მღვდელმთავრის კურთხევით, უფროსი ქალწულები „წმინდა წერილის“ კითხვას და ხელსაქმეს ასწავლიდნენ, ტაძარში მხოლოდ სალოცავად შედიოდა, დანარჩენ დროს სავანეში ატარებდა.

იერუსალიმის ტაძარში დამკვიდრებული მარიამი განსაკუთრებული სისუბეტაკითა და სინმინდით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ ყრმა ქალწულის ცხოვრების წესის ხილვა უფლისადმი განსაკუთრებულ მონივნებას აღუძრავდა მხილველთ. გარდამოცემა მოგვითხრობს, რომ იგი აღიონზე დგებოდა და იმ დროს დადგენილი კანონისამებრ, კითხვითა და ხელსაქმით იყო დაკავებული: ხელსაქმედ სელისა და მატყლის დართვა ჰქონდა. ძირითადად, საღვთისმსახურო შესაძლებელს ქარგავდა აბრეშუმით.

საეკლესიო საგალობლებში გვხვდება მოწმობა იმის შესახებ, რომ ყოვლადწმინდა ქალწულს ყოველდღე ეცხადებოდნენ უფლის ანგელოზები, ზეციურ საკვებს უძღვნიდნენ და ესაუბრებოდნენ... ტაძრის მსახურთ წმინდა ყრმის მიმართ განსაკუთრებული მონივნება ჰქონდათ, მსცოვანი მღვდელმსახურნი მას „ტაძრის ძვირად ღირებულ სამკუთხედს“ უწოდებდნენ...

ცხრა წლის იყო მარადის ქალწული, როდესაც მშობლები გარდაეცვალნენ. ძალზე დაამსუხრა მარიამი დედ-მამის დაკარგვამ. გააცნობიერა, რომ მინიერებასთან აღარაფერი აკავშირებდა.

მას შემდეგ სრულად მიენდო ღვთის ნებას. ერთადერთი სურვილი ჰქონდა — ბოლომდე ღვთის მხველად დარჩენილიყო და მუდამ მის წმინდა ნებას დამორჩილებოდა. ამის დასტურად, უფლის წინაშე ქალწულობის აღთქმა დადო...

მართლმადიდებელი ეკლესია გამორჩეულ პატივს მიაგებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. რამეთუ მისგან იშვა მხსნელი კაცობრიობის, განკაცებული უფალი იესო ქრისტე. „ყოვლადწმინდა ქალწულმა, როგორც განსულიერებულმა სამოთხემ, საკუთარ თავში სათნოების საოცარი ნაყოფი გამოიღო. მან იტვირთა უფალი და მისი საშუალებით მიენიჭათ ადამიანებს მარადიული სიკვდილის ტყვეობიდან გამოსნა“.

კეთილშობილური ღვაწლით გასწიქოსნაჲსი ქატიკონი ღმრთი



თიკო სამხარაჲე

მორწმუნე ქალთა საზოგადოება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — თბილისში, რუსთავეში, მცხეთასა და ბათუმში საქმიანობს, სულ ახლახან კი გორშიც დაარსდა რუსთავეის საზოგადოების ხელმძღვანელი **ზაირა ძირაქველიძე** მოგვითხრობს:

— 2000 წლის შობის დღესასწაულზე, ჩვენს სათაყვანებელ პატრიარქთან ერთად, იერუსალიმის წმინდა მინა ქალთა ჯგუფმაც მოილოცა. სწორედ იქიდან დაბრუნებულებს გაუჩნდათ სურვილი, არ დაშლილიყვნენ, არ დაეკარგათ ღვთის მინიშნება და გაეგრძელებინათ ლოცვა. იმავე წლის 22 მაისს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მორწმუნე ქალთა საზოგადოება ჩამოყალიბდა.

— **რუსთავეში როდის ჩამოყალიბდა?**

— უწმინდესმა კურთხევა 2003 წლის 25 მარტს — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების დღეს მოგვცა, ხოლო 13 აპრილს (მარიამ ეგვიპტელის ხსენების დღეს) რუსთაველმა მიტროპოლიტმა ათანასემ დალოცა საზოგადოება, რეზიდენციაში ოთახი გამოგვიყო და დაგვუძენდა.

— **რით დაიწყო საქმიანობა?**

— პირველი კურთხევა უწმინდესისგან, 6000 გარეჯელი წმინდა მონაჲე ბერის ძვალთშესალაგის (ცხაორი) გაკეთებაზე მივიღეთ და რუსთავეის ყველა ტაძრისთვის დავამზადებინეთ და შევწირეთ მათი სახელობის ბაირალი. 2006 წლის 25 აპრილს 6000 წმინდა მონაჲე ბერის ხსენების დღეს, მოხდა წმინდა ნანილების გადაბრძანება ძვალთშესალაგში. მოვაქარგვინეთ ბაირალები რუსთავეის ტაძრებისთვის — გორგასლის, მთავარანგელოზის, წმინდა ნიკოლოზის, ხარების, აღდგომის, 13 ასურელი მამის; ზუგდიდის ეპარქიისათვის — ივერიის ღვთისმშობლის ხატი „შენ ხარ ვენახი“,

ესპანეთსა და გარეჯაში გაიგზავნა კანდელები; ალექსი შუშანიას სახელობის სამლოცველოსთვის გაკეთდა ტრაპეზზე დასაადგამი შვიდტოტა; მონაწილეობა მივიღეთ ღვთისმშობლის კვართის ჩასაბრძანებელი ლუსკუმის, სვეტიცხოვლის მირონმდინარე ჯვრის ლუსკუმისა და უფლის კვართთან დაკიდებული ახალი ქართული კანდელის გაკეთებაში, ასევე გაკეთდა „სახარების“ ჩასაბრძანებელი ლუსკუმა.

— **ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ თუ იციან ამ საზოგადოების არსებობის შესახებ? წელან თქვით, ესპანეთში კანდელები გავგზავნეთო...**

— ესპანეთში წმინდა ნინოს სახელობის ქართული ტაძარია, რომლის წინამძღვარიც იღუმენი ლუკაა. იქ მცხოვრებ ქართველ მორწმუნე ქალებსაც გაუჩნდათ საზოგადოების ჩამოყალიბების სურვილი. ამჟამად, ესპანეთშიც არსებობს მორწმუნე

იმ მაღლზე, რომელსაც სწადიან, არ ლაპარაკობენ, — ამაზე თავიდანვე შეთანხმდნენ და პრინციპს ურყევად იცავენ. დადიან ეკლესია-მონასტრებში, ხვდებიან მრევლს, გაჭირვებულ ადამიანებს; იციან, როგორ უნდა გამოიყენონ ის დრო, რომელიც უფალმა თითოეულ ჩვენგანს სიკეთის საკეთებლად გვიბოძა...

ქართველ ქალთა საზოგადოება.

— **უმეტესწილად, რომელ ეკლესია-მონასტრებს სტუმრობთ ხოლმე?**

— ტრადიციად გვაქვს, დავით გარეჯაში აღდგომის შემდგომ სამშაბათს ჩასვლა, რადგან ამ დღეს 6000 დავითგარეჯელი მონაწილის ხსენების დღეა და წმინდა ნანილების გადაბრძანებაც ამ დღეს მოხდა. ბევრ ეკლესია-მონასტრს ვსტუმრობთ და ყოველთვის შესანიშნავით მივდივართ.

— **საქველმოქმედო აქციებს თუ აწყობთ?**

— კი, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ შეთანხმებულები ვართ, რომ ამაზე არ ვილაპარაკოთ...

— **როგორც ვიცი, ყაზბეგისა და ჭყონდიდის ეპარქიებსაც ესტუმრეთ.**


— მეუფე პეტრეს პირველად სწორედ ყაზბეგში შევხვდით. ამ კუთხის მიმართ მისი დიდი სიყვარული ჩვენც გადმოგვედო. რუსთავეის მორწმუნე ქალთა საზოგადოების სახელით დავამზადეთ სამებას ბაირალი. დაუდგით ქვა-ჯვარი და მოვაპირკეთეთ წყარო... ჭყონდიდის ეპარქია 12 ივლისს — პეტრეპავლობას მოვილოცეთ და შევწირეთ „სახარება“, რომელიც ოქრო-ვერცხლითაა მოჭედილი და მინანქრებითა და მარგალიტებით შემკული.

— **თქვენი საზოგადოების წევრი რომ გახდეს, რა არის ამისთვის აუცილებელი?**

— მორწმუნე ქალთა საზოგადოების კარი ყოველთვის ღიაა ყველა მორწმუნე ქალბატონისათვის. დაკარგულ დროს, რომელიც სულის ცხონებას არ მოხმარდება, ვერ დავიბრუნებთ. ერთად ვაკეთოთ ღვთის სადიდებელი საქმე!



საზოგადოების წევრები (მარცხნიდან მეორე — მაირა ძირაქველიძე)



დასაწყისი იხ „გზა“ №43-48

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შეაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

სიგარეტს მოვუკიდე და ღრმა ნაფაზი დავარტყი. კარგა ხანს ვფიქრობდი... წამით წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა და საკუთარი თავი შემზარდა. ნინო გატრუნული იწვა, ჩემს რეაქციას ელოდა. მე კი ვდუმდი. საათს დავხედე, შვიდი დანყებულყოფი. ნატასთან დამაგვიანდა. ის ამას არასდროს მაპატიებდა. ან კი რით უნდა მეპართლებინა თავი?

— ნინო... — სალაპარაკოდ მოვემზადე და ხმადაბლა დავუძახე.
— რა იყო? — მიპასუხა ჩამქრალი ხმით.

გვერდით მენვა და მის არსებობას ვერ ვგრძნობდი.

— რა ვქნათ ახლა მე და შენ? კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— ჯერ წესიერად არც კი ვიცნობთ ერთმანეთს, — გავეგარძეღე.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მე შენთვის არაფერი მითხოვია.

— ვიცი, მაგრამ ეგ არაფერს ცვლის. მინდა, საკუთარი თავის წინაშე მართალი ვიყო.

— იცი? რაც მოხდა, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო... არ მინდა იფიქრო, რომ ცუდი ვარ...

— რა სისულელეა, მეორედ არ გამაგონო მსგავსი რამ. ჩემი ბრალია ყველაფერი.

— ნუ დარდობ, მე შენგან არაფერი მინდა, — ლამის დაიკუნწა.

— რომ იცოდე, რამდენი რამ გავაფუ-

ჭე...
— ვიცი... ვიცი, რომ შეყვარებული გყავს, ხომ მითხარი. შენც ნურაფერს ეტყვი, რა პრობლემაა. მე მართლა არაფერს გთხოვ, ზანა.

— ექვსზე უნდა შევხვედროდი...

— იქნებ მოასწრო... არ დაგელოდებ?

— არა, ვერ წავალ, ასე ვერ დაგტოვებ... უნდა გეთქვა, იცი?!

— ჰო... მაგრამ...

— მომხდარს უკვე აღარაფერი ეშველება. არა უშავს, რამეს მოვიფიქრებ.

— ნუ ნერვიულობ, ეგ ამბავი ჩვენ შორის დარჩება.

— რა საოცარი გოგო ხარ, იმის მაგივრად, რომ პრეტენზიებს მიყენებდე, აქეთ მამშვიდებ. რატომ?

— აბა, როგორ მოვიქცე? პრეტენზიებით რას შევცვლი? ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი დღის ნაცნობობა გვაკავშირებს ერთმანეთთან. გვარიც კი არ იცი მგონი ჩემი.

— უნდა გეთქვა...

— არ ვიცი, რა დამემართა...

— მეც მაგ დღეში ვარ.

— ნადი, ახლა მართლ მირჩევნია ყოფნა... ნადი და მერე შეგხვდები სადმე, ასე აჯობებს. ახლა ვეღარაფერს მოვიფიქრებთ. არც მე მინდა უსიყვარულოდ ოჯახის შექმნა და არც შენ. ხომ მართალი ვარ?

— გეთანხმები.

— თუმცა არც იმის იმედი მაქვს, რომ სიყვარული ოდესმე მოვა...

— შენ ასე ფიქრობ? — მისკენ შევეტრიალდი და თმაზე გადავუსვი ხელი.

— შენ ხომ სხვა გიყვარს...

— შენ?

— მე?... მე არასდროს არავინ მყვარე-

ბია. ახლა კი, მგონი...

— მგონი რა?

— მგონი, შენზე ვარ შეყვარებული.

— ცოტა ნაჩქარევი ხომ არ არის შენი დასკვნები?

— შეიძლება... არ ვიცი.

— რა ვქნათ, რა ვქნათ...

— გითხარი, ნუ დარდობ-მეთქი, — ნინო წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

მეც ავდექი. ფიქრებით ნატასთან ვიყავი. წარმოვიდგინე, როგორი გამეხებულნი სახით იდგებოდა „ლალიქსთან“ ჩემს მოლოდინში.

გამორიცხული იყო, ვეღარ დავენახებოდი. ბინის ტელეფონის ნომერი არ ვიცოდი, შინ ვერ მივაკითხავდი. იძულებული ვიყავი, მის უნახავად დაებრუნებულყოფი სახლში. ვნანობდი, თბილისში რომ წამოვედი. არ სჯობდა, იქ დავლოდებოდი? ოდესღაც ხომ ჩამოვიდოდა? ამ ნინოს რა მოვეუბნებო? დავიჯერო, მართლა არ ნაღვლობს მომხდარს? თუ მხოლოდ ჩემს დასამშვიდებლად იქცევა ასე? მერე რომ გაუჩნდეს პრეტენზიები?

მშობლებს რომ უთხრას და ცოლობა მომთხოვოს? ეს რა ჩავიდინე, რა შარში გავყავი თავი...

მომხდარმა სული ამიფორიაქა. ცალკე ნატაზე ფიქრი მტანჯავდა, ცალკე — ნინოზე. ერთი მიყვარდა, მეორე მეცოდებოდა. პირველთან ყოფნა მინდოდა, მეორესთან — უმტკივნეულო განშორება...

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დროის გარკვეულ მომენტებში ორივე დავკარგე. თვე გავიდა და ნინო თბილისიდან არ დაბრუნებულა, არც ნატა. ამასობაში დაფიქრების საშუალება მომეცა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ნინო რას მოითხოვდა ჩემგან. თუ უკიდურესობამდე მივიდოდა საქმე, იძულებული გავხდებოდი, ცოლად შემერთო. სხვა შემთხვევაში, დიდი უსიამოვნება მელოდა. ნინო ჩემს მომავალ მეუღლედ ვერ წარმომედგინა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანდა ცუდი გოგო. ეს იყო ერთადერთი, რაც არ მინდოდა. ნატას გარეშე ვერ წარმომედგინა ცხოვრება.

დღეები გადიოდა. ნინო არ გამოჩნდა, რაც ოდნავ მიმსუბუქებდა დარდს, მაგრამ შინაგანად მაინც დაძაბული ვიყავი. ლამის ყოველდღე ვიმეორებდი ტექსტს, რა უნდა მეთქვა, თუკი სიტუაცია შეიცვლებოდა და პრეტენზიებით მომადგებოდა. დანაშაულის შეგრძნება არ მტოვებდა, სულის სიღრმეში მოუსვენრობამ შემოიპყრო.

ნატას ამბავიც მაინტერესებდა. მისაღები გამოცდები უკვე დაიწყო. თათო შემხვდა ერთხელ და მისგან გავიგე, ორი გამოცდა წარმატებით ჩააბარა, ხუთიანი და ოთხიანი მიიღო. იმ დროს ქართულ წერაში ფრიადის მიღება სულაც არ იყო იოლი საქმე. გულში გამიხარდა. ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი, თან ვნერვიუ-



ლობდი, როგორ ამეხსნა მისთვის, რატომ არ მივედი იმ საღამოს პაემანზე? სიმართლეს ვერ ვეცყოდი. უნდა მეცრუა... ათასი სხვა მიზეზი შეიძლო დამესახელებინა, მაგრამ გამიგებდა კი?

ავგისტოს შუა რიცხვებში ბათუმში დავუბერე ბიჭებთან ერთად, გულს გადავავოლებ-მეთქი. მხოლოდ სამი დღით წავედი, მეტი ფული არც გვექონდა. მე, პაპუნა და გოჩა გავემგზავრეთ. გოგა ვერ წამოვიდა, ცოლთან ერთად ბორჯომში მიდიოდა დასასვენებლად.

ისე ცხელოდა, სული გვეხუთებოდა. დილიდან პლაჟზე ვეყარეთ უაზროდ. გასართობიც არაფერი იყო. პაპუნა და გოჩა საღამოობით ქალაქში გადიოდნენ, ქალებს „დავითრევთო“, მე კი ამის სურვილი, რატომღაც, სრულიად გამიქრა. ჩემი ფიქრები სხვაგან ქროდა...

გამომგზავრებამდე ერთი დღე დარჩა. შუადღე იყო. პლაჟიდან გამოსულები სამივე სანაპიროს კაფეში შევედით ლუდის დასალევად. მოულოდნელად ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი. თავი მოვატრიალე და ელდა მეცა — ჩემგან ოდნავ მოშორებით ნინო იდგა და მომჩერებოდა.

— ვა, ამას ვის ვხედავ, — წელმონყვეტილივით წამოვდექი და მივუახლოვდი, — როგორ ხარ? — გადავხვიე და ვაკოცე.

- არა მიშავს, თავად?
- მეც ეგრე, რა. ისვენებ?
- ჰო, ბათუმში ყოველ წელს ჩამოვდივარ.
- მარტო ხარ?
- არა, გოგოებთან ერთად. შენ?
- მეც ძმაკაცებთან ერთად ვარ.
- დიდი ხანია?
- მესამე დღეა, ხვალ მივდივართ.

— სანყენია. მე ერთი კვირა კიდე ვრჩები.

— სასტუმროში ხართ?
— არა, ნაქირავებში. სასტუმროში ადგილი არ იყო, თანაც ძვირი ჯდება. თქვენ?

— ჩვენ „ინტურისტში“ ვართ. საღამოს გცალია?

— თუ საჭიროა, მოვიცლი. ხდება რამე?

— არა, არაფერი... ისე, უბრალოდ, სადმე დაგპატიუებდი.

— გაქვს კი ამის სურვილი?

— რატომ არ უნდა მქონდეს, ავად კი არ ვარ, — ხმამალა გავიციენე. ნინოს გაელიმა.

— შენი შეყვარებული როგორ არის? — მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა და შემომხედა.

სიცილი პირზე შემამრა. უსიამოვნოდ შევიჭ-

მუნნე შუბლი.

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს, იქნებ სხვა რამე გეკითხა?

— რატომ გალიზიანდი? შენი წყენინება არ მინდოდა, — შენუხდა ნინო.

— არ მწყენია, რა სისულელეა... მოკლედ, შევხვდებით, არა?

— რა თქმა უნდა.

დავთქვით, რვა საათისთვის „ინტურისტის“ შესასვლელთან, სკვერში შევხვედროდით ერთმანეთს...

როცა დავცილდი, აღმოვაჩინე, რომ ავღელდი. ვერ გეტყვით, რა იყო ამის მიზეზი — მისი ნახვით გამონვეული მოულოდნელობა თუ საღამოს შეხვედრის იდუმალება. რა უნდა გვეკეთებინა? როგორ მოვექცეულიყავი, რა მეთქვა? ან ის რას მეტყობდა? ფულიც აღარ დამრჩა, რომ ნინოსთვის „დიდი გასერნება“ მომეწყო. ყველა შემთხვევაში, ნომერში მომიწევდა მისი აყვანა.

ბიჭები გავაფრთხილე, საღამოს სტუმარი გვეყოლება-მეთქი. დაინტერესდნენ, ვინ არისო. პაპუნა და გოჩა ჩემი ბავშვობის მეგობრები იყვნენ, ამიტომ დასამალვაც არაფერი მქონდა. მოუწყვეი, რაც გადამხდა.

— ვერ მოგსვლია კარგი ამბავი, — ხელები ერთმანეთში გადახლართა პაპუნამ.

— არა უშავს, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, — დამამშვიდა გოჩამ.

— როგორ? — დავსვი საჭირობო-ტო კითხვა.

— თუ თვითონ არაფერს ითხოვს, შენც ნურაფერს შეჰპირდები, სულ ეგ არის.

— მაგრამ...

— მოიცა, მოიცა, შენი ჭირიმე. არ

დამინყო ახლა სინდისსა და მორალზე ლაპარაკი. დღევანდელი ქალების ამბავი არ იცი? უკვე მოდაში შემოვიდა ქალიშვილობის დაკარგვა და საყვარლის გაჩენა. რა გიკვირს?

— ის არ არის ასეთი გოგო, — ჩემთვის ჩავილაპარაკე.

— რა მნიშვნელობა აქვს, ასეთია თუ ისეთი? ქალს უნდოდა შენთან დანოლა და დანვა კიდეც. რა გინდა, რა ნერვებს ითხრი? მიდი, მიაწევი შენს საქმეს.

— არა, მთლად ეგრეც არ გამოვა, გოჩა, რაებს ლაპარაკობ, — შეეწინააღმდეგა პაპუნა, — რომ დაორსულდეს, მერე სად მიდისარ?

— რა პრობლემაა, აბორტი და მისი ჯანი. აბა რა, რამდენსაც შენთან სექსის სურვილი გაუჩნდება, ყველას ცოლად ხომ არ შეირთავ?

— ყველაფერზე ნუ შაყირობ, გოჩა. ცოტა სხვა მხრიდან შეხედე სიტუაციას. შენიანი რომ იყოს, ასე ხომ არ ილაპარაკებდი?

— კარგი რა, არ გინდათ ტრაგედიის შექმნა. გამოუვალი მდგომარეობა ნამდვილად არ არის. ქალი „სტერვატიკი“ არ არის, არაფერს ითხოვს. მორჩა „ბაზარი“. თუნდაც ეგრე იყოს, მაგისტანები მოგვითვინიერებია? ძალად მოყვანილი ცოლის დედაც ვატირე... მიდი, ზაზაჯან, შენს საქმეს მიაწევი. ჩვენ წავალთ და მარტო დაგტოვებთ. მოწმეები რაში გჭირდება, — გაიღრჩია გოჩამ.

— რა ვიცი, იქნებ ჯობია, რომ ყველა ერთად ვიყოთ? არ მინდა კიდეც მიქვარო. რაც მეტად დავუახლოვდები, მით მეტი მოთხოვნილება გაუჩნდება, — ვთქვი და ორივეს გადავხედე.

— ყველა ვარიანტში მარტო რომ დარჩეთ, ის აჯობებს. დაილაპარაკებთ მაინც. საუბარში გამოჩნდება, როგორ გადაიტანა „პირველი ღამის იმიტაცია“, — ანგლობდა გოჩა.

ჩემ მაგივრად ბიჭებმა მიიღეს გადანყვეტილება და ხმათა უმრავლესობით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათი იქ ყოფნა ზედმეტი იქნებოდა.

გოჩამ და პაპუნამ რვის ნახევარზე დატოვეს ნომერი, ცოტა მოგვიანებით მეც გამოვედი და პაემნის ადგილისკენ გავეშურე, რომელიც სასტუმროდან ორი ფეხის სავალზე მდებარეობდა.

— რა ლამაზი ხარ, — აღტაცება ვერ დავმალე, ზღვისფერი სარაფნით რომ გამომეცხადა. მის გარუჯულ კანს ძალიან უხდებოდა ეს ფერი. უმაკიაჟოდ იყო, რაც უფრო მიმზიდველს ხდიდა.





ნელა როგორ დაუნისლა თვალები, როგორ გაუმკაცრა ნაკეთები.

— მომცემ საშუალებას, რალაც აგიხსნა? — დახშული ხმით ვკითხე.

— რა საჭიროა, ისედაც ნათელია ყველაფერი. მშვიდობით, — ცივად მიპასუხა, გვერდი ქედმაღლურად ამიარა და გზა გააგრძელა.

გაოგნებული შევტრიალდი... მზერით გავეკიდე... ერთხელაც არ მოუხედავს უკან... არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი გაშეშებული. მანამ გავყურებდი, სანამ გზა არ გადაჭრა და არ მიიმალა...

იქვე, ჭადრის ხის ძირში ჩავჯექი და სახეზე ხელები ავიფარე...

ცხოვრებაში პირველად ავტირდი...

მის ამბებს თათოსგან ვიგებდი. თაყვანისმცემლების მთელი არმია ეხვია თურმე გარს. მამაკაცები მოსვენებას არ აძლევდნენ. ამას მეც კარგად ვხედავდი — ხან ერთი აცილებდა, ხან მეორე. ვხვდებოდი, ჩემს გასაბრაზებლად რომ იქცეოდა ასე. მიაღწია კიდეც თავისას. ერთ მშვენიერ დღესაც, მოთმინების ფიალა ამევსო და თათოს პირით შევუთვალე, შენგან ქუჩის ქალის მეტი არაფერი გამოვა-მეთქი.

— ეს რომ ვუთხარო, სახე ნაეშალა, — მიყვებოდა თათო მოგვიანებით, — შემეშინდა, გული არ წასვლოდა, ისე ცუდად გახდა. რატომ ანერვიულებ, ზაზუკა, არ გეცოდება?

— ჩემი შესაცოდებელი რა სჭირს? — წარბები შევიკარი გამწარებულმა.

— სიგიჟემდე უყვარხარ, დედას გეფიცები.

— ეტყობა, როგორც ვუყვარვარ. ამიტომაც იცვლის წარამარა კავალრებს?

— ხომ იცი, რატომაც აკეთებს ამას, ხომ ხვდები? რატომ არ გინდა, შეხვდე და ყველაფერი გაარკვიო? არ იცი, როგორ გელოდება. იმედი აქვს, რომ ერთხელაც ტექნიკუმის კართან დახვდები.

— ტყუილად აქვს ამის იმედი.

— არ იქცევი სწორად, დამიჯერე. შენ გააფუჭე ყველაფერი და შენვე უნდა გამოასწორო.

— მე რა გააფუჭე? — ამის გაგონებაზე აღვშოფოთდი.

— ვიცი, თქვენი ამბები, ნატამ მიამბო, რაც მოხდა. არ გერწენება, რომ თქვენს დაშორებაში შენ მიგიძღვის ძალიან დიდი წვლილი?

— რაო, რა გითხრა?

— შეხვდი და თვითონ გეტყვის.

— კარგი, შეხვდები, მაგრამ იცოდე, რომ მხოლოდ შენი ხათრით ვაკეთებ ამას. ეგ იმდენს იზამს, მთელი ქალაქის სალაპარაკოდ გაიხდის თავს და მერე გვიან იქნება.



— არ გაიხდის, არა. სხვებს ახლოსაც არ იკარებს, არ იცი, როგორი მაგარი გოგოა. კაცები ნერწყვს ყლაპავენ, რომ უყურებენ. ერთი სული აქვთ, შეხვედრახე დაითანხმონ, მაგრამ არაფერი გამოსდით. ერთადერთი, რასაც აღწევენ, გაცილებია, მეტი არაფერი. თვითონაც შაყირობს ხოლმე, ჩემზე ოცნებაში ამოხდებათ სულიო.

„სხვისი ოცნების ქალი“, — გავიფიქრე ჩემთვის. მამაკაცები მის გვერდით გავლახე და მასთან შეხვედრაზე ოცნებობენ, მე კი ლამის ყველანაირი უფლება მქონდა მოპოვებული. როგორ გამისხლტა ხელიდან, როგორ დავეშვი ასეთი რამ, ასია ჩემზე... სიმწრით ტუჩებს ვიკვნიტდი.

— კარგი, თათო, სვალ, სამ საათზე, თეატრთან მოიყვან, მანქანით დაგელოდებით.

— მეც მოვიდე?

— აბა, რა.

— გაიხარე, ზაზუკი, რა ძვირფასი ხარ. ასე არ ჯობია? — ტაში შემოჰკრა თათომ და ყარაჩოხლური ჟესტით მომესიყვარულა — ერთად შევრულ თავის თითის წვერებს ხმაურით აკოცა და ეს კოცნა „შაეროვანი ფოსტიო“ გამომიგზავნა...

მეორე დღეს მამაჩემს მანქანა, რომ იტყვიან, ძალით „ავახიე“. ცოცხალი თავით არ მატანდა, სარბენი მაქვს და მჭირდება. ბევრი ვეხვეწე და ვეღრიჯე, დღეს ჩემი ბედი წყდება-მეთქი, ძლივს დავითანხმე.

სამის ნახევარზე უკვე თეატრის წინ ვიყავი დარწობილი. დაძაბული ვიჯექი საჭესთან, წარამარა აქეთ-იქით ვიყურებოდი. არ ვიცოდი, საიდან გამოჩნდებოდა.

ბოდნენ გოგოები. დრო გაინელა... ოთხი დაინყო... აი, ისინიც. სარკიდან დავინახე, როგორ მიახლოვდებოდნენ უკნიდან. თათო მხიარულად მომესალმა, კარი გააღო და პირველი ჩასკუბდა მანქანაში. ნატაც გვერდით მიუჯდა, ფერი არ ედო სახეზე.

— ნავედით? — წამოიძახა თათომ.

მანქანა დავეკოქე და დავიძარი. ხმის ამოუღებლად გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი. ქალაქს გავცდი და სამანქანო გზიდან გადავუხვიე, რომ უხმაურო ადგილი შემერჩია სალაპარაკოდ. ძრავა გამოვრთე და ნახევრად შევტრიალდი, რომ რალაც მეთქვა. თათომ დამასწრო.

— მე გადავალ, თქვენ ილაპარაკეთ, — გამიღმა და კარი გააღო.

მარტონი დავრჩით. ნატას სახე გააფითრებოდა, თვალეზახრილი იჯდა უკანა სალონში და მიცდიდა, რას ვიტყოდი.

— ნინ გადმოდი, თორემ ასე მგონია, ტაქსის მძღოლი ვარ.

ნატამ მორჩილად შეასრულა ჩემი თხოვნა, გვერდით მომიჯდა და თავი დახარა.

— აბა, რას იტყვი, გვაქვს სალაპარაკო?

— გვაქვს, — ცივად თქვა, — რას ნიშნავდა შენი სიტყვები, რა შემამჩნიე სამაგისო?

— რა შეგამჩნიე? თავად თუ მოგნონს შენი საქციელი, ნატა? — კითხვას კითხვა დაეუხვედრე.

— ასეთი რა ჩავიდინე?

— მე უნდა გითხრა, რა ჩავიდინე? შენი აზრით, ლამაზია, როცა ჩემს გასალიზიანებლად ხან ერთს აეტორლიალები, ხან — მეორეს?

— ჯერ ერთი, მე არავის ვეტორლიალები და მეორეც, შენ რა განალღელებს, მე რას გავაკეთებ?

— არ უნდა მანალღელებდეს? მე რომ შენაირად მოვიქცე, არ შეგანუხებს? შენ არ მომთხოვდი პასუხს?

— მე ალბათ მექნებოდა ცუდი რეაქცია, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, მაგრამ შენ რატომ ღიზიანდები, ჩემთვის გაუგებარია, — თან ლაპარაკობდა, თან ნიკაპით თავისსავე მაისურს ეხახუნებოდა.

— რალაც ვერ მიგიხვდი...

— რა არის აქ მიუხვედრელი. მე მიყვარხარ და ამიტომაც გავღიზიანდებოდი, მაგრამ შენ? შენ რამ შეგანუხა?

ახლა კი მიუხვდით... ის ჩემგან სიყვარულის ასხნას ითხოვდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კონკრეტული საკითხები

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„კასუბაინს“ სეპტისკონ არ გაგაქსათ თვალი

1. ჩინეთში დანაშაულის მოწმე დამნაშავეზე საჩვენებელი თითით არასდროს მიუთითებს. რატომ?
2. მამალ კუებს ბაკნის ქვედა მხარე ოდნავ შეზნექილი აქვთ. რაში ეხმარება ეს მათ?
3. რა არის კლასერი?
4. სად არის დედამიწაზე დღისა და ღამის ხანგრძლივობა მთელი წლის მანძილზე ერთნაირი?
5. ვისმა გულშემატკივარმა დაჭრა დანით 1993 წელს ჩოგბურთელი მონიკა სელეში?
6. როგორ ადამიანს ეძახიან კუსპარას?
7. რა მოუწევს ინგლისელთა თქმით იმ ქვეყანას, რომელსაც არ სურს საკუთარი ჯარის შენახვა?
8. ვივაკანი ერთგვარი თევზია. იგი იმდენად ცხიმოვანია, რომ ინდიელები საყოფაცხოვრებო ნივთის მაგივრად იყენებდნენ. დაასახელეთ ეს ნივთი.
9. დაასახელეთ უკრაინელი პოეტი ქალი, რომლის ვარცხნილობაც იუღია ტიმოშენკომ ნარინჯისფერი რევოლუციის წინ მოირგო.
10. პიკასოს ყველაზე ადრეულ ნახატებს დღევანდლამდე თითქმის არ მოუღწევია. რატომ?
11. შეერთებულ შტატებში მრავლად არის წვრილმანით მოვაჭრე მალაზია, რომელიც 24 საათის განმავლობაში ღიაა. სხვა მალაზიებისგან განსხვავებით რა არ აქვს ამგვარი მალაზიის კარს?
12. ძველ დროში ძლიერი ქარი ხშირად გამხდარა ქარის წისქვილებში გაჩენილი ხანძრის მიზეზი. რატომ?
13. ერთი ავსტრალიელი მხატვარი წებოსა და ბატის გამხმარი, დაფშენილი სკორეს გამოყენებით ქმნის საკუთარ ნახატებს. „ჩემი ნამუშევრები ჯერ ვერ გავყიდე, მაგრამ სამაგიეროდ ერთ მაკნე ჩვევას გადავეჩვიე“, — განუცხადა მან ინტერვიუში ერთ ტელეურნალისტს. დაასახელეთ ეს მავნე ჩვევა.

ანეკდოტები

სვან გამყიდველს ეკითხება მომხმარებელი:



— ეს მაისური რა ღირს?
— 8 ლარი, მაგრამ თუ ასე ძალიან მოგეწონა, 9 ლარად გაგატან.

კახელი 5 წლის შვილს ჭკუას არიგებს:

— ყველაფერი უნდა დამიჯერო ხოლმე. თუ არ დამიჯერებ, ვიჯავრებ, გული გამისკდება და შავი მანქანით წამიღებენ სასაფლაოზე.
— მამი, შეიძლება, მძლოლის გვერდით რომ დაგვად?

სვანმა გოლი გაიტანა. განმეორებით რომ აჩვენეს, ძელს მოხვდა.

პაციენტმა ფსიქიატრს შესჩივლა, არასრულფასოვნების კომპლექსი მაქვსო. ექიმმა გასინჯა და დაამშვიდა:

— არანაირი კომპლექსი არ გაქვთ, ნამდვილად არასრულფასოვანი ხართ.

შვილიშვილი ეკითხება ბაბუას:
— ადამიანის რომელი ორგანო მიიჩნევა სიყვარულის სიმბოლოდ?
— ჩემს ახალგაზრდობაში ეს სიმბოლო გული იყო, შვილო.

— რა ღირს ძილის წამალი?
— 80 ლარი!
— რას ამბობთ, 80 ლარი რომ ძილის წამალში მივცე, რალა დამაძინებს?!

იმერელს გზაში დააღამდა, ერთ-ერთი სახლის კარს მიადგა და ეძახის:
— მასპინძელო, მასპინძელო! თუ ძმა ხარ, ერთი ჭიქა წყალი გამომიტანე, თორემ ისე მშობია, ღამე სად გავათიო, არ ვიცი!

სასუფეველის კარიბჭესთან ქალები ერთ რიგში დგანან. მიქელგაბრიელი მიმართავს:

— ვისაც ერთხელ მაინც უღალატია ქმრისთვის, ნაბიჯი წინ გადმოდგით.
ყველანი, ერთის გარდა, ნაბიჯს წინ დგამენ.
— ყველანი — ჯოჯოხეთში! — ამბობს მიქელგაბრიელი. — ეს ყრუც თან გაიყოლეთ!

— ბებიაჩემი 60 წლის იყო, დღეში სამი კილომეტრის გავლა რომ დაიწყო ფეხით. ახლა 97 წლისაა და კაციშვილმა არ იცის, სადაა.

— საცოლე რომ მოიტაცე, მისი მშობლები არ გამოგვიდნენ?
— როგორ არ გამოგვიდნენ?!
— მერე, დაგწვივნენ?
— ჰო, დამეწვივნენ და ახლა ჩვენთან ცხოვრობენ.





შობის წინა საღამოს ბებია ეუბნება შვილიშვილს:

— თუ კარგად მოიქცევი, სანტა კლაუსი სათამაშო სახანძრო მანქანას გაჩუქებს.

— რა კარგია, — გაუხარდა შვილიშვილს, — მაშინ უკვე ორი სახანძრო მანქანა მექნება!

— ორი საიდან?
— ერთი სახანძრო მანქანა, დილით შენი საწოლის ქვეშ ვიპოვე!

— რას ნიშნავს ქართულად I DON'T KNOW?

— არ ვიცი!
— რავე არავინ იცის, ამის დედა ვატირე!

— გუშინ ოქროს თევზი დავიჭირე. მითხრა, სურვილი ჩაიფიქრე, რა გინდა — კარგი პოტენცია თუ კარგი მესხიერებაო?

— მერე, რა ჩაიფიქრე?
— აღარ მახსოვს.

კაცი მივიდა ტურისტულ სააგენტოში, საზღვარგარეთ გამიშვითო. აგენტმა ჰკითხა:

— ამერიკაში გინდათ?
— ამერიკაში წასვლის მეშინია, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.

— მაშინ ისრაელში გაგიშვებთ, — უთხრა აგენტმა.
— ვერც იქ წავალ, მეშინია, სულ რაღაცას აფეთქებენ პალესტინელები.

— გერმანიაში?
— გერმანიაშიც ბევრი კრიმინალია და მეშინია.


— მაშინ, ა შენ გლობუსი, მე შესვენებაზე მივდივარ ერთი საათით და რომ დავბრუნდები, თითს სადაც დაადებ, იქ გაგიშვებ.
ერთი საათის შემდეგ აგენტი დაბრუნდა.

— აბა, რა გადანყვიტე, სად გინდა?
— სხვა გლობუსი ხომ არ გაქვთ?

სპორტული კომენტატორი:
— ჩვენი სპორტსმენები ყვითე-

ლი ტრუსებიტა და თეთრი მაისურებით ასპარეზობენ, დანარჩენ მოთხილამურეებს კი უფრო თბილად აცვიათ.

— რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი? — ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.



— მომენტარა არსება, რომელიც პირს იმისთვის არ ალებს, რომ ფული მთხოვოს.

გონებას სასახლეში


„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ჩინელები მიიჩნევენ, რომ ამ დროს მონძის სამი სხვა თითი თავად მონძეზე მიუთითებს და თავად იგი სამმაგად გამოდის და მნაშავე.
2. სასიყვარულო აქტის დროს დედალის ზურგიდან ჩამოცურების ნაკლები შანსია.
3. საკოლექციო მარკების ჩასაღებელი ალბომი.
4. ეკვატორზე.
5. შტეფი გრაფის გულშემატკივარმა.
6. პატარა ტანის მოძრავ ადამიანს.
7. უცხო ქვეყნის ჯარის შენახვა.
8. სანთელი. ინდიელები ფითილს უკეთებდნენ და სანთლის მაგივრად ხმარობდნენ.
9. ლესია უკრაინკა.
10. იმ პერიოდში მხატვარს შემოსული არ ჰქონდა და გასათბობად ლუმენში საკუთარ სურათებს წევდა.
11. საკეტი.
12. ღერძი, რომელზეც წისქვილის ფრთები იყო დამაგრებული, ძლიერი ხახუნისაგან ხურდებოდა და ცეცხლი ეკიდებოდა.
13. ფრწხილების კვნება.

ჩვენი ფოტოგალანა

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა თამუნა ძრავაშვილმა გამოგვიგზავნა და ასეთი წარწერა დაურთო: „მან ჯერ არ იცის, რომ მოწავა გავნებელია ჯანმრთელობისთვის“.



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: ga.fantaza@gmail.com, „ვირის პალიტროს“ („სოცევა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონფერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

როგორ დაგძლიოთ შიში

ჩვენ – ყველანი ერთმანეთისგან განვსხვავდებით; განვსხვავდებით გარეგნულად, შინაგანად, ფიზიოლოგიურად, ცხოვრების სტილით, გემოვნებით... მაგრამ არა – შიშებით. მაინც რისი გვეშინია? და რისი ეშინიათ ჩვენს საყვარელ მამაკაცებს? ვინც ირწმუნება, რომ არაფრის შიში არ აქვს, უბრალოდ თავს იტყუებს. ქალებს მეუღლეების დაქარგვა, სხვადასხვა დაავადება და მანიაკებთან ლამით შემთხვევითი შეხვედრა აშინებს; მამაკაცების შიშის საფუძველი სრულიად სხვაგვარია...

შიშისგან სავსებით გათავისუფლება ფსიქოლოგებთან მუშაობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. თუმცა ზოგიერთი პრობლემის მოხსნა თავადაც შეგიძლიათ.

რისი ეშინიათ ქალებს

ქალებს საკმაოდ მრავალი მიზეზის გამო ფორიაქობენ.

მაგალითად, ნებისმიერ ქალს სურს, ოჯახში მყუდრო გარემო შექმნას. ბევრი მათგანი მოდური უურნალების მიხედვით ცდილობს სახლის მონაცობას. ზოგჯერ ლამაზი ინტერიერის ნახვა მათზე დამორგუნველად მოქმედებს, რადგან საყვარელი ხალიჩა, რომელიც ცოტა ხნის წინ, მისაღები ოთახის „მშვენებად“ მიიჩნეოდა, ახლა მხოლოდ ძაღლის საფენს თუ მოაგონებს; ქალები ხშირად წუხან იმის გამო, რომ მათი სახლი საკმარისად ლამაზად არ გამოიყურება.

თუმცა სულ ტყუილუბრალოდ ნერვიულობთ. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, როგორ იცხოვრებდა თქვენი ოჯახი უურნალში ნანახის მსგავს ინტერიერში: ბავშვები აბრეშუმის ფერად ფარდებს პლასტიკინით დასვრიდნენ; ძაღლი კი თქვენს ბროლის მაგიდას ბრჭყალებით დაჩხაპნიდა. უურნალში დაბეჭდილი სახლის ინტერიერი მოდურ კაბას ნააგავს, რომელიც პოდიუმზე გამოაქვთ — ლამაზია, მაგრამ არა ყოველდღიური.

გასაკვირი არ არის, რომ დიასახლისს ხშირად აქვს იმის შიში, — ვაითუ, სტუმრებს სათანადოდ ვერ გაგუმასპინძლდეთ. ერთნი სადილის მოსწრებაზე ნერვიულობენ, მეორენი კი იმაზე, ნამცხვარი არ მიენვათ.

გათავისუფლეთ საკუთარი თავი ზედმეტი პასუხისმგებლობისგან. ჯერ ერთი, ადამიანები სტუმრად მხოლოდ კერძების დასაგემოვნებლად არ დადიან. მეორეც — ჩვენს დროში მალაზიები სავსეა უამრავი სახის ნახევარფაბრიკატით, რომლის მეშვეობითაც საქმეს საგრძნობლად გაიიოლებთ.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ქალს მალაზიებში სიარულის ეუხერხულება. მაგალითად, თავს არიდებს ბუტიკებს იმის შიშით, რომ ხელფასი იქაური



მოდური კოლექციის ცხვირსახოცის შესაძენადაც არ ეყოფა. ეს გასაგებიც არის, რადგან ზოგიერთი გამყიდველი ისე იქცევა, თითქოს საკუთარ კოლექციას ყიდდეს.

გახსოვდეთ, უფლება გაქვთ, მოიზომოთ, რაც მოგესურვებათ და მალაზი-

იდან შენაძენის გარეშე გამოხვიდეთ.

რისი ეშინიათ მამაკაცებს

ვიდრე ქალები ლამაზ ინტერიერზე, მიმწვარ ნამცხვრებსა და ძვირად ღირებულ კაბებზე ნერვიულობენ, კაცობრიობის ძლიერ სქესს სრულიად სხვაგვარი შიშები იპყრობს. აი, რამდენიმე მათგანი:

- მამაკაცებს ძალზე ეშინიათ სამსახურის დაკარგვის;
- გულის კანკალით ფიქრობენ მოსალოდნელ გამელოტებაზე;
- მათ აკომპლექსებს თანამედროვე ტექნიკის არქონა — უფრო სწორად ის გარემოება, რომ მისი შეძენა ვერ შეძლეს;
- ასევე მათ უხერხულობას იწვევს იმის შიში, რომ საყვარელი ქალი საჩუქარს დაუნუნებს, რადგან:
 - საჩუქარი ძალზე უფერულია;
 - მისი რჩეულის გემოვნებას არ დააკმაყოფილებს;
 - არ მოუხდება ფერი, სტილი და ა.შ;
- ან უბრალოდ არ არის, ის, რაზეც მისი გულის სწორი ოცნებობდა.

როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევებში?

თუ თქვენ გულწრფელად გიხარიათ ყურადღების ნებისმიერი გამოვლენა თქვენი რჩეულის მხრიდან, აგრძნობინეთ მას ამის შესახებ; ხოლო თუ მისი გემოვნებით შერჩეული საჩუქარი მართლაც არ გაკმაყოფილებთ, დაფარვას ნურც ეცდებით — სულერთია, თქვენი უკმაყოფილო სახე შეუმჩნეველი მაინც არ დარჩება. უმჯობესია, საჩუქართან დაკავშირებით, მამაკაცს კონკრეტული რჩევა მისცეთ ან სულაც, ერთად ნახვიდეთ საჩუქრის საყიდლად.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრაისის და ნიშანების გაავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИИ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ქ. თბილისი
თბილისის ქ. №49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail: elva@kvinspalitra.com

რისი ემინია ყველას

კიდევ არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზოგადსაკაცობრიო შიშები“, რომელიც ორვე სქესისთვის დამახასიათებელია. თუმცა ქალებსა და მამაკაცებში ისინი სხვადასხვაგვარად ვლინდება.

გაქურდვის შიში კაცებს სიგნალიზაციებისა და საკეტების მუდმივი ცვლისკენ უბიძგებს; ქალები კი ძვირფასეულობას სამზარეულოს კედლის თარობებსა და ლეიბებში ინახავენ. საკუთარი ქონების დაზღვევით, თქვენ ამ შიშს ადვილად მოიხსნით. მით უმეტეს, თუ ხალხურ სიბრძნესაც გაიხსენებთ: მთავარია ჯანმრთელობა, დანარჩენის მოპოვება კი ყოველთვის შეიძლება.

რაც შეეხება ჯანმრთელობას: შიში ხშირად თვითშენარჩუნების ინსტიქტს უკავშირდება. საინტერესოა, რომ მამაკაცებს ყველაზე ხშირად ისეთი დაავადებები აწინებს, რომლებიც შრომისუნარიანობას აქვეითებს; ქალებს კი — ძირითადად ისეთი, რომლებიც გარეგნობას აჩნევს კვალს. აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო ხშირად ნერვიულობენ ბავშვებისა და ახლობლების ჯანმრთელობაზე, ვიდრე მამაკაცები.

გასათვალისწინებელი რჩევა

გაიხსენეთ ორი სამედიცინო კანონი: პირველი — პროფილაქტიკა საუკეთესო წამალია. მეორე — ჯანმრთელი ადამიანი ცუდად გამოკვეული ავადმყოფია. ასე რომ, თუ უბრალოდ გაცივდით, გიხაროდეთ, რომ გრიპი არ შეგეყარათ; თუ გრიპით გახდით ავად — კარგია, რომ ფილტვების ანთება არ გაქვთ და ა. შ.

ადამიანს წლების მომატებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად ემინია სიბერის ან სიკვდილის. თუმცა ფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ეს შიში მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ნაკლებსაინტერესო მოვლენები ხდება ადამიანის ცხოვრებაში.

ისწავლეთ ნებისმიერ ასაკში დადებითი მხარეების პოვნა, რადგან სასიამოვნო არა მხოლოდ დედობა, არამედ — ბებიობაცაა. გაიხსენეთ, თვრამეტი წლის ასაკში ოცდაათი წლის ადამიანები ხანდაზმულებად რომ გეჩვენებოდათ, თქვენ კი ამ ასაკს ისე გადააბიჯეთ, სიბერის მოახლოება ფიქრადაც არ გაგივლიათ. ასე რომ, რამდენად შეინარჩუნებთ ამგვარ შეგრძნებას ათწლეულების განმავლობაში — ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ბარბაქი თუ მარბარინი?


ხშირად გვესმის, რომ ესა თუ ის პროდუქტი ასუქებს ან სიმალეში ზრდის ადამიანს. მოდი, ერთად გავარკვიოთ ამა თუ იმ პროდუქტის კალორიულობა

მაკარონი — ერთი ულუფა მაკარონი (60 გ) შეიცავს 220 კალს, ხოლო ერთი ულუფა შემწვარი კარტოფილი 360 კალს. ამრიგად, ის აზრი, რომ მაკარონი ადამიანს ასუქებს, არასწორია. სინამდვილეში, წონის მომატებას არა მარტო მაკარონი იწვევს, არამედ ის სოუსები, რომლებთან ერთადაც მიირთმევათ. თუ თქვენ წონის დაკლების სურვილი გაქვთ, უარს ნუ იტყვით მაკარონზე, ოღონდ მიირთვით ბოსტნეულითა და ზეთუნის ზეთით შეზავებული.

გამომშრალი პური — ამბობენ, რომ გამომშრალი პური წონის მომატებას არ იწვევს. სინამდვილეში, 100 გ გამომშრალი პური შეიცავს 318 კალს, ხოლო 100 გ რუხი პური — 210 კალს.

აბსოლუტურად მცდარია ის აზრიც, რომ მარგარინზე მეტად კარაქი ასუქებს. 100 გ კარაქი შეიცავს 750 კალს, ხოლო 100 გ მარგარინი — 745-ს. ამრიგად, განსხვავება თითქმის არ არის, მაგრამ კარაქი შეიცავს სრულფასოვან მჟავებს, რომლებიც ხელს უწყობს გულის მუშაობის გაუმჯობესებას.

საკმაოდ გავრცელებული აზრია, რომ თუ გვიან მიირთმევთ, გასუქდებით, მაგრამ ესეც არასწორია. მთავარ-



ია დღის განმავლობაში მიღებული საკვების რაოდენობა, მასში შემავალი ცხიმების შემცველობა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყველაფერთან ერთად, ფიზიკური აქტივობა.

ის აზრი, რომ კვერცხი ქოლესტერინის მომატებას იწვევს, მცდარია. თქვენ შეგიძლიათ უშიშრად მიიღოთ ყოველდღიურად 2 ცალი კვერცხი, თუ ნივთიერებათა ცვლის პროცესი დარღვეული არ გაქვთ.

არც ის არის მართალი, თითქოს ლუდი ასუქებს. სინამდვილეში, ყველაფერი დამოკიდებულია მიღებული ლუდის რაოდენობასა და იმ პროდუქტებზე, რომლებსაც ლუდს აყოლებთ.



სამარხვო კექსი

მასალად საჭიროა:


- 120 გ თაფლი;
- 60 გ შაქრის ფხვნილი;
- 50 გ მარგარინი;
- 1 ჩ/კ საფუარი;
- 250 გ ფქვილი;
- 2 ჩ/კ დარიჩინი;
- 18წიკვი მარილი;
- 50 გ გარგარის ჩირი;
- 400 გ მუქი (სამარხვო) შოკოლადი.

მოზადავის წაღი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. მოათავსეთ ცომი ცხიმნასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გააღნეთ და კექსს ზემოდან მოახსით.

ცხოვრებისადმი ინტერესდაკარგული მომღერალი



ბელი შტრიხი წყლით სახსე ბოთლი იყო, რომლითაც ბრიტნი ყელს ისველებდა... ეს „მოკრძალებული“ გოგონა არაფრით ჰგავდა იმ სკანდალურ ვარსკვლავს, რომელიც რამდენიმე წელია, ექსტრავაგანტური ჩაცმულობითა და ქცევით საზოგადოებას შოკში აგდებს. სცენაზე ხელმეორედ ტრიუმფული დაბრუნების მიუხედავად, ბრიტნი გადაღლილი და გამოფიტული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას წინათ ამერიკული ტელევიზიის ეთერში ნაჩვენებ დოკუმენტურ ფილმში ბრიტნი სპირსმა საკუთარი სულიერი მდგომარეობა

გვინეტ ჰელტროუს „იმედგაცრუებული თაყვანისმცემლები“

წლების განმავლობაში „შოუბიზნესის ყველაზე მოხდენილად ჩაცმულ ქალბატონთა სიას გვინეტ ჰელტროუს ლიდერობდა მსახიობი მუდამ ახერხებდა, რომ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სამოსშიც კი მომხიბვლელი და ელეგანტური ყოფილიყო, მაგრამ ბოლო ხანებში გვინეტის შეცდომას



შეცდომაზე უშვებს. მისმა თაყვანისმცემლებმა ჯერ იმ შოკიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, რომელიც ნოემბრის დასაწყისში გვინეტის ახალი ფილმის „ორი საყვარელი“ პარიზულ პრემიერაზე მიიღეს (მსახიობი იქ ნახევრად გამჭვირვალე შავთეთრ კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა), რომ მისმა ფანებმა ახალი იმედგაცრუება იგვეს. სასტუმრო Fontainebleau Miami-ის გახსნაზე მსახიობს კაბა წელში აშკარად უჭერდა, წელს ზემოთ მეტისმეტად ფართო იყო და 36 წლის ქალის ისედაც ჩავარდნილი მკერდი, კორსეტში მთლად დაიკარგა. ერთი ზომით დიდი ფეხსაცმლის თასები კი წვივებზე უშნოდ ჩამოჰკონწიანებოდა... „ოსკაროსანი“ მსახიობი იმ პატარა გოგონას ჰგავდა, რომელმაც დედის კარადა დაარბია და მის სამოსში გამოეწყო. შესაძლოა, გვინეტის უახლოესი მეგობრის მადონას განქორწინებას იმდენად განიცდის, რომ საკუთარ გარეგნობაზე ველარც კი ფიქრობს?! ■

ამას წინათ, ჟურნალისტებმა ბრიტნი სპირსი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში ახალგაზრდა ჭაბუკთან ერთად გამოიჭირეს. ბრიტნის კავალრის ვინაობის ამოცნობა ვერაფერ შეძლო, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ იგი მომღერლის ახალი მეგობარია. პაპარაცები წყვილს რესტორნის გასასვლელთან ჩაუსაფრდნენ და ბრიტნის გულის სწორის ფოტოსურათების გადაღება სცადეს, მაგრამ ბრიტნი და მისი თანამგზავრი მდიდრულ „პორშეში“

განმარტა: „სურვილებისა და განცდებისგან დაშრეტილი ვარ. ცხოვრებისადმი ინტერესი დავკარგე. დღეები ერთმანეთს წააგავს. ეს პატიმრობაზე უარესია, რადგან ტუსაღმა ის მაინც იცის, როდის გამოვა ციხიდან, ჩემი მდგომარეობა კი გამოუვალია!“ დოკუმენტურ ფილმში გმირს მოჯადოებული წრიდან სიყვარული იხსნის. იქნებ ახალმა რომანტიკულმა გატაცებამ 26 წლის ვარსკვლავს გუნება-განწყობილება გამოუკეთოს?! ■

ჩახტნენ და სახეზე ხელები აიფარეს... ფოტოგრაფებმა მხოლოდ იმის შემჩნევა მოასწრეს, რომ მომღერლის ჩაცმულობა მეტად მოკრძალებული იყო. ამჯერად მას გამომწვევი მინიკაბის ნაცვლად ჩვეულებრივი ჯინსი და მაისური ეცვა. „სანიმუშო გოგონას“ დამაგვირგვინე-



ჰაიდი კლუმი ახალგაზრდობას იხსენებს

ამ ცოტა ხნის წინ, დიდ ბრიტანეთში ახალი ვიდეოთამაში Guitar Hero გამოვიდა, რომლის გადაღებებში 35 წლის გერმანელი ტოპმოდელი ჰაიდი კლუმი მონაწილეობდა. მოდელს ახალგაზრდობის გახსენება დასჭირდა, რომ ნახევარი საათის განმავლობაში საცურაო კოსტიუმში გამოწყობილს მაგიდასა და დივა-


ნზე ეხტუნავა და შემდეგ უკვე პერანგში გამოწყობილს იგივე ილეთები გაემეორებინა. „ჰაიდის გადაღებებმა ძალ-ღონე ისე გამოაცალა, რომ სახლში დაბრუნებისთანავე სანოლზე ჩაცმული დაეცა და 12 საათი ეძინა. წარმოგიდგენიათ, ძილის წინ არც კი მაკოცა!“ — შესჩივლა ჟურნალისტებს მოდელის მეუღლემ.

თამაშში Guitar Hero ჰაიდი კლუმის გარდა მონაწილეობენ: პუკინის ოლიმპიადის გმირი, მოცურავე მაიკლ ფელპსი, ლეგენდარული კალათბურთელი კობი ბრაიანტი და სხვა ცნობილი სპორტსმენები. თითოეული მათგანი ისე ცეკვავს და მღერის, როგორც შეუძლია, მაგრამ მაყურებლის მზერას, რა თქმა უნდა, მოხდენილი „არიელი ქალის“ სხეულის ხილვა ატკბობს. ■



მიკ ჯაგერის ქალიშვილის დებიუტი

ამ 16 წლის გოგონას სახე უმრავლესობას ჯერჯერობით არაფერს ეუბნება. საგარეულო მსგავსება მხოლოდ ერთობ დამახასიათებელი ტუჩებით მუღავნდება. ლეგენდარული მიკ ჯაგერისა და მანეკენ ჯერი ჰოლის ქალიშვილის, ჯორჯია მის კარიერა პოდიუმზე ახლავს იწყება. ამას წინათ გოგონამ ცნობილ ფირმასთან პირველი კონტრაქტი გააფორმა. ის ფაქტი, რომ მისი გარეგნობა სილამაზის ეტალონისგან ძალზე შორს არის, გოგონას სულაც არ ალღევს: „პლასტიკური ოპერაციები ჩემი საქმე არ არის. მაშინაც კი, როდესაც კბილებზე ბრეკეტები მეკეთა, თავს კომფორტულად ვგრძობდი. საერთოდაც, ჩემი ტიპური ინგლისური ყბები და ერთმანეთს დაშორებული წინა კბილები ძალიან მომწონს. სასაცილონი არიან ისინი, რომლებიც ცდილობენ, რომ მათი გარეგნობა იდეალური იყოს“, — ამბობს ჯორჯია და სახელოვან მამასაც არ ივიწყებს: „მიკი




65 წლის მიკ ჯაგერს ოთხი ქალისგან 7 შვილი ჰყავს

არც ისე მაგარია, თქვენ რომ გგონიათ, ის მხოლოდ მზრუნველი და ნერვიული მამაა!“ ჯორჯიამ ლეგენდად ქცეული მამის ლეგენდარული ჯგუფის 50-ზე მეტი სიმღერა ზეპირად იცის, მაგრამ ყველაზე მეტად ჰიტები Sympathy for The Devil უყვარს!

სტივენ სოდერბერგი გამბინოს კლანის შესახებ ფილმს გადაიღებს

ფილმის „ჩე“ შემქმნელები სტივენ სოდერბერგი და პიტერ ბუჩმენი გადასალე მოედანზე ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან. ბუჩმენი ფილმის MAKing Jack Falcone სცენარზე მუშაობს, რომლის პროდიუსერი სტივენ სოდერბერგი იქნება. სტუდიის Paramount ახალი პროექტი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტ ჯეკ ფალკონეს ეძღვნება, რომელმაც გამბინოს-გავლენიან მაფიოზურ კლანში შეღწევა და დამკვიდრება შეძლო. როგორც ცნობილია, სტივენ სოდერბერგი ამაჟამად ერთდროულად რამდენიმე პროექტზე მუშაობს. რეჟისორი მიუზიკლის „კლუბატრა“



გადაღებას აპირებს, რომელშიც მთავარ როლს კეტრინ ზეტა-ჯონსი ითამაშებს. სოდერბერგმა უკვე დაიწყო მცირებიუჯეტური სურათის The Girlfriend Experience გადაღებები. ფილმი ნიუ-იორკის ელიტური მეძვის ცხოვრებას ეძღვნება რეჟისორს გეგმაში აქვს 1987 წელს შიდასივრცის გარდაცვლილი პიანისტისა და შოუმენის ლიბერისისადმი მიძღვნილი სურათის გადაღებაც. ჩვენი მასურებელი სტივენ სოდერბერგს იცნობს ფილმებით „ტრაფიკი“, „ერიკ ბროკოვიჩი“, „სოლიარისი“ და „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“. 2008 წლის მაისში რეჟისორმა მასურებელს წარუდგინა ცნობილ რევოლუციონერ ერნესტო ჩე გევარას ბიოგრაფიისადმი მიძღვნილი სურათი „ჩე“. კანის 61-ე კინოფესტივალზე ჩე გევარას როლის შემსრულებელმა მსახიობმა ბენისიო დელ ტორომ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფესტივალის პრიზი მიიღო.

კირსტენ დანსტი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს

მსახიობმა კირსტენ დანსტმა და რეჟისორმა ჯეიკობ სობოროფმა 4 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. გადაღებებისთვის ჩრდილოეთ დაკოტა შეარჩიეს, რადგან ეს ერთადერთი შტატია მთელ ამერიკაში, სადაც მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობა წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეუძლია. 26 წლის კირსტენ დანსტმა, ამ პროექტში მონაწილეობა იმიტომ გადაწყვიტა, რომ „ასაკის მატებას პასუხისმგებლობის გაცნობიერება მოაქვს, რასაც დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, განსაკუთრებით გართობის

ინდუსტრიაში“. ფილმის ავტორთა ცნობით, კირსტენ დანსტი სურათში კადრს მიღმა მთხრობელის როლი ეკისრება. ჯერჯერობით უცნობია, ვინილავთ თუ არა მას ეკრანზე. დოკუმენტურ ფილმს კომპანია Participant Media გადაიღებს. ეს კომპანია ალბერტ გორის ფილმის „უხერხული სიმართლე“ შემქმნელიცაა. მონაწილეობდა, რომელიც გლობალური დათბობის პრობლემებს ეძღვნება. ცნობილია, რომ დანსტმა და სობოროფმა ვადაძღვლი ხმის მიცემის უფლებით ჯერ კიდევ 20 ოქტომბერს ისარგებლეს.

მერი-კეიტ და შელი ოლსენები ტროლსების როლში

სტილის ხატებად აღიარებულმა 21 წლის ტყუპმა დამ — მერი-კეიტ და შელი ოლსენებმა თაყვანისმცემლებს წიგნი წარუდგინეს. ნაწარმოები მკითხველს მოდის სფეროში მოღვაწე იმ ადამიანების შესახებ მოუთხრობს, რომლებმაც დების გემოვნების ჩამოყალიბებაზე იზრუნეს. ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში Bameys ავტოგრაფსესიაზე მისული დები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ შესასვლელთან ცხოველთა დამცველი ორგანიზაციის PETA წევრთა აბოზოქრებულ ბრბოს გადააწყებოდნენ. PETA-ს წევრებმა მერი-კეიტსა და შელის ბრძოლა კარგა ხანია გამოუცხადეს და ამის მიზეზი ნატურალური ტყავისა და ბენველის მიმართ ტყუპის დაუოკებელი სიყვარულია. ოლსენები „ცოდვიანი“ გატაცების შესახებ ზემოსხეებულ წიგნიც — „გავლენა“ წერენ. ცხოველთა დამცველთა აზრით, ეს ნაწარმოები ბენველის ნაწარმის აშკარა რეკლამირებაა! პიკეტის მონაწილეობა საოცარი ფანტაზია გამოამჟღავნეს, სიტყვათა თამაში გამოიყენეს და გოგონების სახელები და გვარი გაათამაშეს. მერი-კეიტს Hairy Kate („ბანჯგვლიანი“) შეარქვეს, ეშლის — Trashley („ლექი“) გვარი — ოლსენი Trolsen („სიტყვისგან „ტროლი“) გადააკეთეს. PETA-ს აქტივისტებმა სახელების შე-

ბლაღვა არ იკმარეს და პლაკატებზე გაკეთებულ წარწერებში ტყუპ დას ჯოჯოხეთის აესულები და მანანალები უწოდეს. თვალსაჩინოებისთვის ნიღბებიც გაიკეთეს, რომლებზეც დები ოლსენები მანანალებად და კუდიანებად არიან გამოსახულნი.



ქართული ჩეპჩეპის პრობლემა და „გადარჩენის გზა“



ანუ „ქვაბში „ჩიპიბილნიუს“ რომ ჩაღებ და „სასისხს“ ისე მოხარება, მებტი პრობლემა რაღა გინდა?!“

ნაობა...

ღაშურა:

— ქუჩაში გცნობენ, შესნ შემოქმედებას პატივს სცემენ, მაგრამ იმდენი პრობლემა გაქვს, რომ ვიღაცის ალტ-აცებულ მზერას ვეღარ აღიქვამ: მანქანა ჩვენ არ გვყავს, ხანდახან გზის ფულისიც არ გვაქვს...

ჯაშური:

— ქვაბში „კიპიტილნიკის“ რომ ჩაღებ და „სასისხს“ ისე მოხარება, მებტი პრობლემა და გაჭირვება რაღა გინდა?!
— ბებერ, სიმღერაში აშობ — გადარჩენა არ მსურსო.

— მაგას ჩემი სიბერის გამო ვამბობ.

— კი, მაგრამ რამდენი წლის ხარ?


— 25-ის, მაგრამ ისეთი ცხოვრება მქონდა, რომ... მიამბე რამეო, არ მთხოვო! დავიღალე, მომბეზრდა, აღარც გადარჩენა მინდა! მაინც ცოცხალი რომ ვარ?..

ფრაილი:

— შეიძლება, ადამიანი ბებერი არ იყოს, მაგრამ ფსიქოლოგიური ასაკი ჰქონდეს.

WHITE NEGGA:

— ბებერი ისეთ ტექსტებს რეპავს, თითქოს მართლა მოხუცი კაცი „ბაზრობსო“...



White Negga

ღაშურა:

— სიმღერაში ჩვენი ტექსტი ყველამ ერთად შევქმენით. სხვისი დანერვილი რომ ვიმღეროთ, მოვიტყუებით, ჩვენ კი ჩვენს შემოქმედებაში იმას ვამბობთ, რაც რეალურია. სიმაართლეს ვემსახურებით. საქართველოში „გადარჩენის გზით“ საზღვარგარეთ დამკვიდრებული სტერეოტიპი — თითქოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ყოველთვის ერთმანეთს ებრძვის და ხოცავს, დამსხვრეულია. სამეგობროში თბილისელებიც ვართ და ქუთაისელებიც — როგორც ცნობილი, ასევე უცნობი რეპერები. მაგალითად, SULO ამ სიმღერით ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად წარდგება. ძალიან ნიჭიერი ბიჭია. უბრალოდ, საშუალება არ ჰქონდა, სიმღერა ჩაენერა. 2 წლის წინ გავიცანი და ასე ვთქვათ, დახმარების ხელი გავუწოდე.

— გადარჩენის გზად რა მიგანიათ? ალბათ, ყველას თქვენიული ვერსია გაქვთ.

— უპირველეს ყოვლისა, უფლის რწმენა!


ჯარონიო:

— მე ჯერ არ გადავრჩენილვარ, ეშმაკი მყავს დასამარცხებელი. ზოგჯერ ამქვეყნიური სიამტკბილობა „გამეჩიოება“ და „გაფშე“ მავინყდება, რომ კვირას ეკლესიაში წირვას დავესწრო. ყველაზე დიდ პრობლემას საკუთარი თავი მიქმნის, საკუთარი თავისგან გადარჩენა მსურს! ჯერ ვერ გადავრჩი, მაგრამ

ეთო ყორანაშვილი

„გადარჩენის გზა“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც ახლახან შეიქმნა. ამჟამად კი კლიპზე მუშაობა მიმდინარეობს. სიმღერას მავტორი ჰყავს. ყოველი მათგანი თავის სათქმელს მღერის, უფრო ზუსტად — რეპავს. ესენი

ჯოკერი, ჯერონიმო, ბებერი, ღაშურა, მასტი



არიან: ღაშურა, ჯერონიმო, მასტი, ფრედო, ბებერი, SULO, ჯოკერი, WHITE NEGGA; რა პრობლემები აქვთ ქართველ რეპერებს და რისგან სურთ გადარჩენა? — ამ კითხვებზე პასუხს მათი საუბრიდან შეიტყობთ.

ღაშურა:

— საქართველოში, სიმღერა ამდენ რეპერს ერთად არასოდეს ჩაუნერია. 2 თვის წინ გამიჩინდა იდეა, რომ ერთად შევკრებილიყავით, მაგრამ ამ საქმეს ახლახან მოვაბით თავი. სიმღერის სათაური ჯერონიმომ მოიფიქრა — „გადარჩენის გზა“.

— საინტერესოა, რა საფრთხისგან გსურთ გადარჩენა?

ჯარონიო:

— ჩვენ, ყველამ ცხოვრებაში რთული გზა გამოვიარეთ. ვნახეთ აფხაზეთის, ცხინვალის ომი, ახლა კიდევ... განვიცადეთ გაჭირვება, შიმშილი, ნყურელი, უბი-



Fredo



სიმღერით სხვებს მოეწონებდა, „ვაჯან-ჯღარებ“, რომ სწორ გზას დაადგინენ.

SULO:

— მე გარდასახვით გადარჩენაზე ვმღერო. ადამიანების გარკვეული ნაწილი პრობლემების დაძლევის სხვა რამეზე „გადართვით“ ცდილობს, მაგალითად — თმას იღებავს, წერს... მეც დავწერე, რა — წერით ვცდილობ გადარჩენას.

ფრადო:

— მოგესხენებათ, წარმოშობით მოლდაველი ვარ. სიმღერისთვის ჩემი ტექსტი მოლდავურად დავწერე. პირველივე სიტყვა გახლავთ „დუმნადზეუ“, რაც ქართულად უფლავს ნიშნავს... თუ გადავრჩი, ეს იმ ადამიანებთან ერთად მოხდება, რომლებსაც პატივს ვცემ. ჩვენი გადარჩენა, რა თქმა უნდა, უფლის წყალობით მოხდება.

WHITE NEGGA:

— ყველაზე წინ ღმერთის რწმენა დგას!..

ჯოპარი:

— ადამიანს სულიერი სიძლიერე გადაარჩენს. თუ სუსტი ხარ, პრობლემებსაც ვერ გაუმკლავდები. თუკი ეკლესიაში ისე წახვალ, რომ ამისთვის სულიერად არ მოემზადები, ლოცვის შემდეგ ისევ ისეთი იქნები, როგორც 10 წუთის წინ იყავი... სულიერად ძლიერი უნდა იყო და თავი გადაიარჩინო.

კაპიუშონიან ქურთუკში გამოწყობილმა მასტმა გამომიცხადა: გადარჩენის გზა თუ ვინმემ იცის, ეს მე ვარ, მაგრამ არაფერსაც არ გეტყვიო! მართლაც, ის მთელი ინტერვიუს მანძილზე ფანჯრის არაფაზე იჯდა და ხმას არ იღებდა. ჯერონიმომ „დამამშვიდა“ — როცა რეპერებთან



SULO

მოდინარ, ცოტათი უნდა დაიბნეო(?)..

კლიბის შინაარსი როგორია? ღაფურა:

— კლიპზე მუშაობა ჯერ არ დაგვისრულებია. სავარაუდოდ, ერთ კვირაში მზად იქნება. შინაარსს რაც შეეხება, კონკრეტული სტენარით არ ვხელმძღვანელობთ. ჩვენ ზღაპრები არ გვიყვარს! გადავიღეთ ის, თუ როგორ ვცხოვრობთ რეალურად, როგორ ვწერთ სიმღერას... მოკლედ, კლიპი დოკუმენტური კადრებისგან შედგება... გადაღებამონტაჟი ჩემი გაკეთებულია... რეპერებმა ამ სიმღერით ჩვენი სათქმელი ვთქვით. იმედი, მსმენელიც და მაყურებელიც კარგად გაგვიგებს. თუკი ვერ გაგვიგეს, ჩვენს პრობლემებს კიდევ ერთი პრობლემა დაემატება...

ანსამბლ „გორდას“ „გენერალი“ აქტიურ მუშაობას იწყებს



„ქართული ქალის ხელმძღვანელებმა მელაქარაჯი და ამდროს, ქიქი უქანთ“

„როცა ალღუმზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან (ამჟამად — უნივერსიტეტთან) არსებული მოცეკვავეთა ანსამბლი „გორდა“ გამოდიოდა, ხალხი გვიყვიროდა: — გლახებო, გლახებო! — „გლახუნდს!“ გვინოდებდა. კარგი დღე არც ზოოვეტის სტუდენტებს ადგათ... მჭთ დანახვაზე მაყურებლები ძროხებივით ბლაოდნენ — მუუუ! — და „ძროხუნდს“ ეძახდნენ... როგორც იქნა, „გორდას“ სამარცხვინო მეტსახელი მოვაშორე. ის ერთ-ერთი ანსამბლი იყო, რომელიც გასტროლებზე გამგზავრებას საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმაც ახერხებდა“. ამბობს საქართველოს სახალხო არტისტი და პროფესორი ბესიკ სვანიძე. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ანსამბლს. გარკვეული მიზეზების გამო, „გორდა“ 2 წლის წინ დაიშალა და აი, ანსამბლის 60 წლის და მისი ხელმძღვანელის 80 წლის იუბილეზე ანსამბლის აღორძინებისთვის მზადება დაიწყო. კონსულტანტად ბესიკ სვანიძე მიიწვიეს.

ეთო ყორღანაშვილი

„გორდასა“ და ბესიკ სვანიძის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება აგრარული უნივერსიტეტის განახლებულ სცენაზე გაიმართა. იქ იმყოფებოდნენ ანსამბლის ძველი მოცეკვავეებიც. ემოციებს ვერ ფარავდნენ, როცა დარეჟანში გამოფენილ „გორდას“ ფოტოსურათებში საკუთარ თავს ამოიცნობდნენ ხოლმე.

დალი ჯაპალია:

— „გორდაში“ 6-7 წელი მაქვს გატარებული. როცა ანსამბლის წევრებს ვხვდები, ვამბობ, — ჩემი ბავშვები ვნახე-მეთქი. მეგობრები დამცინიან — ეგ „ბავშვები“ რით ვლარ გაიზარდნენო?! წარსულს ყოველთვის აღფრთოვანებით ვიხსენებ. „გორდაში“ გატარებული წლები უბედნიერესი იყო.

ზზია აღამია:

— ძველი ფოტოები რომ ვნახე, დიდი გულსტიკვილი ვიგრძენი — წლები ძალიან მალე გადის... მხიარული, საინტერესო გასტროლები გვექონდა, ყველგან სიხარულით გვიღებდნენ.

დალი:

— საზღვარგარეთ უამრავი „პაეზდკა“ გვექონდა. იმ პერიოდში ვცეკვავდით, როცა საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან გასვლას თითო-ოროლა ანსამბლი ახერხებდა. მგონი, პირველად საფრანგეთს ვესტუმრეთ, მერე — იაპონიას, მერე უკვე წავიდა და წავიდა (იცინის)... ყველა ფესტივალზე სიამოვნებით გვინვევდნენ.

ზზია:

— გავთხოვდი და იქ დამთავრდა ყველაფერი — მეუღლემ ცეკვა დამიშალა.

დალი:

— როგორც კი გავთხოვდი, ცეკვას მეც თავი დავანებე. ხომ იცი, ჩვენი „აზიატი“ მამაკაცების ამბავი? მომავალმა მეუღლემ განმიცხადა: ხომ ხარ დანიშნული? წადი და იცეკვე, რამდენიც გინდა, როცა იტყვი — ცეკვა აღარა მინდა, მოდი და ცოლად შეგირთავო! მეც ვუთხარი: აღარ მინდა ცეკვა-მეთქი (იცინის)...

ზზია:

— ახლა ქართველი მამაკაცები ცოტა „შერბილდნენ“, ახლა სხვა დროა...

ემოციებით გადაღლილი ბესიკ სვანიძე იმ დღეს „დავინდე“ და ინტერვიუ მოგვიანებით ჩავწერეთ — „გორდას“ წარსულსა და მომავალზე ვისაუბრეთ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, როცა აგრარული ინსტიტუტის ორმა სტუდენტმა — გიორგი დოლიძემ და ჯიმშერ ქაჯაიამ მოისურვეს, ინსტიტუტში ცეკვის შემსწავლელთა წრე შექმნილიყო. მოიწვიეს ცეკვის ფოთელი მასწავლებელი. ნელ-ნელა პატარა წრე ანსამბლად იქცა... 6 წლის ბესიკ სვანიძეს ბიძამ — ამბროსი ქურბულმა დიდი მონდომებით დაუწყო „კინტაურის“ სწავლება. კერვაც ეხერხებოდა და „კინტაურისათვის“ საჭირო კოსტიუმიც თავად შეუკერა. პატარა ბესიკმა აჭარაში გამართულ ცეკვის ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა. — 200 მონაწილიდან 20 დაგვაჯილ-



დოეს, ფულადი პრემიებითა და სიგელებით. მაშინ ნ-წლიანი ვიყავი და „კინტაუს“ ვცეკვავდი. იცი, ცეკვას როგორ ვამთავრებდი? ბაღდათს ავიღებდი და თან ვამბობდი: ტაში, კინტო, პატარა კინტო!... — დარბაზი ინგრეოდა!.. მოგვიანებით, ბათუმში (წარმოშობით ბათუმელი ვარ) სპეციალური სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის მსახიობებს ამზადებდა. ასაკით პატარა ვიყავი, ამიტომ ყველაზე დაბალ ჯგუფში ჩამრიცხეს. სასწავლებელში ემელიან დოლიძე კვირაში ერთხელ ქართული ცეკვების გაკვეთილებს ატარებდა. ამიტომ სამეცადინოდ მხოლოდ კვირა დღეს — 9-დან 3 საათამდე მივდიოდი და ქართულ ცეკვას ვსწავლობდი. რა მექნა? ბალეტმა არ გამოიტაცა. გაკვეთილებს ხშირად ვაცდენდი. სასწავლებლიდან გარიცხვის ღირსი ვიყავი, მაგრამ ემელიანის ხათრით, არ გამრიცხეს.

— ანსამბლ „გორდაში“ როგორ მოხვედით?

— ანსამბლში რომ შევედი, მაშინ „გორდა“ არ ერქვა — უბრალოდ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული ანსამბლი იყო. ხელმძღვანელმა კოლია გარუჩოვა ინსტიტუტში ჩააბარებლად ახმარება შემომთავაზა. როგორც კი სკოლა დავამთავრე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტ-



ში ჩავაბარე მისალეები გამოცდები და ცეკვის ნრეზეც შევედი. მერე რეპეტიციებზე მასწავლებელმა თავის ასისტენტად დამნიშნა. — ეტყობა, კოჭებში შემატყო რალაც (ილიმება)... მაღე, ხრუშჩოვის ბრძანებით, სტუდენტები ვაკიდან დილომში გადაგვიყვანეს — გადაწყდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დილომში უნდა ამეწესებოდა. სამწუხაროდ, ინსტიტუტის კლუბში ასევე პატარა ზომის სცენის გაკეთება იგეგმებოდა. ჩემი დიდი ძალისხმევით, სცენის ზომა გაზარდეს. უფრო მეტიც — რეჟისორმა მყურებლისთვის განკუთვნილი სკამების ნინარიგების ხარჯზე, ავანსცენა გადაიდა, რათა ცეკვების დადგმის საშუალება გვექონოდა... მერე უფრო აქტიური მუშაობა დავიწყეთ!..

— ანსამბლის ხელმძღვანელად როდის დაინიშნეთ?

— კოლია გარუჩოვი პროფესიით მეღვინე გახლდათ. ის ლენინის №1 ქარხანაში სამუშაოდ გადაიყვანეს, მას შემდეგ — 1948 წლიდან მე ხელმძღვანელობდი.

— სახელწოდება „გორდა“ თქვენ შეარჩიეთ?

— ეს სახელი კენჭისყრის გზით შევარჩიეთ, მეფუტკრეების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე გალა-კონცერტი უნდა გამართულიყო. როცა ორგანიზატორმა ანსამბლის სახელწოდება გვკითხა, ვერაფერი ვუპასუხეთ. მეორე დღისთვის სახელწოდება მოფიქრებული უნდა გვექონოდა. არადა, მანამდე ვახუთ „საბჭოთა აგრონომში“ ანსამბლის სახელის შერჩევასთან დაკავშირებით, კონკურსი გამოვაცხადე. ასეთი ვერსიები იყო: „მეხრე“, „მწყემსი“, „ემტყესი“ — მანქანა-ტრაქტორთა სადგური, „გუთანი“... ანსამბლს ასეთ სახელს როგორ დავარქმევდი (იციინის)?! წინათ, ბატონმა რომან ჭოსონელიძემ პიონერთა სასახლეში ფასიანი ანსამბლი „გორდა“ ჩამოაყალიბა, მაგრამ მაღე ვიდრე ჩემს ანსამბლს „გორდას“ დავარქმევდი, მანამდე ბატონი რომანისგან ნებართვა მიეღო. ასეც მოვიქეცი. რომანმა მითხრა: შეილო, ბესიკ, „გორდა“ აღარ არსებობს, შეგიძლია, ეს სახელი დაარქვა, მე კი მერე, მოსწავლეებისგან „პატარა გორდას“ შექმნილო... მოკლედ, სახელწოდება შევარჩიეთ, ორგანიზატორს მისი მნიშვნელობა აუხსენით — ეს გახლავთ ხანჯალივით სწორი ხმალი, რომელიც ისეთი ფოლადისგანაა ნაწართობი, რომ ჯაჭვის პერანგს ტეხს და ამტკრებს. თანაც — ქართულ ცეკვა „ფარიკაობაში“, ფარ-ხმალით გაქვს საქმე-მეთქი... ასე „მოინათლა“ „გორდა“ მოსკოვში, მეფუტკრეების კონგრესისთვის გამართულ გალა-კონცერტზე.

— პირად საუბარში ასე ვხედავ, პირველი რევოლუციური ნერები ჩვენ ვიყავით...

— კონცერტის გასამართავად ტოკიოში ვიყავით... დარბაზი 5000 მაყურებელს იტევდა ბილეთი 10 დოლარი ღირდა. კონცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი გაიყიდა. მის დანყებამდე ბევრი დრო არ იყო დარჩენილი, როცა დარბაზში 30-მეტრიანი ქსოვილი შევნიშნე, რომელზეც რუსი გოგობიტი იყო გამოსახული წარწერით „რუსული ცეკვის საღამო“. ეს რომ დავინახე, პირკატა მეცა! წარმოიდგინე, ყველაფერი მზად იყო, ბილეთები — გაყიდული, მე კი განვაცხადე: კონცერტს ჩავშლი, რადგან „გორდა“ რუსული კი არა, ქართული ანსამბლია-მეთქი. ამიტომ ვთქვი — პირველი რევოლუციონერები ვართ-მეთქი... კონცერტზე თარჯიმანი საბჭოთა ჯაშუშის — რიხარდ ზორგეს მეორე ცოლის დაქალი გახლდათ. ის კონცერტის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, ფარდის წინ გამოვიდოდა და ჰყვებოდა, თუ სად იყო საქართველო, მაყურებლები გამტყრებული თვალებით იყურებოდნენ, ვიდრე თარჯიმანი არ იტყოდა — საქართველო იოსებ სტალინის სამშობლოა... იაპონელებს ისე მოსწონდათ „გორდას“ შემოქმედება, რომ სცენაზე ხან „ბანზაის“ ყვირილით ამოცვივდებოდნენ, ხანაც — პურში გვისროდნენ. მადლობა ღმერთს, გამხდარი ვიყავი, თორემ ხელიდან რომ გავვარდნოდი ვინმეს, კვრცხივით გავსკდებოდი (იციინის).

— როგორც ვიცი, „გორდას“ ბევრი პრიზი აქვს აღებული...

— უამრავი. განაკუთრებულად საკავ-

შირო ლენინური კომკავშირის პრემია მასოვს. ეს პრემია ჩვენთან ერთად აიღეს ცნობილმა მომღერალმა დინ რიდმა და იოსებ კობზონმა. რიდმა მიღებული თანხა — 25.000 მანეთი უპატრონო ბავშვთა სახელს გადაურიცხა. უცხო ასე მოიქცა და საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელი როგორ მოვიქცეოდი? ავდექი და, მეც ბავშვთა სახელს გადაურიცხე! საღამოს კი კარგად ვიქეიფეთ. თამადა კობზონი იყო.

— ანსამბლის წევრებს როგორ ურთიერთობა ექონდათ?

— „გორდა“ ძალიან „ოჯახური“ ანსამბლი იყო. ქმრები მოდიოდნენ, ცოლების რეპეტიციებს ესწრებოდნენ და შინ მუულებთან ერთად ბრუნდებოდნენ. იცი, როგორი მასწავლებელი მყავდა? ანსამბლის წევრ ბიჭსა და გოგოს თუ სერიოზული ურთიერთობა ჰქონდათ, თან გადაწყვებოდა, მაგრამ თუ ცულუტობას შეატყობდა, ბიჭსაც უშვებდა ანსამბლიდან და გოგოსაც არც მე მომწონდა „ცულუტური“ ურთიერთობები... წლების განმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში ლექციებს ვატარებდი. ანსამბლისთვის მოცეკვავეებს ფიზკულტურის კათედრაზე ვარჩევდი: როცა ბავშვებს სპორტულად აცვიათ, მათი სიმალლე კარგად ჩანს. „გორდაში“ 700 მოცეკვავეზე მეტმა გაიარა — ეს მთელი 12 თობაა! როცა ანსამბლი დაიშალა, ფაქტობრივად, ოჯახი დაშენდა! „გორდას“ წევრები ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის ერთად ვიყავით. ახლაც, წელიწადში ერთხელ ვიკრიბებით და გარდაცვლილ მოცეკვავეთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ვიხდით...

— „გორდა“ რატომ დაიშალა?

— სარემონტო სამუშაოების გამო, იძულებული ვაგვხდით, აგრარული უნივერსიტეტი დაგვეტოვებინა. 2003-2004 წლებში 30-ე სკოლის დარბაზი დავიქირავე და რეპეტიციებს იქ ვატარებდი. მეგობარი მხმარებოდა, მუსიკოსებისთვის ფული რომ გადამიხდა. მართალია, სასოფლოდან ხელფასი მოგვიხსნეს, მაგრამ მუშაობა მაინც განვაგრძე. შემდეგ ავად ვაგვხდი — ინსულტი დამემართა. ჩემი ანსამბლის ერთი წევრი გოგონა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა და ამ ფაქტმაც იმოქმედა... მე, ჩემს მუულებს და ქალიშვილს ღირსების ორდენი გვაქვს მიღებული. ჩემი მუულები „გორდაში“ ცეკვავდა, ასევე ქალიშვილიც — მაგრამ მოგვიანებით სუხიშვილებთან გადავიდა. ახლა განახლებული „გორდას“ კონსულტანტი მქვია, მაგრამ „გენერალი“ მე ვიქენები! პედაგოგები მე მიმყავს: გოგონებთან ჩემი შვილი — ნინო იმუშავებს, ბიჭებთან — ჩემს ანსამბლში გაზრდილი ბადრი ცხოვრებაული. „გორდას“ ახალ ბავშვებს ბევრი ვარჯიში სჭირდებათ... ქართული ქალის კდემამოსილებაზეა ლაპარაკი და ამ დროს, ჭიბი უჩანთ — „ასა-ფართი“ არ მომწონს, არა... თეორიულად, „გორდა“ აღდგა, პრაქტიკულ მუშაობასაც მაღე დავიწყებთ! სხვათა შორის, ჩემი მეზარები მაღე წიგნად გამოვა — „ბესიკ სვანიძე და ანსამბლი „გორდა“. უფალმა თუ მადროვა, ანსამბლს ძველ დიდებას დაუბრუნებ! მთავარი, ვიცოცხლო.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლო!

დასაწყისი იხ. გვ. 15


ერთი სიტყვით, აზერბაიჯანში ახალი საპარლამენტო არჩევნებით, ახალი მილიმეტრის კი არა, მხოლოდ მმართველი კლანის (მრავალთა მტკიცებით, ნახჭევანის კლანის ნაცვლად, პირველი ლედის — ფაშაევების კლანით) ჩანაცვლება მიიღეს. ალბათ სწორედ ეს გარემოებები ჰქონდა მხედველობაში BakiliraAZ-საც, როცა წერდა, რომ „მმართველ ელიტაში ძალების განლაგების თავისებურებები და აგრეთვე, პირველი ლედის გამორჩეული პიროვნება იმის დასკვნის უფლებას გვაძლევს, რომ საჯარო პოლიტიკის არენაზე მის გამოსვლას აზერბაიჯანისთვის ძალზე შორს მიმავალი შედეგები უნდა ჰქონდეს“.

ქალი და დიდი პოლიტიკა

2008 წლის ივნისში ბაქოში მეჭრიბან ალიევას ინიციატივით გამართულ საერთაშორისო ფორუმზე, რომლის თემაც — „ქალის როლი კულტურათა შორის დიალოგში“ იყო, მართალია, ირიბად, მაგრამ მაინც დაისვა ის კითხვაც, — შეუძლია თუ არა ქალს სახელმწიფოს სათავეში და შესაბამისად, დიდ პოლიტიკაში მოსვლა? ამის პასუხად, კონფერენციის მონაწილე ერთ-ერთმა ქალბატონმა დანაბებით შენიშნა, რომ საზოგადოება, უფრო სწორად კი

— მამაკაცები ქალებისთვის ლიდერობის დასათმობად ჯერჯერობით მზად არ არიან. არის თუ არა მზად პოლიტიკაში მოსასვლელად თავად ქალი და კონკრეტულად — მეჭრიბან ალიევა? ამ კითხვებზე აზერბაიჯანის პირველი ლედის პასუხი ასეთია: „მე პოლიტიკით არ ვარ დაკავებული, მე უბრალოდ, ადამიანებს ვეხმარები. თუ ვინმე ამას პოლიტიკად მიიჩნევს, კი, ბატონო. ხშირად, როცა პოლიტიკაზე ლაპარაკობენ, ძირითადად, ძალუფლების ხელში ჩაგდება აქვთ მხედველობაში. მე ძალუფლების მოყვარული ადამიანი არ ვარ და არც ვისწრაფვი მისკენ. ეს საჩემო საქმე არ არის... მე კონკრეტული საქმეების კეთება, კონკრეტული ადამიანების დახმარება მსურს. ესაა ჩემი მონოდება და არჩევანი“...

ამბობენ, ეჭვიანობა საეჭვოა და ამიტომაც, აზერბაიჯანის პირველი ლედის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ნამდვილად, არ იქნებოდა მართებული. თუმცა მე პირადად ერთი ჩემი კოლეგა ჟურნალისტის უფრო მეტად, რომელიც ირწმუნება, რომ „დიდ პოლიტიკურ საქმეებში სულ ახალი და ახალი ფაქტორების ამოქმედება ხდება, რომლებიც ზოგჯერ, სტრატეგიული და ტაქტიკური შედეგების მიღწევისთვის ბრძოლაში ახალ შესაძლებლობას იძლევა ამ თვალსაზრისით, ილჰამ ალიევს, როგორც თანამედროვე პოლიტიკური ლიდერების ახალი თაობის წარმომადგენელს, ფასდაუდებელ დახმარებას უწევს მისი მუდმივ მეჭრიბან ალიევა. თანამედროვე მსოფლიოში პირველი ლე-



დის ფიგურა, მუდმივსთან ტანდემში, ზოგჯერ იმაზე ბევრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. თუმცა თავად მეჭრიბანისთვის ეს მხოლოდ თანამედროვე სტილისტიკის წინაშე ერთგვარი ხარკის გაღება როდია. ის უკვე კარგა ხანია, რაც სრულიად შეგნებულად და დამოუკიდებლად, ასევე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ნიშასაც გულმოდგინედ ითვისებს“...

მოამზადა რუსუან ლეპანიძემ

კვირის პალიტრა

ყველა სიასლა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველ ხუთშაბათს მიიღეთ ამომწურავი

ყველა სიასლა



გიორგი მამაშვილი (მარჯვნივ) მშასთან (მარცხნივ) და მეგობრებთან ერთად

ბრალდებული, რომელსაც ხელს არაფერ აქვს, მაგრამ მაინც დაზარალებულია

ნანა შიხელაური

ნანა გავრილავილი, გიორგი მამაშვილის დედა:

— გიორგი იმ დღეს უსაზღვროდ ბედნიერი იყო. სტუდენტი გახდა და მეორე დღეს პირველად მიდიოდა ინსტიტუტში. მაგრამ ვინ აცალა სტუდენტობა?! 30 სექტემბერს მეგობრებმა გიორგის სთხოვეს, შინ ჩარიცხვა აღენიშნო და მარჯანიშვილის თეატრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე კაფეში შევიდნენ. სულ სამი იყვნენ. იქიდან ერთი თავისი გზით წავიდა, ხოლო გიორგი და დათო გვარამია ერთად წამოვიდნენ შინსკენ (გვარამია სვანეთისუბნელია, ჩვენ კი მარჯანიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობთ). საკმაოდ შეზარხოშებულნი ყოფილან. გვარამიას გზად მისი ნაცნობი შეხვდა — დაზარალებული დავით ბუქანიშვილი, რომელიც მის მეზობლად, დაახლოებით 50 მ-ის მანძილზე ცხოვრობს. გვარამიამ ბუქანიშვილს ხელი გადახვია და იქვე მდებარე თაღის ქვეშ შეიყვანა, სადაც მისი 100-ლარიანი ტელეფონი უთხოვია — ერთი კვირით მომეცი, ლომბარდში უნდა ჩავაბაროო. მასაც მიუცია „სონი-ერიქსონის“ მარკის ტელეფონი. გიორგი მათგან 10 მეტრის მოშორებით მდგარა და არც გაუგია, რაზე საუბრობდნენ ბიჭები; ამასთან, გიორგიმ დათო ბუქანიშვილი პირველად ნახა, არ იცნობდა. ამის შემდეგ ბიჭებმა კვლავ მარჯანიშვილის ქუჩაზე განაგრძეს სვლა და პოლიციაც დაადგათ თავს. მათ რომ ერთობლივად განერხაბათ ვინმეს დაყაჩაღება, იმ თალიდან ორი გასასვლელია და იქიდან გაიქცეოდნენ... იმ საღამოს, გიორგის რომ შეაგვიანდა, ავანერვიულდი, ვინაიდან ასეთი უპასუხისმგებლობა მას არ სჩვეოდა. ორის ნახევარზე დაძირკვა — პოლიციაში ვარო. თავზარი დამეცა. როცა პოლიციაში მივედი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა მომატყუა, — თქვენმა შვილმა პროკურორის შვილი დააყაჩაღა. განყოფილებაში უამრავი საშინელების და სისაძაგლის მომსწრე გავხდი. აქამდე პოლიციასთან არანაირი შეხება არ მქონია და ბედნიერი ვყოფილვარ... მერე ჩემთან მოვიდა გამოძიებელი იოსაყ და მითხრა: გიორგი კარგი ბიჭია, უბრალოდ, შარშია გახვეული, ყველაფერს გავარკვევთ და გავუშვებთო. მეორე დღეს გამოძიებელმა დაზარალებულის ჩვენება წამიკითხა, ბაჭა ნათქვამი იყო, რომ მას შეხვდა ორი ბიჭი, მერე გვარამიამ გვერდზე გაიყვანა და ტელეფონი წაართვა, — პოლიცია როცა მოვიდა, ვუთხარი, ამათ დამაყაჩაღესო. ჩემი შეცდომა ის არის, რომ გამოძიებულს ვკითხე, — კი, მაგრამ სად ჩანს, აქ გიორგის ბრალეულობა-მეთქი? ამის შემდეგ გამოძიებელმა ბუქანიშვილს ჩამატებინა — ამ ორმა დამაყაჩაღა (პირველ ჩვენებაში იგი მხოლოდ გვარამიას ასხენებდა), იარაღის მუქარით წამართვეს ტელეფონიო. მიუხედავად ამისა, დაზარალებულმა სასამართლოზე უარყო დაყაჩაღებაში გიორგის მონა-

2007 წლის 30 სექტემბერს, მარჯანიშვილის თეატრთან მდებარე კაფეში გიორგი მამაშვილი ორ მეგობართან ერთად, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას აღნიშნავდა დაახლოებით ლამის 11 საათზე, შინ მიმავალი გიორგი და მისი ერთ-ერთი მეგობარი — დათო გვარამია, დავით აღმაშენებლის გამზირზე ადევნებულმა პოლიციელებმა დააკავეს და მათ ყაჩაღურ თავდასხმაში დასდეს ბრალი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, გიორგი მამაშვილის მიერ ჩადენილი „2007 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით 23 საათზე გ. მამაშვილი მის მეგობარ დავით გვარამიასთან ერთად, მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მათ განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ მოქალაქეს და მის ნივთს დაუფლებოდნენ; მათ შეამჩნიეს არასრულწლოვანი დავით ბუქანიშვილი, რომელსაც ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი მიუახლოვდნენ მსხვერპლს, გვარამიამ მას ხელი გადახვია და აღმაშენებლის გამზირიდან მოფარების მიზნით, იქვე მდებარე ეზოს თალიან შესასვლელში შეიყვანა. ბიჭებმა ბუქანიშვილს ტელეფონი მოსთხოვეს და უარის შემდეგ დათო გვარამიამ ჯიბიდან დანა ამოიღო, გამალა და წვერით მუცლის არეში მიბაჭინა; სიცოცხლის მოსპობის მუქარით ხელიდან გამოსტაცა „სონი-ერიქსონი 5101“ ფირმის მობილური ტელეფონი და როდესაც თავიდანს მიმალვას შეძლების ადგილამდე მიმავლას ცდილობდნენ, რამდენიმე მეტრში ისინი პოლიციის მუშაკებმა დააკავეს. ბრალდების მხარის მიერ გიორგი მამაშვილის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ნაწილის ბ პუნქტით დაკვალიფიცირდა. 2008 წლის 4 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დათო გვარამიას 7 წლით, ხოლო გიორგი მამაშვილს — 6 წლით აღუკვეთა თავისუფლება.

ილეობა, თქვა, — არ შემიძლება. არც არაფერი უთქვამსო. გამოდის, რომ ჩვენებაში ის ფრანკა გამოძიებელმა ჩამატა. ჩემი იქ ყოფნის დროს ყური მოვკარი, როგორ უთხრა გამოძიებელმა ბუქანიშვილს — ჩვენების მეორე გვერდი შესაცვლელიაო. მაშინ ვერ მიხვდობი, რაზე იყო ლაპარაკი... გიორგი და ყაჩაღობა ერთმანეთთან უშუთავსებელია. ის იქით ეხმარებოდა მათ, ვისაც უჭირდა, ტელეფონიც ჰქონდა და ფულიც, რაში სჭირდა ვიღაცის 100-ლარიანი მობილური?! თანაც, ეს ის პერიოდი, გულით რომ გნდომოდა, მოპარულ ტელეფონს ვერსად დაალომბარდებდი, პოლიცია სდევნიდა მათ, ვინც ყუთის გარეშე იბარებდა მობილურებს... გიორგის ბრალი ვერავინ დასდო, — ვერც მოწმებმა, ვერც პოლიციელებმა, ვერც დაზარალებულმა და გვარამიამ. მიუხედავად ამისა, მას მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს და არაფრის გულისთვის 6 წელი ციხეში უნდა გაატაროს. გიორგი ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა, იქით გვამსწევს და სჯერა, რომ გამართლდება. შეიძლება, გვარამიამ მართლაც წაართვა ბუქანიშვილს ტელეფონი, მაგრამ ამის თაობაზე გიორგისთან წინასწარ არ შეთანხმებულა გამოძიების თქმით, გვარამიამ დაზარალებულს მუცელზე დაწა მიპოვნა. გიორგი ამას კატეგორიულად უარყოფდა, — როგორც ამ, მე იქ დანა არ დამინახავსო. გვარამიასგან დანა — „ბრელოკი“ ამოიღეს. საქმე ისაა, რომ გვარამია მეზობელთან ჩხუბის შემდეგ, პირობით სასაჯელს იხდიდა და მას პოლიცია მუდმივად უთვალთვალებდა. ჩვენთან ხომ ასეთი წესია — თუ აღრიცხვაზე ხარ ან ერთხელ მაინც დაჭერილი, ჩაიდე თუ არა დანაშაულს, მაინც გიჭერენ... იმ ბიჭს გვარამიასთვის მობილური ნებით მიუცია. ეს გახლავთ გვარამიას მხრიდან წმინდა წყლის გამოძალვა და არ მქმის, რატომ მისცა გამოძიებამ ამას ყაჩაღობის კვალიფიკაცია. მიზეზი, რატომაც დაიჭირეს ჩემი შვილი. რადგანაც დათო გვარამიას ეს საქმე „მუუკერეს“ გიორგი თანამონაწილედ სჭირდებოდათ — და არა — მოწმედ, ვინაიდან ის იტყოდა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. მოწმეს უნდა დაუჯერო, თანამონაწილეს კი ვინ დაუჯერებს?! სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. ნორმალურ ქვეყანაში, სადაც სამართლიანი სასამართლოა, გიორგისნაირ ეჭვირვალს სასამართლომ დაზარალებული გაათავისუფლებდნენ და გამამართლებელი განაჩენს გამოუტანდნენ. მეორე ვაჟიც მყავს და შიმშილს ქვეშ ვცხოვრობ, ვითუ სადმე პოლიცია გადაეყაროს და შარში გახვიონ-მეთქი. პოლიციის უნდა გემინოდეს თუ მისი იმედი გქონდეს?! როცა გიორგი გათავისუფლდება, ჩემს შვილებს ამ ქვეყანაში აღარ გაგაჩერებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივი საფრთხის ქვეშ იქნებიან.

გიორგი ძონაზა, გიორგი მამაშვილის ადვოკატი:

— საბრალდებო დასკვნის არსიდან გამომდინარე, დაზარალებულ დავით ბუქანი-



იშვილს განსასჯელმა დავით გვარამიამ ხელი გადახვია და შეიყვანა იქვე მდებარე ეზოს თალიან შესასვლელში, სადაც მოსთხოვა მობილური ტელეფონის გადაცემა. უარის მიღების შემდეგ კი დანა მიაბჯინა სხეულზე და, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ხელიდან გამოსტაცა აპარატი. არსად არის მოხსენიებული, თუ რა ქმედება ჩაიდინა ამ დროს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა. რეალურად, მანაშვილი იმ საღამოს მისთვის უჩვეულო — ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც საქმის მასალებით დასტურდება. მას ეჭვის დონეზეც არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმას, რომ გვარამიამ გვერდზე გაიყვანა ბუჯანიშვილი. იგი არც ქუჩაში და არც ეზოში შეხებია, არც კი დალაპარაკებია დაზარალებულს. გიორგი მომხდარის უნებლიე მოწმე გახდა, ხოლო მისი მხრიდან რაიმე ნივთის წართმევაზე, ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— გამოძიების ვერსიით, გვარამია და მანაშვილი წინასწარ შეთანხმდნენ ყაჩაღურ თავდასხმაზე.

— სრულიად უსაფუძვლოა ამის მტკიცება. სასამართლო სხდომაზე დავით ბუჯანიშვილმა განმარტა, რომ გიორგი მანაშვილი მასთან საერთოდ არ შესულა არც ფიზიკურ და არც სიტყვიერ კონტაქტში. მისგან არაფერი მოუთხოვია და არც გვარამია წაუქეზებია რაიმე ქმედებისკენ. არ გაუგონია, რომ მანაშვილი და გვარამია მის შესახებ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. არ იცის, მასთან მოახლოებამდე განსასჯელებს ჰქონდათ თუ არა შეთანხმება გარკვეულ ქმედებაზე. გარდა ამისა, დაზარალებულმა უჩვენა, რომ გვარამიამ მას რამდენიმე დღით სთხოვა მობილური ტელეფონი და ჰკითხა მისამართი, რაც არ გამორიცხავს გვარამიას განზრახვას, გარკვეული დროის შემდეგ ნივთი პატრონისთვის დაებრუნებინა.

— როგორია ბრალდების მხარის ვერსიები ანუ რას ამბობენ დაკითხული პოლიციელები?

— მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციის თანამშრომელმა მინდია ქუთელიამ, რომელმაც უშუალოდ დააკავა მანაშვილი, სასამართლოზე დაკითხვისას აღნიშნა, რომ თავის თანამშრომელ კახა ვარსიმაშვილთან ერთად მეტროსადგურ „მარჯანიშვილთან“ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მათი ყურადღება მიიქცია ორმა ახალგაზრდამ, რომელიც ხმაურით მიდიოდა ქუჩაში. ერთ-ერთმა მათგანმა ხელი დაარტყა სარეკლამო ფარს, საერთოდ, განსასჯელების მოქმედება არ ჰგავდა ფხიზელი ადამიანების საქციელს. ქუთელიას ჩვენებიდან გამომდინარე, მან დაინახა, როგორ მივიდა გვარამია ბუჯანიშვილთან, მას ხელი ჩამოართვა და როგორ დაიძრნენ ადგილიდან. შემდეგ დაინახა, რომ გვარამიას ბიჭისთვის მუცელზე დანა ჰქონდა მიბჯენილი. ანალოგიურ ჩვენებას იძლევა პოლიციის მეორე თანამშრომელი ვარსიმაშვილი.

— საინტერესოა, რას ამბობს თავად დაზარალებული?

— დავით ბუჯანიშვილის ჩვენებით, ღამის 11 საათზე ის მეტროდან ამოვიდა, შემდეგ შევიდა მაღაზიაში. როცა იქიდან გამოვიდა, მისგან ორ მეტრში ორი პიროვნება შენიშნა. ბუჯანიშვილს ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა. მას გვარამიამ ხელი გადახვია და სიბნელეში, „არკაში“ შეიყვანა, სადაც მოსთხოვა, ტელეფონი ეჩვენებინა, შემდეგ უთხრა, ერთი კვირით მათხოვეო. უარის შემდეგ გვარამიამ მას მუცელზე დანა მიაბჯინა. ბუჯანიშვილს შეეშინდა და ტელეფონი მისცა. ამ დროს გვარამიას გვერდით ედგა მანაშვილი, რომელიც არაფერს აკეთებდა, თუმცა ესმოდა, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ. შემდეგ მოვიდნენ პოლიციელები და ყველანი პოლიციაში წაიყვანეს. არსებულ ვითარებაში, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდების ფაბულის გათვალისწინებით, დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნევა.

— რასაც თქვენ არ იზარებთ.

— საქმე ისაა, რომ გიორგი მანაშვილს დაზარალებულის ქონების დაუფლებისთვის არაფერი გაუკეთებია. სასამართლომ ისე გამოიტანა განაჩენი, რომ მანაშვილის ბრალუ-

ლობა ვერ დაასაბუთა. ეს გახლავთ აბსოლუტურად ფორმალური და არაადამიანური მიდგომა საკითხისადმი. დაახლოებით იგივეა, მე რომ ტაქსიში ჩავეჯდე და მძღოლს საბარგულში გვამი ედოს. აქ ერთადერთი შედეგი, გამამართლებელი განაჩენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პროკურორმა რაც უბრძანა, მოსამართლემაც ის შეასრულა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს. 34 წლის მუშაობის სტაჟი მაქვს, თავად ვიყავი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, აფხაზეთის რეგიონის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ყველა ეჭვი განსასჯელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. დანაშაულთან ბრძოლა მხოლოდ კანონიერი გზით არის საჭირო, რასაც „ჯიბის მოსამართლეები“ ვერ ახერხებენ. მათი ქმედებები და გადაწყვეტილებები, ხშირ შემთხვევაში, უკანონოა ვფუძნება, რაც ზიანის გარდა, არაფერს მოუტანს ჩვენს საზოგადოებას.

ნოემბერი იხილეთ: 2 პოსტერი

28 ნოემბრიდან

ორი ფლოვის პროვლავა ვინ ვის უპრტივება?

კიდევ ერთი რუსული თვითფრინავის ჩამოვარდების ფოტოფაქტი

რას უფრთხის NATO-ს წევრი ლაჩვია


რაბოე ეზინია რუსეთის ავიაციის ანბისარაკავო ფარის

ყველაზე ქაყური მურანალი არა მარტო მანაკაყაყაისთვის

რეგორ დავაკლიოთ სიკაღილის შიში

არსენალი

ორი ფლოვის პროვლავა ვინ ვის უპრტივება?



დიდმოჩის საჯარო ფრანკის Xპარი

ბოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-47

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

მდგომარეობა მძიმე იყო. შის თქმით, ცინამდე დიდი მანძილი აღარ აშორებდათ. სწრაფად თუ ივლიდნენ, დიდ კედელს სამ დღეში მიაღებოდნენ, მაგრამ იმპერატორ ტანის მემკვიდრეებთან ერთად იქ გამოჩენა საშიში იყო. ცინს მათი მოსისხლე მტერი, სიუან ცზუნის მართავდა. საზღვრისპირა პროვინციებში კი მისი ერთგული ჯარები იყო განლაგებული. ამიტომ, იმაზე ფიქრიც კი არ ღირდა, თუ როგორ მოიქცეოდნენ სიუან ცზუნის ერთგული ჯარისკაცები. ისინი მემკვიდრეებსა და მათ თანამგზავრებს ამოხოცავდნენ და მათ თავებს თვითმარქვია იმპერატორს მიართმევდნენ. ადგილზე დარჩენა არანაკლებ სასიფათო იყო. მართალია, მექარავენებმა თავი დააღწიეს მონღოლებს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. მეთაურის დაღუპვისთვის მონღოლებს სიკვდილით დასჯა ელოდათ. ამიტომაც, ისინი ვერ გაბედავდნენ კარვების ქალაქში დაბრუნებას. მონღოლები მანამდე დარჩებოდნენ სტეპში, ვიდრე მექარავენებზე შურს არ იძიებდნენ. ჯერჯერობით ისინი არსად ჩანდნენ, მაგრამ ში დარწმუნებული იყო, რომ მონღოლები, ადრე თუ გვიან, მაინც მიაგნებდნენ მათ სამალავს. ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა გასცლოდნენ იქაურობას და დასდგომოდნენ მანჯუსკენ მიმავალ გზას. მანჯუ უეჭველად შეიფარებდა თავისი პრინცივის შვილებს. იქაურები თავადაც მტრულად

ლად ეკიდებოდნენ აჯანყებულებს, რომლებმაც კანონიერი იმპერატორი და იმპერატრიცა ტახტიდან ჩამოაგდეს, მაგრამ მანჯუსკენ მიმავალი გზა სახიფათო იყო — ის მონღოლთა მიწებზე გადიოდა.

— როგორ შეგვხვდებიან მონღოლები? — ჰკითხა ჰასანმა შის.

— უბრალოდ, თავებს დაგვაცურევენ, — მშვიდად უპასუხა მეგზურმა.

— მე იმ მონღოლებს ვგულისხმობ, რომლებიც მანჯუსკენ მიმავალ გზაზე შეგვხვდებიან, — განაგრძო ჰასანმა. — იმის იმედი ნუ გექნება, რომ მონღოლები მშვიდად გაგვატარებენ.

— რატომ? — გაიკვირვა ჰასანმა. — კარვების ქალაქი ჩვენ უკან, ერთი დღის სავალზეა. შემხვედრ მონღოლებს არაფერი ეცოდინებათ ჩვენ შორის მომხდარი შეტაკების შესახებ.

— მართალი ხარ. მათ არაფერი ეცოდინებათ, მაგრამ გზის გაგრძელების საშუალებას მაინც არ მოგვცემენ. ძალზე საეჭვოდ გამოვიყურებით. შემოგვხვდე, ყველას ერთად შემოგვხვდე და თავად მიხვდები ამის მიზეზს... ჩვენ შორის, სამი ცინია, ერთი — სპარსელი, ერთი — ფრანკი და ერთიც... — შიმ მუროჩის გახედა, უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და მერე დაამატა: — მას ლურჯი თვალებისა და ჩალისფერი თმის გამო, სლავად მიიჩნევენ, ამ ხალხს კი მუდამ ეომებიან. დასაბალნებული ჯორ-აქლემი რომ გვყავდეს, ვაჭრებად მაინც გავასაღებდით თავს. ასე კი მსტოვრები ვეგონებით. დახოცვით არ დაგვხოცავენ. ყოველ შემთხვევაში, არ აჩქარდებიან. შეჩერებით კი აუცილებლად შეგვაჩერებენ, მერე უკან მოგვაბრუნებენ, კარვების ქალაქისკენ. იქ რაც მოგველის, თავადაც მიხვდები!

— ძალიან უცნაურად ლაპარაკობ. შენ თავად გვთხოვე მანჯუმდე გაცილება. ახლა კი ამბობ, ამ გზას ვერ გავივლით! — ბრაზი მოერია ჰასანს.

— მე არ ვამბობ, რომ ვერ გავივლით. გავივლით, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება და ყოველი თქვენგანი მზად უნდა იყოს ბრძოლისთვის!

— ისე მელაპარაკები, როგორც დაქირავებულ მცველს. იცოდე, რომ მე და ჩემს ხალხს საერთოდ არ გვაძლევებს, ვინ დაიკავებს ცინის საიმპერატორო ტახტს. ჩვენ ყველაფერი დაგვარგეთ — პირუტყვი, ტვირთი, დაილუპნენ გუელმო, ვენეციელი მსახურები, ჩემი ლულამები. რისთვის უნდა წავიდე ცინისკენ? ეს ხომ იგივეა, რაც ლომის ხახაში თავის

შეყოფა. ახლა მარტო ერთი მიზანი მამოძრავებს — გავბრუნდე უკან და სხვა ვაჭრები გავაფრთხილო, რომ ამ წყეული ქვეყნისკენ მოგზაურობაზე ფიქრიც არ გაბედონ.

— ცხოვრება ასეთია, ბატონო: ზოგჯერ რალაცას ვკარგავთ, გვეჩვენება, რომ ეს ყველაფერია, რაც გვაბადია და არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რას გვიმზადებს მომავალი.

— რას ამბობ, მეგზურო?! — გაბრაზდა ჰასანი. — რისი იმედი უნდა გვექონდეს?! ჩვენს კვალს გააფრთხილ მონღოლთა ბრბო მოუყვება. წინ სხვა მონღოლები გველიან. საითაც უნდა წავიდე, ყველგან მტერს გადავანყდებით. ესაა ჩვენი მომავალი!

— ეგ არაა მომავალი. მომავალი წინ გველის. ეგ დაბრკოლებაა, რომელიც ხმლით უნდა გადავლახოთ. ასეთ შემთხვევებზე ჩემი ხალხი ასე ამბობს: „აკეთე ის, რაც მიგაჩნია შენს საქმედ და მაშინ იხილავ საკუთარ ბედისწერას“, — თქვა შიმ.

ჰასანს რალაცის თქმა სურდა, მაგრამ მუროჩიმ არ აცალა. წინ წარდგა და თქვა:

— რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან ვიომებთ — წინ შემხვედრ მტერთან თუ იმასთან, რომელიც კვალში ჩაგვიდგა?! ერთსაც და მეორესაც ხმლით უნდა გავცეთ პასუხი. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ წინ ვივლით. წინასწარ ნუ გამოვიგლოვებთ თავს. ვიაროთ, იქნებ, უბრძოლველად შევძლოთ მონღოლთა მიწებიდან გასვლა. და თუ ბრძოლა მოგველის, არც მაგას შევუშინდები. „ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი და ვიხილოთ საკუთარი ბედისწერა!“

— დედის სამშობლოში მემკვიდრეების დაბრუნებული დიდ პატივს დაიმსახურებს!.. მანჯუ არასოდეს დაივინყებს მისთვის თავდადებულ მემკვიდრეებს! — თქვა შიმ.

— თუ ერთი გზა გვაქვს, რისთვის ვკარგავთ დროს?! ცხენები დასვენებულები გვყავს, ჩვენც არა გვიშავს რა. მათი უდიდებულესობა მემკვიდრეები თუ თანახმანი არიან, ახლავე გაუუღვეთ გზას, — თქვა ჰასანმა.

— დღისით მგზავრობა არ ივარგებს. კორომი უცხო თვალისგან საიმედოდ გვიცავს. სტეპში კი ისე ვიქნებით, როგორც ხელისგულზე. მტერი შორიდანვე შენიშნავს ჩვენი ცხენების ფლოქვებით ავარდნილ მტერს. თანაც, მტერმა აქ თუ მოგვატანა, კორომი ციხესიმაგრე-სავით დაგვიცავს. მონღოლთა მთავარი იარაღი, ისრები ზიანს ვერ მოგვაცენებს. სამაგიეროდ, ისინი ღია ადგილზე იქნებიან და ჩვენს ისრებს ვერ გაერიდებიან. ჯობს, დალაშქრდეთ და ველოდოთ და მერე გავაგრძელოთ გზა, — უპასუხა შიმ.

— მარტო ეგეც არ არის საქმე, — ჩაილაპარაკა მუროჩიმ და მექარავენებს გვიდოზე მიაწიშნა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, ვენეციელი ერთხელაც არ ჩარეულა



საუბარში. ის მექარავენებისგან მოშორებით, ხშირტოტებიანი წიფლის ქვემოთ იჯდა და დამწუხრებული სახით დასცქეროდა ტომარას, რომელშიც მამის თავი ეგულეობდა.

მუროჩი მექარავენებს მოშორდა, მის გვერდით ჩამოჯდა და ჰკითხა:

— როგორ ხარ, გვიდო?

— როგორ უნდა ვიყო, ძაო?! დედა არ მყავდა. ყრმა ვიყავი, როდესაც ის გარდაიცვალა. ახლა მამა დავკარგე — ცოცხალთა შორის ყველაზე ახლობელი ადამიანი! — ამოიოხრა ვენეციელმა. — დავკარგე და მის ანდერძსაც ვერ შევასრულე. ვენეციიდან გამომგზავრების წინ, გუელმომ მთხოვა, რაც არ უნდა მომხდარიყო და როგორც არ უნდა გამჭირვებოდა, მისი ცხედარი მშობლიური მიწისთვის მიმებარებინა. მე ცხედარიც დავკარგე. მარტო მოკვეთილი თავი შემრჩა და მასაც ვერ მივებარებ ვენეციას. იმის იმედიც კი დავკარგე, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნება მიწერიდა.

— შენ დაბრუნდები ვენეციაში!

— როდის?... ორი, სამი... ხუთი წლის შემდეგ?! — თავი ასწია გვიდომ. — აქ მომიწევს მიწისთვის მისი მიბარება და თანაც, წარმართივით უნდა დავასაფლავო, წესის აგების გარეშე. არადა, შორი გზა იმიტომ არ აშინებდა, დარწმუნებული იყო, რომ მის ანდერძს შევასრულე და დედის გვერდით მივებარებდი მიწას, და ეს ყველაფერი ამ ყვითელკანიანი და თვალმოჭუტული ვიგინდარის მიზეზით მოხდა!.. — ბოლო სიტყვები გვიდომ ხმამაღლა წამოიძახა, მერე კი, ყველა-სათვის მოულოდნელად, ფეხზე წამოიჭრა, ხმალი იიშვლა და შისკენ გაქანდა.

მეგზური შზად დახვდა. მოქნილი მოძრაობით აარიდა თავი მის შემოტევას და ხმალი აიცილა. გვიდომ მეორედ მოუქნია. ამჯერად ში ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს. მექარავენებმა მისთვის თვალის მიდევნებაც ვერ მოასწარეს, ისე აღმოჩნდა თავდამსხმელის ზურგს უკან. ხელის სწრაფი მოძრაობით ხმალი გააგდებინა, შებოჭა, მიწას გააკრა და მშვიდად უთხრა:

— დანყნარდი, მესერ გვიდო. მრავალი სიკვდილი მიწახავს, მაგრამ გული არ გამქვავებია. მეც შენთან ერთად ვგლოვობ მამამუნს, მაგრამ მხოლოდ ერთი რამით შემიძლია შენი დახმარება... ახლა გაგიშვებ და შეეცადე, მშვიდად მომიხმინო.

გვიდომ თავის დაქნევით მიანიშნა, მოგისმენო და როგორც კი შიმ ხელი შეუშვა, ადგა, ხმალი ქარქაშში ჩააბრუნა და მეგზურს მიუბრუნდა: გისმენ, თქვი სათქმელი.

— შენ არ მოგიწევს უცხო მიწისთვის მამის მიბარება. თავს თან წამოიღებ და დაასაფლავებ მამის, როდესაც მშობლიურ ვენეციაში ჩახვალ.

— როგორ? — გაუკვირდა ვენეციელს. — განა ის არ გაიხრწნება?!

— ყველაფერი მე მომანდეთ, — უპასუხა შიმ და მიწიდან ტომარა აიღო, რომელშიც გუელმოს მოკვეთილი თავი იდო.

მექარავენები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს. ყველას აინტერესებდა, მაინც რას მოიმოქმედებდა ვამცილებელი.

შიმ თავი ტომრიდან ამოიღო, მერე ჭინჭების გროვა წყალში დაასველა, თავს ფრთხილად მოაშორა ზედ შემხმარი სისხლი და გასაშრობად, გვერდზე გადადო. ვიდრე თავი შესრებოდა, შიმ ხის წვრილი და მოქნილი ტოტებისგან, ბურთივით მრგვალი კალათა მოწნა. მერე ისევ თავს მიუბრუნდა. წინასწარ მოზე-ლილი თხა ყველა მხრიდან წაუსვა... ამას იმდენი ხანი აკეთებდა, ვიდრე თავი მთლიანად არ დაიფარა და თიხის მრგვალ ბურთად არ გადაიქცა. ბოლოს შიმ თიხის ბურთი კალათაში ჩაუშვა. ზემოდან დარჩენილი ღია ადგილიც მოწნა, კალათა ტომარაში დააბრუნა და გვიდოს უთხრა:

— გული მწყდება, რომ შენთვის და მამამუნისთვის მეტის გაკეთება არ შემიძლია. ეს მარილიანი თიხაა. ასე შევლესილი თავი ორ კვირასაც კი გაძლებს. მანამდე კი მანჯუს ჩავალწევთ. პირობას გაძლევ, რომ მანჯუსში სამეფო კარის საუკეთესო მკურნალები მეფეთა ბალზამში გამოიყვანენ თავს. მერე კი მის ვენეციაში დაბრუნებასაც შეძლებ. თავი აღარ გაიხრწნება, თუნდაც მთელი წელი დაგჭირდეს სამშობლოში დასაბრუნებლად. იმ მსხვერპლისთვის კი, რაც შენ და მამამუნმა გაიღეთ, ღვიძლი შვილივით გაგიფრთხილდები და ყველაფერს გაეაკეთებ ვენეციაში შენს დასაბრუნებლად.

მექარავენებმა ღამის დადგომისთანავე დატოვეს კორომი და გზას გაუდგნენ. მცირე რაზმს წინ ში და მუროჩი მიუძღოდნენ. საჭიროების შემთხვევაში, ისინი მოიგერიებდნენ შემხვედრ მონლოლებს. რაზმის ბოლოში კი ისა და გვიდო მოდიოდნენ. ისინი ზურგიდან იცავდნენ თანამგზავრებს. ჰასანი კი მექვიდრებთან ერთად მიუყვებოდა გზას.

ტანის შთამომავლები უცხოდ გრძნობდნენ თავს. ისინი მოხარული იყვნენ, მონლოლთაგან თავის დახსნის გამო, მაგრამ მათთან გატარებული ხანგრძლივი დროის შემდეგ, უცხო ხალხის სიახლოვე აშინებდათ. ამიტომაც, ხმას არ სცემდნენ ჰასანს, თუმცა არაბული ენა ესმოდათ და მასთან ლაპარაკიც შეეძლოთ.

ტყუპს შორის, გოგონა უფრო გაბედული აღმოჩნდა. პირველმა მან გადალახა უხილავი ზღუდე, ჰასანს გვერდით ამოუდგა და საუბარი გაუბა.

— სადაური ხარ?

ჰასანი არ გაუკვირვებია თამამ მიმართვას. მის წინაშე ხომ განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე იმპერატორის შვილი იდგა, რომელიც ისე მიმართავდა, როგორც მსახურს. უპირატესობის შეგრძნება გოგონას მონლოლთა ტყვეობაშიც არ განელებოდა.

— პრინცესას ჩემი სამშობლო აინტერესებს თუ ადგილი, საიდანაც ჩამოვედი? — მოკრძალებულად ჰკითხა ჰასანმა.

— ერთიც და მეორეც, — დააზუსტა მეიმ.

— აქ სპარსეთის ქალაქ ბალდადიდან ჩამოვედი. წარმოშობით კი გურჯი ვარ, გურჯისტანიდან.

— გურჯისტანი, — ჩაილაპარაკა პრინცესამ, — არასოდეს მსმენია ასეთი სამეფოს შესახებ.

— ის ძალიან პატარა სამეფოა და თანაც შორსაა ცინიდან.

— ის ორი ახალგაზრდაც გურჯისტანიდანაა? — გამოკითხვა განაგრძო პრინცესამ.

— არა, თქვენო უდიდებულესობავ, მხოლოდ ერთი, მეორე — ვენეციელია.

— რომელია ვენეციელი? ლურჯი თვალები რომ აქვს?

— არა, პრინცესავ, სწორედ ის ლურჯთვალეობა ყმანვილია ჩემი თანამემამულე.

— თანამემამულე? — მეიმ ინტერესით შეათვალიერა ჰასანი. — სულ არ ჰგავხართ ერთმანეთს. მას ლურჯი თვალები და ჩალისფერი თმა აქვს, შენ კი — თაფლისფერი თვალები. სახის ნაკვეთებითაც განსხვავდებით.

— ეგ მარტო თქვენ



როდი გიკვირთ, პრინცესა. თავადაც გაოცებული ვარ. ჩემს ქვეყანაში მეც არ შემხვედრია ასეთი ხალხი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ის ნამდვილად ჩემი ქვეყნის შვილია.

— ჩემმა ბიძამ, ბატონმა შიმ მითხრა, რომ ეგ ყმანვილი იშვიათი მებრძოლია.

— დიახ... თქვენს ბიძას მართალი უთქვამს. ბრძოლა მისი სამყაროა, — დაუდასტურა ჰასანმა.

— თქვენზე ძლიერი მიომარია? — ბავშვური გულუბრყვილობით იკითხა მეიმ.

— მე?.. მე როგორ მოვალ მასთან, თქვენო უდიდებულესობავ?! ჩემნაირს ხუთს ან ექვსს ერთად დაამარცხებს.

— მსურს, რომ ეს მეომარი მიცავდეს!

— მბრძანებლურად წარმოთქვა მეიმ.

— თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონია, პრინცესა, მაგრამ მე არ შემიძლია, ვუბრძანო ამ მეომარს: ის არც მსახურია და არც — მცველი, — უპასუხა ჰასანმა.

— მაშ, ვინ არის?

— მეგობარი, რომელიც ჩემი თხოვნით გამოიყვანა ამ მოგზაურობაში.

— მაშინ, ჩემი ბრძანება გადაეცით!

ჰასანმა მდაბლად დაუკრა თავი, ცხენი გააჭენა და წინ მიმავალ შისა და მუროჩის წამოეწია.

— რატომ მიატოვე მემკვიდრეები? — გაუკვირდა მეგზურს.

— პრინცესას ჩემი სიახლოვე არ მოსწონს. ახალგაზრდასთან ურჩევნია საუბარი და მცველად მუროჩის ითხოვს, — უპასუხა ჰასანმა.

— პრინცესასთან მიდი, — მუროჩის მისამართით ჩაილაპარაკა შიმ, მაგრამ როგორც კი მის მოლუშულ სახეს მოჰკრა თვალი, სწრაფად დაამატა: — გთხოვ.

— არა! — ცივად მოსხიბა მუროჩიმ.


— რატომ? — გაუკვირდა ჰასანს.

— თითქმის შენი თანატოლია. ლაპარაკიც ჰყვარებია, გაერთობი. თანაც, ყოველდღე კი არ მოგეცემა მომავალ დედოფალთან ასე ახლოს ყოფნის ბედნიერება.

— ჩვენ თავის გადასარჩენად ვიბრძვით. განა გასართობად დავადექით ამ გზას?! პრინცესა თავად უნდა მიმხვდარიყო ამას და თუ ვერ ხვდება, ავუხსნი, რომ სამშვიდობოზე გაღწევამდე უნდა მოთოკოს თავისი ხუშტურები! — ბრაზით მიუგო მუროჩიმ.

— ის პრინცესა და მიჩვეულია ყოველი მისი ბრძანების შესრულებას, — ჩაილაპარაკა შიმ. — გთხოვ, დაჰყვე მის ნებას. ეს ხომ ძნელი არ არის. რაზმს კი მე და ჰასანი გავუძღვებით.

მუროჩიმ ბრაზიანი მზერა ესროლა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. ცხენი შეაბრუნა და უკან გაბრუნდა.



პრინცესის მოლიძარმა სახემ წყნა უძალ მიავიწყა მუროჩის. არც ისეთი თავნება ეჩვენა, როგორც წარმოედგინა. ახლა მის წინაშე თითქმის მისი თანატოლი გოგონა იდგა, რომელიც მოლიძარი და ალერსიანი თვალებით უცქერდა.

— მე ყველაფერი მესმოდა, — მშვიდი ხმით ალაპარაკდა მეი, — ამაყი ყოფილხარ. ჩემში პრინცესასაც ვერ ხედავალბათ უბრალო გოგონა გგონივარ და ჩემი სამსახური შეურაცხყოფს.

მუროჩიმ უპასუხოდ დატოვა მისი კითხვა. იმ დროს სრულიად სხვა ფიქრს მისცემოდა. თვითონაც ვერ ხვდებოდა, რისთვის, მაგრამ რატომღაც, ცინის პრინცესა აქამდე ნანახ გოგონებს შუადარა. პირველ რიგში, ესენი იყვნენ მისი თანამემამულენი, არდოტელი გოგონები. მძიმე იყო არდოტელთა ცხოვრება — მუდმივი მძიმე შრომა და ჩრდილოელ ქურდბაცაცებთან ომი. მკაცრი ცხოვრება ქალებზეც მოქმედებდა.

როგორ ექნებოდა არდოტელ ქალს ასეთი გრძელი და ნაზი თითები, როგორც პრინცესას ჰქონდა? ისინი ხომ ბავშვობიდანვე მძიმე შრომას ეწეოდნენ! მამაკაცების შინ არყოფნისას ჩებდნენ შეშას, უვლიდნენ ნახირს და საქმე თუ მოითხოვდა, არც მშვილდისა და შუბის მოხმარებას მოერიდებოდნენ. მათი ხელები უხეში იყო, თითები კი — მსხვილი და მუდმივი ჯაფისგან დახეთქილი. თავისი ნათლის, არაგვის ერისთავის კარზეც შეხვედროდა ახალგაზრდა გოგონებს. ფხოვეში ყველა ქალი ერთნაირი იყო. ხევისთავისა და უბრალო ფხოველის ქალი არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ერისთავის კარზე კი აზნაურთა ქალებს ხვდებოდა. მათ არ სჭირდებოდათ მძიმე შრომა, თითებიც ნატიფი ჰქონდათ, ხელებიც ნაზი და სამოსიც მდიდრული ეცვათ. კიდევ... კიდევ სად შეხვედროდა ქალებს?.. ბაღდადში ისინი ქუჩაშიც ენახა და ჰასანის სასახლეშიც, მაგრამ ერთი შეხედვით, ვერც ქალის

სილამაზეს შენიშნავდა და ვერც ასაკს ამოიცნობდა. ისინი ჩადრით იყვნენ შემოსილინი და თვალების მეტი, არაფერი მოუჩანდათ. ბაჰრენის რაჯის სასახლეშიც იხილა ახალგაზრდა გოგონები, მაგრამ ისინი ყალბად გამოიყურებოდნენ. ბატონის გასართობად იყვნენ გახვეულინი მდიდრულ აბრეშუმში და გალიაში გამოკეტილი სამოთხის ჩიტებივით, ცეკვა-თამაშით ართობდნენ მნახველს. მეი კი სრულიად სხვანაირი იყო. მხოლოდ ნაზ ხელებსა და ნატიფ თითებშიც არ იყო საქმე. გოგონას არაჩვეულებრივად ლამაზი თვალები ჰქონდა. მუროჩის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოც ღრმა ჭაში იცქირებოდა, რომელშიც უძირო მწვანე წყალი მოჩანდა. მშვიდი და უბოროტო იყო ეს თვალები. მათში არ ჩანდა ის თავნებობა, როგორც წელან დაინახა გოგონაში. ახლა მიხვდა, რომ მეი — ჩიტირეკია კი არა, უბრალოდ, ბავშვი იყო. ბავშვი, რომელსაც უადგილო ბრძანებების გაცემა მხოლოდ თამაშად მიაჩნდა.

— რატომ მიყურებ ასე? — სიჩუმე დაარღვია მეიმ. — ადრე არასდროს შეხვედრისხარ პრინცესას?

— არა... არ შეხვედრებოდა.

— იცი, ადრე მეც არასოდეს შეხვედრებოდა უცხო ხალხს. მე და ჩემი ძმა სასახლეში ვიზრდებოდით, სადაც მართო მსახურები და დიდებულები იყვნენ. ისინი ჩვენთვის თვალებში შემოხედვასაც ვერ ბედავდნენ — ამისთვის მკაცრად დაისჯებოდნენ. ამიტომაც, ყველა თავჩახრილი გველაპარაკებოდა. ჩვენ ამხანაგებიც კი არ გვყავდა...

— რატომ?

— რა რატომ? — კითხვა ვერ გაიგო მეიმ.

— რატომ არ შეეძლოთ თვალებში შემოხედვა?

— აღმზრდელებს ავი თვალი აშინებდათ. ამბობდნენ, — ბოროტ ადამიანს უბედურების ან ავადმყოფობის შეყრა შეუძლიაო.

— და შენც გჯეროდა მაგ აბდაუბდის? — გაეცინა მუროჩის.

— მჯეროდა... ვიდრე სასახლეში ვცხოვრობდი, მჯეროდა. მერე კი ყველაფერი აირია. დედ-მამა დაგვიხოცეს. ში რომ არა, ჩვენც მოგვკლავდნენ. სასახლიდან გაქცეულები, მონღოლთა ტყვეობაში აღმოვჩნდით. მათ რომ შემოგვხედდეს და დარწმუნდნენ, რომ მუშაობა არ შეგვეძლო, თავიანთი ცხვრისთვის წყლის ზიდვა დაგვაკლავს. მაშინ ისინი კი არა, მე ვცდილობდი, მათთვის თვალებში არ შემეხედა. საშინელი თვალები აქვთ მონღოლებს: კუნაპეტი ლამესავით შავი, ღვარძლითა და ბოროტებით სავსე. უმიზ-

ენოდ შეუძლიათ მათრახის გადაკვრა ან ვახშმის გარეშე დატოვება. თუ გაბრაზდებოდნენ, თავად გვიბრძანებდნენ თვალის გასწორებას. ასეთი რამ ხშირად მომხდარა, მაგრამ რაიმე ავადმყოფობა ან უბედურება არ შემყრია.

— განა ტყვედ ყოფნა უბედურება არ არის? — გაუკვირდა მუროჩის.

— რა თქმა უნდა, უბედურებაა. თანაც მაშინ, როცა ყველასი და ყველაფრის გეშინია. გეშინია, უმიზეზოდ არ დაგსაყვონ, ძმას არ დაგაშორონ და — ყველაზე უარესი — არ შეიტყონ, ვინ ხარ. მაგრამ ბედისწერამ მაშველად ბიძა და თქვენი თავი მოგვივლინა, ერთგული მეომრები, რომლებმაც მონღოლთა ტყვეობიდან დაგვიხსნეს! — გრძობით წარმოთქვა გოგონამ. — მალე ჩემი დედის სამშობლოში, მანჯუში ვიქნებით და მაშინ იგრძნობ, როგორ შეგვიძლია მე და ჩემს ძმას მადლიერების გამოხატვა. ჩემს მსახურებს ვუბრძანებ, რომ თქვენი სახელები მთავარი ტაძრის კედლებზე ამოკვეთონ და ყოველდღე ასი ლოცვა წარმოთქვან!

— ეს დიდი პატივია, პრინცესა, — გაელიმა მუროჩის.

— ისე, რა გქვია? შენი ამხანაგები უცნაურ სახელს გინოდებენ. ვერაფრით დავიმახსოვრე.

— მუროჩი.

— მუ-რო-ჩი... — დამარცვლა პრინცესამ. — ისეთი სახელი გაქვს, როგორც ცინის მკვიდრს. როგორ უღერს — ბატონი ჩი?

— მე მუროჩი მქვია! — შუბლი შეიკრა ფხოველმა.

— როგორი ბრაზიანი ყოფილხარ, — გადაიკისკისა პრინცესამ, — თუ არ მოგწონს, ასე არ დაგიძახებ. მაგრამ როცა მანჯუმდე ჩავალწევთ, მაინც მაგ სახელს შეგარქმევენ.

— ეგ დიდი ხანი მაინც არ გაგრძელდება.

— რატომ?

— მე დიდხანს ვერ დავრჩები თქვენთან. პირობა — პირობაა: მიგაცილებთ მანჯუმდე და მალევე დაგემშვიდობებით.

— სად წახვალ?.. უცხო ქვეყნებისკენ გააგრძელებ გზას? — სწრაფად ჰკითხა მეიმ. — როგორ მშურს შენი! არასოდეს მქონია ასეთი თავისუფლება. მხოლოდ მონათხრობით ვიგებდი, თუ რა ხდებოდა სასახლის კედლებს მიღმა.

— სხვა ქვეყნებისკენ არ მიმიწევს გული. შინ უნდა დავბრუნდე.

— რამდენი ხანია, რაც სახლიდან წამოხვედი? — ჰკითხა პრინცესამ.

— მეოთხე წელია, — უპასუხა მუროჩიმ.

— ასე შორსაა შენი სამშობლო?! — გაუკვირდა მეის.

— ასე შორსაა, — დაუდასტურა მუროჩიმ.

— ცოტა ხანიც არ დარჩები მანჯუში?

— არა... ჩვენ იქ აღარაფერი გვესაქმება. თქვენ მიგაცილებთ და გზას გავ-

აგრძელებთ.

— მე რომ გთხოვო დარჩენა? — გაუბედავად იკითხა მეიმ.

— შენ? — გაოცებით გახედა მუროჩიმ. — რისთვის?

— მანჯუ ჩემი სამშობლოა. მე და ჩემს ძმას იქ გულლიად მიგვიღებენ. ეს კარგია, მაგრამ ამ კარგს ცუდიც მოჰყვება: ცინში შეიტყობენ ჩვენი გადარჩენის შესახებ, ეს კი ჩვენს მრავალ მტერს გამოაცოცხლებს. ვიდრე მე და ჩემი ძმა ცოცხლები ვიქნებით, ცინის საიმპერატორო ტახტის მიმტაცებლები მშვიდად ვერ იგრძნობენ თავს. ისინი ჩვენს მოკვლას შეეცდებიან. ამას შეიძლება, ომიც კი მოჰყვეს. და ასეთ დროს ერთგულადამიანს განუსაზღვრელი ფასი დაედება... ამიტომაც გთხოვ: დარჩი ჩვენთან!

მუროჩიმ ჩაფიქრებულმა გახედა.

— ძალიან გთხოვ, — დაამატა მეიმ.

— მარტო არ ვარ. ჩემს მეგობრებს არანაირი მიზეზი არა აქვთ აქ დასარჩე-

ნად. ისინი გზას გააგრძელებენ და მეც მათ გაყვები, — უპასუხა მუროჩიმ, — ან საიდან დაასკენი, რომ მე შენი და შენი ძმის ერთგული ვარ?..

— შიმ ბევრი რამ მიაძმო შენზე. შენ დიდი მეომარი ხარ და ერთგულებაც მოგდგამს!.. — გოგონა ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე დაამატა: — შენი მეგობრები რომ დარჩნენ, შენ როგორ მოიქცეოდი? დარჩებოდი თუ მარტო გააგრძელებდი გზას?

— ისინი არ დარჩებიან.

— რომ დარჩნენ? — არ მოეშვა მეი.

— არ დარჩებიან-მეთქი!

— მაშინ, გამშორდი. დაბრუნდი შისთან და გადაეცი, რომ თქვენს მეთაურთან, ჰასანთან მსურს საუბარი! — მბრძანებლურად წამოისროლა მეიმ.

— ჰასანი ჩემი მეთაური არ არის! — ცივად თქვა მუროჩიმ, მერე კი ცხენს დეზი ჰკრა და სიბნელეში გაუჩინარდა. შის მცირერიცხოვანმა რაზმმა სამი

სასაუბროები
პალატა



103.9

რადიო „პალიტრა“

www.radiopalitra.ge

ფაქტები
რეალურ დროში!



დღე-ღამე დაყო გზაში. მეგზურის სასახ-
 ელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დროის
 განმავლობაში გზად არავინ შეხვედრი-
 ათ. ში ყველაზე მიუვალ და უდაბურ
 ადგილებს ირჩევდა და ძალიან ფრთხ-
 ილად მიჰყავდა რაზმი. დღეს საიმედო
 საფარში ატარებდნენ, იქ, სადაც მდე-
 ვარი ვერ შენიშნავდა, ისვენებდნენ და
 მხოლოდ ღამით აგრძელებდნენ გზას.
 მაგრომ და მანინ არ იყო კმაყოფილი.
 გზად რომ არავინ შეხვედრიათ, იმას
 როდი ნიშნავდა, რომ მათ არავინ ეძებ-
 და. მეგზური კარგად იცნობდა მონღოლ-
 თა ბუნებას. ისინი არ შეჩერდებოდნენ
 და მანამდე განაგრძობდნენ ძებნას, ვი-
 დრე ფეხზე დგომას შეძლებდნენ. ამაზე
 იყო დამოკიდებული მათი სიცოცხლე...

გამთენიისას შიმ თავისი რაზმი მალა-
 ლი ბექობის ძირში შეაჩერა და კორომ-
 ში დამალვა უბრძანა, თავად კი მიდამოს
 დასაზვერად, ბექობის წვერს მიაშურა.
 ცოტა ხანში უკან დაბრუნდა და მოღუშუ-
 ლი ჩამოჯდა ლოდზე.

— რა მოხდა? — ჰასანს არ მოეწონა
 მისი სახის გამომეტყველება.

— საქმე ცუდად არის. მონღოლებმა
 გვაჯობეს. ახლა კი ვხვდები, რატომაც
 არ გამოჩნდნენ აქამდე, — უპასუხა შიმ.

— რა დინაზე? — განაგრძო ჰასანმა.

— ისინი კვალში არ ჩაგვდგომიან.
 არა მგონია, მოლა ნასრედინის თავგა-
 დასავლინობის მოგმინათ, მაგრამ სწორედ
 ისე მოიქცნენ.

— რას გულისხმობ? — დაიბნა ჰასანი.

— ერთხელ მოლას ქურდბაცაცამ
 ჩალმა მოსტაცა და გაიქცა. იმის მაგ-
 ივრად, რომ მოლა დასდევნებოდა, შე-
 ბრუნდა და საპირისპირო მხარეს გაიქ-
 ცა. ამის მნახველი ხალხი გოაცებით ვითხ-
 ებოდა: რას აკეთებ, მოლა? ის კაცი სხვა
 გზით გაიქცა, შენ კიდევ, საპირისპირო
 მიმართულებით გარბიხარო!.. მოლამ
 უპასუხა: ქალაქართო, სასაფლაოზე დავე-
 ელოდები, რამდენიც უნდა ირბინოს,
 ადრე თუ გვიან, მაინც იქ მოვაო!.. ასე
 დაგვემართა ჩვენც. თავიდანვე უნდა
 მეფიქრა ამაზე. მდინარის გადაღმა მან-
 ჯუს სამეფოა. იქ მონღოლები ვერაფერს
 დაგვაკლებენ. აქ, ბექობის გადმოღმა კი
 ნავსათრევია. მონღოლებმა ყველაფერი
 გათვალეს. საითაც უნდა ნავსაუფლიყავით
 და როგორც არ უნდა დაგვმალულიყავი-
 თ, ადრე თუ გვიან, ამ ნავსათრევთან
 მოვიდოდით. სხვანაირად მდინარეს ვერ
 გადავალთ. მონღოლებს არც კი ვუძებ-
 ნივართ, ისინი ნავსათრევთან ჩაგვისა-
 ფრდნენ. ასზე მეტი მოვთვალე. ეს კი
 იმას ნიშნავს, რომ ნავებით ვერ ვისარგე-
 ბლეთ და მდინარის საპირისპირო ნა-
 პირზე ვერ მოვხვდებით!

— ეს ერთადერთი ნავსათრევია? —
 ჰკითხა მუროჩიმ.

— არა... ერთი დღის სავალზე მეო-
 რეც არის, მაგრამ მონღოლები იმასაც
 დაიკავებდნენ.

— ხომ არ გვეცადა? — ჩაურთო გვი-
 დომ.

— მაგაზე ფიქრიც არ ღირს. ჩვენ

ორასი მონღოლი დაგვესხა თავს. ამ ნავ-
 სათრევზე ასი მეომარია. ძნელი მისახ-
 ვედრი არ არის, თუ სად იქნება მთ წესს:
 მათი მეომრები ადგილზე არ სხედან,
 ოცდაათმდე მონღოლი დგომუნსევილი
 ჩხრეკს მდინარის მისადგომებს. მეორე
 ნავსათრევისკენ რომ წავიდეთ, უეჭვე-
 ლად გადავანყდებით, — უპასუხა შიმ.

— მაშინ, როგორ მოვიქცეთ? —
 იკითხა ჰასანმა.

— არჩევანი დიდი არ გვაქვს. უკან,
 მონღოლთა მიწებისკენ ვერ გავბრუნდებ-
 თ, იქ უეჭველი სიკვდილი გველის.
 სამხრეთით ვერ წავალთ, იქ ცინია და
 იქაც სიკვდილი გველის. ჩრდილოეთით
 სლავთა მიწებია, მაგრამ იქ მიღწევამდე
 მთელი კვირა მონღოლთა სამფლობე-
 ლოში უნდა ვიაროთ. ასე რომ, მაინც
 დავიღუპებით. საშველი მდინარის გად-
 ალახვაშია, მაგრამ მონღოლების შიშით,
 ამასაც ვერ მოვახერხებთ, — თქვა შიმ.

— რად გვინდა ნავი? პირდაპირ გავცუ-
 როთ. დაველოდოთ დაღამებას და ცურ-
 ვით გადავიდეთ მეორე ნაპირზე, — ფიცხ-
 ად თქვა გვიდომ.

— როგორც გეტყობა, კარგად ცურავ,
 — გახედა შიმ.

— ნავალში იფეხზე ნაკლებად როდი
 ვგრძნობ თავს!

— მაგრამ ყველა ასე ვერ შეძლებს
 ცურვას, თანაც — ღამით. შენ ან კიდევ
 ვინმემ შეიძლება, მართლაც მიაღწიოს
 იქითა ნაპირს, მაგრამ მემკვიდრეები ვერ
 გაცურავენ, — უპასუხა შიმ.

— ტივი, — ყველასათვის მოულოდ-
 ნელად თქვა მუროჩიმ.

— ტივი შეგკრათ? — სწრაფად გახე-
 და შიმ.

— ჰო, ტივი, — დაუდასტურა მურო-
 ჩიმ.

— მონღოლთა თვალწინ?! — ჩაილა-
 პარაკა ჰასანმა. — ეგ სიგიჟეა!

— არა, ტივის აქვე შეგკრავთ და
 მდინარემდე ცხენებით მივართევთ, — თქვა
 მუროჩიმ.

— მონღოლები მაინც შეგვნიშნავენ
 და ნავებით დაგვედევნიბიან, — ჩაურთო
 ჰასანმა.

— მაშინ... — მუროჩიმ ბექობს ასე-
 და. — მთის კალთა მდინარეზეა გადაკ-
 ედებული. თუ მონღოლები ტივის
 დაედევნიბიან, ამ ბექობთან გავლა მოუ-
 ნევთ და ისრებისთვის იოლ სამიზნედ
 იქცევიან.

— მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა მოზი-
 დოს მშვილდი?! — თქვა ჰასანმა.

— მან, ვისაც ყველაზე უკეთ ეხერხება
 ცურვა.

— შენ და გვიდომ! — მიხვდა ჰასანი.
 — ორი მშვილდი ცოტაა. მეც თქვენთან
 ერთად დავრჩები.

— არა, — თავი გაიქნია მუროჩიმ, —
 მოისარი ტივზეც უნდა იყოს: ვინიცო-
 ბაა, მონღოლები დაგვისხტენ, მაშინ,
 ტივზე მყოფთ მოგინებთ მათი მოგერიე-
 ბა. ეს ძნელი არ იქნება. თქვენამდე ნახ-
 ევარიც ვერ მოაღწევს!

— იქვებ, ყველა ერთად დავმსხ-
 დარიყავით ტივზე? — იკითხა ჰასანმა.

— დიდ ტივს ვერ შეგკრავთ. ისიც
 იანგარიშეთ, რომ ტივი მდინარემდე უნდა
 მივართოთ და წყალზე ვმართოთ, —
 თქვა მუროჩიმ.

— იყოს ნება შენი, — ყრუდ ჩაილა-
 პარაკა ჰასანმა, — იღბლიანად მიცნისხარ
 და მჯერა, რომ ამ ბრძოლასაც გადაურ-
 ჩები.

მექარავნებმა დაღამებას აღარ დაუ-
 ცადეს. მდინარე ფართო იყო. სიბნელე-
 ში შეიძლებოდა, მეორე ნაპირი ვერ
 დაენახათ და სხვა მხარეს გაეცურათ.
 როგორც კი ტივი შეკრეს, ცხენები ჩაუბეს
 და შეძახილებით მდინარისკენ გაირეკეს.
 თითქოს ცხენებიც გრძნობდნენ, რომ
 მათზე იყო დამოკიდებული პატრონთა
 სიცოცხლე. სულ მალე ტივი წყალში
 აღმოჩნდა. ბექობი საიმედოდ ფარავდა
 მექარავნებს. მონღოლებმა ვერაფერი
 შენიშნეს, მაგრამ როგორც კი ტივი ოდნავ
 გასცდა ნაპირს, ნავსათრევის მხრიდან
 მათი საბრძოლო ყიჟინა გაისმა.

— იჩქარეთ!.. — მუროჩიმ ძლიერად
 უბიძგა ტივა, ნაპირს მოაშორა. მერე კი
 შებრუნდა და გვიდოსთან ერთად, ბექო-
 ბი აირბინა.

ბექობიდან კარგად მოჩანდა მონღოლ-
 თა ბანაკი. ოციოდე მეომარი სწრაფად
 ჩაჯდა ორ ნავში და ნიჩბები მოუსვა.
 სულ მალე ისინი ბექობის ქვემოთ აღ-
 მოჩნდნენ. გვიდომ და მუროჩიმ ერთად
 მოზიდეს მშვილდები. პირველ ორ ისარს
 მონღოლთა გააფთრებული ყვირილი
 მოჰყვა. ორი მეომარი უსულოდ გადა-
 ეშვა მდინარეში. მონღოლები მიხვდნენ,
 რომ უხილავი მტერი მანამდე გააველებდა
 მუსრს, ვიდრე ისინი ტივს წამოეწეოდ-
 ნენ, ამიტომაც, ნავების შებრუნება სცადეს.
 ესეც დაგვიანებული აღმოჩნდა: ბექო-
 ბიდან გამოფრენილი ისრები მაინც
 პოულობდა საკბილოს და ერთიმეორის
 მიყოლებით ანადგურებდა მდევარს. მა-
 გრამ ამ დროს ბრძოლის ველზე ახალი
 ძალა გამოჩნდა — ეს იყო ნაპირზე დარ-
 ჩენილი ოთხმოცამდე მონღოლი მეომარი.
 მათ შენიშნეს მსროლელები და ახლა
 გააფთრებულები მიაჭენებდნენ ცხენებს
 ბექობისკენ.

მუროჩიმ სწრაფად გადახედა მდინა-
 რეს. მონღოლთა ნავები იქვე წრიალებდ-
 ნენ და იქიდან ნაპირზე მყოფთ რალაცას
 უყვიროდნენ. ახლა წყალში გადახტომა
 სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ნავში
 მყოფი მონღოლები სწრაფად წამოეწეოდ-
 ნენ და მდინარეშივე ჩახოცავდნენ. მა-
 გრამ თუ ბექობზე დარჩებოდნენ, მათკენ
 ქენებით მიმავალი ოთხმოცი მონღოლი
 უნდა მოეგერიებინათ. მუროჩიმ უმაღ-
 მილილ გადაწყვეტილება.

— მოემზადე!.. — შეუძახა გვიდოს,
 მერე კი მშვილდი მოზიდა და წინ მო-
 მავალი ბრვე მონღოლი ამოიღო მიზან-
 ში...



პროფესია, რომლის გაგონს ბიჭები გოგონებს ინუნებენ

„რაცომღაც, ყველს ჰგონია, რომ მოდელი აუცილებლად მსუბუქი ყოფილიყვისა“

დიზაინერ ნანა სტეფლიანის სახლს აშკარად ეტყობა, რომ იქ შემოქმედი ცხოვრობს — ორსართულიანი სახლი მისი შექმნილი კოსტიუმებითაა აჭრელებული და იქ ხელოვნისთვის დამახასიათებელი არეულობაც შესამჩნევია. ალბათ, ყველანი დამეთანხმებით, რომ ეს არეულობა სასიამოვნო გარემოს უფრო ქმნის, სადაც ნებისმიერი ადამიანი თავს მყუდროდ გრძნობს. დიზაინერთან სტუმრად მისულს, თინათინი გოგონები შემოქმედებენ. ისინი ნანა სტეფლიანის შვილის, გიორგის ჩამოყალიბებული სტუდიის — NS-ის მოდელები გახლდნენ. სხვათა შორის, ეს სტუდიაც დიზაინერის სახლში ფუნქციონირებს. გადაწყვიტე, მოზარდებთან ინტერვიუ ჩამენერა, მაგრამ მანამდე, თავად ნანა სტიუდიაში გავესაუბრე.



ლიპა ქაჩია

— სამოდელო სტუდიის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი ჩემს შვილს — გიორგის მიუძღვის, რომელიც პანტომიმის თეატრის მსახიობი გახლავთ. მისი მეუღლე — თათიაც მოდელია და ის ჩვენს ახალგაზრდა მოდელებს თავის გამოცდილებას უზიარებს.

— თქვენს სტუდიაში მოდელების მიღება როგორ ხდება?

— სკოლებში დავდივართ და საუკეთესო ბავშვებს ჩვენთან თანამშრომლობას ვთავაზობთ. შეიძლება, გოგონა ქუჩიდანაც ავიყვანოთ, თუ, რა თქმა უნდა, ის ჩვენს მოწონებას დაიმსახურებს. ასევე ვაწყობთ კასტინგებს.

— ბავშვების შერჩევის დროს მათი მშობლების მხრიდან წინააღმდეგობას არ აწყვობთ?

— ზოგიერთ მშობელს მიაჩნია, მოდელია დასაძრახი პროფესია და რომ მოდელები აუცილებლად მსუბუქი ყოფილიყვის ადამიანები არიან. სამწუხაროდ, საქართველოში ასე ბევრი მსჯელობს. იმას კი არ ამბობენ, რომ მსუბუქი ყოფილიყვის ადამიანი ყველა პროფესიაში მოიძებნება, რომ ამისთვის მოდელია არაა აუცილებელი. იცით, იმ ბავშვების მშობლებს, ვისაც ჩვენთან მუშაობას ვთავაზობთ, ვუხსნით, რომ მათი შვილები სტუდიაში ცუდს არაფერს გააკეთებენ, მათ ისე არ ჩავაცმევ, საზოგადოების გაღიზიანება რომ გამოვიწვიო. მეც ქართველი ვარ, ქართული მენტალიტეტით აღზრდილი და ზღვარს იქით არასდროს გადავალ.


— მოზარდ მოდელებთან ურთიერთობა ადვილია?

— კი, ისინი საკმაოდ ნიჭიერები და რაც მთავარია, მონდომებულები არიან. ყველაფერს იოლად ითვისებენ. მათ ჩემი შექმნილი კოსტიუმები ძალიან მოსწონთ და ხშირად მეუბნებიან, — თქვენს სტუდიაში მოსვლა მხოლოდ იმიტომ ღირდა, რომ თქვენი კაბები

ერთხელ მაინც ჩაგვეცვაო... წლის ბოლოს ვაპირებ, გამოვეშვა 2009 წლის კატალოგი, რომელიც 100-ფურცლიანი იქნება. ამ კატალოგის მეშვეობით საზოგადოება უცნობ, მაგრამ ულამაზეს გოგონებს იხილავს.

— თქვენს სტუდიაში მოდელის პროფესიის დაუფლება რა ასაკის ადამიანებს შეუძლიათ?

— ჩვენ გვყავს 5-დან 25 წლამდე მოზარდები. ხშირად ვატარებთ კასტინგს, სადაც მოდიან ადამიანები, რომლებიც გარეგნული მო-



ნაცემებით ვერ დაიტრიალებენ და იმისათვის, რომ მათ გული არ ვატყინო, ზოგჯერ ტყუილის თქმაც მიწევს.

— რას გულისხმობთ?

— მათ ვუბნები, რომ საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად შევხვდებიან და ამისათვის კოორდინატების დატოვებას ვთხოვ. რა თქმა უნდა, მათი წასვლის შემდეგ ამ კოორდინატების გადახედვაც არ მინდებოდა... ამის გაკეთება არ მსიამოვნებს, მაგრამ სხვა გამოსავალს არ მიტოვებენ... აი, თუ კარგი გარეგნობის გოგონა მოვა, მას აუცილებლად ავიყვანთ.

ნატო ცანაპა, 15 წლის:

— უკვე 2 წელია, რაც ამ სტუდიაში დავდივარ. აქაურობა ძალიან მომწონს. ბავშვობაში მინდოდა, მოდელი გამოვსულიყავი და სახლში ისე დავდიოდი, თითქოს ჩვენი ბინა პოდუმი იყო.

— ამ სტუდიაში როგორ მოხვდით?

— ბავშვების შესარჩევად, სკოლაში მოვიდნენ და რატომღაც, თვალი მე დაამდგეს. ამ ამბავმა ძალიან გამახარა.

მარიამ ფეხალაძე, 12 წლის:

— ჩვენ სკოლაშიც მოვიდნენ და ბუკლეტები დაგვირჩევს. მოდელია ყოველთვის მინდოდა და ვიფიქრე, — ახლა ამის შანსი მეძლევა-მეთქი. როცა ეს ამბავი დედას ვუთხარი, მან გადაწყვიტა მომიწონა და სამოდელო სტუდიაში მომიყვანა აქ მოსულს, ნანა სტეფლიანის კოლექცია ძალიან მომეწონა და გადაწყვიტე, სტუდიაში დავრჩენილიყავი.

— ანუ ის, რომ დღეს NS-ის მოდელი ხარ, დიზაინერის შექმნილი კოსტიუმების დამსახურებაა?

— არა მარტო... 3



ნელია, აქ დავდივარ და აქედან წასვლას არსად ვაპირებ.

მარი გორდოზიანი, 14 წლის:

— მეგობარმა მიჩვენა ბუკლეტი, სადაც ეწერა, რომ მოდელები სჭირდებოდათ. შინ მისულმა განვაცხადე, რომ ამ პროფესიის დაუფლება მსურდა. აქაური სიტუაცია მეც ძალიან მომეწონა. ასე რომ არ ყოფილიყო, 2 წელი ვერ გავძლებდი.

— ამ არჩევანის გამო მშობლებთან პრობლემა ხომ არ შექმნიათ?

— არა. მათ იციან, რომ ცუდს არაფერს გავაკეთებ და ამიტომაც, თითქმის ყველაფერის უფლებას მაძლევენ. თანაც, როცა რაღაცის გაკეთებას ვაპირებ, ამის შესახებ მშობლებს წინასწარ ვუთახმებ.

— შენ მოდელი ხარ და აქედან გამოდინარე, პოდიუმზე გასვლის წინ, შესაძლოა, ისეთი რაღაცის ჩაცმა მოგიხდეს, რის შესახებ წარმოდგენაც არ გქონდა.

— თუ ის სამოსი ჩემთვის მისაღები იქნება, ე.ი. მშობლებთან პრობლემაც არ შექმნიება უარს, რატომ ვიტყვი, ანუ მე არასდროს ჩავიცვამ ისე, რომ მათ გული ვატკინო.

მარიამი:

— ჩემს მშობლებს გაუხარდათ, როცა გაიგეს, რომ სამოდელი სტუდიაში უნდა მეველო. სამაგიეროდ, სკოლაში მიყურებენ სხვა თვალთ.

— რას გულისხმობ? კლასელებს შენი შურით?

— შეიძლება, შურთ კიდევ, მაგრამ რატომღაც, მოდელი აუცილებლად მსუბუქი ყოფიქცევის ადამიანი ჰგონიათ.

— თინიჯარებიც ასე ფიქრობენ?

ნატო:

— ასე ფიქრობდნენ ადრეც და ასე ფიქრობენ დღესაც. მაგრამ მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ესეც ისეთივე ჩვეულებრივი პროფესიაა, როგორც სხვა დანარჩენი.

მარი:

— აი, ჩემმა მეგობრებმა კი, როცა გაიგეს, რომ სამოდელი სტუდიაში უნდა მეველო, აღერთვანდნენ, ძალიან გაუხარდათ.

ნატო:

— როცა მოდელის პროფესიაზე ცუდს ამბობენ, სურვილი მიჩნდება, მათ შევებასუსხო, მაგრამ მერე გაჩუმებას ვამჯობინებ ხოლმე.

მარიამი:

— ჩვენს სკოლაში ხანდაზმული მასწავლებლები მუშაობენ და ის საქმე, რომელსაც მე ვემსახურები, მათთვის მიუღებელია.

— იქნებ, მოდელიობის აუგად მოხსენებით შენი გაბრაზება უნდათ, რადგან ლამაზი ხარ?

— მართო მე ხომ არ ვარ ლამაზი?! მოკლედ, ვიჩაგრები, რა (იცინიან).

— როცა თქვენზე ლამაზი გარეგნობის მქონე გოგონას უყურებთ, როგორი გრძნობა გეუფლებათ?

მარი:

— კარგია, როცა ლამაზ გოგონას უყურებ!

გული არ გწყდება?

— არა, რატომ უნდა დამწყდეს?! ყველა ადამიანს თავისებური სილამაზე აქვს. შეიძლება, ჩემზე ბევრად კარგი გარეგნობა ჰქონდეს,

მაგრამ ამის გამო თავს დაჩაგრულად ნამდვილად არ ვიგრძნობ.

მარიამი:

— მისი არც მე შემშურდება. იცით, არსებობენ მახინჯი, მაგრამ სუფთა სულსა და გულის მქონე ადამიანები და ჩემი აზრით, პირველ რიგში, სწორედ ეს უნდა დავაფასოთ.

ნატო:

— როცა კარგი გარეგნობის გოგოს ვხედავ, ამას აუცილებლად აღვნიშნავ. ამის გამო ნამდვილად არ დავკომპლექსდები.

მარი:

— არასდროს მითქვამს, — „მინდა, ასეთი ვიყო!“ უბრალოდ, როცა სახელგანთქმულ მოდელს ვხედავ, სურვილი მიჩნდება, რომ მეც მისნაირი პოპულარული გავხდე;

— და რას მოგიტანთ ეს პოპულარობა?

მარიამი:

— ბევრ თაყვანისმცემელს.

მარი:

— ეგენი ხომ ისედაც არ გვაკლია (იცინიან)!... კარგია, როცა ადამიანები გცნობენ.

ნატო:

— მაგრამ ამას თავისი მიწუსიც აქვს — პოპულარულ ადამიანებზე ხშირად ჭორაობენ, მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ. ეფიქრობ, როცა ადამიანზე ჭორაობენ, მისი შურთ.

— მარ, შენ აღნიშნე, თაყვანისმცემლები ისედაც არ გვაკლია.

— თაყვანისმცემლები ყველა გოგოს ჰყავს — ზოგს მეტი, ზოგს — ნაკლები. უამრავი თაყვანისმცემელი ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ არც მათ ნაკლებობას უფიქრობ (იცინიან).

— შეყვარებული არც ერთი ხარ?

მარიამი:

— არა.

— რატომ? თქვენი გული ვერაფერს მოიგო?

ნატო:

— ადრე ვიყავი და ვინანე.

რატომ?

— იცი, უნდოდა, ჩემთვის მოდელია აეკრძალა, მე კი ჩემი პრინციპები მაქვს და ერთმანეთს ამიტომაც დავშორდი. ეფიქრობ, ის, რასაც ვაკეთებ, მისთვისაც მისაღები უნდა ყოფილიყო. ბიჭების 40% მიიჩნევს, რომ მისმა შეყვარებულმა მოდელის პროფესია არ უნდა აირჩიოს. ამას წინათ ქუჩაში გოგო მომეწონა და მას ჩვენი სამოდელი სტუდიის ბუკლეტი მივანიჭე. ის ბიჭთან ერთად იყო. პოდა, რა გასაკვირია, რომ ეს ბუკლეტი დაჭებუნა, დახია. მის მაგივრად მე შემრცხვა.

რისი?

— არ იყო ლამაზი საქციელი.

მარი:

— თუ ნამდვილად ვუყვარვარ, არჩევანის — ან მე, ან მოდელია — წინაშე არ დამაყენებს. თუ მაინც მოთხრა, მაშინ მოდელიობას ავირჩევ. იმედია, ამის გამო არ მიმატოვებს (იცინიან).

მარიამი:

— შეყვარებული არასდროს მყოლია, მაგრამ ეფიქრობ, მსგავს შემთხვევაში მეც მოდელიობას ავირჩევდი.

— მგონი, თქვენი პროფესიის წყალობით, გაუთხოვარი დარჩებით და

თქვენი მშობლები ქალბატონ ნანას მოუცვივებინან.

ნანა სტაფილიანი:

— რატომ? ხომ არსებობენ ისეთი ბიჭები, რომლებიც სხვანაირად აზროვნებენ! მაგალითად, ჩემი შვილი — გიორგი. მან მოდელი გოგონა შეირთო და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუ ჩემმა რძალმა თავისი გარეგნობა შეინარჩუნა (თათია ფეხბძიმედა — ავტ.), გიორგი ალბათ, პოდიუმზე გასვლას არასდროს აუკრძალავს.

— თქვენ, ბევრი თანატოლისგან გამსხვავებით, საყვარელი საქმით ხართ დაკავებული.

ნატო:

— და სისულელეებისთვის დრო არ მრჩება. სხვათა შორის, ზარმაცი ვარ, გაკეთილების მომზადება მეზარება ხოლმე და ამისგან პოდიუმმა მისხნა (იცინის).

რას გულისხმობ?

— ვინაიდან დაკავებული ვარ, მასწავლებლები რაღაც შეღავათს მიწვევენ.

მარიამი:

— საყვარელი საქმით რომ დაგვაკადი, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ძალიან ვიღლები და სხვა რაღაცებისთვის დრო არ მრჩება. მაგალითად, გამოძინებას ვერ ვახერხებ (იცინის).

მარი:

— აი, მე კიდევ, იმის დროც მრჩება, რომ მეგობრებთან ერთად გავერთო, თითქმის ყველაფერს ვასრებ, სწავლასაც კი.

— ჩემი თაობის თინიჯარები სხვადასხვა თამაშით ვირთობდით თავს, ბევრს დაფრბოდით, დატყდიდით. აი, თქვენ კი ასეთი გართობის სურვილიც არ გიჩნდებათ. როგორ ფიქრობთ — ნაადრევად დაქალაქებული ხომ არ ხართ?

ნატო:

— მართალი ხართ, რომ ზოგიერთი ჩემი თანატოლი დიდი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. რატომღაც, თამაში „უტყდებათ“. მე არ „მიტყდება“, მაგრამ სადაც საჭიროა, იქ დიდი ქალივით ვიქცევი.

მარიამი:

— მე ამისთვისაც არ მრჩება დრო... ისე, გართობა ნამდვილად, არ გვაკლია — ჩვენები გვაქვს, სკოლას ვაცდენთ (იცინიან), ვცუკავთ.

მარი:

— მე არც ერთი თამაში არ „მიტყდება“.

— დაბოლოს, თქვენს თანატოლებს რას ურჩევთ?

ნატო:

— კარგად ისწავლეთ. — კი, მაგრამ ამას როგორ ურჩევთ, როცა თქვენ თვითონ აღნიშნეთ, რომ სწავლა გეზარებათ?

— ამიტომაც ვამბობ ანუ ვიცი, ეს რა ცუდიცაა. თუ დრო ექნებათ, ბავშვურად გაერთონ, ჩვენს სტუდიაში მოვიდნენ.

მარიამი:

— მე ყველას ბევრ ძილს ვურჩევ. იძინონ, რამდენიც უნდათ. და კიდევ — ისწავლეთ!

მარი:

— დაკავდნენ სხვადასხვა საქმით (რა თქმა უნდა, სწავლის პარალელურად), ბავშვურად გაერთონ და ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენონ. პო, კიდევ — ყველაფერ ცუდზე უარი თქვან.

„აილაზნიცა უანა იაჭვიანა და თავის უაყვარულს დაუთოდა“

„ეგ სიყვარული კარგს არაფერს გიქადის!“



უსკო:

„ცუდია, როცა ასეთი ურთიერთობა ფუჭდება, მაგრამ ამ ამბავს ძალიან ნუ განიცდი. ისე, თუ მასთან ახლოს იყავი, სიამაყე უნდა გადაგელახა და დალაპარაკებოდი, მერე კი მიხვდებოდი, მის გამო ღირდა თუ არა ნერვიულობა“.

მის აზარზარა:

„ჩემო კარგო, ვფიქრობ, გიო გიყვარს, რაც შენი მხრიდან დაუშვებელია. მერწმუნე, ეგ სიყვარული კარგს არაფერს გიქადის!“

პუსსიკა:

„გიოს დაელაპარაკე და გაარკვიე, თუ რატომ დაიძაბა თქვენი ურთიერთობა. უთხარი, მის მიმართ რასაც გრძნობ და პასუხსაც დაელოდე. თუ სიტუაცია შენს სასარგებლოდ წარიმართება, ხომ კარგი, თუ არა და, გიო დაივიწყე და ცხოვრება თავიდან დაიწყე. P.S. ხალხო, დამიჯერეთ, არც ერთი კაცის გამო არ ღირს ნერვიულობა და ტირილი. გოგონებო, ქალებო, გამაგრდით! დაიმახსოვრეთ, ჩვენ მაგრები ვართ!“

ბრუზინკა:

„ამკარად დამაბნე. შენ მგონი, ლაბირინთში დაიკარგე. იქნებ, ის ბიჭი გიყვარს და მასთან შეხვედრა ამიტომაც არ გინდა. უნდა დაივიწყო!“

რუი:

„დამშვიდდი და ცოტაც მოითმინე. გიოს უყურადღებობის მიზეზს ვერ ვხვდები, მაგრამ მერწმუნე, ყველაფერი დროებითია და ოდესმე ის თავის საქციელს ინანებს. წარმატებები!“

კიკი:

„შენი არ მესმის. მოდი, ეგ ადამიანი „დაიკიდე“, რა. შენთან ურთიერთობა თუ არ უნდა, ნუ „შეეცენები“. რატომღაც მგონია, რომ იმ ბიჭის მიმართ გულგრილი არ ხარ“.

იკუშკაი:

„შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ შენ და გიოს ერთმანეთი გიყვართ, ურთიერთს კარგად უყვები. მაშატიე, თუ ზედმეტად ეჭვიანი ვარ, მაგრამ სასიყვარულო ორომტრიალში კარგად ვერკვევი, ცხოვრებაში ბევრი სასიყვარულო სამკუთხედი შეგხვედრია. ჩემო

პანკუშკა:

„მესამე ყოველთვის ზედმეტი რომ არის, არ იცოდი? იქნებ, მასზე შეყვარებული ხარ და ვერ ხვდები? მეგობრები ერთმანეთს ასე ადვილად არ კარგავენ. დაელაპარაკე და ყველაფერი თავადვე გაარკვიე“.

სოვი 18:

„ჩემი აზრით, გიოს უნდა შეურიგდე! იცი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს გულის სიღრმეში არ მოგწონს ის, შენს დეიდაშვილს რომ ხვდება. გირჩევ, არც ერთი დაკარგო და არც მეორე“.

ვგონისტა:

„აბა, შუბლზე ხელი მიიდე, რა. ვერ გავიგე, რა განუხებს. მიდი, საკუთარ თავს ჰკითხე, — რა ხდება-თქო? — და მერე ამ კითხვას გულწრფელი პასუხი გაეცი!“

სიკვილია:

„თუ ასე გიყვარს და გენატრება, რატომ არ უნდა მოიკითხო? ხომ არ გიყვარს? უძვირფასესი ადამიანის ერთი ხელის მოსმით დაკარგვა არ შეიძლება“.

„გზის“ №48-ში დაიბეჭდა BUTTERFLY-ის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ დეიდაშვილის შეყვარებულთან ურთიერთობა გაუფუჭდა და ამას ძალიან განიცდის. „მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ მიყვარს და მენატრება, მესიჯს მაინც არ მივწერ. ვიცი, ოდესმე ძველი ურთიერთობის აღდგენას შეეცდება, მაგრამ არა მგონია, შევურიგდე“.

VRIL:

„ალბათ, დეიდაშვილმა შენზე იეჭვიანა და თავის შეყვარებულს ამიტომაც დაგაშორა. ამის გამო მას ვერ გაამტყუნებ. BUTTERFLY, შენ შენს „ლრვეს“ მიხედე, სხვის შეყვარებულზე გადაკიდება საჭირო არაა. დეიდაშვილის საქმროსთან კარგი ურთიერთობა უნდა გქონდეს, მაგრამ არა ისეთი, როგორც შენ გქონდა. ჰო, ნუ წუნუნებ, რა“.

კაკო:

„ჩემო კარგო, დეიდაშვილის შეყვარებული თავადაც ხომ არ შეგიყვარდა? მაშატიე, თუ ვცდები, მაგრამ ასე მგონია და რა ვქნა?.. შეიძლება, ამას საკუთარ თავსაც არ უმხელ, მაგრამ ასეა! აბა, რატომ იტანჯები? ისე, მესიჯი რომ მისწერო, რა პრობლემაა?! თუ განწყენინე, მაშატიე, რა“.

კახელი:

„ძვირფასო, რატომ არ გინდა, გიოს მესიჯი თავად მისწერო? ამის გაკეთება რატომ „გიტყდება“? შენს ადგილზე, სიამაყეს მეგობრობას არ შევნირავდი“.

„5 წლის განმავლობაში მეუღლის უაყვარულს ვერ მოვახერხე“

ნინიკო:

„მოგესალმებით ყველას. ვარ 21 წლის. უკვე 5 წელია, გათხოვილი ვაქვარ. მყავს 2 წლის გოგონა. იცით, 5 წლის განმავლობაში მეუღლის შეყვარება ვერ მოვახერხე. 3 თვის წინ გავიცანი მამაკაცი, რომელიც სიგიჟედ შემიყვარდა და მასაც უყვარვარ. ის მეხვებოდა — შვილთან ერთად, სახლიდან წამოდი და ჩემთან იცხოვრეთო. არ ვიცი, რა ვქნა — ქმართან დავრჩე და უსიყვარულოდ ვიცხოვრო თუ ყველა „დავივიდო“ და საცხოვრებლად შეყვარებულთან გადავიდე. გთხოვთ, გადამწყვეტილების მიღებაში დამეხმარეთ“.

„სხვის ჯიბეში ვიჩიჩნები და უფრო სერიოზულ საქმეებს ვაკეთებ“

გუგა:

„სალამი. ჩემი სანუხარი ისაა, რომ ცხოვრებამ ბევრი ნიღაბი მამოქა და მეც მას წარმატებით ვიყენებ. დავილაღე თამაშით. იცით, დღისით პატიოსნად ვმუშაობ და ყველას ჰგონია, რომ კარგად ვარ, მაგრამ ასე ნამდვილად არაა — ტრანსპორტში ასული, სხვის ჯიბეში ვიჩიჩნები, ღამით კი უფრო სერიოზულ საქმეებს ვაკეთებ. სულ მარტო ვარ და ვცდილობ, პრობლემები თავად მოვაგვარო, მაგრამ ვიცი, ასე დიდხანს ვერ „გავქაჩავ“. ახლობლებს რაც უფრო ვმორიდები, საკუთარი თავის რწმენა მემატება. აღარ ვიცი, რა გავაკეთო. ახლა ფულს ვაგროვებ და თვის ბოლოს ალბათ, საქართველოდან წავალ. ლიკ, კარგი იქნება, თუ ამ მესიჯს დამბეჭდავ. მაინტერესებს, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან როგორ შეგხვდავ საკუთარ ცხოვრებას და თანაც, სხვების აზრსაც გავითვალისწინებ და იქნებ, ჩემი ცხოვრებაც შეიცვალოს. უი, ჰო, შეყვარებულიც ვარ, ოღონდ — ცალმხრივად. და კიდევ, ვკლესიაშიც თითქმის ყოველდღე დავდივარ“.

P.S. მაშ ასე, თუ ნინიკოსა და გუგას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმეციჯეთ ტელეფონის ნომერზე: **3.58. 25.60.81.** მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

კარგო, გაითვალისწინე, ქალსა და კაცს შორის მეგობრობა არ არსებობს. სხვა დროს დაქალებისა თუ ნათესავების შეყვარებულებს ნუ დაუახლოვდები. რატომღაც, კაცებს ტვინი უკულმა უმუშავებთ. თუ გინდა, დამიკავშირდი. მერნმუნე, სასიყვარულო ამბების „სპეცი“ ვარ... ლიკ, უმორჩილესად გთხოვ, ეს მესიჯი სრულად დამიბეჭდო და თუ BUTTERFLY-ს სურვილი ექნება, მასთან დამაკავშირო. პატივისცემით“.

გოტალია:

„ვისაც შენთან ურთიერთობა არ უნდა, სხვა გზით იაროს. ჩემი აზრით, მას იმ პერიოდში სჭირდებოდი და ამიტომაც გეფიცებოდა მეგობრობას“.

უზმაკუნა:

„თავდაცვ ხედები, რომ დეიდაშვილის „ლოვე“ გიყვარს. სანამ გვიანი არაა, მასთან ურთიერთობა საერთოდ განწყვიტე, თორემ დეიდაშვილს დაკარგავ. ლმერთს ებარებოდე“.

სვანის ასული:

„შენ მიიჩნევდი, რომ დეიდაშვილის შეყვარებულთან გულწრფელი მეგობრობა გაკავშირებდა, მან კი სათანადოდ ვერ დაგაფასა და ეს ძალიან გწყინს. როგორც ჩანს, მთელი ამ დროის მანძილზე შენთვის ვერ მოიცალა, რადგან სხვა რაღაცებით იყო დაკავებული. ან უარესი, იქნებ, შენთან ზედმეტად დაახლოებას ერიდებოდა... დანაშაურობდა და როცა შენი დეიდაშვილი და გიო დაქორწინდებიან, სიძესთან ურთიერთობას თავისთავად გაარკვევ“.

„მასზე რომ ბათხოვდა, რჯულის შეცვლა მოგიწევს“

„უფალს მადლობა შესწირე, ჯერ კიდევ ქრისტიანი რომ ხარ“

„გზის“ №48-ში დაიბეჭდა ნინო 17-ის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ შეუყვარდა ის, ვინც არ უნდა შეჰყვარებოდა — „თურქი, მუსლიმანი და თანაც — ჩემი მასწავლებელი. ერთ დღეს გავიგე, რომ ის თურქეთში წავიდა. სიცოცხლე აღარ მინდა“.

ირინკა:

„მესმის შენი, მაგრამ მუსლიმანი ადამიანთან ცხოვრება გაგიჭირდებოდა. გიხაროდეს, საქართველოდან რომ წავიდა, რადგან ეს მის დავეინყებაში დაგეხმარება. ჯერ პატარა ხარ და მალე ქრისტიანი ადამიანსაც შეიყვარებ“.

პანკუშკა:

„ძვირფასო, სიყვარულს არ გაუბრძანდარწმუნებელი ვარ, თუ უყვარხარ, აუცილებლად დაბრუნდება. ისე, მის მრავალცოლიანობას შეეგუები? სარწმუნოებას?“

ლოლა:

„მეც 17 წლის ვარ და ძალიან ვიტანჯები. ერთი ბიჭი შემიყვარდა და მერე გაგიგე, რომ აზერბაიჯანელი იყო. როცა მშობლებს ეს ამბავი გავუხილე, გამიბრაზდნენ და შეყვარებულს დამაშორეს. ახლა მის დავეინყებას ვცდილობ და შენც ამავეს გირჩევ. მერნმუნე, თუ ამას მოახერხებ, აუცილებლად იპოვი ადამიანს, ვისთანაც ბედნიერი იქნები“.

იკუშკაძე:

„ჩემო კარგო, ზოგჯერ სიყვარული განუზომლად დიდ ტკივილს გვაყენებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასონარკვეთილებასა და დეპრესიას მაინც არ უნდა მიეცე. სიმართლე გითხრა, არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში ხარ. ამიტომაც, ჯობს, თავი ხელში აიყვანო და რეალობას თვალი გაუსწორო. ვინ იცის, იქნებ უკეთესიცაა, შენი თურქი რომ წავიდა. წარმოიდგინე, რა ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდებოდი, ამ ყველაფრის შესახებ შენს მშობლებს რომ გაეგოთ. დარწმუნებული ვარ, ისინი მასთან ურთიერთობას აგვიკრძალავდნენ. ამიტომ ჯობს, მასზე აღარ იფიქრო. ის, რაც მოხდა, წარსულია, წარსულს კი ქვედა არ უყვარს!“



გაიკო (ქუთაისიდან):

„ნინო, შენი მესმის. ოდესღაც თურქი მეც მიყვარდა... ჯობს, დაივიწყო. თუ გინდა, ვიმეგობროთ. დამიმეხიჯე“.

უზმაკუნა:

„სამწუხაროდ, ხშირად ხდება ისე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო საყვარელ ადამიანებს ვკარგავთ და ისინი უსაშველო ტკივილს გვიტოვებენ. აბა, რა გირჩიო, როცა მეც მსგავს სიტუაციაში ვარ. წარმატებები!“

სვანის ასული:

„თქვენს სიყვარულს სახარბიელო მომავალი ისედაც არ ჰქონდა, რადგან, ერთმანეთს ეროვნება, ასაკი, ინტერესთა სფერო და რაც მთავარია, სარწმუნოება გამოირეხებოდა. ალბათ, ის თურქი თავს მოერიდა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და შენი ცხოვრებიდან გაქრა. საერთოდ, ყველაფერი უფლის ნებაა და ამას უნდა შეეგუო. მერნმუნე, დრო ყველაფრის მკურნალია“.

GREEN GIRL:

„მგონი, დროა, სხვაზე იფიქრო. აბა, იმ კაცს როდემდე უნდა ელოდო? რომ ახსოვდე, აუცილებლად ჩამოვიდოდა. ვისაც არ ახსოვხარ, ის უნდა „დაიკიდო“.

USKO:

„შეიძლება, ოდესღაც მართლა უყვარდი, მაგრამ ახლა შენგან წავიდა და ამა...“

ყველაფერი ნათქვამია. შენ ნინო უამრავი ბედნიერი დღე გელის, ნამდვილი სიყვარულიც აუცილებლად გეწვევა. კიდევ 5 თვე და მერნმუნე, შენი მასწავლებელი ბუნდოვნად გემახსოვრება“.

ნარტისი:

„პრივეტ“, ლიკ „გზის“ №47-ში ჩემი რჩევები რომ არ დაიბეჭდა, გამიკვირდა და კინაღამ გაგებრაზდი, მაგრამ როცა ყურნაღს ისევ გადავხედე, ვნახე, რომ ტელეფონის ნომერი შეგიცვლია :) მინდა, ნინოს გამოვხეხმარო: გავადრო და შეყვარებული დაგავინწყდება, ახლა კი სხვა რამეზე უნდა გადაერთო. მერნმუნე, სიყვარულის დაკარგვით ცხოვრება არ მთავრდება. წარმატებებს გისურვებ!“

აზიელი:

„თუ არ დაბრუნდება, შენი სიყვარული ლამაზ მოგონებად დარჩება, შენ კი დრო გიმკურნალავს და რამდენიმე ხანში სხვა შეგიყვარდება“.

ვიკა:

„მას რომ ჰყვარებოდი, შენი ცხოვრებიდან არ გაქრებოდა. თანაც, ხომ გაგიგონია, — თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვავდება. ცხოვრება ნინო გაქვს და მასზე ფიქრით თავს ნუ იტანჯავ. მერნმუნე, მალე აღიარებ იმას, რომ მასზე ფიქრში დრო ტყუილად დაკარგე. ექვზე ნამდვილი სიყვარული. ხომ იცი — ვინც ექვებს, ის პოულობს კიდევ. მთავარია, რწმენა არ დაკარგო. უფალი გფარავდეს“.


კაჭკაჭი:

„აბა, დაფიქრდი, რას წერ! შენი მესიჯიდან ბევრი ვერაფერი გავიგე. ამაზე, — მასაც უყვარვარო. კი, მაგრამ ეს თუკი არ უთქვამს, ასე დარწმუნებული რატომ ხარ? დამიჯერე, ის არც შენ გიყვარს“.

ბარტმი:

„ნინო, მას მშვენიერი გადაწყვეტილება მიუღია, როცა შენგან გაქცევა განიზრახა. არადა, ეს ნაბიჯი პირველად შენ უნდა გადაგეგა. რატომ? — იმიტომ, რომ ის მუსლიმანია. ქართველები საუკუნეების მანძილზე ვიცავთ ჩვენს სარწმუნოებას. შენ კი მასზე რომ გათხოვდე, რჯულის შეცვლა მოგიწევს, რაც, მერნმუნე, სასიკვდილო ცოდაა. უფალს მადლობა შესწირე, ჯერ კიდევ ქრისტიანი რომ ხარ. შეეცადე, მასზე აღარ იფიქრო“.

„მაზდას“ ჰერბეის ახალი თაობა



ზოგიერთმა უცხოურმა საიტმა ჰერბეის ახალი თაობის — Mazda3 — პირველი ფოტოები გაავრცელა. შეგახსენებთ, რომ ამ მოდელის მსოფლიო დებიუტი ცოტა ხანში იტალიაში, ბოლონიის ავტოსალონზე შედგება. ფოტოების მიხედვით, ახალი ჰერბეი, ისევე, როგორც სედანი, თავისი წინამორბედისგან კარდინალურად განსხვავდება. მისი ძარა ახლებურადაა გაფორმებული. მსხვილი აირემწიფი ცხაური ცენტრშია მოთავსებული, ხოლო ბამპერის გვერდებზე სავენტილაციო სექციებია. გარდა ამისა, მანქანის ძარა Mazda2-ს მოგვაგონებს. თუმცა ავტომობილს სრულიად განსხვავებულად აქვს გაფორმებული ძარა უკანა ნაწილი, ახალი მამუქებითა და მძლავრი უკანა ბამპერით. სამაგიეროდ, მომავალი ჰერბეი სალონით, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ახალი სედანისგან, რომელიც ცოტა ადრე ლოს-ანჯელესში იყო წარმოდგენილი. ევროპულ მოდელს ანალოგიური — ორდონიანი წინა პანელი და აუდიოსისტემის ახალი ბლოკი აქვს. ჰერბეის ძარას მქონე ახალი Mazda3-ის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ



ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ეს ავტომობილი სავარაუდოდ, ბენზინის მოტორების (1,6 და 2,0-ლიტრიანი, შესაბამისად — 105 და 150 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატების) ხაზს შეინარჩუნებს, მაგრამ ახალი ტურბოდირექტორებით აღიჭურვება. მთავარი სიახლე — 2,2-ლიტრიანი, 150 ან 185 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავა (მოდულივაციის მიხედვით). მეორე დიზელი კი — 1,6-ლიტრიანი, 109 ცხ.ძ. სიმძლავრისა. ■

PPI Automotive Design-ის ტიუნინგპაკეტი „აულისთის“



უახლოეს მომავალში ესენის მოტორშოუზე გერმანული სატიუნინგო კომპანია — Automotive Design, სუპერავტოსტის — Audi R8 — ახალ პროგრამას წარმოადგენს, რომელსაც Razor GTR ეწოდება. სპორტპაკეტის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება — ახალი, მეტისმეტად აგრესიული, კარბონის ძარაა. ახალი პაკეტი აგრეთვე ითვალისწინებს 4,2-ლიტრიან, რვაცილინდრიან ძრავას — Audi R8, რომლის სიმძლავრეც, ახალი შემშვებ-გამომშვები სისტემის მეშვეობით, 580 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. კომპანიის — PPI მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს ტიუნინგირებული სუპერავტო, რომლის წონაც ჩვეულებრივ R8-სთან შედარებით, 250 კგ-ით შემცირდა

(1330 კგ-მდე), 3,7 წმ-ში ავითარებს. კუპე — PPI Razor GTR Audi R8 — აგრეთვე კომპანიის — KW Automotive ამორტიზატორებითა და მძლავრი სამუხრუჭე დისკებით აღიჭურვა. მანქანას საფირმო საბორბლე დისკები (19-დუიმიანი — წინ და 20-დუიმიანი — უკან) და Michelin Pilot Sport 2-ის საბურავები ეწევა. სუპერმოდერნიზებული ავტომობილის ფასი ჯერჯერობით უცნობია. ■

„ვოლვოს“ ახალი სედანი

კომპანიამ — Volvo ახალი თაობის სედანის — S60-ის პროტოტიპის კიდევ ერთი ფოტო გამოაქვეყნა, რომლის მსოფლიო პრემიერა მომავალი წლის იანვარში დეტროიტის საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე შედგება. ამის შესახებ შვედური მარკის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი. სიახლის გამოსახულების მიხედვით, რომელმაც პირველი შთაბეჭდილება უნდა შეგ-

ვიქმნას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ამ ავტომობილის სერიული ვერსია, ახალი მოდელის ძარას ფორმა ე.წ. ოთხკარიან კუპეს მოგვაგონებს, ხოლო გარეგნობის სტილისტიკა ახალი კროსოვერის — Volvo XC60 სტილშია შესრულებული. ოფიციალური ინფორმაცია კონცეპტავტოსა და ახალი თაობის S60-ის აგრეგატების შესახებ ამ ეტაპზე არ ვრცელდება. მიუხედავად ამისა,

ზოგიერთი უცხოური გამოცემის მონაცემებით, მანქანაზე ძრავათა ფართო გამა იქნება გამოყენებული, მათ შორის — 1,6-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორი და ორლიტრიანი დიზელი. შეგახსენებთ, რომ Volvo S60-ის პროტოტიპი პირველად ოქტომბრის ბოლოს იყო წარმოდგენილი. ახალი Volvo S60-ის სერიული ვერსიის გამოშვება სავარაუდოდ, 2010 წელს დაინიშნება. ■

სკანოირი

		1	2	3	4	5	6											
		უქარა, პარაზიტი	ღლი ბრუნველობა ძალი	ზოგი ცხოველის კიდური	დსურული ყურძნის წარჩენი	ჯამბური	„ოპელის“ მადელი.											
		უ	ქ	თ	ა	ბ	მ	ჰ										
		7	მ	ნ	ტ	ე	ნ	რ										
		6	ა	ფ	პ	ა	ღ	ი	ნ									
		ი	ბ	ა	ი	8	ფ	ც	კ									
	5	ი	კ	9	ფრანგი უერძური	მ	ს	ა	ჰ	10	მადღრული ავარაკი							
11	ლმერთების სასმელი	ა	ე	ქ	პ	ფ	ჰ	ი	12	შვილდით სატორცნი	მ	ს	ა	ჰ	ი			
13	სინდისი	ა	14	გამობახელი	15	გუბე	გ	ღ	16	„შავი კონტი-ნენტი“	ა	ნ	ი	ჰ	ა	ქ		
17	გულითაი ამსანავი	ქ	ე	ზ	მ	გ	ფ	ხ	ი	18	ქართული საღვთვევი კომპანია	19	მეორე პირი	ა	20	სურათი ზღვის ზღლით	მ	
	გ	ყ	ქ	ა	ჰ	ე	ს	პ	ი	21	მოკლე და მსხვილი სოსისი	ა	პ	ე	ქ			
22	რუმინეთის დელაქალაქი	ს	მ	23	ჩვენგან მოშორებით	ი	ღ	ე	ღ	ა	24	რე-სორი ფლმის „რომანური სკანოირი“	25	„ფოლკს-გაგენის“ მადელი	ჰ			
26	მუს. ნოტი	ი	27	საფოსტო გზავნილი	ი	28	საარჩევნო ყუთი	ყ	ჰ	ნ	ა	29	ღლავე	ა	მ	ქ	მ	
30	საეკლესიო კრება	31	ჩვენთან ახლოს	ა	ქ	32	ცხენის ქვედა ტუჩი	ქ	33	წყლის ფრინველი	მ	მ	ნ	ი	ა	34	კვარტი საქოფლომ	გ
	ს	მ	ქ	←	პ	ი	ე	ბ	←									
	ი	35	ქართველი პოეტი	ა	36	აჭარული ხაჭაპური	ა	ჩ	ქ	ა	37	რეზინის ფესსაცვლი						
	ნ	მ	ნ	ე	ქ	ზ	ი	რ	ი									
	მ	ს	ა	38	... კიდმანი	ნ	ი	ა	ზ	ღ								
	ღ	39	ამერიკის შტატი	ა	40	საყანელ გაკაფული ტყე	ი	ჰ	ა	შ	ა							
	ი	ღ	ი	ნ	მ	ი	ს	ი		41	ყა ანჩლი							



წინა ნომრის სკანოირის პასუხები

1. პარამხანა; 2. ტრავიფატი; 3. საკურა; 4. ბაგირი; 5. ლივერპული; 6. რომი; 7. ლოკონა; 8. რიფი; 9. ლისაბონი; 10. კადილაკი; 11. ავაცია; 12. ასანთი; 13. ლექსი; 14. ბახალა; 15. ეზობე; 16. ვისავა; 18. ვედრება; 18. ქოლერა; 19. ვინ; 20. გაბანა; 21. ურნა; 22. გემო; 23. არაყი; 24. ტიიდა; 25. ბულდოგი; 26. სპინოზა; 27. გურმანი; 28. ნასა; 29. ბლოკი; 30. დოლარი; 31. კონიაკი; 32. ბუ; 33. ჯიგარი; 34. ალკოპოლი; 35. კოლეგა; 36. ალაო; 37. ყოჩი; 38. ჩია; 39. იარლიყი; 40. ორერა.

სურათებზე: პოლი ბერი; ჯუდ ლოუ.




როგორი დაეგეგმვა გავით სოციალისტური წესდებებისადმი?

იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის — აკუტაგავას აზრით, „ცხოვრება ასანთის კოლოფითაა. მისდამი სერიოზული დამოკიდებულება — სასაცილოა, არასერიოზული მიდგომა კი — სასიფათო“. მაშ, როგორ მოვექცეთ ამ ასანთის ლერებს, პანანინა ჩხირებს, რომლებსგანაც ყოველნამიერად შენდება ჩვენი ცხოვრების მონუმენტური შენობა? სათითაოდ დავათვალიეროთ, სიყვარულით გადავარჩიოთ, აღფრთოვანება გამოვხატოთ ამ უმარტივესი, მაგრამ სრულყოფილი გამოგონების წინაშე, თუ მრისხანება გამოვადფრქვიოთ ამ ჩხირებზე, როცა სრულიად შეუფერებელ სიტუაციაში ეს ლერები ხელში ჩაგვატყდება ხოლმე, თითქოს ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ ანთება არ სურდეს? იქნებ, საერთოდ დავვიწყოთ მათი არსებობა იმ მომენტამდე, ვიდრე ცეცხლის ანთება არ დაგვჭირდება? ანდა, უბრალოდ, ყოველგვარი ზედმეტი ემოციის გარეშე თვალყური მივადევნოთ იმას, რომ ასანთი ყოველთვის მშრალად იყოს შენახული?

ყოველი ადამიანი თავად წყვეტს, თუ როგორ უნდა მიუდგეს წვრილმანებს, რისგანაც მთელი ჩვენი ცხოვრება შედგება. მაგრამ როცა უსიამოვნო წვრილმანების გამოისობით, ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცევა ხოლმე, უმჯობესია, სერიოზულად მოვეკიდოთ მათ. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი იმ რამდენიმე უსიამოვნო სიტუაციაში, რომლებსაც ტესტში გთავაზობთ. **ყოველ პასუხში — „ღია“, დანართი ერთი ქულა, ყოველ პასუხში — „არა“ — 0 ქულა, ხოლო შედარებით გაუკვირებელ პასუხში — „გააჩნა, როდის როგორ“ — 0,5 ქულა.**

1. როცა სადმე ვრეკავ და ნომერი, რომელიც ავკრიბე, გამუდმებით დაკავებულია, ვლიზიანდები ხოლმე.
2. როცა მანქანის მართვისას ვინმე გამუდმებით შენიშვნას ან რჩევა-დარიგებას მაძლევს, ვბრაზდები ხოლმე.
3. ძალზე მანერვიულებს, როცა რაიმეს კეთებისას ვამჩნევ, რომ ვიღაც თვალყურს მაღევნებს.
4. ვლიზიანდები, როცა რაიმეზე ვფიქრობ და ვინმე ამაში ხელს მიშლის.
5. მალიზიანებს, როცა ჩემს კერძო საუბარში ვიღაც გამუდმებით ერევა.
6. არ მსიამოვნებს, როცა ფერების ისეთ კომბინაციას ვხედავ, რომლებიც სრულებით არ ეხამება ერთმანეთს.
7. მალიზიანებს, როცა მისალმების ნიშნად ხელს ვუწვდი ვინმეს და საპასუხოდ მისგან ვერანაირ რეაქციას ვერ ვგრძნობ.
8. როცა ისეთ ადამიანთან მიწევს ლაპარაკი, რომელმაც ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის, საკმაოდ ვნერვიულობ ხოლმე.



ტენტის შედეგები

6 და მეტი ქულა: წვრილმან უსიამოვნებებსაც კი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ თქვენ სიტუაციის სრულად გაკონტროლებას ცდილობთ და ვერ ეგუებით, როცა რაიმე ისე არ ხდება, როგორც ეს თქვენ წინასწარ დაგეგმეთ. ან შესაძლოა, ეძებდეთ მიზეზს, რომ გარკვეული დროის მანძილზე თქვენში დაგროვილი ბოლმა თუ ფარული დაძაბულობა, როგორმე გადმონათხოთ.

4-5 ქულა: რაღაც წვრილმანებზე თქვენც ლიზიანდებით, მაგრამ ეს არც ცხოვრების ხალისის გიკარგავთ და არც ბედნიერების შეგრძნებას. გირჩევთ, წვრილმან უსიამოვნებებს ნაკლები ყურადღება მიაქ-

ციოთ, ოღონდ გაითვალისწინეთ, მეტისმეტი არ მოგივიდეთ და ყურადღების მიღმა მნიშვნელოვანი დეტალებიც არ დაგრჩეთ.

3 ქულა და ნაკლები: გაითვალისწინეთ, ზოგჯერ წვრილმანი უსიამოვნება შესაძლოა, მოსალოდნელი დიდი უსიამოვნების წინა პირობა იყოს. თუკი თქვენ მართლაც შეგიძლიათ, არადა ჩააგდოთ ცხვირწინ მფრინავი აბეზარი ბუზი, ხოლო ქუჩაში მიმავალმა თქვენს ფეხებთან დაგდებულ ბანანის ქერქ დააფიქსიროთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ყურადღების ოპტიმალურად განაწილების უნარით ხართ დაჯილდოებული. ასე რომ, გილოცავთ!

33/46

ჭოროსკოპი

(4 - 10 დეკემბერი)

ცეცხი

შეძლებთ პრობლემისგან თავის დაღწევას. მოიპოვებთ წარმატებას ბიზნესსა და პროფესიულ საქმიანობაში. პარტნიორულ ურთიერთობაში მოსალოდნელია სასიყვარულო თავგადასავლები.

კუჩრი

დროა, შემოსავლის გაზრდასა და კაპიტალის დაგროვებაზე იფიქროთ. მეგობრებისგან უდიდეს დახმარებას მიიღებთ. ეწვიეთ ხალხმრავალ ადგილებს და პრობლემებზე ნაკლებად იფიქრეთ.

ცხუვება

კარგი განწყობილება და ხასიათი საქმეშიც აისახება და რომანტიკულ ურთიერთობებშიც. მშვენიერი დროა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის. თუმცა დასვენების უგულებელყოფაც არ ღირს.

კიჩხობა

დაძაბული ურთიერთობა გეჩენებათ ახლობელ ადამიანებთან. საქმიან სფეროში გაიზრდება თქვენი ინტერესი პარტნიორის წარმატებების მიმართ. ყველაფერი მასზე იქნება დამოკიდებული.

ღოღი

გაგინდებათ დაუძლეველი სურვილი, საკუთარი თავი ახალ და, ამასთან, ორიგინალურ საქმიანობაში გამოცადოთ, თუმცა ეს დიდად არ წაადგება თქვენს კარიერასა და რეპუტაციას.

უხადგობა

სასარგებლო შეთანხმებები და შემოსავალი გელით. ნუ დაივიწყებთ მიმდინარე საქმეებს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიმზიდველობა. იგრძნობთ ენერჯის მოზღვაებას.

სახსრობა

ცვლილების დროა. ეცადეთ, ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი საქმიანი შეხვედრა დაგეგმოთ. საღამოები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

მორიდება

თუ ხელოვანი ხართ, მუშაობას ნუ დაიზარებთ. ეს დრო შეიძლება თქვენი შედეგის შექმნის საფუძველი გახდეს. ნებისმიერი კამათი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. იყავით ყოველთვის ფორმაში.

მშვიდდობა

წარმატებული კვირა გელით. ნებისმიერ საქმიანობაში წინსვლაა მოსალოდნელი. საქმიან მოლაპარაკებებზე სასურველ შედეგებს ადვილად მიაღწევთ.

თხილწობა

სიყვარულში სასიკეთო ცვლილებებს ელოდეთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებთან. თავისუფალი დრო მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

მეგობრობა

მოულოდნელად ყველას გააოცებთ, თქვენ უგულო ადამიანად მიგიჩნევენ. თუ ასეთი თბილი იყავით და ამხელა სიყვარულს ატარებდით, ვერავის წარმოედგინა.

თავისუფლება

კვირის ბოლოს შედეგები შეაჯამეთ და ოჯახურ პრობლემებს მიხედეთ. წინ სიყვარულით, შემოქმედებითა და დასვენებით ტკობა გელით. საქმეები, შეხვედრები, მოლაპარაკებები, წარმატებას გიქადის.

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	7	2	4	3	8	1	9	6
1	6	8	9	2	5	4	3	7
4	9	3	6	7	1	2	8	5
7	5	6	8	1	9	3	2	4
9	3	4	5	6	2	7	1	8
2	8	1	3	4	7	5	6	9
8	2	5	7	9	3	6	4	1
3	4	7	1	8	6	9	5	2
6	1	9	2	5	4	8	7	3

4	8	9	6	2	1	5	3	7
2	1	3	8	5	7	4	6	9
6	7	5	3	4	9	8	1	2
5	3	2	9	7	4	1	8	6
1	6	8	2	3	5	7	9	4
9	4	7	1	8	6	2	5	3
3	9	4	7	1	8	6	2	5
8	5	6	4	9	2	3	7	1
7	2	1	5	6	3	9	4	8

5	8	6	9	2	4	1	3	7
9	7	4	8	1	3	5	6	2
1	2	3	6	7	5	9	8	4
7	3	1	2	5	6	4	9	8
4	9	2	3	8	7	6	1	5
6	5	8	4	9	1	2	7	3
2	4	9	1	3	8	7	5	6
8	6	7	5	4	9	3	2	1
3	1	5	7	6	2	8	4	9

სუდოკუ

იაპონური სანსასხია

	5		6			1	8
		8		4		2	
	1		3			4	
7			6		1		2
	2		7			5	
5			8				4
	1		9		4		
	6	5			2		
8	4		2				9

	1	4		9			7
		8	7				5
		6		4			1
		9				3	
8		5		7		6	4
		2		3		8	
2				1		5	
	6			8	1		
8				6		4	2

	3		2				8
			5				4
	4	3				6	
6			7				2
	8	9				3	
	5		6	3			4
		5			1	7	
4				8			
2				6			9

ფოტოკუჩიონები



საბა SABA

ზიხვანი ჯიბუხი სანი ბუხამიშვილი



ლხმალდე

ბუხამიშვილი



ბინა შედგება
PASCALIA-ის (გარემონი)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ბინები 65 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო გალი
აუთიაჟი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დასვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ფართობი 5000 მ²
მოვირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიასლა!!! ხელშეკრულება გაბარდება სახელმწიფო რეესტრში